სასკოლო მზაობის პროგრამა

აქტივობათა კრებული

ნაწილი II

(საპილოტე ვერსია: XI-XXX კვირა)

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი.
იანვარი, 2016 წელი.

სასკოლო მზაობის პროგრამა, ისევე როგორც აქტივობების კრებული, მომზადებულია
გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორთა ჯგუფი

თამარ ბაქრაძე, ოლღა მუსხელიშვილი, ეთერ ღვინერია, თამარ გაბისონია

კონსულტანტები

ნინო ლაბარტყავა, ია აფთარაშვილი

რედაქტორი

თინათინ ცერაძე

ილუსტრატორი

ია გიგოლაშვილი

შინაარსი

თემა: ახალი წელი (ტრადიციები) (ო. მუსხელიშვილი) 4

თემა: წყლის წვეთის მოგზაურობა (ო.მუსხელიშვილი) 15

თემა: ვინ წერს წიგნებს? (თ. ბაქრაძე) 27

თემა: როგორ გავაცოცხლოთ ამბები? (თ. ბაქრაძე) 48

თემა: ემოციები - ჩემი საყვარელი გმირი (თ. გაბისონია) 61

თემა: ცხოველები ჩვენ გარშემო (ო. მუსხელიშვილი) 89

თემა: ტანსაცმელი (თ. ბაქრაძე) 137

თემა: მცენარეები (ო. მუსხელიშვილი) 147

თემა: როგორ დავამზადოთ თვითმფრინავი, გემი, მატარებელი? (ე. ღვინერია) 160

თემა: ახალი ამბები (ე. ღვინერია) 179

თემა: რას მიირთმევენ სხვადასხვა ქვეყანაში? (თ. ბაქრაძე) 204

თემა: მე სკოლაში მივდივარ (ე. ღვინერია) 230

მე – 11 კვირა

თემა: ახალი წელი (ტრადიციები)

თემა მოიცავს ერთ კვირას. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს პირველი სემესტრის ბოლო კვირა. თემა ითვალისწინებს არა მარტო საახალწლო მზადებას, არამედ სხვა ქვეყნებისა და ხალხების საახალწლო ტრადიციების გაცნობას.

თემის მიზანია ბავშვებმა გაიგონ, რომ არსებობს ცხოვრების სხვა წესიც, სხვა ტრადიციები, სხვანაირი ადამიანები, განსხვავებული ზეიმები; დაინახონ, რა გვაქვს საერთო სხვადასხვა ეროვნების, ქვეყნის, კანის ფერის ადამიანებს.

ბავშვები შეეცდებიან გაიაზრონ, რა არის წელიწადი, რამდენი წელიწადის დრო და თვე ვიცით, რას ნიშნავს ახალი წლის მოსვლა. თემა დასრულდება საახალწლო ნაძვის ხის ზეიმით.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	**საუბარი თემაზე: ახალი წლის ტრადიციები საქართველოში.**	**პროექტი:** მოდის ახალი წელი - ვამზადებთ მისალოცბარათებს **როლური:** ოჯახი ხვდება ახალ წელს. მათთან მოდის მეკვლე და ამბობს: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი - კვალი ანგელოზისა! წელი სიკეთე-სათნოებისა, მშვიდობისა, ბარაქისა, სიყვარულისა, გამრავლებისა!“	მ. ფოცხიშვილის ლექსი „მრავალ ახალ წელს“ ან ნებისმიერი ლექსი ნაძვის ხეზე თუ ახალ წელზე, რომელიც უფრო მოგვწონს.	„მოახვედრე წრეში“	ვითვლით თვეებს და ვაწყობთ წელიწადის დროების მიხედვით; წერილი თოვლის პაპას/ბაბუას სამუშაო ფურცლები - მათემატიკური ნაძვის ხე	ბავშვებთან ერთად ვსწავლობთ და ვასრულებთ საახალწლო სიმღერებს. მაგალითად, სიმღერას „ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო, ლამაზო და მშვენიერო“ და სხვა.	შევაჯამოთ. ვკითხოთ, უყვართ თუ არა ახალი წელი? როგორ ფიქრობენ, წელსაც ასეთივე სახალისო იქნება, როგორც შარშან იყო? ვუთხრათ, რომ ხვალ ვნახავთ, როგორ ხვდებიან ახალ წელს სხვა ქვეყნებში.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
		აქტივობა: ჩიჩილაკის მორთვა. **აქტივობა:** ხურჯინი თოვლის პაპასთვის/ ბაბუასთვის.					
მასალები, რესურსები		ჩიჩილაკი, ფერადი ფურცლები. ხელოვნების ცენტრის რესურსები, ქსოვილის ნაჭრები, ძაფები, მძივები ან სხვა მოსართავი მასალები.	წიგნი	პატარა ზომის ბურთი	ქაღალდი და ფანქრები; საბავშვო პინცეტი, სამუშაო ფურცლები; ბარათები თვეების სურათებით და წარწერებით, წელიწადის დროების შესაბამისი სურათები.		
სამშაბათი ინდივიდუალიზება	**ახალი წლის ტრადიციები სხვა ქვეყნებში: ჩინეთი.**	**როლური თამაში**: მოგზაურობა ჩინეთში. **აქტივობა:** კონსტრუქციული თამაში - ჩინეთის დიდი კედლის აშენება. **წესებიანი თამაში:** კამათლებიანი თამაში.	ჩინეთი. ახალი წელი ჩინეთში - ლეგენდა ახალი წლის შესახებ. ზღაპარი გაქცეული ნიანგაოს შესახებ.	მომეცი ხელი	ვხატავთ იეროგლიფს „ნიან“. ვადარებთ სიტყვას „წელიწადი“ ვამზადებთ ქაღალდის დრაკონს.	ვუსმენთ ჩინურ მუსიკას; https://www.youtube.com/watch?v=2yvaPDaE95g ვცდილობთ ვიცეკვოთ „დრაკონის ცეკვა“. შეიძლება აგრეთვე ვნახოთ ჩინური ცეკვა ჩაიკოვსკის ბალეტიდან მაკნატუნა:	შევაჯამოთ. ვისაუბროთ სხვადასხვა ხალხსა და სხვადასხვა ტრადიციაზე.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
		აქტივობა: ჩინეთის შესახებ ილუსტრირებული წიგნების ან სურათების დათვალიერება.				https://www.youtube.com/watch?v=CiokNZbEzCA	
მასალები, რესურსები	რუკა, გლობუსი, ენციკლოპედია ან სურათები	ხელოვნების ცენტრის მასალები, კუბურები, კამათლები და ფურცლები თამაშისთვის, წიგნები.	მოძიებული მასალა		ხელოვნების ცენტრის მასალები, ხის კოვზები ან ჯოხები	აუდიო- და ვიდეომასალა	
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	**ახალი წლის ტრადიციები სხვა ქვეყნებში: ამერიკა.**	**პროექტი:** მოდის ახალი წელი - ვამზადებთ ნაძვის ხის სათამაშოებს. **აქტივობა:** წიგნების დათვალიერება ამერიკის აღმოჩენის თემატიკაზე, ინდიელებზე და ა.შ. **როლური თამაში**: ამერიკის აღმოჩენა **აქტივობა:** კონსტრუქციული თამაში - გემის გაკეთება. **აქტივობა:** სად არის ჩრდილოეთი? - ექსპერიმენტები კომპასით.	სანტაკლაუსი და მისი ირმები. ელფები. როგორ მიდის სანტაკლაუსი ბავშვებთან. რძე და ნამცხვარი	კუ	ვაკეთებთ ნამცხვრებს სანტასთვის სამუშაო ფურცლები: რამდენი ირემია? “მემო”.	საშობაო სიმღერა „Jingle Bells” (ქართ. *წკარუნობენ ზანზალაკები).* https://www.youtube.com/watch?v=3PgNPc-iFW8	შევაჯამოთ. აღვნიშნავთ, რომ ამჟამად ამერიკა (აშშ) ბევრი სხვადასხვა ტრადიციის მქონე ხალხების ოჯახია. ადრე ეს იყო ინდიელების ქვეყანა, ახლა კი იქ ცხოვრობენ თეთრკანიანები, შავკანიანები, ჩინელები და ყველა ამერიკელია.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები, რესურსები	,,ჩემი პირველი კითხვებისა და პასუხების წიგ-ნი", გამომც. "პალიტრა L"; რუკა ან გლობუ-სი.	ხელოვნების ცენტრის მასალები; ამერიკის აღმოჩენასთან დაკავ-შირებული დასურა-თებული წიგნები ან ენციკლოპედიები. გემის გასაკეთებელი მასალები - მუყაოს დიდი ყუთი ან სკა-მები, აფრები, ღუზა, სხვა აქსესუარები; კომპასი.	მოძიებული მასალა	ბალიში ან რბილი სათა-მაშო; ცარცი	მარილიანი ან ნამდვილი ცო-მის ინგრედიენ-ტები, ნამცხვ-რები რქებისთ-ვის, მოსართავი მასალა; ბარათები მე-მოსთვის.	აუდიო/ვიდეო ჩანაწერი	
ხუთშაბათი ინდივიდუ-ალიზება	**ახალი წლის ტრადიციები სხვა ქვეყნებში: ამერიკა.**	**პროექტი:** მოდის ახალი წელი - ვამზა-დებთ საახალწლო სა-ხალისო ნაკეთობებს. **როლური თამაში:** მივდივართ თეატრში (ბალეტზე). **აქტივობა:** ვათვალი-ერებთ წიგნებს ან სურათებს ბალეტის თემაზე. **აქტივობა:** ვთამაშობთ თეატრალური ბინოკ-ლით. **პროექტი:** მოდის ახა-ლი წელი - ნაძვის ხის მორთვა, გამოფენის მოწყობა.	ზღაპარი "მაკნატუნა"	„გვირაბი"	თხილის სატეხით გატეხა პუნქტირის გასწვრივ ხაზის გავლება და/ან გამოჭრა გეომეტრიული სათამაშოები	ვაჩვენოთ ნაწყვე-ტები ჩაიკოვსკის ბალეტიდან „მაკნატუნა". თუ არ არის ამის საშუალება, უბ-რალოდ, ვასმე-ნინებთ ბალეტის მუსიკას, ბავშვები ხატავენ.	შევაჯამოთ. ვისაუბროთ ახალი წლის აღნიშვნის იმ განსხვავებულ ტრადიციებზე, რომლებსაც ვიცნობთ.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები, რესურსები		ხელოვნების ცენტრის მასალები; „გასაპრანჭი“ მასალები - ნაჭრები, კოსტიუმები, აქსესუარები; დასურათებული წიგნები; თეატრალური ბინოკლი ნაძვის ხე, სათამაშოები, ფერადი ნათურები.	წიგნი	თოკები	თხილი, სატეხი; ქაღალდი და ხელოვნების ცენტრის რესურსები; სამუშაო ფურცლები	ვიდეომასალა	
პარასკევი	**ზეიმი - ნაძვის ხე**						

საქმიანობათა ინსტრუქციები

პირველი შეხვედრა წრეში:

1. **საუბარი თემაზე: ახალი წლის ტრადიციები საქართველოში -** გავესაუბროთ ბავშვებს ახალი წლის შესახებ; ვკითხოთ: რა არის ახალი წელი? როდის მოდის? სულ რამდენი თვეა წელიწადში? რა გვახსოვს ახალი წლის აღნიშვნის შესახებ? როგორ აღვნიშნეთ შარშან? ვინ მოდის ბავშვებთან საქართველოში ახალ წელს? რა აცვია? რა მოგვიტანა შარშან თოვლის პაპამ/ბაბუამ? წელს რა გვინდა, რომ მოგვიტანოს? რას ვამზადებთ საახალწლო სუფრისთვის? რა არის ჩიჩილაკი? ჩამოვატაროთ ჩიჩილაკი წრეში, რათა ბავშვებმა კარგად დაათვალიერონ. მერე მოვუყვეთ, როგორ მზადდება იგი.

2. **ახალი წლის ტრადიციები სხვა ქვეყნებში: ჩინეთი -** ვეუბნებით ბავშვებს, რომ ახალ წელს ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირად აღნიშნავენ. დღეს ჩვენ ვიმოგზაურებთ ჩინეთში და ვნახავთ, როგორ ხვდებიან ახალ წელს ჩინეთში. ვაჩვენოთ რუკაზე ჩინეთი. ვსაუბრობთ ჩინეთსა და ჩინელებზე.

3. **ახალი წლის ტრადიციები სხვა ქვეყნებში: ამერიკა** - როგორ აღნიშნავენ ახალ წელს ამერიკაში? ვახსენებთ სანტაკლაუსს. ვსაუბრობთ ამერიკაზე და ვაჩვენებთ რუკაზე. ნახონ, როგორ შეიძლება ამერიკაში ჩასვლა - უნდა გადალახო ოკეანე. მოკლედ მოვუყვეთ, როგორ მოხდა ამერიკის აღმოჩენა. რა განსხვავება და მსგავსებაა სანტაკლაუსსა და თოვლის ბაბუას შორის? კიდევ რა საახალწლო რეკვიზიტები აქვთ ამერიკაში? (ირმები, ელფები, მარხილი და ა.შ).

4. **ახალი წლის ტრადიციები სხვა ქვეყნებში: ამერიკა** - გერმანიაში ბავშვები პოულობენ საჩუქრებს მორთული ნაძვის ხის ძირას. ვეუბნებით, რომ დღეს წავიკითხავთ ამბავს ერთი გოგონას შესახებ, რომელსაც უჩვეულო საჩუქარი შეხვდა.

აქტივობები

1. **ჩიჩილაკის მორთვა -** ბავშვებს ვყოფთ მცირე ჯგუფებად. ვურიგებთ პატარა ჩიჩილაკებს, ფერად ქაღალდებს, მაკრატლებს, ლენტებს. ბავშვები ხატავენ ფერად ფურცლებზე სხვადასხვა ხილს, თოჯინებს. დავეხმაროთ მათ დამაგრებაში.

2. **ხურჯინი თოვლის ბაბუასთვის -** ძველი ნაჭრებისგან (წინასწარ ვთხოვოთ მშობლებს მათი მოტანა) ან ფერადი ქაღალდისგან ვამზადებთ ხურჯინს.

დილის წრე.

1. **საუბარი ჩინეთზე** - ამ საუბრისთვის აუცილებელია კარგად მოვემზადოთ. უნდა ვუთხრათ ბავშვებს, რომ ჩინეთი არის ძალიან დიდი, საქართველოზე გაცილებით დიდი ქვეყანა, სადაც ცხოვრობს ძალიან ბევრი ადამიანი. ესენი არიან ჩინელები - ძალიან შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხი. ჩინელები განსხვავდებიან ჩვენგან კანის ფერით, თვალების ფორმით. ისინი საუბრობენ ჩინურად, წერენ იეროგლიფებით და არა ასოებით, როგორც ჩვენ. მოვუყვეთ ჩინეთის დიდი კედლის შესახებ, ვუჩვენოთ სურათები. კითხვის (ზღაპრის) დროს წიგნის წაკითხვის ნაცვლად მოვუყვეთ ჩინური ლეგენდები ახალი წლის შესახებ.

საბაზო ინფორმაცია - ძველად ჩინეთში სწამდათ, რომ არსებობდა საშინელი არსება, ნიანი, რომელიც მოდიოდა წლის დასაწყისში. სიტყვა

„ნიანი“ ჩინურად ახლაც „წელიწადს “ნიშნავს და ჩაიწერება შემდეგი იეროგლიფით:

ნიანის გულის მოსაგებად ჩინელები გემრიელ საჭმელებს ამზადებდ-ნენ, ვინაიდან ითვლებოდა, რომ თუ კარგად აჭამე ნიანს, წელიწადიც კარგი და ბარაქიანი იქნება. ერთხელაც შეამჩნიეს, რომ ნიანს შეეშინდა, როდესაც წითელ სამოსში გამოწყობილი ბავშვი დაინახა და მიხვდნენ, რომ მას წითელი ფერის ეშინია. მას მერე ჩინეთში საახალწლოდ ყველა-ფერი წითელ ფერებშია მორთულ-მოკაზმული, ყველგან წითელი ფან-რები კიდია და საჩუქრებსაც წითელ ქაღალდში ფუთავენ. იმართება აგრეთვე ფეიერვერკები, რომლებიც ძველ დროში ისევ ნიანის შესაში-ნებლად იყო გამიზნული.

ახალი წლის აღნიშვნა ჩინეთში ხდება იანვრის ბოლოს - თებერვლის დასაწყისში. დღესასწაული იწყება ფეიერვერკებით, ხოლო ბოლო დღეს ეწყობა ფანქრების ფესტივალი.

საახალწლოდ ჩინეთში, ისევე როგორც საქართველოში, ოჯახი იკ-რიბება საახალწლო სუფრასთან, მაგრამ გოზინაყის ნაცვლად ჭამენ ბრინჯისგან გაკეთებულ ტკბილ ნამცხვარს, რომელსაც ეწოდება ნიანგაო.

ჩინელები დიდ პატივს სცემენ დრაკონს. დრაკონი ითვლება ძალისა და წარმატების სიმბოლოდ. ამიტომ ყველა დღესასწაულზე, მათ შორის საახალწლოდ, სრულდება დრაკონის ცეკვა, რომელიც შეგვიძლია ვიხილოთ ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=5NMnmBzfieM

ზღაპარი გაქცეული ნიანგაოს შესახებ მოგვითხრობს, რომ ერთ ღარიბ ოჯახში არ ჰქონდათ ფქვილი ბევრი ნიანგაოს გამოსაცხობად, ამიტომ მხოლოდ ერთი ცალი გამოაცხვეს. ნამცხვარი გამოიპარა სახლიდან და გზაზე გაგორდა, მას მთელი ოჯახი დაედევნა, მაგრამ ვერ დაიჭირა. ბოლოს ნიანგაო მიუგორდა მშიერ მოხუც ქალს, რომელმაც შეჭამა ნამცხვარი. ოჯახის წევრებს ეს არ ეწყინათ, პირიქით, გაუხარ-დათ, რომ აჭამეს მშიერ მოხუცს და ყველამ ერთად ბედნიერად აღ-ნიშნა ახალი წელი.

2.საუბარი ამერიკაზე - ვუყვებით ამერიკის შესახებ. მოვიძიოთ ბავშვ-ებისათვის საინტერესო ინფორმაცია ინდიელებზე, მათ საცხოვრებელ-ზე (ვიგვამები), ამერიკის აღმოჩენაზე და ა.შ.

წიგნის დრო - მოვუყვეთ სანტაკლაუსის შესახებ; ვუთხრათ, სად ცხოვ-რობს ის (სავარაუდოდ, ლაპლანდიაში). ვაჩვენოთ რუკაზე ლაპლან-დია, ვუთხრათ, რომ იქ ჩრდილოეთია და ძალიან ცივა (თუ წაკითხული

აქვთ ანდერსენის „თოვლის დედოფალი“, გავახსენოთ). სანტაკლაუსს ეხმარებიან ელფები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ამზადებენ ბავშვებისთვის საჩუქრებს. სანტას ჰყავს ირმები, რომლებსაც იგი საახალწლო ღამეს საჩუქრების დასარიგებლად მიჰყავთ. ბავშვებთან სანტაკლაუსი მაშინ მიდის, როცა პატარებს სძინავთ: საკვამლე მილიდან (ბუხრიდან) შეაღწევს სახლში და ბავშვებს საჩუქრებს საახალწლო ნაძვის ხესთან უტოვებს, ან ჩაუწყობს სპეციალურად დაკიდებულ წინდებში, ბავშვები კი დაძინებამდე ჭიქა რძეს და ნამცხვრებს ტოვებენ სანტა კლაუსისთვის.

წესებიანი/ მოძრავი თამაშები

1. **მოახვედრე წრეში -** დავდოთ მიწაზე რგოლი (ჰულაჰუპი) ან დავხაზოთ წრე. მონაწილეებმა რიგრიგობით უნდა შეაგდონ რგოლში პატარა ზომის (მაგ., ჩოგბურთის) ბურთი. ყოველ ჯერზე დავალება რთულდება: თავდაპირველად ყველა აგდებს მარჯვენა ხელით, მეორე ჯერზე - მარცხენათი, მერე - მიწაზე დარტყმით, ზურგიდან, ფეხს ქვევით და ა.შ. ვისაც შეეშალა, გადის თამაშიდან.

2. **მომეცი ხელი -** ეს არის დაჭერობანა. წამყვანი იჭერს, მაგრამ უფლება არ აქვს,დაიჭიროს ის მოთამაშე, რომელმაც მოასწრო და ხელი მოჰკიდა მეორე მოთამაშეს.

3. **კუ -** მოთამაშემ („კუმ“) უნდა გაიაროს სტარტიდან დანიშნულ პუნქტამდე და მობრუნდეს უკან 4 „ფეხზე“, თანაც ზურგზე უნდა ჰქონდეს ბალიში ან რბილი სათამაშო. თუ ბალიში დაუვარდება, დაჯარიმდება.

4. **გვირაბი -** გავჭიმოთ 50 სმ. სიგრძის ორი თოკი ერთმანეთისგან დაშორებით, იატაკიდან 20-25 სმ-ისსიმაღლეზე. ეს არის "გვირაბი". მონაწილეები ამ "გვირაბში" ისე უნდა გაძვრნენ (ხოხვით), რომ თოკს არ შეეხონ. მოგებულია ის, ვინც ბოლომდე გაძვრება და თოკს არ შეეხება.

5. **თამაში კამათლებით** - მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ფანქრები და ფურცლები, რომლებზედაც ჩამოწერილია ციფრები 1-დან 10-მდე. მოგებულია ის, ვინც პირველი ამოშლის ყველა ციფრს. ციფრების ამოშლა ხდება შემდეგი წესით: მონაწილეები რიგრიგობით გააგო-

რებენ 2 კამათელს და ამოშლიან ერთ ციფრს იმის მიხედვით, თუ რა ამოუვიდათ. მაგალითად, თუ მონაწილემ გააგორა 2 და 5, შეუძლია ამოშალოს 2 ან 5 (ორივე არა). თუ მონაწილეს კამათელზე გამოსახული ყველა ციფრი უკვე ამოშლილი აქვს, სვლას გამოტოვებს.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **ვითვლით თვეებს და ვაწყობთ წელიწადის დროების მიხედვით** - მოვამზადოთ 12 ბარათი, რომლებსაც აწერია თვეების სახელები, ასევე 4 ილუსტრაცია წელიწადის დროების გამოსახულებით. ავიღოთ ბარათი, წავუკითხოთ ბავშვებს თვის სახელწოდება და ვკითხოთ, წელიწადის რომელ დროს არის აღნიშნული თვე. ბავშვებს შესაძლოა არ ჰქონდეთ ამის შესახებ ინფორმაცია, ამიტომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ. მას შემდეგ, რაც თვეებს განვალაგებთ სეზონების მიხედვით, კიდევ ერთხელ წავუკითხოთ თითოეული თვის სახელწოდება. დავეხმაროთ ბავშვებს დაითვალონ, რამდენი თვეა ცალკეულ წელიწადის დროსა და ერთ წელიწადში (იხ. ილუსტრაციები #1, 2).

2. **წერილი თოვლის ბაბუას** - ყველამ სათითაოდ "მისწეროს" წერილი თოვლის პაპას/ბაბუას. ბავშვებს შეუძლიათ შექმნან ნახატი ან აპლიკაცია. წერილი გააფორმონ ისე, როგორც ჩათვლიან საჭიროდ.

3. **მათემატიკური ნაძვის ხე** - ესაა სახალისო მათემატიკური აქტივობა. ხის დამზადება შესაძლებელია ბამბით და პინცეტით, ასევე პლასტილინის ბურთულებით.

4. **ვაკეთებთ დრაკონს** ჩვენი ფანტაზიით. შეგვიძლია აგრეთვე ნიმუშების შეთავაზებაც.

5. შევთავაზოთ ბავშვებს ქვემოთ წარმოდგენილი ილუსტრაციის მსგავსი ბარათები. ვკითხოთ, რას ხედავენ სურათზე, მაგ., ამ ბარათის შემთხვევაში რამდენი ირემია გამოსახული ნახატზე? რამდენი ვარსკვლავია ცაზე? და ა.შ. (იხ. ილუსტრაცია #3)

6. **მემო** - დავამზადოთ მემო საახალწლო თემატიკაზე. შეგვიძლია ძველი მისალოცი ბარათების გამოყენებაც.

7. **თხილის სატეხით გატეხვა** - ვნახოთ, როგორ უნდა გავტეხოთ თხილი და გავიგოთ, რა არის მაკნატუნა.

8. **პუნქტირის გასწვრივ ხაზის გავლება და/ან გამოჭრა. მიმდევრობის გაგრძელება**

(იხ. ილუსტრაციები #4, 5).



9. **ნაძვის ხის გეომეტრიული სათამაშოები**

პროექტები

პროექტი: მოდის ახალი წელი

პროექტი გრძელდება მთელი კვირის განმავლობაში. ვამზადებთ მისალოც ბარათებს მშობლებისთვის, მეგობრებისთვის - ვისთვისაც მოვისურვებთ და როგორსაც მოვისურვებთ; ვქმნით სახალისო ნაკეთობებს, ნახატებს, კოლაჟებს, ვამზადებთ ნაძვის ხის სათამაშოებს; ვრთავთ ნაძვის ხეს და ვაწყობთ საახალწლო გამოფენას. ბოლო დღეს ვაწყობთ ბავშვებისთვის ზეიმს - მოდის თოვლის პაპა/ბაბუა, ვცეკვავთ ნაძვის ხის გარშემო. შეგვიძლია ბავშვებს მოვუწყოთ თოჯინების ან სხვა თეატრის სპექტაკლიც (თუკი იქნება ამის საშუალება).

მაგალითები პროექტისთვის:

თითის ანაბეჭდებით:

კარტოფილის შტამპები:

მეორადი მასალისგან

ღილებით, სხვა ნივთებით:

წიგნის დრო

მრავალ-მრავალ ახალ წელს

ნაძვის ხეზე ჩიტი ჯდება,
ოქროს ნისკარტს მაღლა სწევს,
საქართველოს სადიდებლად
მრავალ, მრავალ ახალ წელს!
ჩემი გული სიხარულით,
რა თქმა უნდა, ახლაც ძგერს,
მშვიდობა და სიყვარული,
მრავალ, მრავალ ახალ წელს!

მორის ფოცხიშვილი

მე -12 კვირა

თემა: წყლის წვეთის მოგზაურობა

თემა „წყლის წვეთის მოგზაურობა“ მისცემს ბავშვებს შესაძლებლობას, შეისწავლონ წყლის თვისებები, დააკვირდნენ მის გადასვლას ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში, გაიგონ, როგორ ხდება წყლის ბრუნვა ბუნებაში, რატომ წვიმს (თოვს). თემის მსვლელობისას ბავშვები ჩაატარებენ ცდებს, დააკვირდებიან და გამოიტანენ დასკვნებს. მათ ექნებათ საშუალება, გაზომონ, დაახარისხონ, შეადარონ; შექმნიან სახალისო ნაკეთობებს, მათ შორის, საკვებურებს ჩიტებისათვის; მიხვდებიან, რომ უნდა დაეხმარონ მათ, ვისაც უჭირს, იზრუნონ მათ ირგვლივ არსებულ ბუნებაზე. თემა ხელს უწყობს ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას და ითვალისწინებს აქტივობებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროდან. თემის ხანგრძლივობა ერთი კვირაა. თემაზე მუშაობა სასურველია მაშინ, როდესაც თოვლი მოვა.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი	საუბარი ზამთარსა და პირველ თოვლზე	**აქტივობა**: საკვებურების გაკეთება **თამაში:** როგორია თოვლი (ყინული, ზამთარი და ა.შ.)? რიგრიგობით თქვან: თეთრი! ცივი! ფაფუკი! სახლისო! და ასე შემდეგ. გამარჯვებულია ის, ვინც იტყვის ბოლო ზედსართავს.	ნოდარ დუმბაძის ლექსი „ზამთარი“	თავისუფალი თამაში, გუნდაობა, გუნდების მიზანში სროლა. თოვლის კაცის დამზადება. თუ თოვლი ცოტაა, ვთამაშობთ თამაშს „ვაგროვებთ გუნდებს -1“; სანამ საკვებურები მზად იქნება, დავკიდოთ ასეთი:	ცდები: დნობა, გაყინვა, აორთქლება, გაშრობა.	მოვასმენინოთ ნაწყვეტი ვივალდის ნაწარმოებიდან „ზამთარი“, დახატონ ამ მუსიკის მოსმენის დროს.	შევაჯამოთ დღე. გავახსენოთ, რომ ხვალისთვის დაგეგმილი გვაქვს ექსპერიმენტი - დაკვირვება გაყინულ წყალზე. დავტოვოთ თეფშზე დასხმული წყალი, აგრეთვე ორი სველი ჩვარი.

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანო-ბები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
				კვლევისთვის თოვლისა და ლოლუების შეგ-როვება.			
მასალები, რესურსები		მეორადი მასალები, ხელოვნების ცენტრის მასალები	ნ. დუმბაძის ლექსების წიგნი	პატარა ნიჩბები და ვედროები ან პატარა ბურთები და კალათები (ყუთები)	კონტე-ინერები, ორი ჩვარი, თერმოსი, პლასტმასის დიდი ჭიქა ან გადაჭრილი ბოთლი	აუდიოჩანაწე-რი, სახატავი მასალები	

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანო-ბები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი	საუბარი აორთ-ქლებაზე	**ექსპერიმენტი:** შთან-თქვის (აბსორბციის) ცდა	ასტრიდ ლინ-დგრენის წიგ-ნი „ბიულერ-ბიუელი ბავშ-ვები“ (პირვე-ლი თავი).	ჩიტებისთვის საკვებურების მოწყობა. თუ თოვლი უხვადაა, გააკე-თონ სასრიალო გორაკი და ისრი-ალონ, თუ ცოტაა - ვთამაშობთ „ვაგროვებთ ,,გუნდებს'' -2	**აქტივობა:** ყინულზე დაკვირვება. **აქტივობა:** წყლის თვი-სებები. **აქტივობა:** ფერები. **აქტივობა**: შთანთქმა.	სიმღერა: „გარეთ თოვ-და, თოვდა, თოვდა“ - მო-ვისმინოთ და ვიმღეროთ, ვიცეკვოთ თა-ვისუფლად. https://www.youtube.com/watch?v=D_-DRGXxvwE	შევაჯამოთ დღე: რა გავიგეთ? (გაყინვი-სას წყალი ფართოვ-დება); ფერების შერევა; წყლის შთანთქ-მა; წყალს (წყლის წვეთებს) შეუძლია „მოგზაურობა“ ერთი ჭურჭლიდან მეორეში (თუ არსე-ბობს მათი შემაერ-თებელი გზა). ის მოძრაობს მანამდე, სანამ წყლის დო-ნეები სხვადასხვა ჭურჭელში არ გა-თანაბრდება. წყლის წვეთები უფრო ადვილად მოძრაობს ფოროვან ქაღალდსა და ქსო-ვილში, ვინაიდან იქ მეტი ადგილია მათთვის.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები, რესურსები		კვლევების ცენტრის რესურსები, ქილები, საკვები საღებავები ან გუაში, ქაღალდის პირსახოცები.	წიგნი	ნიჩბები, ვედროები ან/და პატარა ბურთები და კალათები (ყუთები), ჩიტების საკვები	კონტეინერი, პლასტიკური ბოთლები, ჭიქები, პიპეტები, შამპუნის ბოთლები, კარგად გარეცხილი წამლის ფლაკონები, შპრიცები (ნემსების გარეშე), საღებავები, ხელსახოცები, ქაღალდი, ბამბა, ქსოვილის ნაჭრები.	აუდიო- ან ვიდეოჩანაწერი	
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	საუბარი ღრუბლებზე	**აქტივობა:** კოლაჟი ან აპლიკაცია ზამთრის თემაზე; **წესებიანი თამაში:** „მივდივარ! - რა ჩამოგიტანო?“ **როლური თამაში:** „ბიულერბიუელი ბავშვები“	ასტრიდ ლინდგრენის წიგნი "ბიულერბიუელი ბავშვები" (მეორე თავი)	ვნახოთ, მოდიან თუ არა ჩიტები საკვებურებთან? თუ საჭიროა, დავამატოთ საკვები. დავაკვირდეთ ღრუბლებს. რისგან შედგება ღრუბელი? რატომ თოვს/ წვიმს?			

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანო-ბები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
				ავაშენოთ თოვ-ლისგან სახლე-ბი პატარა სათა-მაშოებისთვის ან ბუნაგი დათ-ვისთვის (ან რაც თავად ბავშვებს მოაფიქრდებათ). თამაში: „მსახი-ობები“	წყლის მოცუ-ლობა;	მოვასმენინოთ შოპენის ვალ-სი N2: https://www.youtube.com/watch?v=xx6-LfqOG0Q იცეკვონ თავი-სუფლად	შევაჯამოთ დღე. კიდევ ერთხელ ვი-საუბროთ ბუნება-ში წყლის ბრუნვის საკითხებზე - ბავშ-ვებმა თქვან, რა გაიგეს.
მასალები/ რესურსები		მარილიანი ცომი, ქი-ლები, ხელოვნების ცენტრის მასალები	წიგნი		ბოთლები, ძაბრი, ერთ-ჯერადი ჭი-ქები		
ხუთშაბათი ინდივიდუ-ალიზება	საუბარი გა-ზაფხულზე თოვლის დნო-ბის შესახებ.	**აქტივობა:** ამინდი ცე-ლოფნის პარკში. **აქტივობა:** წყლის წვეთის თავგადასავა-ლი	ასტრიდ ლინ-დგრენის წიგ-ნი „ბიულერ-ბიუელი ბავშ-ვები“ (მესამე თავი).	მოძრავი თამაში, გუნდაობა თოვლზე ჯოხით ან/და თითით ხატვა და წერა.	**გამოიცანი, რა დაგვიმა-ლა მხატვარ-მა?** 2. მემო.	გავიხსენოთ და ვიმღეროთ საყვარელი სიმღერები. მოვიფიქროთ სიმღერა ზამ-თარზე; თუ გვაქვს-შესაძლებლო-ბა, ვაჩვენოთ ანიმაციური ფილმი ,,თოვ-ლის გუნდა''	შევაჯამოთ დღე. რა გავიგეთ დღეს ახალი? სად ქრება თოვლი ზაფხულში? რატომ არ თოვს, როცა ცხელა? ხვალ ველოდებით მშობლებს. რას ვუჩვენებთ მათ?

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	დასურათებული ენციკლოპედია	შესაკრავიანი ცელოფნის პარკი; ხელოვნების ცენტრის მასალები	წიგნი		ფერადი მუყაო, მაკრატლები, მემოს ბარათები		
პარასკევი	თემის შეჯამება	დავასრულოთ ან შევავსოთ „წყლის წვეთის თავგადასავალი“ გამოვფინოთ სურათები, რომლებიც გადავიღეთ ცდების ჩატარების დროს, ასევე ჩვენი გაკეთებული ნამუშევრები. ცალკე გამოვფინოთ ნამუშევრები თემაზე „წყლის წვეთის თავგადასავალი“. როცა ყველაფერს მოვამზადებთ, გავიდეთ ეზოში.	თავისუფალი თამაში	ასტრიდ ლინდგრენის წიგნი „ბიულერბიუელი ბავშვები“ (მეოთხე თავი). თამრი ფხაკაძის ,,მხიარული ციფრები“ (ლექსი ერთიანზე). მომდევნო დღეებში ვსწავლობთ ლექსებს სხვა რიცხვებზეც.	ბავშვები მღერიან სიმღერებს, რომლებსაც მოისურვებენ, მათ შორის, სიმღერას ზამთარზე, რომელიც თავად მოიფიქრეს.	ბავშვები მშობლებს: უჩვენებენ თავიანთ სურათებს და უხსნიან, რა დახატეს; უჩვენებენ ჩიტების საკვებურებს, უხსნიან, რისთვის არის საჭირო; უყვებიან „წყლის წვეთის თავგადასავალს“. ბოლოს ბავშვები ერთად ასრულებენ სიმღერას ზამთარზე, რომელიც თავად შეთხზეს.	

საქმიანობათა ინსტრუქციები

დილის შეხვედრა

1. საუბარი ზამთარსა და პირველ თოვლზე

აღვნიშნავთ თოვლის მოსვლას ამინდის კალენდარში. ვესაუბრებით ბავშვებს ზამთარზე (შეიცვალა თუ არა გარემო ჩვენ გარშემო? უხარიათ თუ არა თოვლის მოსვლა?).

ცივა, თბილად უნდა ჩავიცვათ - რას ვიცვამთ ზამთარში?

იმ ფრინველებს, რომლებიც ზამთარში ჩვენთან რჩებიან, სიცივეში ძალიან უჭირთ საკვების პოვნა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მიწა თოვლით არის დაფარული. ამიტომ ზამთარში ფრინველებს უნდა დავეხმაროთ, გავაკეთოთ მათთვის საკვებურები და დავუყაროთ საკვები.

2. საუბარი აორთქლებაზე

ვეუბნებით ბავშვებს, ნახონ ის ჩვრები, რომლებიც გუშინ გარეცხეს. ჩამოვატაროთ წრეში, რათა დარწმუნდნენ, რომ ერთი მშრალია, მეორე კი ჯერ არ გამშრალა. რატომ?

დავხედოთ წყლიან თეფშს, რომელიც წინა დღეს დავტოვეთ. წყალი თითქმის ან სულ აღარ დარჩა. რა მოუვიდა წყალს? (თურმე აორთქლდა). თეფშიც გაშრა, ე.ი. რას ნიშნავს გაშრობა? ჩამოაყალიბონ მოსაზრებები, მერე შევაჯამოთ - სველი ჩვრიდან და თეფშიდან წყალი თანდათანობით ორთქლდება, რის გამოც ჩვარი (თეფში) შრება.

ვკითხოთ: როგორ ფიქრობენ, სად მიდის აორთქლებული წყალი? რა მოუვა წყალს, როდესაც ზევით ავა?

3. საუბარი ღრუბლებზე

ვაგრძელებთ საუბარს აორთქლების თემაზე:
- თუ გახსოვთ, ჩვენ ვნახეთ, როგორ იქცევა ორთქლი - ის ადის ზევით. რა ხდება ბუნებაში, როცა მზე გაათბობს წყალს? სად მიდის აორთქლებული წყალი? რა მოსდისაორთქლებულ წყალს ზევით, ცაში?

ვცდილობთ, არ გავცეთ ამ კითხვებზე პასუხი, მოვისმინოთ ბავშვების ვერსიები და მსჯელობა.

მერე ვკითხოთ, თუ უნახავთ ღრუბელი? როგორ ჰგონიათ, როგორია? წინა დღეს ვისაუბრეთ ნისლზე. აი, ღრუბელი ზუსტად ეს ნისლია. ნისლი ადის ზევით, სადაც უფრო ცივა და ორთქლი პატარა წყლის წვეთებად გადაიქცევა. სწორედ ეს არის ღრუბელი.
როგორ ფიქრობენ, მერე რა ხდება?

4. საუბარი გაზაფხულზე თოვლის დნობის შესახებ

ვნახეთ, რომ სითბოში თოვლი დნება, ხოლო წყალი ორთქლდება.

ვსაუბრობთ თემაზე: რა მოუვა თოვლს გაზაფხულზე, როცა დათბება. ვაჩვენოთ მთისა და ბარის მდინარეების სურათები. როგორ ფიქრობენ, რატომ განსხვავდებიან ასე ეს მდინარეები?

5. თემის შეჯამება

შევაჯამოთ თემა. გავიხსენოთ ყველაფერი, რაც გავიგეთ წყლის შესახებ.

დღეს გვეწვევიან სტუმრები (მშობლები). რა ვაჩვენოთ და რა მოვუყვეთ მათ? შევთავაზოთ ბავშვებს, მოიფიქრონ პროგრამა სტუმრებისათვის.

აქტივობები – ცდები

1. **დნობა -** შემოვიტანოთ ჯგუფში თოვლი, ჩავდოთ კონტეინერში, ლოლუები კი ჩავაწყოთ მეორე კონტეინერში. თუ ლოლუები არ გვაქვს, მაცივრიდან გამოვიღოთ ყინული და ჩავდოთ მეორე კონტეინერში. შევთავაზოთ ბავშვებს, ხელით გასინჯონ, როგორია თოვლი და ყინული (ცივია, სლიპინა, ხელში წყლად იქცევა). ვსინჯოთ, რა მოხდება, ყინულს ჩაქუჩი რომ დავარტყათ (იმსხვრევა, როგორც შუშა). დააკვირდნენ დნობის პროცესს. როგორ ფიქრობენ, როდის გადნება თოვლი და ყინული უფრო სწრაფად - სითბოში თუ სიცივეში?თოვლისა და ყინულის დნობის შედეგად მივიღეთ წყალი. წყლიდან თუ შეიძლება თოვლის ან ყინულის მიღება? როგორ? ყინულის დნობის შედეგად მიღებული წყალი ძალიან ცივია - შეამოწმეთ ხელით!

2. **აორთქლება -** რა მოხდება, თუ წყალს გავაცხელებთ? შემოვიტანოთ თერმოსი ცხელი წყლით. ვუთხრათ, რომ თერმოსში ცხელი წყალია. გავხსნათ თერმოსი, გავამახვილოთ ბავშვების ყურადღება ორთქლის მოძრაობაზე (ადის ზევით). მივიტანოთ ახლოს სარკე, დავაკვირდეთ - ორთქლი სარკეზე წვეთებად გროვდება. მივიტანოთ სარკე ბავშვებთან. შევთავაზოთ, გასინჯონ თითით მისი ზედაპირი და დარწმუნდნენ, რომ სარკეზე წყლის წვეთებია. დასკვნა - ორთქლიც, ისევე, როგორც თოვლი და ყინული, წყალი ყოფილა.

   ვკითხოთ: თუ უნახავთ ოდესმე ბევრი ორთქლი ოთახში? აბაზანაში? რას ჰგავს ორთქლი? ნისლიან ამინდში თუ გასულან გარეთ? ნისლიც ძალიან ჰგავს ორთქლს, ისიც პატარა წყლის წვეთებად იქცევა ბალახზე, მიწაზე, სახლების სახურავებზე (თუ ნისლიანი ამინდია, აუცილებლად გავიყვანოთ ბავშვები გარეთ და დავაკვირდეთ ნისლს).

3. ვკითხოთ: როგორ ფიქრობენ, ორთქლად მხოლოდ ცხელი წყალი იქცევა? შევთავაზოთ ცდის ჩატარება: დავასხათ ცოტა წყალი თეფშზე (ძალიან ცოტა, ფაქტობრივად, მხოლოდ დავასველოთ) და შევთავაზოთ, დააკვირდნენ წყალს. ორთქლდება? (თითქოს არა). დავტოვოთ ეს თეფში ხვალამდე, რათა კიდევ ერთხელ შევხედოთ.

4. გავყინოთ წყალი. ავიღოთ პლასტიკური ჭიქა ან გადაჭრილი ბოთლი; ავავსოთ წყლით კიდეებამდე, დავადოთ სახურავი (პლასტიკური ან სხვა მჩატე მასალის) და ჩავდგათ საყინულეში (თუ გარეთ ყინავს, უბრალოდ, გავიტანოთ გარეთ). ვუთხრათ ბავშვებს, რომ ხვალამდე უნდა მოვიცადოთ - გაყინვას დრო უნდა.

5. მოვწმინდოთ დაღვრილი წყალი ორი ჩვრით (სასურველია, გამოვიყენოთ სხვადასხვა ფერის ჩვრები). გავრეცხოთ ორივე და გავწუროთ. ერთი ჩვარი გავშალოთ და დავდოთ გამათბობელთან ახლოს, მეორე კი დავკეცოთ ოთხად და დავდოთ გამათბობლისგან მოშორებით, შედარებით ბნელ ადგილას.

6. **ყინულზე დაკვირვება -** შემოვიტანოთ წინა დღეს გასაყინად დატოვებული წყალი. დავინახავთ, რომ წყალი გაიყინა და ჭიქიდან ამოიწია, სახურავიც ასწია. ასე იმიტომ ხდება, რომ გაყინვისას წყალი ფართოვდება. თუკი წყალს თავდახურულ მინის ბოთლში გავყინავთ, ბოთლი გასკდება.

7. წყლის თვისებები: ჩავასხათ წყალი რამდენიმე კონტეინერში. მივცეთ ბავშვებს ძაბრები, პატარა რეზინის შლანგები, პლასტიკური ბოთლები, ჭიქები, შპრიცები, პიპეტები, კარგად გარეცხილი წამლის ფლაკონები, შამპუნის ცარიელი ბოთლები და ა.შ., რათა ითამაშონ თავისუფლად.

8. **ფერები -** შევთავაზოთ ბავშვებს, გახსნან წყალში საკვები საღებავები დამისცენ წყალს ლურჯი, წითელი, ყვითელი შეფერილობა. წავახალისოთ, შეურიონ სხვადასხვა ფერის წყალი სხვადასხვა პროპორციით და დააკვირდნენ, რა გამოვა. მივცეთ თავისუფლად თამაშისა და ექსპერიმენტირების საშუალება.

9. **შთანთქმა -** მივცეთ ქაღალდის ხელსახოცები, უბრალო ქაღალდი, ბამბა და ქსოვილის ნაჭრები დაღვრილი წყლის მოსაწმენდად. ნახონ, რომელი მათგანი შთანთქავს წყალს ყველაზე უკეთ. რატომ? რით განსხვავდება უბრალო ქაღალდი და ქაღალდის ხელსახოცი? გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, მერე კი ავუხსნათ გასაგები ენით: ხელსახოცი უფრო ადვილად იხევა, ვიდრე ქაღალდი. ეს იმიტომ ხდება, რომ ხელსახოცი უფრო ფოროვანია (ანუ მასში მეტი სიცარიელეა/ცარიელი ადგილია), ასე რომ წყლის წვეთებს უფრო ადვილად შეუძლიათ მასში შეღწევა, ვიდრე უბრალო ქაღალდში.

10. შევთავაზოთ ბავშვებს, შექმნან კოლაჟი ან აპლიკაცია ზამთრის თემაზე (თვითონ გადაწვიტონ, რას გააკეთებენ). აგრეთვე შეიძლება პლასტილინის ან მარილიანი ცომის გამოყენება და ქილებში თოვლის კაცის გაკეთება.

11. **ამინდი ცელოფნის პარკში -** შევაფერინოთ ბავშვებს წყალი ლურჯად. შევთავაზოთ, დაახატონ შესაკრავიან ცელოფნის პაკეტს ტალღები ან ღრუბლები (სურვილისამებრ) და ჩაასხან მასში ლურჯად შეფერილი წყალი, შემდეგ შეკრან პაკეტი და მიამაგრონ სკოჩით ფანჯარაზე.

ამის მერე გადავიდეთ სხვა აქტივობაზე. გარკვეული დროის შემდეგ, როცა წყალი პარკში აორთქლებას დაიწყებს, გავამახვილოთ ბავშვების ყურადღება პარკზე. თვითონვე ახსნან, რატომ „წვიმს“ პარკში.

12. **წყლის წვეთის თავგადასავალი -** ვსხდებით წრიულად. ვუთხრათ ბავშვებს, რომ ახლა ყველანი ერთად მოვყვებით ზღაპარს პატარა წყლის წვეთის მოგზაურობაზე. თხრობას ჩვენ ვიწყებთ, ჩვენს ფრაზას მონაწილეები რიგრიგობით ამატებენ ერთ წინადადებას. ვამბობთ: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა წყლის წვეთი“, დამხმარე აგრძელებს: „ის ცხოვრობდა დიდ ტბაში (ან ზღვაში) თავის დიდ ოჯახთან ერთად“, შემდეგ თხრობას აგრძელებენ ბავშვები (ამბობენ თითო-თითო წინადადებას). შევთავაზოთ ბავშვებს, გააფორმონ ეს ზღაპარი როგორც მოუნდებათ - ინდივიდუალურად ან ჯგუფებში. შესაძლებელია გამოვიყენოთ დიდი ფორმატის ქაღალდი (სურათის დასახატად) ან სხვა მასალები (კოლაჟის ან სამგანზომილებიანი ფორმების შესაქმნელად).

    თუ ზღაპრის სიუჟეტი სასურველი მიმართულებით განვითარდა (ანუ თუ წვეთი ავიდა ცაში, ღრუბელში, მერე კი დაბრუნდა წვიმის ან თოვლის სახით), მაშინ ბავშვების მიერ შექმნილი პროდუქტი, იქნება ეს ნახატი თუ სხვა, შეაჯამებს თემას.

    თუ ასე არ მოხდა, ვთხოვოთ ბავშვებს, რომ ზღაპრის ილუსტრირების გარდა, გამოსახონ ისიც, რაც ბუნებაში რეალურად ხდება - ანუ წყლის წრებრუნვის პროცესი.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **ვაგროვებთ გუნდებს 1 -** ჯგუფს ვყოფთ ორად, ჯგუფის თავსა და ბოლოში ვდგამთ პლასტმასის კალათებს (შეგვიძლია მუყაოს ყუთის გამოყენებაც), ერთ-ერთ კალათაში ვყრით პატარა ბურთებს. ბავშვები დგებიან ერთმანეთისგან გაშლილი მკლავის დაცილებაზე. ჩვენს ნიშანზე ორივე მწკრივის თავში მდგარი ბავშვები იღებენ თითო ბურთს კალათიდან და გვერდით მდგომს აწვდიან, ის აწვდის შემდეგს და ა.შ. მწკრივის ბოლოში მდგომი ბურთს ცარიელ კალათაში აგდებს. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ ყველა ბურთი არ შეგროვდება მწკრივის ორივე ბოლოში მდგარ კალათებში/ყუთებში. დასასრულ, მადლობას ვუხდით ბავშვებს იმისთვის, რომ გუნდები არ ,,დაუდნათ''.

2. **ვაგროვებთ გუნდებს 2 -** ვაკეთებთ იმავეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ბავშვებს ფეხები აქვთ მხრების სიგანეზე, ბურთებს კი ორივე ხელით აწვდიან ისე, რომ ფეხები არ გადააადგილონ - ამოძრავებენ მხოლოდ წელზედა ნაწილს, ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს.

3. **მსახიობები -** ბავშვებს ვეუბნებით, რომ ჩვენ ახლა მსახიობებად უნდა გადავიქცეთ და შევასრულოთ როლები. ვამბობთ: - დავდივართ ისე, როგორც დადიან ადამიანები დიდ თოვლში; დავდივართ ისე, როგორც ადამიანები დადიან წვიმის დროს გუბეებში; დავდივართ ისე, როგორც ადამიანები დადიან სიცხეში; დავდივართ ისე, როგორც დადიან სწრაფი ადამიანები/როგორც ძალიან ნელი ადამიანები და ა.შ. ბავშვებს ვეხმარებით, რომ შეიცვალონ სიარულის მანერა შეთავაზებული ,,როლის'' შესაბამისად.

4. **„მივდივარ - რა ჩამოგიტანო?“ -** ბავშვები სხდებიან წრიულად. ჩვენ წრის ცენტრში ვდგებით პატარა ბურთით; გადავუგდებთ ბურთს ერთ-ერთ მოთამაშეს, თან ვამბობთ: „მივდივარ ....(ვასახელებთ ქალაქს ან სოფელს). რა ჩამოგიტანო?“, მოთამაშემ უნდა დაგვიბრუნოს ბურთი და დაასახელოს რაიმე საგანი. ბავშვის მიერ დასახელებული საგნისა და ჩვენ მიერ ნათქვამი გეოგრაფიული პუნქტის სახელები ერთი და იმავე ასოთი უნდა იწყებოდეს. მაგ.: „მივდივარ ქუთაისში,

რა ჩამოგიტანო? - ქათამი“; „მივდივარ თბილისში, რა ჩამოგიტანო? თოვლი“ და ა.შ.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **საკვებურების გაკეთება -** გავაკეთოთ საკვებურები ჩიტებისათვის პლასტიკური ბოთლებით, წვენის ყუთებით ან სხვა მეორადი მასალებით. თითოეულმა ჯგუფმა თვითონ უნდა აირჩიოს, რისგან/როგორი ფორმის საკვებურებს გააკეთებენ.

შთანთქმის (აბსორბციის) ცდა:

ცდის ჩატარებისთვის მოვემზადოთ დილიდანვე, პირველი წრის მერე, ვინაიდან ამ ცდას დრო სჭირდება. ცდა ჩავატაროთ სამ ჯგუფში. თითოეული მათგანი სხვადასხვა შეფერილობის წყალზე იმუშავებს. ერთი ჯგუფი იმუშავებს წითელი და ყვითელი ფერის წყალზე, მეორე ჯგუფი - ყვითელსა და ლურჯზე, მესამე ჯგუფი - ლურჯსა და წითელზე.

ყოველ ჯგუფს მივცეთ სამ-სამი ქილა. ბავშვებმა ორი ქილა წყლით უნდა აავსონ, მესამე კი ცარიელი დატოვონ. ცარიელი ქილა სავსე ქილებს შორის უნდა მოვათავსოთ. მივცეთ ბავშვებს სათანადო ფერის საღებავები, შევთავაზოთ მათი გახსნა წყლით სავსე ქილებში. ამის შემდეგ ბავშვებმა უნდა დაკეცონ ორ-ორი ქაღალდის ხელსაწმენდი (ქაღალდის პირსახოცი), ერთი ბოლოთი ჩაუშვან სავსე ქილაში, ხოლო მეორე ბოლოთი - ცარიელში (ანუ ყოველ ცარიელ ქილაში ხელსახოცებმა უნდა გადმოქაჩონ ორი სხვადასხვა ფერის წყალი).

ხელსახოცები უმალვე დაიწყებს წყლის შთანთქვას, მაგრამ პროცესი მიმდინარეობს საკმაოდ ნელა, ამიტომ გადავიდეთ სხვა აქტივობაზე. შეგვიძლია წავიკითხოთ ან გავიდეთ ეზოში, მაგრამ დროდადრო უნდა დავუბრუნდეთ ცდას და დავაკვირდეთ პროცესის მიმდინარეობას. გავითვალისწინოთ, რომ პროცესი მით უფრო სწრაფად წავა, რაც უფრო მოკლეა შემაერთებელი ხელსახოცები. შესაძლებელია ცდის ბოლომდე მიყვანა 3 საათში ვერც მოესწროს. ამ შემთხვევაში საბოლოო შედეგს ვნახავთ მეორე დღეს. პროცესი დასრულებულია, როცა სამივე ქილაში წყლის დონე გათანაბრდება. გავამახვილოთ ბავშვების ყურადღება რამდენიმე მოვლენაზე:

1. წყალი "მოგზაურობს" ხელსახოცის მეშვეობით, ანუ ხელსახოცი შთანთქავს წყალს;
2. წყალი მოძრაობს სავსე ქილიდან ცარიელისკენ მანამდე, სანამ წყლის დონეები არ გათანაბრდება;
3. ფერების შერევა გვაძლევს ახალ ფერს.

2. მოცულობა - ბავშვებს ვთავაზობთ წყლით სავსე ორ ტოლ ბოთლს; ვეკითხებით, არის თუ არა მათში წყალი თანაბრად ჩასხმული. ვთხოვთ ბავშვებს, მარკერით მონიშნონ, სადამდეა წყალი. ამის შემდეგ ერთ-ერთი ბოთლიდან განსხვავებული ზომის ჭურჭელში ვასხამთ წყალს და ბავშვებს ვეკითხებით: - ბოთლში მეტი წყალია თუ მითითებულ ჭურჭელში? რატომ? შემდეგ გადმოვასხამთ წყალს ბოთლში (ძაბრის გამოყენებით) და ხელახლა ვეკითხებით: - ერთნაირი სიმაღლისაა წყალი? რატომ გვეგონა, რომ წყალი მეტია/ნაკლებია? როგორია მეორე ჭურჭელი? ჩვენს ბოთლზე მაღალია თუ დაბალი? რომელი უფრო განიერია? მივცემთ ბავშვებს იმის საშუალებას, რომ თავადაც ჩაასხან წყალი სხვადასხვა ფორმაში.

3. მემო - მოვამზადოთ რამდენიმე წყვილი ბარათი ჩვენთვის სასურველი გამოსახულებებით - ეს შეიძლება იყოს საგნები, ცხოველები ან სხვადასხვა პეიზაჟი. დავაწყოთ ისინი მაგიდაზე სურათით ქვევით. დალაგების პროცესში ვაჩვენოთ ბავშვებს ყველა სურათი და ვთხოვოთ, დაიმახსოვრონ, სად რომელი ბარათი დავდეთ. ბავშვებმა რიგრიგობით უნდა ამოატრიალონ თითოეული ბარათი და შეეცადონ მისი წყვილის პოვნას. გამოცნობის შემთხვევაში მოთამაშე ორივე ბარათს იღებს; თუ შეეშლება, მაგიდაზე დააბრუნებს ბარათს. მოგებულია ის, ვინც მეტი ბარათი მოაგროვა.

4. გასაფერადებელი: გამოიცანი, რა დაგვიმალა მხატვარმა? - ბავშვებს ვუჩვენებთ სამკუთხედებსა და ოთხუთხედებს. ვეკითხებით: რა ფიგურებია? როგორ მივხვდით? რამდენი კუთხე აქვს სამკუთხედს? ოთხკუთხედს? თუ ბავშვებმა ეს უკვე იციან, კიდევ ერთხელ შევახსენებთ ამ ფიგურების მახასიათებლებს და ვყოფთ ჯგუფს 5-კაციან გუნდებად. ვურიგებთ გასაფერადებლებს სამკუთხედებისა და ოთხკუთხედების გამოსახულებებით. ბავშვებმა ყველა სამკუთხედი მხოლოდ ერთი ფერის გამოყენებით უნდა გააფერადონ (მაგ., მწვანედ), ოთხკუთხედები კი - განსხვავებული ფერით (მაგ., ყვითლად). ვუთხრათ, რომ თუკი დავალებას სწორად შეასრულებენ, გამოჩნდება, რა დაგვიმალა მხატვარმა. გასაფერადებლები იმგვარად გავანაწილოთ, რომ გუნდში თითოეულ ბავშვს საბოლოოდ სხვადასხვა ციფრი გამოუვიდეს. გაფერადების შემდეგ მონაწილეებს ვთხოვოთ, იპოვონ სხვა გუნდებში ბავშვები, რომელთაც მსგავსი გამოსახულება გამოუვიდათ. ვკითხოთ, რა ციფრია გამოსახული (შეუძლიათ გვიჩვენონ თითებით). ვთხოვოთ გვიჩვენონ, რა გვაქვს ოთახში ერთი? ორი? და ა.შ.

(იხ. ილუსტრაცია 6).



წიგნის დრო

ზამთარი

ბიჭოს, რა თოვლი მოვიდა,
ნეტავ საიდან მოვიდა,
იმდენ ხანს დააგვიანა,
ალბათ, ძალიან შორიდან.
აუ, რამდენი ფიფქია,
ფიფქები ქარში მიქრიან,
ასე ლამაზი თუ იყო

ზამთარი, არც მიფიქრია.
ეი, ბეღურავ, მავთულზე
მობუზული რომ ზიხარო,
ჩემს აივანზე მოფრინდი,
საკენკი გადმოგიყარო,
ცოტათი გათბი, დანაყრდი
და მერე ერთად ვიხაროთ.

ნოდარ დუმბაძე

მე -13 კვირა

თემა: ვინ წერს წიგნებს? (ჩემი წიგნი) - I კვირა

თემის მიზანია, ბავშვები გაეცნონ სხვადასხვა დროს შექმნილ, განსხვავებული ფორმისა და შინაარსის მქონე წიგნებს; შეიტყონ წიგნების ავტორებისა და წიგნების შექმნის პროცესის შესახებ; გაეცნონ წიგნის შემადგენელ ელემენტებს (ყდას, ფურცელს, ილუსტრაციას, წინადადებებს, სიტყვებს, ასოებს); გაეცნონ რამდენიმე ავტორის ნაწარმოებს და თავად ავტორებს.

ბავშვებს ექნებათ საშუალება, დაამზადონ ხელნაკეთი ქაღალდი და შტამპები, სხვადასხვა სახის წიგნები: სამგანზომილებიანი, გასაშლელი, სენსორული; მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ წავიდნენ ბიბლიოთეკაში და გაეცნონ იქ მოქმედ წესებს.

ბავშვები შეძლებენ განივითარონ მეტყველებასთან და წიგნიერებასთან დაკავშირებული უნარები; შეიქმნიან წარმოდგენას ბგერებზე, მარცვლებზე, ანბანზე, სიტყვებზე. ისინი მოიფიქრებენ / შექმნიან თავიანთ ისტორიებს, გადაიწერენ ზოგიერთ სიტყვას; ითამაშებენ როლურ თამაშს „ბიბლიოთეკაში“.

თემა ასევე იძლევა ბავშვების შემოქმედებითი, სოციალური და მოტორული უნარების განვითარების შესაძლებლობას.

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივი-დუალი-ზება	სხვადასხვა სახის წიგნე-ბის შედარება.	**პროექტი**: წიგნი - ქაღალდის დამზა-დება. **აქტივობა**: ზღაპ-რების ფაზლების აწყობა. **როლური თამაში:** წიგნების მაღაზია	ს	თამაში "ნივ-თების მაძიებე-ლი"	წიგნების დახარის-ხება. სიტყვის პოვნა. თქვი პირველი მარ-ცვალი არ გამოტოვო ბგერა	სიმღერა ქარ-თულ ანბანზე https://www.youtube.com/watch?v=Cnho0z_moTY&index=44&list=PL0ABC6A3968804547	რეფლექსია: საუბარი მიღებუ-ლი გამოცდილების შესახებ, აქტივობე-ბის შედეგების წარ-მოდგენა.
მასალები, რესურსე-ბი	საბავშვო მოთხრობები, ზღაპრები, ლექსები, ენ-ციკლოპედია, წიგნი კული-ნარიაზე, წიგ-ნი ნახატების გარეშე.	გამოყენებული ქაღალდები, ჯამი, წყალი, მარლა. ფაზლები ზღაპ-რების ნახატებით (შესაძლოა თვით-ნაკეთი). წიგნები, სათამაშო სალარო, ფული, ჩანთები, ქაღალ-დი, ფერადი ფანქ-რები.	ასტრიდ ლინდგრენის "პეპი"	პატარა ზომის რამდენიმე ნივთი ან სა-თამაშო ეზოში დასამალად.	წიგნები; უბრალო ფანქრები.	სიმღერის ჩანაწერი, მუს. ცენტრი.	

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი ინდივი-დუალი-ზება	ნამდვილი და ჯადოსნური ამბები.	**პროექტი**: წიგნი - შტამპების დამზა-დება **აქტივობა**: მოიგო-ნე ასო. **აქტივობა**: ხატვა წაკითხული ზღაპ-რის ან მოთხრო-ბის მიხედვით. **როლური თამაში:** წიგნების მაღაზია	წიგნი: "პეპი ფუსუსუნას ეძებს" 	თამაში "არ და-აბიჯო იატაკს ფეხი" ("პეპის" მიხედვით)	მოიგონე სიტყვა. თამაში „სიტყვაზე ვფიქრობ“	სიმღერა "მერი პოპინსიდან": სუ-პერკალიფრაჯი-ლისტიესპიალი-დოჟეს. https://www.youtube.com/watch?v=i8S9hlVb9U0	რეფლექსია: ბავშვები აღწერენ და წარ-მოადგენენ მოგო-ნილ ასოებსა და სიტყვებს
მასალები/ რესურსე-ბი	მოკლე ჯა-დოსნური ზღაპარი და პატარა მოთხ-რობა.	კორპის საცობები, მუყაოს ქაღალდი, წებო ემულსია, პა-ტარა ლამაზი ფორ-მის ნივთები: ღილი, მაქმანი, ფოთოლი. ფურცელი, ფანქარი. წიგნები, სათამაშო სალარო, ფული, ჩანთები, ქაღალდი, ფერადი ფანქრები.	ასტრიდ ლინდგრენის "პეპი"	სკამები, ხის კუნძი ან მორი, დიდი ზომის კუბები, პატარა ბალიშები.	ფურცლები, ფანქ-რები.	სიმღერის ჩანაწე-რი: მუსიკალური ცენტრი	

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბა-თი ინდივი-დუალი-ზება	სტუმარი ჯგუფში.	**პროექტი**: წიგნი - ამბების შეთხზვა/ მოგონება. **როლური თამაში :** წიგნების მაღაზია.	პეპი საყიდ-ლებზე მი-დის 	თამაში ”გადაახტი გუბეს”.	ასოების სწავლა სახელების გამოყე-ნებით აწონვა	მუსიკის შექმნა სათამაშო საკრა-ვებით	რეფლექსია: ბავშვები წარმოად-გენენ მათ მიერ შეთხზულ/მოგო-ნილ ამბებს.
მასალები/ რესურსე-ბი		ფურცლები, ფანქრები. საბეჭდი მანქანა , ფურცლები და კალმები, წიგნები, სათამაშო სალარო, ფული, ჩანთები, ქაღალდი, ფერადი ფანქრები.	წიგნი: ”პეპი გრძელიწინ-და” 	ცარცი	ფანქრები, ფურცე-ლი, კენჭები, პატარა ქა-რალდის პაკეტები.	სათამაშო დასაკ-რავი ინსტრუმენ-ტები (სალამური დაირა, ჩხარუნა).	

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბა-თი ინდივი-დუალი-ზება	სტუმრობა ბიბლიოთეკა-ში.	**პროექტი**: წიგნი -ილუსტრაცია **როლური თამაში:** ბიბლიოთეკა **წესებიანი თამაში:** იპოვე ორი ერთ-ნაირი სიტყვა.	პეპი წერილს წერს და სკო-ლაში მიდის	"მხიარულების გაკვეთილი" ("პეპი გრძე-ლიწინდას" მიხედვით)	სახელის ასოები. ანბანი ქვებზე.	"მხიარულების გაკვეთილი 2"	აღმზრდელ პედა-გოგი წარუძღვება დღის შეჯამებას, ბავშვები წარმოად-გენენ თავიანთ ილუსტრაციებს და ისაუბრებენ მათზე.
მასალები/ რესურსე-ბი		ჩვეულებრივი და ბავშვების დამზა-დებული ქაღალ-დი, შტამპები, ფერადი ფანქრები. პასტელი, გუაში. მასალა ხელოვნე-ბის რესურსცენტ-რიდან. წიგნები, პატარა ყუთი ქაღალდე-ბით, წიგნაკები ჩა-ნაწერებისათვის. მუყაოს პატარა ბარათები წარწე-რებით.	წიგნი: "პეპი გრძელიწინ-და"  	სახტუნაოები, ჰულაჰუპები, ჯოხის ცხენები	დიდი ზომის მძი-ვები, მავთული ან „ფაფუკი ღერო". საშუალო ზომის ბრტყელი ქვები. გუაში, უფერო ლაკი.	დისკი ტვისტის ან როკენროლის ჩანაწერით, მუს. ცენტრი https://www.youtube.com/watch?v=KxQZQ86jJHg	

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივი-დუალი-ზება	ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგ-ნები.	**პროექტი**: წიგნი - წიგნების დამზა-დება **როლური თამაში:** ”ბიბლიოთეკობა-ნა” ან ”წიგნების სტამბა”. **წესებიანი თამაში:** იპოვე ერთნაირი სიტყვები. გართუ-ლება.	პეპი სკოლას ექსკურსიაზე მიჰყვება	“ურჩხულო-ბანა” (”პეპი გრძელიწინ-დას” მიხედ-ვით)	თამაში “დათვალე სიტყვები წინადა-დებაში”	თამაში „პერგა-მენტი“	ბავშვები წარმოად-გენენ დასრუ-ლებულ წიგნებს. ისაუბრებენ მათი შექმნის პროცესზე.
მასალები და რე-სურსები	ძველებური ხელნაწერი ან ნაბეჭდი წიგ-ნები, პერგა-მენტი ან მათი ფოტოები.	მასალა ხელოვნე-ბის რესურსცენტ-რიდან.	წიგნი: ”პეპი გრძელიწინ-და”		პატარა ფურცლები თითო წინადადე-ბით. ფანქრები.		

საქმიანობათა ინსტრუქციები

აქტივობები

1. **სხვადასხვა სახის წიგნების შედარება**
   ვუჩვენოთ და დავათვალიერებინოთ ბავშვებს რამდენიმე სხვადასხვა სახის წიგნი, დავუსვათ კითხვები მათ შესახებ; ვთხოვოთ, აღწერონ ისინი და გამოთქვან ვარაუდები. რით ჰგავს და რით განსხვავდება ეს წიგნები ერთმანეთისგან? სავარაუდოდ, რაზე მოვგითხრობენ ეს წიგნები? რისგან შედგება წიგნები? რომელია სიტყვები? რა წერია წიგნში დიდი ასოებით? რა წერია პირველ გვერდზე? რატომ არის ნახატები? ვინ წერს წიგნებს? ვინ ხატავს?

   ჩავინიშნოთ ბავშვების ვარაუდები ფორმატზე ან დაფაზე, შემდეგ წავუკითხოთ პატარა ნაწყვეტები ამ წიგნებიდან და წავახალისოთ ბავშვები, რომ გაარკვიონ, გამართლდა მათი ვარაუდი თუ არა.

2. **წიგნის დრო -** ბავშვებს ვუკითხავთ ასტრიდ ლინდგრენის "პეპი გრძელიწინდას" პირველ თავს ან მის ადაპტირებულ ვერსიას "გაიცანით პეპი". კითხვის დროს ყურადღებას ვამახვილებთ წიგნის ყდაზე, სათაურზე, ავტორსა და ილუსტაციებზე.





3. **ნამდვილი და ჯადოსნური ამბები -** წავუკითხოთ ბავშვებს ორი პატარა ტექსტი - მოთხრობა და ჯადოსნური ზღაპარი. ვიმსჯელოთ ბავშვებთან ერთად იმაზე, თუ რით ჰგავდა ეს ორი ამბავი ერთმანეთს, რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. კითხვის დროს წავახალისოთ ბავშვები, დააკვირდნენ ნაბეჭდს. დავსვათ კითხვები: რა არის გამოყოფილი ნაბეჭდში? რისგან შედგება სიტყვები?

4. **მოიგონე ასო -** წავახალისოთ ბავშვები, მოიგონონ ახალი ასო და ჩაინიშნონ ის გრაფიკულად; შემდეგ მოიფიქრონ და თქვან, როგორ ჟღერს ის.

5. **კითხვის დრო -** წავუკითხოთ ბავშვებს ერთი თავი წიგნიდან "პეპი გრძელიწინდა" - "პეპი ფუსუსუნას ეძებს" ან ამავე ტექსტის ადაპტირებული ვერსია „პეპი ფუსუსუნას ეძებს". ვაჩვენოთ ბავშვებს ტექსტში ეს სიტყვა, დავმარცვლოთ, გავიმეოროთ ერთად რამდენჯერმე; დავაკვირდეთ, რომელი ასო მეორდება და ა.შ.



6. **სტუმარი ჯგუფში** - მოვიწვიოთ ჯგუფში ადამიანი, რომელსაც აქვს ამბის შეთხზვის და წერილობით გადმოცემის გამოცდილება - მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი, სხვ. სტუმარი წაუკითხავს ბავშვებს თავის მოგონილ/დაწერილ ამბავს. წავახალისოთ ბავშვები, დაუს-

ვან სტუმარს შეკითხვები ამბის შექმნის პროცესზე: როგორ მოიგონა სათაური, პერსონაჟები, ნამდვილი ამბავია თუ არა და ა.შ.

7. **სტუმრობა ბიბლიოთეკაში -** წავიყვანოთ ბავშვები ექსკურსიაზე უბნის ან სკოლის ბიბლიოთეკაში. ვთხოვოთ, დააკვირდნენ ბიბლიოთეკაში ქცევის წესებს (როგორ ავირჩიოთ და გავიტანოთ წიგნი, ვინ მუშაობს ბიბლიოთეკაში, რას აკეთებს). ვაჩვენოთ ბავშვებს სხვადასხვა ფორმის წიგნები: სამგანზომილებიანი წიგნი, მრგვალი წიგნი,სენსორული წიგნი, გასაშლელი წიგნი. ჯგუფში დაბრუნების შემდეგ ბავშვები მოიფიქრებენ და იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორ წიგნს დაამზადებენ და რატომ.

8. **ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები -** ვესაუბრებით ბავშვებს და ვაჩვენებთ ძველ წიგნებს ან მათ ფოტოებს. ვუყვებით, როგორ ამზადებდნენ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს ძველად. ბავშვები აღწერენ და მსჯელობენ, რით განსხვავდება ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები.

წესებიანითამაშები / მოძრავითამაშები

1. **მოვიგონოთ წინადადებები -** ერთ-ერთი მოთამაშე ასახელებს თავის სიტყვას; თამაშს აგრძელებენ სხვა მოთამაშეები, რომლებიც რიგრიგობით ასახელებენ თითო-თითო სიტყვას. მათ ისეთი სიტყვები უნდა შეარჩიონ, რომ საბოლოოდ წინადადება მივიღოთ. თამაშში შეგვიძლია პატარა ბურთის გამოყენებაც.

2. **ნივთების მაძიებელი** (”პეპი გრძელიწინდას” მიხედვით) - წინასწარ დავმალავთ ეზოში რამდენიმე პატარა ნივთს: წიგნს, ფანქარს, ფერად კუბურას, პატარა თოჯინას ან სხვა სათამაშოს. ბავშვები ეზოში გადიან, ეძებენ დამალულ ნივთებს, იპოვიან და მიარბენინებენ დათქმულ ადგილას. გამარჯვებულია ის, ვინც პირველი მიაგნებს დამალულ ნივთს. ბოლო მოთამაშე ხელახლა დამალავს ნივთებს და წარუძღვება თამაშს.

3. **არ დააბიჯო იატაკს ფეხი** (”პეპი გრძელიწინდას” მიხედვით) -დავაწყოთ იატაკზე ან მიწაზე ნივთები დიდ წრეზე, რომელზეც ბავშვები შეძლებენ ფეხის დაბიჯებას. ეს ნივთები შეიძლება იყოს: დაბალი სკამები, ხის კუნძი, გამოჭრილი ფორმატის ქაღალდი, ბალიში და სხვა. ბავშვებმა უნდა იმოძრაონ **წრეზე და გადააბიჯონ ამ ნივთებს ისე, რომ არ შეეხონ იატაკს.**

4. **გადაახტი გუბეს** - ვთხოვოთ ბავშვებს, ფერადი ცარცებით დახატონ ეზოში გუბეები, შემდეგ გაიარონ ეს გზა გუბეებზე გადახტომით.

5. **იპოვე ორი ერთნაირი სიტყვა** - წინასწარ დავამზადოთ მუყაოზე დაწერილი სიტყვების რამდენიმე წყვილი. შევთავაზოთ ბავშვებს მეხსიერების თამაში ”მემო”. თავდაპირველად ვთხოვოთ, იპოვონ ორი ერთნაირი სიტყვა, შემდეგ დავაწყოთ ეს ბარათები ამობრუნებული სახით. თამაშის პირველი მონაწილე ამოაბრუნებს ორ ბარათს; თუკი წყვილი დაემთხვევა, ბავშვი აიღებს ორივე ბარათს. თუ არ დაემთხვევა, ისევ დააბრუნებს თავის ადგილზე. თამაშს გააგრძელებს შემდეგი მონაწილე. თითოეულ მოთამაშეს მხოლოდ ორი ბარათის ამობრუნება შეუძლია. დანარჩენები ცდილობენ, დაიმახსოვრონ სიტყვების (ბარათების) ადგილმდებარეობა და შემდეგ ჯერზე იპოვონ ორი ერთნაირი სიტყვა.

6. **მხიარულების გაკვეთილი** (”პეპი გრძელიწინდას” მიხედვით) - წავახალისოთ ბავშვები, იხტუნონ სახტუნაოთი, ატრიალონ ჰულაჰუპები და/ან გაძვრნენ ამ რგოლებში, იჯირითონ ხის ცხენებით.

7. **იპოვე ორი ერთნაირი სიტყვა (გართულება) –** მემოს თამაშისათვის ვამატებთ კიდევ რამდენიმე ახალ სიტყვას

8. **ურჩხულობანა** (”პეპი გრძელიწინდას” მიხედვით) - შევთავაზოთ ბავშვებს შემდეგი თამაში: ერთი ბავშვი - “ურჩხული” იხუჭება” გამოქვაბულში”, დანარჩენები ეძახიან: -”ურჩხულო-მურჩხულო, გამოდი გარეთ!”. ”ურჩხული” მოულოდნელად გამოვარდება და იჭერს ბავშვებს. დაჭერილი ხდება “ურჩხული”.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **წიგნების დახარისხება -** შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა სახის წიგნები და რაიმე ნიშანი/მახასიათებელი მათ დასახარისხებლად (მაგ., ნახატებიანი წიგნები, წიგნები ნახატების გარეშე). ბავშვები დაახარისხებენ წიგნებს შეთავაზებული მახასიათებლის მიხედვით, შემდეგ კი თვითონ მოიფიქრებენ მახასიათებლებს, რომლის მიხედვითაც დააჯგუფებენ წიგნებს.

2. **სიტყვის პოვნა** - ბავშვები იპოვიან და უბრალო ფანქრით შემოხაზავენ წიგნში ან მათთვის გამზადებულ ფურცლებზე წინასწარ დათქმულ სიტყვას, რომელიც რამდენჯერმე მეორდება ტექსტში (მაგალითად: ”პეპი”, ”ანიკა”, ”ცხენი” ან სხვა).

3. **თქვი პირველი მარცვალი** - აქტივობის შესრულება შეგვიძლია წრეში. ბავშვებს ვესვრით ბურთს და ვეუბნებით სიტყვას. ბავშვმა, რომელსაც ბურთი ვესროლეთ, უნდა წარმოთქვას ამ სიტყვის პირველი მარცვალი და უკან დაგვიბრუნოს ბურთი. მაგ., ვამბობთ: ”დათო”; ბავშვმა, რომელსაც ბურთი ვესროლეთ, უნდა გვიპასუხოს - ”და”; თუ ვამბობთ - ”ბიჭი”, უნდა გვიპასუხოს - ”ბი” და ა.შ.

4. **არ გამოტოვო ბგერა** - ბავშვებს ვთავაზობთ, შემოკრან ტაში, თუკი ჩვენ ვიტყვით სიტყვას, რომელიც იწყება ბგერაზე ”ბ”. ბავშვებს ასევე შეუძლიათ თავად ჩამოთვალონ სიტყვები, რომლებიც იწყება აღნიშნულ ბგერაზე. ეს აქტივობა შეგვიძლია გამოვიყენოთ ყოველდღიურად, სხვადასხვა ბგერის გამოყენებით.

5. **მოიგონე სიტყვა -** წავახალისოთ ბავშვები, მოიგონონ ახალი სიტყვა. დავეხმაროთ ბავშვებს მის ჩაწერაში, დაწერილი სიტყვის გასწვრივ ბავშვებმა უნდა დახატონ, რას აღნიშნავს ეს სიტყვა.

6. **სიტყვაზე ვფიქრობ** - ვთხოვოთ ბავშვს, ჩაიფიქროს სიტყვა, მიანიშნოსჯგუფელებს, რომელი ასოთი იწყება ეს სიტყვა და რას აღნიშნავს იგი - ნივთს თუ არსებას (მაგალითად,” ეს სიტყვა იწყება კ-თი, ცხოველია, ოთხი თათით, გრძელი კუდით და გრძელი ულვაშებით”). ბავშვები ცდილობენ გამოიცნონ, შემდეგ სიტყვას ჩაიფიქრებს მომდევნო ბავშვი.

7. **ასოების სწავლა სახელების გამოყენებით -** დავწეროთ დიდი ასოებით ბავშვის სახელი. წავახალისოთ პატარები, რომ დაითვალონ საკუთარ სახელში ასოების რაოდენობა. დავეხმაროთ ასოების

ცნობასა და დასახელებაში. ვთხოვოთ, გაგვესაუბრონ შემადგენელ ასოებზე, გადახატონ თავიანთი სახელები.

8. **აწონვა** - შევთავაზოთ ბავშვებს, სასწორის მეშვეობით აწონონ კენჭები, დაახარისხონ ისინი პატარა ქაღალდის პარკებში, დააწერონ წონა.

9. **სახელის ასოები -** მივაწოდოთ ბავშვებს მავთული ან ფაფუკი ღერო, ასევე დიდი ზომის მძივები. წავახალისოთ, რომ ააგონ ღეროზე ფერადი მძივები, შემდეგ კი მისცენ თავიანთი სახელის ასოების ფორმა.

10. **ანბანი ქვებზე -** დავეხმაროთ ბავშვებს,დაწერონ ანბანის ასოები პატარა ზომის ბრტყელ ქვებზე გუაშის ან აკრილის საღებავებით. გაშრობის შემდეგ საღებავს მეტი სიმყარისთვის შეიძლება გადავუსვათ ფრჩხილების ლაქი. ბავშვები შეეცდებიან საკუთარი სახელებისაწყობას ქვებით.

11. **დათვალე სიტყვები წინადადებაში -** ბავშვები დაითვლიან წინადადებაში სიტყვებს, მიუწერენ, რამდენი სიტყვაა; დააწყობენ წინადადებებს სიგრძის მიხედვით.

პროექტები

პროექტი "წიგნი" - პროექტი მიზნად ისახავს, განუვითაროს ბავშვებს ამბის შეთხზვისა და ხელნაკეთი წიგნების სხვადასხვა ტექნიკით დამზადების უნარი. პროექტი მოიცავს ყოველდღიურ საქმიანობებს, როგორებიცაა: ქაღალდისა და შტამპების დამზადება, ამბ(ებ)ის შეთხზვა, მათი ილუსტრირება და წიგნებად აწყობა.

1. ქაღალდის დამზადება - ბავშვები წვრილად დააქუცმაცებენ ადრე გამოყენებულ ქაღალდებს და ჩაალბობენ წყალში; გააჩერებენ ცოტა ხანს და აზელენ ფაფის კონსისტენციამდე. ამის შემდეგ გადმოიტანენ ქაღალდის მასას პირსახოცზე გაშლილ მარლაზე ან სპეციალურად დამზადებულ ჩარჩოზე, გააბრტყელებენ და დაწურავენ; ბოლოს დადგამენ გასაშრობად. მომზადებულ მასაში შეუძლიათ ჩააყოლონ პატარა ფოთლები, ბრჭყვიალები, სხვ. ქაღალდის გაფორმების მიზნით.

2. შტამპების დამზადება - დავეხმაროთ ბავშვებს სქელი მუყაოს ქაღალდისგან ასოებისა და სხვადასხვანაირი ფორმების გამოჭრაში. დავაწებოთ კორპის საცობებს წებო ემულსიის საშუალებით ფორმები და გავაშროთ. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ პატარა დეკორატიული ნივთები, ყვავილების ფორმის მაკარონი, ფოთოლი, ყვავილი, მაქმანის დეტალი და ა.შ.

3. **ამბების მოგონება -** ვთხოვოთ ბავშვებს, მოიგონონ/შეთხზან რაიმე ამბავი ან ზღაპარი (ნებისმიერი შინაარსის) თავიანთი წიგნებისთვის. შევაჯეროთ შეთხზული ამბები მცირე ჯგუფებში და ჩავიწეროთ საბოლოო ვერსიები.

4. **ილუსტრაცია -** შევთავაზოთ ბავშვებს, დაამზადონ ილუსტრაციები მათ მიერ შეთხზული ამბების მიხედვით. სამუშაოს დაწყების წინ კიდევ ერთხელ გადავხედოთ ჩაწერილი ამბების სიუჟეტს, რაც დაგვეხმარება ილუსტრაციებისათვის იდეების მოფიქრებაში.მათ შეუძლიათ გამოიყენონსხვადასხვა მეთოდი: დახატონ სურათები, შექმნან აპლიკაცია/კოლაჟი. ბავშვები იყენებენ განსხვავებულ საშუალებებს - პასტელს, გუაშს, სხვადასხვანაირი ფაქტურის ქსოვილსა და ქაღალდს.

5. **წიგნების დამზადება -** ბავშვები დაამზადებენ წიგნებს. დამზადებისას გამოიყენებენ მათ მიერ შეთხზული ამბების საფუძველზე შექმნილ ილუსტრაციებს, ასევე კვირის განმავლობაში დამზადებულ ქაღალდსა და შტამპებს.

როლური თამაშები

1. **წიგნების მაღაზია -** როლური თამაშების კუთხეს წიგნების მაღაზიის მსგავსად მოვაწყობთ - დავდგამთ წიგნის თაროებსა და დახლს. ბავშვებთან ერთად მოვიფიქრებთ მაღაზიის სახელწოდებას, დავკიდებთ შესაბამის აბრას, თაროებზე დავაწყობთ სხვადასხვა სახის წიგნებსა და ჟურნალებს. დახლზე შეიძლება დავდგათ სალარო აპარატი, ასევე პატარა კალათა ბარათებისა და კონვერტებისთვის. ბავშვებს წავახალისებთ, რომ გაითამაშონ წიგნების მაღაზიაში ვიზიტის, წიგნების შერჩევისა და ყიდვის სცენები.

2. **ბიბლიოთეკა -** როლური თამაშების კუთხეში მოწყობილი "მაღაზია" გადავაკეთოთ "ბიბლიოთეკად": დავკიდოთ აბრა შესაბამისი წარწერით, მაღაზიის დახლის ნაცვლად დავდგათ საწერი მაგიდა და კარტოთეკის იმიტაცია; წინასწარ დავამზადოთ პატარა წიგნაკები მკითხველებისათვის.

მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება

1. **მუსიკის შექმნა სათამაშო საკრავებით -** შევთავაზოთ ბავშვებს, აირჩიონ სასურველი სათამაშო საკრავი ინსტრუმენტები: სალამური, დაირა, მარაკასი და სხვა. თავდაპირველად ბავშვები რიგრიგობით მოსინჯავენ ინსტრუმენტებს და მოუსმენენ მათ ჟღერადობას, შემდეგ მოიფიქრებენ რიტმსა და ინსტრუმენტების კომპოზიციაში შემოსვლის თანამიმდევრობას.

2. **მხიარულების გაკვეთილი - 2** ("პეპი გრძელიწინდას" მიხედვით)" - ჩავურთოთ ბავშვებს რაიმე მხიარული რიტმული მუსიკა, მაგალითად, ტვისტი ან როკენროლი და ვიცეკვოთ მათთან ერთად.

3. **პერგამენტი** - ბავშვები დაწვებიან და "დაეკრობიან" იატაკს. როცა წამყვანი მივა და ხელს მოკიდებს, დაიხვევიან პერგამენტივით.

თემა: ვინ წერს წიგნებს?– II კვირა

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	მსჯელობაწიგნის კითხვის პროცესის შესახებ. უილიამ ჯოისის „მისტერ ლესმორის საოცარი მფრინავი წიგნები“.	**აქტივობა**: მფრინავი წიგნების ”მობილე” **აქტივობა**: დაზიანებული წიგნების შეკეთება როლური თამაში ”ბიბლიოთეკობანა”.	სონია ელიაშვილი „აი ია“ 	წრეში ბურთი	”მხვრინავი ასოები” ასოებისა და ციფრების დახარისხება.	”მფრინავი წიგნები”	რეფლექსია: ბავშვები საუბრობენ, რა მოეწონათ წაკითხულ წიგნებში, რომელი აქტივობა მოეწონათ ან არ მოეწონათ და რატომ.
მასალები, რესურსები	უილიამ ჯოისის „მისტერ ლესმორის საოცარი მფრინავი წიგნები“	ფურცლები, ფანქრები, წებო ემულსია, მაკრატელი, მავრთული, ჯოხები, კანაფის ან საქსოვი ძაფი, ძველი წიგნები.	სონია ელიაშვილი „აი ია“	ბურთი	უილიამ ჯოისის „მისტერ ლესმორის საოცარი მფრინავი წიგნები“ უბრალო ფანქრები, სათვლელი ჩხირები, მოძრავი ანბანი ან პატარა ბარათები ასოებისა და ციფრების გამოსახულებით.	მუსიკალური ცენტრი, დისკი ჩანაწერით.	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებე-ლი შეხვედრა წრეში
სამშაბათი ინდივიდუ-ალიზება	ბრაილის შრიფტი http://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102000646 https://www.youtube.com/watch?t=2082&v=OFyY7u95nxw	**აქტივობა**: ბრაილის წიგნების დათვალი-ერება. **აქტივობა**: ბრაილის ანბანის ასოების დამ-ზადება **აქტივობა**: სენსორული ანბანი. **აქტივობა**: სენსორული მემოს დამზადება **წესებიანი თამაში:** გამოიცანი, რა დევს ტომარაში. **წესებიანი თამაში:** "ბიბლიოთეკობანა".	სოფო კირთაძე „ზოლემია“	გააგორე ბურთი	დაწერე შენი სახელი ბრა-ილის შრიფ-ტით. სენსორული მემო.	"მფრინავი წიგ-ნები"	რეფლექსია: ბავშვები შეაჯამებენ დღეს, ისაუბ-რებენ შთა-ბეჭდილებებ-ზე.
მასალები/ რესურსები	ამობეჭდილი ბრა-ილის ანბანი	ბრაილის შრიტით ნაბეჭდი წიგნები. პატარა მუყაოს ბარათები, ბრაილის ამობეჭდილი ანბანი, პლასტილინი.	სოფო კირთაძე „ზოლემია“	ბურთი	ფურცლები, ფანქრები, ამო-ბეჭდილი ბრა-ილის ანბანი, ბავშვების დამ-ზადებული სენსორული მემო.	მუსიკალური ცენტრი, დისკი ჩანაწერით.	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებე-ლი შეხვედრა წრეში
		წებო ემულსია, ღი-ლები, საქსოვი ძაფი, ფოლგა, ქვიშა, ბუმ-ბული, ხავერდის ქსო-ვილი, ბამბა, პატარა ჯოხები.					
ოთხშაბათი ინდივიდუ-ალიზება	აუდიოწიგნები	**აქტივობა**: ხმოვანი მემოს დამზადება. **წესებიანი თამაში:** გამოიცანი ხმით. **როლური თამაში:** ”ბიბლიოთეკობანა”	ზღაპრის აუდიოჩანაწე-რის მოსმენა. ”ნაცარქექია” 	ხმოვანი ბურთი.	ხმოვანი მემო. ”ჩაიხატე და გამოიცანი სიტყვა”.	საბალეტო მუ-სიკის მოსმენა	რეფლექსია: ბავშვები შაჯამებენ დღეს: გაიხსე-ნებენ აქტივობებსა და მოსმენილ ზღაპრებს..
მასალები/ რესურსები		ასანთის კოლოფები, პლასტმასის კვერცხე-ბი. ბრინჯი, ქვიშა, ღი-ლები, ბისერი და სხვა. ხის ან რკინის წკირი, პატარა სხვადასხვა ნივთები, ზანზალაკი, კერამიკის სათამაშო ჭიქა, მუყაოს პატარა კოლოფი, პლასტმასის სათამაშო, ხის კოვზი და ა.შ.	http://www.csogeorgia.org/uploads/news_pdf/hera.pdf https://www.youtube.com/watch?v=NV7FGc2YZ6c	გასაბერი ბურთი, პა-ტარა ჩხარუ-ნა საგნები ბურთში ჩასაყრელად: ბრინჯი ან მუხუდო, წვრილი ჯაჭვი.	ბავშვების დამზადებული ხმოვანი მემო. ფურცლები და ფანქრები.	მუს. დისკი ჩანაწერით.	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	ლექსები 	როლური თამაში: ბიბლიოთეკა წესებიანი თამაში: სენსორული და ხმოვანი მემო. აქტივობა: ლექსების წიგნების დათვალიერება. აქტივობა: წიგნის სანიშნის დამზადება	"პიერი და მთვარე" 	სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა. მოძრაობები ლექსზე.	სიმაღლის გაზომვა. შეუსაბამე რითმა.	საბალეტო მუსიკის მოსმენა	ბავშვები წარმოადგენენ შესრულებულ დავალებას - „შეუსაბამე რითმა“; შეეცდებიან, მოიგონონ ლექსი ამ რითმების მიხედვით.
მასალები/ რესურსები	"საბავშვო ლექსები" (ნახატებიანი კრებული).	"საბავშვო ლექსები" (ნახატებიანი კრებული), "პიერი და მთვარე", "კოტრიალა ლექსები", "გრუფალო".	"პიერი და მთვარე"	ცარცი, რეზინა.	კუბურა, თოჯინა, ფურცელი, ფანქარი.	მუს.დისკი ჩანაწერით.	
პარასკევი ინდივიდუალიზება	სანდრო ასათიანის „უცნაური წიგნი“ 	აქტივობა: ვხატავთ სიზმრებს აქტივობა: ლექსების წიგნის დამზადება. როლური თამაში: "ბიბლიოთეკობანა".	"გრუფალო" 	ესტაფეტა	რითმების ლოტო ციფრების შესაბამისი რგოლები	საბალეტო მუსიკის მოსმენა	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებე-ლი შეხვედრა წრეში
მასალები და რესურსები	სანდრო ასათიანის „უცნაური წიგნი“	ფურცლები, ფანქრები, საღებავები. სტეპლერი, სახვრეტელა, ლენტი, მაკრატელი, ფერადი ფურცლები,	გრუფალო		მუყაო, ფურცლები, ფანქრები, მაკრატელი, მშრალი წებო. კვერცხის ჩასადები მუყაო, ფლომასტერი, ფერადი ფურცლები, მაკრატელი.	მუს. დისკი ჩანაწერით.	

საქმიანობათა ინსტრუქციები

აქტივობები

1. ბავშვებს ვუკითხავთ უილიამ ჯოისის წიგნს „მისტერ ლესმორის საოცარი მფრინავი წიგნები“.

მფრინავი წიგნების მობილე - ”მობილეს” დასამზადებლად საჭიროა რამდენიმე ჯოხი, საქსოვი ან კანაფის ძაფი, პატარა ზომის ხელნაკეთი წიგნები. იმისათვის, რომ წიგნი გაშლილი დარჩეს, ორი გზა არსებობს: წიგნების ფურცლების მოღუნვა და შეკეცვა ან მავთულის გატარება ყდიდან ყდამდე და ფურცლების მასზე გადანაწილება. ამის შემდეგ წიგნები უნდა დავკიდოთ სქელ ძაფებზე და დავამაგროთ ჯოხების ორივე მხარეს. ეს ჯოხები შემდეგ შეიძლება დავკიდოთ ერთმანეთზე ან უფრო გრძელ ჯოხზე, ან გადავაჯვარედინოთ ერთმანეთზე და დავამაგროთ ჭერზე.

2. **დაზიანებული წიგნების შეკეთება -** მოვიძიოთ ჯგუფში დაზიანებული წიგნები ან ვთხოვოთ ბავშვებს მათი მოტანა სახლიდან. დავეხმაროთ ბავშვებს, რომ შეაკეთონ წიგნები: დააწებონ წიგნის დახეული ფურცლები, დაამაგრონ ყდა. თუკი ყდა ძალიან გაცვეთილია, განვაახლოთ იგი გადასაკრავი ქაღალდის ან ქსოვილის გამოყენებით. გავაფორმოთ გადასაკრავი.



3. **ბრაილის შრიფტი -** მოვუყვეთ ბავშვებს ისტორია ლუი ბრაილზე და მის გამოგონებაზე: ლუი ბრაილი 3 წლის ასაკიდან ვეღარ ხედავდა. სწორედ მან მოიფიქრა, რომ ასოების დაწერა ამობურცული წერტილებითაც იყო შესაძლებელი. ვაჩვენოთ ბრაილის ანბანი (ილუსტრაცია #7).



4. **ბრაილის წიგნების დათვალიერება -** თუკი შესაძლებელია, მოიპოვეთ ადგილობრივ ბიბლიოთეკაში წიგნი ბრაილის შრიფტით და შესთავაზეთ ბავშვებს დასათვალიერებლად.

5. **ბრაილის ანბანის ასოების დამზადება -** შევთავაზოთ ბავშვებს პატარა მუყაოს ბარათები, რომლებზეც ბავშვები ფანქრით გამოსახავენ რომელიმე ასოს, შემდეგ პლასტილინისგან დაამზადებენ პატარა ბურთულებს და დაამაგრებენ წერტილებად, რათა ასოს გამოსახულება რელიეფური გახდეს.

6. **სენსორული ანბანი -** შევთავაზოთ ბავშვებს სენსორული ანბანისა და ციფრების ბარათების დამზადება. მუყაოს ფირფიტებზე, ჩვენი დახმარებით ან დამოუკიდებლად, ბავშვები გამოსახავენ ასოს ან ციფრს, შემდეგ მის ფორმას წაუსვამენ წებო ემულსიას და დააწებებენ სხვადასხვა მასალას: ქვიშას, ბუმბულს, ხავერდის ქსოვილს, ბამბას, პატარა ჯოხებს და სხვა. გაშრობის შემდეგ ბავშვები დახუჭავენ თვალებს და ფაქტურაზე შეხებით ამოიცნობენ დამზადებულ ასოს.



7. **სენსორული მემოს დამზადება -** ფერადი ფორმატისგან ან მუყაოსგან გამოვჭრათ ერთნაირი ზომის ბარათები. შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა მასალა, რომელიც უნდა დააწებონ ბარათებს და დაამზადონ ამ მასალის წყვილები. მაგალითად, ორ ბარათზე გაანაწილებენ ღილებს, ორზე - საქსოვ ძაფებს, ფოლგას და სხვა საინტერესო ფაქტურის მასალას. დასრულების შემდეგ ბავშვები ითამაშებენ სენსორული მემოთი თამაშის პრინციპების გათვალისწინებით.



8. **აუდიოწიგნები -** გავესაუბროთ ბავშვებს აუდიოწიგნების შესახებ; მოვუყვეთ, როგორ და რისთვის ქმნიან მათ, მოვასმენინოთ აუდიოწიგნი (მაგ., იაკობ გოგებაშვილის "მკვეხარა ქოთანი", "პატარა წრუწუნა" ან სხვა აუდიოწიგნები).

https://soundcloud.com/search?q=%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%20%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98

http://www.csogeorgia.org/uploads/news_pdf/hera.pdf

9. **ხმოვანი მემოს დამზადება -** ხმოვანი მემოს დასამზადებლად გვესაჭიროება ერთნაირი პატარა კოლოფები. ეს შეიძლება იყოს ასანთის კოლოფები ან პლასტმასის კვერცხები. შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა მასალა კოლოფებში ჩასაყრელად (მაგალითად, ბრინჯი, ქვიშა, ღილები, ბისერი და სხვა). ბავშვებმა უნდა დაამზადონ ერთი მასალის წყვილები, შემდეგ კი ითამაშონ მემო თამაშის წესების დაცვით.



10. **ლექსები -** წავუკითხოთ ბავშვებს სხვადასხვა ავტორის საბავშო ლექსები. სასურველია, შევარჩიოთ მარტივი ლექსები კარგი რითმით (მაგალითად, ვასილ გულეურის "მათეს გოგრა" ან მაყვალა მრევლიშვილის "კიკლი-კიკლი კიბესა"). პერიოდულად, როცა რითმა ძალიან მარტივია, შეგვიძლია გამოვტოვოთ სიტყვა და ბავშვებმა აღადგინონ იგი. შესთავაზეთ ბავშვებს, მოიფიქრონ რითმა თქვენ მიერ შეთავაზებულ სიტყვაზე, დაფაზე ან ფორმატზე ერთმანეთის ქვემოთ ჩამოწერეთ ასეთი სიტყვები.

http://kids.ge/poesy-authors

11. **წიგნის სანიშნის დამზადება -** შევთავაზოთ ბავშვებს მუყაოს გრძელი ნაჭრები, ფერადი ქაღალდები და ქსოვილები, სხვა მასალა დეკორაციისთვის. ბავშვები თავისუფლად აირჩევენ მასალას და გააფორმებენ მუყაოს სურვილისამებრ.

12. **სანდრო ასათიანის „უცნაური წიგნი“ -** წავუკითხოთ ბავშვებს სანდრო ასათიანის "უცნაური წიგნი". წავახალისოთ, რომ მოყვნენ მსგავსი ისტორიები.

13. **ვხატავთ სიზმრებს -** ვთხოვოთ ბავშვებს, თავიანთი სურვილისამებრ, დახატონ ყველაზე კარგი ან ყველაზე ცუდი სიზმარი.

14. **ლექსების წიგნის დამზადება** - ბავშვებს შევთავაზოთ, გადაიწერონ (გადაიხატონ) მათთვის საყვარელი მოკლე ლექსი ან რამდენიმე სტრიქონი და გააფორმონ ნახატებით. ფურცლები ავკინძოთ და მივცეთ წიგნის სახე.

წესებიანითამაშები/მოძრავითამაშები

1. **წრეში ბურთი -** შევთავაზოთ ბავშვებს ითამაშონ "წრეში ბურთი". ორი ან სამი ბავშვი დგება ერთმანეთის პირისპირ, დაახლოებით 15-20 მეტრის დაშორებით. ბავშვები სათითაოდ ან წყვილად შედიან წრეში, პირისპირ მდგომი ბავშვები ცდილობენ ბურთი მოახვედრონწრის შუაში მყოფებს, რომლებიც ცდილობენბურთის აცილებას.

2. **გამოიცანი, რა დევს ტომარაში -** ჩავყაროთ გაუმჭვირვალე ნაჭრის პატარატომარაში პატარა სათამაშოები და უსაფრთხო საყოფაცხოვრებო ნივთები: ძაფის კოჭა, გასაღები, სარეცხის სარჭი, მონეტა, საშლელი და ა.შ. ბავშვები რიგრიგობით ჩაყოფენ ხელს ტომარაში, აირჩევენ ერთ ნივთს და ამოღებამდე შეხებით გამოიცნობენ, რა ნივთი უჭირავთ.

3. **გააგორე ბურთი -** ბავშვები დაწყვილდებიან და დგებიან მწკრივში ერთმანეთისკენ ზურგით, ფეხებს დადგამენ განზე. პირველი წყვილი იწყებს ბურთის გაგორებას ისე, რომ ბურთმა დანარჩენ მონაწილეთა ფეხებს შორის გაიაროს და იგოროს მანამდე, სანამ ბურთი არ მივა ბოლო წყვილამდე. ამის შემდეგ ბურთს აბრუნებენ უკან. თამაშის გართულება: ბავშვები თვალდახუჭული თამაშობენ.

4. **გამოიცანი ხმით -** ერთი ბავშვი ხუჭავს თვალებს, მეორე კი რაიმე ნივთს დაარტყამს ხის ან რკინის პატარა წკირს. ბავშვმა უნდა გამოიცნოს, რა ნივთი შეიძლება გამოსცემდეს ამ ხმას. შემდეგ მოთამაშეები იცვლებიან.

5. **ხმოვანი ბურთი -** ამ აქტივობისთვის საჭიროა დიდი ზომის გასაბერი ბურთი (ზღვის ბურთი). გაბერვის შემდეგ მოვათავსოთ მასში რამდენიმე პატარა ჩხრიალა ან წვრილი ნივთები, რომლებიც ხმას გამოსცემს. შევთავაზოთ ბავშვებს, დადგნენ წრეში, დახუჭონ თვალები და ამგვარადშეეცადონ ბურთით თამაშს. ბავშვებმა ფრთხილად უნდა გადაუგდონ ერთმანეთს ბურთი და დაიჭირონ.

6. **სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა -** ცარცით გავხაზოთ ადგილი, საიდანაც ბავშვები უნდა გადახტნენ. გავჭიმოთ რეზინი ორ საყრდენს შორის. ესაა ბარიერი, რომელსაც თამაშის მიმდინარეობისას თანდათან ავამაღლებთ. წავახალისოთ ბავშვები, რომ გადახტნენ ბარიერზე და შეეჯიბრონ ერთმანეთს სიგრძესა და სიმაღლეში ხტომაში.

7. **მოძრაობები ლექსზე -** ამოვირჩიოთ ლექსი, რომელზეც შეიძლება მოძრაობა (მაგ. "კიკლი-კიკლი კიბესა"). წავახალისოთ ბავშვები,რომ მოიფიქრონ და გააკეთონ შესაბამისი მოძრაობები.

8. **ესტაფეტა -** ვთხოვოთ ბავშვებს, დაიყონ ორ ჯგუფად.ორივე ჯგუფი ჩავამწკრივოთ ორ რიგად. ბავშვები შეეჯიბრებიან ერთმანეთს სხვადასხვაგვარ მოძრაობაში. ესენია: სირბილი, ხტუნვა ორ ფეხზე, ასკინკილა, ჩქარი სიარული და ა.შ.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **"მხვრინავი" ასოები -** ვაჩვენოთ ბავშვებს გვერდი წიგნიდან „მისტერ ლესმორის საოცარი მფრინავი წიგნები", რომელზეც მხვრინავი წიგნია გამოსახული. გავამახვილოთ ბავშვების ყურადღება ასოზგერა "ხ"- ზე. შევთავაზოთ მათ, მოძებნონ მთელ წიგნში ეს ასო და გადააწყონ იმდენი სათვლელი ჩხირი ან პატარა გეომეტრიული ფორმა, რამდენი "მხვრინავი" ასოც შეხვდებათ, შემდეგ შეეცადონ მათ დათვლას და ჩანიშვნას. დავეხმაროთ საჭიროებისამებრ.

2. **ასოებისა და ციფრების დახარისხება -** დავურიგოთ ბავშვებს ბარათები ან მოძრავი ანბანიდან გამოჭრილი ასოებისა და ციფრების გამოსახულებები. ვთხოვოთ ბავშვებს, ცალ-ცალკე დააჯგუფონ ციფრები და ასოები, შემდეგ კი შევთავაზოთ, რომ ააწყონ საკუთარი სახელები. თამაშის გართულება: ვთხოვოთიმ ბავშვებს, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი ამოცანას, საკუთარი სახელის ასოებით შეეცადონ სხვა სიტყვის შედგენას.

3. **დაწერე შენი სახელი ბრაილის შრიფტით -** ამოვბეჭდოთ და ვაჩვენოთ ბავშვებს ბრაილის ანბანი. დავეხმაროთ თავიანთი სახელების დაწერაში ჯერ ჩვეულებრივი ასოებით, შემდეგ კი ბრაილის შრიფტით.ვეხმარებით ბავშვებს ასოების დამზადებაში.



4. **ჩაიხატე და გამოიცანი სიტყვა -** თამაშობს ოთხი ბავშვი. ისინი წყვილდებიან და სხდებიან მაგიდის გარშემო. ერთი ჩაიფიქრებს სიტყვას და ეტყვის თავის მეწყვილეს, რომელიც დახატავს ამ სიტყვას. ნახატს აჩვენებენ მოპირისპირე ჯგუფის ერთ ბავშვს (ისე, რომ სხვებმა არ დაინახონ), მან კი თავის მეწყვილეს ჩუმად უნდა უთხრას სიტყვა, ბოლოს პირველი და ბოლო ბავშვი ამბობენ სიტყვის თავიანთ ვარიანტებს. თუ ეს ვარიანტები ერთმანეთს დაემთხვევა, იმარჯვებს მეორე გუნდი, თუ არ დაემთხვევა - პირველი. ამის შემდეგ თამაშს აგრძელებს მეორე წყვილი.

5. **სიმაღლის გაზომვა** - შევთავაზოთ ბავშვებს რაიმე სიგრძის საზომი ერთეული, რომლითაც გაზომავენერთმანეთს. სიგრძის გასაზომად შეიძლება გამოვიყენოთ კუბურა, ფეხსაცმელი, თოჯინა ან რამე სხვა ნივთი. ბავშვი დგება კედელთან, მეგობარი მონიშნავს მის სიმაღლეს კედელზე, შემდეგ შეიცვლებიან. ბავშვები გაზომავენ, რამდენი კუბურა "ჩაეტევა" იატაკიდან ნიშნულამდე (ანუ რამდენ კუბურას "შეადგენს" ბავშვის სიმაღლე), ჩაინიშნავენ მონაცემებს და შეადგენენ ცხრილს.

	კუბურა	თოჯინა	ფეხსაცმელი
ნიკო	//////// 9	/// 3	///// 5
მარიამი	///////// 10		
ლიზიკო			

6. **შეუსაბამე რითმა -** დავურიგოთ ბავშვებს ფურცელზე ორ მწკრივად ჩამოწერილი სიტყვები შესაბამისი ნახატებით (იხ. ილუსტრაცია #8). ბავშვებმა უნდა შეართონ ხაზებით სიტყვები, რომლებიც ერთმანეთს ერითმება.

7. **რითმების ლოტო -** ბავშვებთან ერთად ჩამოვწეროთ სიტყვები, რომლებიც ერთმანეთს ერითმება. ვთხოვოთ ბავშვებს, დახატონ ეს სიტყვები. ამოვჭრათ და დავამზადოთ ბარათები და დაფა. ბავშვებმა უნდა გაანაწილონ ბარათები დაფაზე რითმების შესაბამისად. თამაში მიმდინარეობს ლოტოს პრინციპით.

8. **ციფრების შესაბამისი რგოლები -** ამ აქტივობისათვის დაგვჭირდება კვერცხების ჩასადები მუყაო. გამოვჭრათ 10-განყოფილებიანი ნაწილი, სიღრმეში ჩავაწეროთ ციფრები ერთიდან ათამდე, ფერადი ფურცლებისგან გამოვჭრათპატარა რგოლები. შევთავაზოთ ბავშვებს, გადაანაწილონ თითოეულ ბუდეში ციფრის შესაბამისი რაოდენობის რგოლი.

მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება

1. **მფრინავი წიგნები -** ჩავურთოთ ბავშვებსრაიმე მელოდია და შევთავაზოთ, დაჯგუფდნენ პატარ-პატარა "წიგნების" გუნდებად. თითო გუნდს თითო ადამიანი ეყოლება გამობმული წარმოსახვითი თოკებით, "წიგნები" აშრიალებენ ფურცლებს (ხელებს) და იფრენენ ერთ გუნდად, თან გაიყოლებენ მათზე გამობმულ ადამიანს. შეიძლება შევქმნათ სამი ან ოთხი გუნდი. მათ ისე უნდა იმოძრაონ, რომ არ დაეჯახონ ერთმანეთს და თანაც არ დაიშალონ.
2.

   მელოდიები: სენ-სანსის "ცხოველების კარნავალი - აკვარიუმი", ჩაიკოვსკის "ყვავილების ვალსი", ვივალდის "ოთხი სეზონი", დებიუსის "არაბესკა N1" (http://www.letsplaykidsmusic.com/5-classical-music-tracks-for-fairies/).

3. **საბალეტო მუსიკა -** მოვასმენინოთ ბავშვებს ნაწყვეტები ჩაიკოვსკის "მაკნატუნადან". ვკითხოთ ბავშვებს, რა ამბებს გვაგონებს ეს მელოდია; ვთხოვოთ, იცეკვონ ამ მუსიკაზე თავისუფლად. მოვუყვეთ მოკლედ ეს ზღაპარი და კიდევ ერთხელმოვასმენინოთ შესაბამისი ადგილები. წავახალისოთ, რომ კვლავ ამოძრავდნენ მუსიკაზე.

მე – 15 კვირა

თემა: როგორ გავაცოცხლოთ ამბები?

თემა გრძელდება ერთი კვირის განმავლობაში. მისი მიზანია, ბავშვები გაეცნონ ანიმაციის ძირითად პრინციპებს, ნახონ ნაცნობი ნაწარმოების ეკრანიზაცია კინოფილმის ან მულტფილმის სახით; გაიგონ ანიმაციური ფილმების გადაღების პროცესისა და მასში ჩართული ადამიანების, ასევე შესაბამისი პროფესიების შესახებ; გადაიღონ მოკლე 2-3- წუთიანი მულტფილმი მასწავლებლების ან ექსპერტის დახმარებით.

ამ პროცესში ბავშვებს საშუალება ექნებათ, გაინაწილონ და გამოსცადონ სხვადასხვა საქმიანობები: სცენარის მოფიქრება, თოჯინების დამზადება და/ან დახატვა, პერსონაჟების ჩაცმულობის დახატვა, გარემოს განსაზღვრა, მუსიკის შერჩევა, ვიდეოსა და ფოტოს გადაღება. თემაზე მუშაობისას ბავშვები მიიღებენ მრავალფეროვან გამოცდილებას, განივითარებენ სხვადასხვა ტექნიკის გამოყენების უნარჩვევებს, შემოქმედებით და კრიტიკული აზროვნებას, მეტყველებას, ნატიფ მოტორიკას, მუსიკალური ნაწარმოების აღქმისა და გამოყენების უნარს.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	გაცოცხლებული ამბები	**აქტივობა:** საყვარელი ფილმების ან მულტ-ფილმების პერსონაჟების ხატვა. **წესებიანი თამაში:**მულტფილმის გმირების ფაზლი ან ლოტო. **როლური თამაში:** ფილმობანა/მულტ-ფილმობანა.	ზღაპარ "წითელქუდას" წაკითხვა და მოკლე ფილმის ნახვა. http://oliveus.tv/ep-23-le-petit-chaperon-rouge/	"დაჭერობანა"/ "მგელობანა"	ერთობლივი ზღაპარი საყვარელი მულტფილმი	სიმღერა მულტ-ფილმიდან ან კინოფილმიდან. მულტფილმი "მგელი და კრავი". https://www.youtube.com/watch?v=L9hesHsnyDI	ბავშვები იმსჯელებენ დღის შთაბეჭდილებებზე: რა მოეწონათ ყველაზე მეტად.
მასალები/ რესურსები	https://www.youtube.com/watch?v=LglsHP9_buA https://www.youtube.com/watch?v=2kYCPREVIUs https://www.youtube.com/watch?v=dar3xhQWVvg https://www.youtube.com/watch?v=HABs5JR4Js0 https://www.youtube.com/watch?v=uNIsjZBnRR8 https://www.youtube.com/watch?v=ZpWcMegSWRg	ფურცლები და სახატავი საშუალებები. ფაზლი ან ლოტო მულტფილმის გმირების გამოსახულებებით. სათამაშო მაიმუნი და ცხენი; წითელი პარიკი, რომელიც შეიძლება საქსოვი ძაფებითაც დამზადდეს; ჩანთა სათამაშო მონეტებით, ჭრელი გრძელი წინდები და დიდი ფეხსაცმელები. წინსაფარი, ჭურჭელი, ფქვილი, წყალი, ჯამი და სათქვეფელა.	წიგნი „წითელქუდა“, კომპიუტერი ან ტელევიზორი და DVD დისკი.		ბარათები ნახატებით. ფურცელი, ფლომასტერი.	მუს. ცენტრი. აუდიოდისკი ჩანაწერით.	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი ინდივიდუალიზება	როგორ კეთდება მულტფილმი	**პროექტი: მულტფილმი** 1. პერსონაჟების დახატვა, პერსონაჟის გამოძერწვა. **აქტივობა:** მოძრავი ნახატი / თაუმატროპის დამზადება. **წესებიანი თამაში:** მულტფილმის პერსონაჟების მემო. **როლური თამაში:** მულტფილმობანა.	"ვინი პუჰის თავგადასავლის" წაკითხვა და შესაბამისი მულტფილმის ყურება. 	მიწიდანმაღლა.	სახელების ცხრილი პლასტილინის ფორმები	სიმღერა ქართული მულტფილმიდან „მგელი და კრავი“	ბავშვები წარმოადგენენ დახატულ და გამოძერწილ პერსონაჟებს.
მასალები/ რესურსები		ხელოვნების რესურსცენტრის მასალები. პატარა მუყაოს ან ქაღალდის ბარათები, საკანცელარიო რეზინი ან საქსოვი ძაფი, წვრილი ჯოხი. მემო. მულტფილმის შესაბამისი რეკვიზიტები.	წიგნი: "ვინი ფუუჰი"		ფორმატი, ფლომასტრები. პლასტელინი ან ცომი, საჭრელი ფორმები.	მუს. ცენტრი. აუდიოდისკი ჩანაწერით.	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი ინდივი-დუალი-ზება	ვაკეთებთ მულტფილმებს	**პროექტი: მულტფილმი** 2. მულტფილმის დამზადება **აქტივობა:** მოძრავი ნახატი/ბლოკნოტის ანიმაცია **წესებიანი თამაში:** მულტფილმის პერსონაჟების მემო. **როლური თამაში:** მულტფილმობანა.	”ვინი პუჰის თავგადასავ-ლის” წაკითხვა და შესაბამისი მულტფილმის ყურება. https://www.youtube.com/watch?v=CglTlN_DQi8 http://www.imovies.ge/movies/3285	”ჩაითრიე წრეში”	”კალათაში ჩავდე”	მზის სიმღერა ქართული მულტ-ფილმიდან „სა-ზამთრო“ https://www.youtube.com/watch?v=t4VmXdxvvRo	ბავშვები წარმოადგე-ნენ მცირე ჯგუფებში მუშაობის შედეგებს, იმსჯელე-ბენ შემდეგი დღის გეგმა-ზე.
მასალები/ რესურსები		ფონის ნახატი, პერ-სონაჟების ნახატები, ფოტოაპარატი და შტა-ტივი. პატარა ზომებზე დაჭ-რილი ქაღალდი, ფანქ-რები, საკანცელარიო სამაგრი. მემო https://www.youtube.com/watch?v=Njl-uqnmBGA	წიგნი: ”ვინი ფუუჰი”			მუს. ცენტრი. აუდიო დისკი.	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	მუსიკა მულტფილმისათვის	**პროექტი: მულტფილმი** 1. მულტფილმის დამზადება 2. მუსიკა მულტფილმისათვის **აქტივობა:** მოძრავი ნახატი/ზოოტროპი **წესებიანი თამაში:** მუსიკალური კოლოფების მემო. **როლური თამაში:** მულტფილმობანა.	”ვინი პუჰის თავგადასავალი”	დღედაღამე	ფიგურების/სათამაშოების დახარისხება.	სიმღერა მულტფილმიდან ,,მე წვიმად მოვალ’’ https://www.youtube.com/watch?v=tw5DRUFe19Y	ბავშვები იმსჯელებენ იმაზე, თუ ვინ შეიძლება დაპატიჟონ ფილმების ჩვენებაზე. ასევე მუშაობის პრობლემურ საკითხებზე.
მასალები/ რესურსები	სხვადასხვა სახის მასალები, რომელიც გამოსცემს სხვადასხვა ჟღერადობას.	ფოტოაპარატი და შტატივი. მუს. ცენტრი. კომპიუტერი. ზოოტროპის დასამზადებელი შაბლონი, ფურცლები, ფანქრები, წებო, მაკრატელი. წინასწარ დამზადებული მუსიკალური კოლოფები	წიგნი: ”ვინი ფუუჰი”		პატარა ზომის სათამაშო მანქანები ან კუბურები, ფერადი სკოჩი ან საიზოლაციო ლენტი.	მუს. ცენტრი. აუდიო დისკი ჩანაწერით.	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივიდუალიზება	მულტფილმების ჩვენება	კვლევისა და აღმოჩენის დრო **პროექტი: მულტფილმი** 2. მულტფილმის დამზადება წესებიანი თამაში: მუსიკალური კოლოფების მემო. როლური თამაში: მულტფილმობანა.	ვინი პუჰის თავგადასავალი	ბუშტები	ვზომავთ კუბურებით	სიმღერა მულტფილმიდან "მე წვიმად მოვალ" https://www.youtube.com/watch?v=tw5DRUFe19Y	ბავშვები წარუდგენენ მულტფილმებს მოწვეულ სტუმრებს.
მასალები/ რესურსები	ფოტოაპარატი და შტატივი. მუს. ცენტრი. კომპიუტერი. წინასწარ დამზადებული მუსიკალური კოლოფები	კომპიუტერი ან ტელევიზორი და DVD დისკი.	წიგნი: ვინი ფუუჰი		პატარა ზომის პლასტმასის კუბები (მაგ. ლეგო)	მუს. ცენტრი. აუდიოდისკი ჩანაწერით.	კომპიუტერი. ან ტელევიზორი და DVD დისკი.

საქმიანობათა ინსტრუქციები

აქტივობები

1. **"გაცოცხლებული" ამბები -** ვეკითხებით ბავშვებს, როგორ შეიძლება "გავაცოცხლოთ" წიგნი. ბავშვები ნახავენ ასაკობრივად შესაბამისი მოკლემეტრაჟიანი ფილმების ან მულტფილმების რამდენიმე ვერსიას (სრულად ან ნაწყვეტების სახით), რომლებიც შექმნილია მათ მიერ წაკითხული წიგნის/წიგნების მიხედვით. შესაძლებელია ეს იყოს ფილმები და მულტფილმები პეპი გრძელიწინდაზე, კონკიაზე და ა. შ. ვისაუბრებთ, რითი ჰგვანან წიგნისა და ფილმის/მულტფილმის პერსონაჟები ერთმანეთს ან რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. აღმზრდელები შეეცდებიან გაარკვიონ, რა იციან ბავშვებმა ფილმის გადაღების პროცესისა და მასში მონაწილე ადამიანების შესახებ.

   https://www.youtube.com/watch?v=MbBxy2YjfBI
   https://www.youtube.com/watch?v=1ch7m_XpSIM

2. **როგორ კეთდება მულტფილმი? -** იმისათვის, რომ ბავშვებს გავაცნოთ მულტფილმის გაკეთების პროცესი, რამდენიმე გზა არსებობს: შეგვიძლია ჩვენ თვითონ მოვიძიოთ და გავეცნოთ ინფორმაციას წიგნებში ან ინტერნეტში; შესაძლოა გავესაუბროთ ბავშვების მშობლებს ან სხვა ნაცნობებს და გამოვარკვიოთ, ვინმეს ხომ არ შეუძლია ამ ტიპის ინფორმაციის ბავშვებისთვის გასაგებად მიწოდება.

   შესაძლებელია გავესაუბროთ ბავშვებს მულტფილმების დამზადების სხვადასხვა ტექნოლოგიაზე (მაგ., ნახატის ანიმაციასა და თოჯინების ანიმაციაზე), ვაჩვენოთ განსხვავებული ტექნოლოგიებით დამზადებული მულტფილმების ნაწყვეტები. წავახალისოთ, რომ გვითხრან, რომელი მოეწონათ ყველაზე მეტად და რატომ, რა მსგავსება და განსხვავება იყო მათ შორის. ჩავინიშნოთ შეკითხვები.

   თოჯინების ანიმაციის ნიმუშები:
   https://www.youtube.com/watch?v=jUKB4n2qCWY; https://www.youtube.com/watch?v=WX8NHJuXqyA
   ნახატის (ორგანზომილებიანი) ანიმაციის ნიმუშები:
   https://www.youtube.com/watch?v=ehGCZyrIwdw;
   https://www.youtube.com/watch?v=DKim2YR9FYc;

   რესურსები მასწავლებლებისათვის:
   http://maiakuphunia.blogspot.com/2010_06_01_archive.html
   https://www.youtube.com/watch?v=Nz20l6eZImM
   https://sites.google.com/site/despisableme/games

3. **მოძრავი ნახატი/ ტაუმატროპის დამზადება**
   წინასწარ გამოვჭრათ მუყაოსგან პატარა ფირფიტა და გავუხვრიტოთ გვერდები. შევთავაზოთ ბავშვებს, რომ ორივე მხარეს დახატონ ერთმანეთთან დაკავშირებული ნახატები. მაგ., ერთი და იგივე ადამიანი სხვადასხვანაირ მოძრაობაში, ჩიტი და გალია, აკვარიუმი და თევზი, ქოთანი და ყვავილი, ფირფიტის გახვრეტილ გვერდებში კი გაუყარონ ძაფი ან საკანცელარიო რეზინა. შევთავაზოთ ბავშვებს, აბრუნონ ფირფიტები რეზინის დახმარებით და დააკვირდნენ ნახატს, რომელიც "ამოძრავდება". ტაუმატროპი შეიძლება დამაგრდეს მრგვალ წვრილ ჯოხზე ორივე მხრიდან, მაშინ ფირფიტის გახვრეტა საჭირო აღარ იქნება.

4. **მოძრავი ნახატი/ბლოკნოტის ანიმაცია** - წინასწარ დავჭრათ ფურცლები პატარა თანაბარი ზომის ნაჭრებად. საკანცელარიო სამაგრის საშუალებით შევკრათ ფურცლები პატარა ბლოკნოტებად. ვთხოვოთ ბავშვებს, რომ დახატონ რაიმე საგნის ან პერსონაჟის მარტივი მოძრაობა თითო ფურცელზე (მაგ., ხელის, ფეხის, ბუშტის მოძრაობა და ა.შ.) და სწრაფად გადავფურცლოთ ბლოკნოტი. ბავშვები დააკვირდებიან, როგორ "მოძრაობს" პერსონაჟი ან საგანი.



5. **მუსიკა მულტფილმისათვის -** წინასწარ შევიტანოთ ჯგუფში სხვადასხვა ნივთი, რომლებიც განსხვავებულ ხმებს გამოსცემენ, ასევე ჭრაჭუნა, შრიალა, კაკუნა და ჟღრიალა მასალები. ვთხოვოთ ბავშვებს, დახუჭონ თვალები, მოისმინონ და აღწერონ ეს ხმები, დავურიგოთ ნივთები და ვთხოვოთ, აახმაურონ ისინი. წავიკითხოთ ან მოვყვეთ მულტფილმების სიუჟეტები და ბავშვებს ვთხოვოთ, მოიფიქრონ და აჟღერონ შესაბამისი ნივთები შესაფერის დროს.

6. **მოძრავი ნახატი/ზოოტროპი -** წინასწარ გავამზადოთ ზოოტროპის გასაკეთებლად საჭირო მასალა: შავი ფორმატი ზედ დახატული ამოსაჭრელი ფორმებით, ამოძრავებული ნახატის ფურცელი, ჯოხი, წებო ემულსია. შევთავაზოთ ბავშვებს, ამოჭრან ნახატები და დაამზადონ ზოოტროპი ინსტრუქციის მიხედვით (იხ. აღმზრდელის სახელმძღვანელო, გვ.137). სურვილის შემთხვევაში ბავშვებს შეუძლიათ შექმნან თავიანთი მოძრავი ნახატი.

ზოოტროპის მომზადება იწყება მრგვალი ფორმის მუყაოსყუთის შერჩევით (შეგვიძლია გამოვიყენოთ ტორტის მრგვალი ყუთი). კორპის საცობი ბურთულა ან მსგავსი ნივთი დამაგრებულია მუყაოს ცენტრში იმისათვის, რომ ზედაპირზე დაბზრიალდეს. შემდეგ მუქი ფერის ქაღალდი უნდა გამოიჭრას ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით, რომ-

ლის მასშტაბი ყუთის ზომის შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს. ნიმუშის ზედა მხარეს მოცემული ნაცრისფერი ოთხკუთხედები ამოჭრილ ნაწილებს აღნიშნავს.



ამის შემდეგ ნიმუშის ქვედა ნაწილზე იხატება ნახატები, რომლებიც ამოძრავდება ზოოტროპის დაბზრიალების დროს.

შესაძლებელია ძალიან მარტივი ნახატების გამოყენებაც, თუკი ისინი გარკვეული "მოძრაობის ეფექტს" შექმნიან.

როდესაც ზოოტროპი ბავშვების თვალის სიმაღლეზე დაბზრიალდება, გამოჭრილ ნაწილებში ბავშვები დაინახავენ ამოძრავებულ ნახატებს. შემდეგ თავად ბავშვები ამზადებენ სხვადასხვა „ფირებს“ ზოოტროპისთვის. გამოცდილების შეძენასთან ერთად ისინი მეტ სიფრთხილეს იჩენენ და უფრო რთულ ნახატებს ქმნიან. ამის შემდეგ ბავშვები ირჩევენ ან თავად იგონებენ ზღაპარს, რომლის ანიმაციური ვერსიისთვის დაამზადებენ „ფირებს“ და მოვლენების თანამიმდევრობის შესაბამისად „გაუშვებენ“ ზოოტროპში.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **დაჭერობანა/ მგელობანა -** ბავშვები გაითვლიან, ბოლოს დარჩენილი არის "მგელი". ბავშვები თამაშობენ დაჭერობანას. "მგელი" ცდილობს ბავშვების დაჭერას, დაჭერილი ბავშვი ხდება "მგელი".

2. **მულტფილმის პერსონაჟების მემო -** ვითამაშოთ მემო. მეხსიერების ამ თამაშისათვის შევთავაზოთ ბავშვებს მულტფილმების პერსონაჟთა წყვილი ბარათები.

3. **მიწიდან მაღლა -** ყველა მოთამაშე დგასე ზოში. ერთ-ერთი დაედევნება სხვა მოთამაშეებს. ის, ვისაც გამოდევნებული დაეწევა, თავად ხდება მდევარი. მოთამაშეებს შეუძლიათ თავის დაცვა იმით, თუ სწრაფად ავლენ რაიმე ამაღლებულ საგანზე, ანუ დაიმალებიან საკუთარ "ბუდეში". ამ შემთხვევაში მდევარი მათ ვეღარ შეეხება. თუ ყველა მოთამაშე „ბუდეში“ დაიმალება, შეიძლება შემოვიღოთ ახალი წესი. მდევარი იძახის: „ერთი, ორი! გამოფრინდით ბუდიდან!“, რის შემდეგაც ყველა უნდა ჩამოვიდეს და ახლიდან გააგრძელონ თამაში.

4. **მულტფილმის პერსონაჟების ლოტო -** შევთავაზოთ ბავშვებს ლოტო მულტფილმის პერსონაჟების გამოსახულებებით. ლოტო შეგვიძლია თავად დავამზადოთ ძველი საბავშვო ჟურნალების ან ბავშვების ნახატების გამოყენებით. ერთ ფურცელზე ერთი მულტ-ფილმის პერსონაჟები უნდა იყოს გამოსახული.

5. **ჩაითრიე წრეში -** მოთამაშეები წრეზე მჭიდროდ დგებიან, გაითვ-ლიან პირველ-მეორეზე, წრის შიგნით ფეხის წვერებთან შემოავლე-ბენ ხაზს. პირველი ნომრები (პირველი გუნდი) რჩებიან წრის გა-რეთ, მეორე ნომრები (მეორე გუნდი) შედიან წრეში და მობრუნდე-ბიან სახით პირველებისკენ. ჩვენს მინიშნებაზე მოთამაშეები ცდი-ლობენ, ჩაავლონ ხელი ერთმანეთს და ჩაითრიონ ან გამოიყვანონ წრიდან ერთმანეთი. წარმატებით შესრულებულ ცდაზე თითოე-ული გუნდი იღებს ქულას. გარკვეული დროის (1-2 წუთის) შემდეგ გუნდები ცვლიან ადგილებს.

6. **მუსიკალური კოლოფების მემო -** ამ აქტივობისთვის დაგვჭირდება ასანთის ერთნაირი კოლოფები ან ბავშვის კვების პატარა ქილები, რომლებსაც წინასწარ შევღებავთ შიგნიდან ერთი ფერის აკრილის სა-ღებავით ან გარედან შემოვაკრავთ ერთნაირ ქაღალდს, რათა ქილები გაუმჭვირვალე გახდეს. კოლოფებში ან ქილებში ჩავყრით სხვადასხვა მასალას: წიწიბურას, მაკარონს, ღილებს, ქვიშას, სკრეპებს და ა.შ. გა-ვაკეთებთ ერთნაირი მასალის წყვილებს. ბავშვები თამაშობენ მსგავსი ჟღერადობის მასალის ამოცნობაზე მემოს პრინციპით - აწყვილებენ კოლოფებს/ქილებს მსგავსი ჟღერადობის მიხედვით.

7. **დღე და ღამე -** თამაშის ერთი მონაწილე არის "ბუ", დანარჩენები - "თაგვები". როდესაც წამყვანი იტყვის: „დღე!" –"თაგვები" ამოძ-რავდებიან, რადგან დღისით თაგვები ფხიზლობენ, ბუს კი სძინავს. როდესაც თამაშის წამყვანი იტყვის: „ღამე!", ყველა "თაგვი" გაჩერ-დება, რადგან ბუები ღამით ნადირობენ. თუ "ბუ" შეამჩნევს, რომ რომელიმე" თაგვი" შეირხა, მიჰყავს ის თავისთან სახლში. "თაგ-ვები", რომლებიც გამოვიდნენ თამაშიდან, ეხმარებიან "ბუს" იმ "თაგვების" შემჩნევაში, რომლებსაც ღამე სძინავთ.

8. **ბუშტები (I ვარიანტი) -** მონაწილეები დგანან წრიულად, ხელ-ჩაკიდებულნი იმგვარად, რომ მივიღოთ ჩაკეტილიწრე. ისინი გა-ნასახიერებენ „ცაში მოცურავე" ბუშტებს. სივრცე, რომელშიც იმ-ყოფებიან მოთამაშეები, არის „ცა". წამყვანი ხელის კვრით აქეთ-იქით მიმოფანტავს „ბუშტებს", რომლებიც მოძრაობენ მხოლოდ იმ მიმართულებით, საითკენაც წამყვანმა უბიძგა. როდესაც "ბუშტები" ეჯახებიან რაიმე საგანს და/ან სხვა წყვილებს, მათ უნდა შეიცვალონ მიმართულება.

ბუშტები (II ვარიანტი) - როდესაც „ბუშტები" ეჯახებიან სხვა „ბუშტებს", მაშინ ისინი ერთიანდებიან ახალ დიდ „ბუშტად". თა-მაში გრძელდება მანამდე, სანამ ყველა მოთამაშე ერთ დიდ „ბუშ-ტად" არ შეიკვრება.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **ერთობლივი ზღაპარი -** დავყოთ ბავშვები პატარა ჯგუფებად. მონა-წილეები დასხდებიან წრეში, თითოეულ მათგანს დავურიგებთ 2-2 ბარათს. ერთ-ერთი ბავშვი თავის ბარათს დებს მაგიდის შუაგულში და იწყებს თხრობას: " იყო და არა იყო რა, იყო ერთი..." (ასახელებს, რაც ბარათზეა გამოსახული, მაგ: ძაღლი). ამის შემდეგ მის მარჯვ-

ნივ მჯდომი დებს თავის ბარათს მაგიდაზე და აგრძელებს თხრობას ისე, რომ შინაარსობრივად პირველ ბარათს დაუკავშიროს.

2. **საყვარელი მულტფილმი -** შევთავაზოთ ბავშვებს, რომ გააკეთონ საყვარელი მულტფილმის ცხრილი. ბავშვებმა უნდა გამოკითხონ თავისი ჯგუფის ბავშვები და გამოავლინონ მათი საყვარელი მულტფილმი. დავეხმაროთ ცხრილის შექმნაში. ავუხსნათ, როგორ მონიშნონ პასუხები და დავეხმაროთ მონაცემების შეტანაში. ცხრილის შესადგენად ბავშვები ჩახატავენ გრაფებში მულტფილმის რომელიმე პერსონაჟს, ხოლო საკუთარი სახელების გასწვრივ, რაიმე სიმბოლოს დახმარებით (ხაზი, ვარსკვლავი და ა.შ.), ჩაწერენ, რომელი მულტფილმი მოსწონს თითოეულ ბავშვს. დასასრულ, დაითვლიან თითოეული მულტფილმის მიერ მოგროვებულ ქულებს და დაადგენენ, რომელი მულტფილმი მოსწონთ ყველაზე მეტად მათი ჯგუფის წევრებს.

	ვინი პუჰი	მიკი მაუსი	ბენ თენი	სხვა	...	...
ნინო	/					
დაჩი		/				
მაკა	/					

3. **სახელების ცხრილი -** ბავშვები იყოფიან მცირე ჯგუფებად. შევთავაზოთ ბავშვებს დიდ ფორმატზე დახაზული ცხრილი. წავახალისოთ, რომ ჩაწერონ ან ჩააწებონ წინასწარ გამოჭრილი საკუთარი სახელების ასოები თითო გრაფაში, ბოლოს კი დათვალონ და შეადარონ, რომელი სახელი რამდენი ასოსგან შედგება, რომელია ყველაზე გრძელი ან/და ყველაზე მოკლე სახელი მათ ჯგუფში.

ნ	ი	კ	ა	ლ	ა
ა	ნ	ა	ნ	ო	
მ	ა	რ	ი		
გ	უ	გ	ა		
ი	ო	ა	ნ	ე	
ლ	ი	ზ	ი		

4. **პლასტილინის ფორმები -** ვთხოვოთ ბავშვებს პლასტილინის ან ცომის გაბრტყელება. წავახალისოთ, რომ გამოჭრან ფორმები სხვადასხვანაირი ფორმების საჭრელებით, ამის შემდეგ კი გამოჭრილი ფორმებით ააწყონ კანონზომიერებები (სხვადასხვა თანამიმდევრობა) ფურცელზე. მაგ., ერთი შეიძლება იყოს გული, მეორე - ვარსკვლავი, მერე ისევ გული, ისევ ვარსკვლავი, ან : დიდი წრე, ორი პატარა წრე, მერე ისევ დიდი და ა.შ. დასრულების შემდეგ ბავშვებმა უნდა აუხსნან თავისი ჯგუფის წევრებს, რა პრინციპი გამოიყენეს.

5. **კალათაში ჩავდე -** დავყოთ ბავშვები მცირე ჯგუფებად. დავიწყოთ თამაში ფრაზით: "კალათაში ჩავდე ვაშლი". ჩვენგან მარჯვ-

ნივ მჯდომი ბავშვი აგრძელებს: "კალათაში ჩავდე ვაშლი, მსხალი". ბოლო მოთამაშეს უწევს ყველა ჩამოთვლილი საგნის (ნივთის) გამეორება. თამაშის მეორე ტური მისგან იწყება.

6. **ფიგურების/სათამაშოების დახარისხება -** დავყოთ ბავშვები რამდენიმე ჯგუფად. იატაკზე ან მაგიდაზე, ფერადი სკოჩის ან ცარცის საშუალებით გავაკეთოთ რამდენიმე ცხრილი, დავაწეროთ თითოეულ გრაფას ციფრები 1-დან 10-მდე. შევთავაზოთ ბავშვებს პატარა ზომის მანქანები, კუბურები ან ნებისმიერი სხვა სათამაშოები და ვთხოვოთ, გაანაწილონ შესაბამისი რაოდენობის გრაფებში. თამაშის გასართულებლად შეიძლება დავაწეროთ ფერადი ციფრები. ბავშვებმა ამ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ ფიგურების ფერიც.

7. **ვზომავთ კუბურებით -** დავყოთ ბავშვები მცირე ჯგუფებად.შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა ნივთის გაზომვა ერთი ზომის კუბურების გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს საკუთარი ფეხსაცმელი, თოჯინა ან რაიმე სხვა. სასურველია, კუბურები იყოს ლეგოს ტიპისა.ბავშვები იღებენ ნივთს, რომელსაც ზომავენ და მის გვერდით აშენებენ შესაბამისი ზომის კუბურების კონსტრუქციას. ბოლოს შეუძლიათ შეადარონ გაზომილი ნივთები.

პროექტები

პროექტი „მულტფილმი"

(ამ აქტივობის შესრულება მოითხოვს გარკვეული ტიპის რესურსებს, მაგ., კომპიუტერს, სათანადო პროგრამის - movies maker-ის ან სხვა მსგავსი პროგრამის ცოდნას და სხვა. ამის გათვალისწინებით მისი შესრულება რეკომენდებულია მხოლოდ ბავშვების დაინტერესებისა და სათანადო რესურსების არსებობის შემთხვევაში. აქტივობაში შესაძლებელია ჩავრთოთ მშობლები, აღსაზრდელების უფროსი დედმამიშვილები, ახლომდებარე სკოლის მოსწავლეები და ა.შ., რათა მათთან ერთად შევქმნათ მულტფილმი. შესაძლებელია შევქმნათ ერთობლივი პროექტი სკოლასთან ერთად. ბავშვები შესრულებენ ნახატებს, აპლიკაციებს, გამოძერწავენ ფიგურებს, შეთხზავენ ამბებს, ახლომდებარე სკოლის უფროსკლასელები კი დაეხმარებიან მათ მულტფილმის შექმნაში ტექნიკური თვალსაზრისით. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს თემის/ოჯახის ჩართულობას სკოლამდელთა აღზრდის პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, დაეხმარება ბავშვებს საკუთარი შრომის გრძელვადიანი პროდუქტის შექმნაში, რაც მნიშვნელოვნად აისახება მათ მოტივაციასა და პიროვნულ განვითარებაზე).

1. **პერსონაჟების დახატვა**
   შევთავაზოთ ბავშვებს, მოიგონონ და დახატონ თავიანთი მულტ-ფილმის პერსონაჟები, დახატონ ამბები, რომლებიც მათ გადახდე-ბათ თავს. ვთხოვოთ ბავშვებს, გამოძერწონ მოგონილი პერსონა-ჟები და მათთვის საჭირო ნივთები პლასტილინისგან, მოიფიქრონ ისტორიები მათზე. დავეხმაროთ ჩაწერაში.

2. **ვაკეთებთ მულტფილმებს**
   შევთავაზოთ ბავშვებს, დაჯგუფდნენ პატარა ჯგუფებში და მო-იფიქრონ/შეთხზან საკუთარი მულტფილმები (ამისთვის მათ შეუძ-ლიათ გამოიყენონ წინა დღეს დახატული და დამზადებული პერ-სონაჟები). ვიმსჯელოთ ბავშვებთან ერთად, რა არის აუცილებელი მულტფილმის დასამზადებლად.

   ამ პროექტის ფარგლებში შესაძლებელია დამზადდეს მულტფილ-მი ბავშვების ნახატებით, ასევე პლასტილინისგან გამოძერწილი ან სხვა სამგანზომილებიანი ფიგურებით.

   ნახატი ფილმი - დაგვჭირდება ნახატი ფონისთვის, პერსონაჟების ნახატები, ფოტოაპარატი და შტატივი.

   სამგანზომილებიანი მულტფილმი - დაგვჭირდება დახატული ან რაიმე სხვა ფონი და ძირი, პლასტილინისგან გამოძერწილი პერსონ-აჟები, ფოტოაპარატი და შტატივი. ბავშვები მონაწილეობას ღებუ-ლობენ ფონისა და პერსონაჟების დამზადებაში. სცენები წინასწარ უნდა დაიდგას და გათამაშდეს, რათა ბავშვებმა იცოდნენ პერსონ-აჟების მოძრაობის თანამიმდევრობა ფონზე. ამის შემდეგ ვიწყებთ გადაღებას. მნიშვნელოვანია, არ ვამოძრაოთ ფოტოაპარატი, შტა-ტივი და მულტფილმის ფონი. ჩვენი დახმარებით ბავშვები იწყებენ ფიგურების მოძრაობას ძალიან ნელა, თანამიმდევრულად ვიღებთ ყველა მოძრაობის კადრს. ამის შემდეგ ფოტოები გადაგვაქვს კომპი-უტერში, სადაც კლიპების გასაკეთებელ პროგრამაში ავტვირთავთ ერთი მულტფილმის ყველა ფოტოს. შემდგომში ფოტოებს გადავა-ზამთ ერთმანეთს, შევურჩევთ და დავადებთ სასურველ მუსიკას.

https://www.youtube.com/watch?v=MNSpGz6rD-8
https://www.youtube.com/watch?v=lNB01LJZBDE
https://www.youtube.com/watch?v=4lHVOdmXt_8

3. **მუსიკა მულტფილმისათვის -** ბავშვები უსმენენ სხვადასხვა რიტ-მისათუ ჟანრის მუსიკას და აღწერენ მას. შესაძლებელია აღწერისას ბავშვებს მივეხმაროთ მიმართულების მიმცემი კითხვებით: როგო-რი მუსიკა იყო, ენერგიული თუ წყნარი, რას გრძნობდით, როდესაც მუსიკას უსმენდით? შემდეგ მოიფიქრებენ, რომელი მუსიკა შეესა-ბამება ფილმს ან მულტფილმს, მასში მოთხრობილი ამბის სხვადას-ხვა ეპიზოდს.

4. **მულტფილმის დამზადება -** დავეხმაროთ ბავშვებს მულტფილ-მებზე მუშაობის დასრულებაში.

მულტფილმების ჩვენება - ვაჩვენოთ ბავშვებს მათ მიერ მომზადებული მულტფილმების საბოლოოვერსია. ბავშვები ახდენენ თვითრეფლექსიას - ამბობენ, მოეწონათ თუ არა პროცესი და რა გაუჭირდათ.

როლური თამაშები

1. **"ფილმობანა/მულტფილმობანა"-** როლური თამაშის რეკვიზიტებს განვსაზღვრავთ იმის მიხედვით, თუ რომელი ფილმიდან ან მულტფილმიდან ვაჩვენებთ ბავშვებს ნაწყვეტებს. სასურველია, ბავშვები კარგად იცნობდნენ ამ ფილმის შინაარსს. მაგ. პეპის თავგადასავლის ამორჩევის შემთხვევაში როლური თამაშების ადგილას შევიტანთ მის გასათამაშებლად საჭირო რეკვიზიტებს: სათამაშო მაიმუნსა და ცხენს, წითელ პარიკს, რომელიც შეიძლება საქსოვი ძაფებითაც დამზადდეს, ჩანთას სათამაშო მონეტებით, ჭრელ გრძელ წინდებსა და დიდ ფეხსაცმელებს, წინსაფარს, ჭურჭელს, ფქვილს, წყალს, ჯამსა და სათქვეფელას.

2. "მულტფილმობანა" - როლური თამაშების სივრცეში შევიტანოთ წინასწარ შერჩეული მულტფილმის შესაბამისი რეკვიზიტები, რათა ბავშვებმა შეძლონ გმირებისა და ამბების გათამაშება.

მე – 16 კვირა

თემა: ემოციები, ჩემი საყვარელი გმირი – I კვირა

თემის ხანგრძლივობაა ორი კვირა. თემა მიზნად ისახავს ემოციების გაცნობა-განხილვასა და ემოციების მართვის სწავლებას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით.

ბავშვებს, ისევე როგორც უფროსებს, სხვადასხვა ემოციასთან უწევთ გამკლავება. ისინიც ბრაზდებიან, ღიზიანდებიან, ნერვიულობენ, უხარიათ, რაღაცის გამო მოიწყენენ ან რცხვენიათ, ზოგჯერ კი არასათანადო ფორმით გამოხატავენ საკუთარ ემოციებს. თემაში გამოყენებული სხვადასხვა აქტივობა შესაძლებლობას მისცემს აღმზრდელს, დაეხმაროს ბავშვებს იმაში, რომ გაერკვიონ თავიანთ ემოციებში, ასწავლოს მათი გამოხატვა მისაღები გზით. თემის მიმდინარეობისას ბავშვები ისაუბრებენ და გააანალიზებენ სხვადასხვა ემოციას, შეადარებენ და განასხვავებენ მათ ერთმანეთისაგან; ამას გარდა, განიხილავენ საყვარელ გმირებს და მათ თვისებებს.

თემაზე მუშაობისას ბავშვებს საშუალება ექნებათ დააკვირდნენ, იპოვონ მსგავსება და განსხვავება, გაითამაშონ სცენები.

ემოციებზე დაკვირვებისა და მათი მისაღები ფორმით გამოხატვის შესწავლის გარდა, თემის ფარგლებში განხილული საკითხები და განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს აღსაზრდელთა ფიზიკურ განვითარებას, ასევე კრიტიკული, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი აზროვნების, თვითშეფასების, თვითმართვის, თვითგამოხატვისა და მეტყველების განვითარებას.

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ინდივიდუალიზება	**ვინ არის ჩემი საყვარელი გმირი და რატომ მომწონს ის?**	**აქტივობა:** შეადარე შენი საყვარელი ორი გმირი **წესებიანი თამაში:** ზღაპრის გმირების მემოს/მახსოვრობის ბარათების დამზადება **როლური თამაში:** ზღაპრის სამყაროში - მე ჩემი საყვარელი გმირი ვარ. **აქტივობა**: საყვარელი გმირის აქსესუარების დამზადება	ბავშვების მიერ შერჩეული ზღაპარი დასახელებულ საყვარელ გმირზე	თამაში- „ბურთის გადაცემა წყვილებში“	**აქტივობა სამუშაო ფურცლებით**: გაავლე ზიგზაგები ზღაპრის გმირებს შორის **წესებიანი თამაში**: ზღაპრის გმირების მემო/მახსოვრობის ბარათები **აქტივობა**: ბავშვები ხატავენ საყვარელი ზღაპრის/წიგნის გმირს	ბავშვები უსმენენ და ცეკვავენ საყვარელი მულტფილმების სიმღერებსა და მელოდიებზე	ვაჯამებთ დღეს და ვთხოვთ ბავშვებს, ისაუბრონ იმაზე, თუ რომელი აქტივობა იყო მათთვის იმ დღეს ყველაზე საინტერესო და რატომ.
მასალები/რესურსები		დაფა ან დიდი ფორმატის ქაღალდი, მარკერები; შესაძლებელია ზღაპრის გმირების სურათები, საჭიროა ორი ერთნაირი ან ბარათის ზომებად დაჭრილი სქელი ქაღალდი და ფერადი ფანქრები;					

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
		დამხმარე საშუალებები, სხვადასხვა გმირის კოსტიუმები, გვირგვინები, ბაფთები, შარფები და ა.შ. სხვადასხვა ფერის ნაჭრები, სქელი მუყაოს ფერადი ქაღალდები, წებო, მაკრატელი, სხვადასხვა გასაფორმებელი საშუალება; ფერადი თვლები, მძივები, და ა.შ.	წიგნი	ბურთი	წინასწარ ამობეჭდილი სამუშო ფურცელი ზღაპრის გმირების გამოსახულებით; ბარათები; თაბახის ფურცლები, ფანქრები.	მელოდიები სხვადასხვა ცნობილი მულტფილმებიდან	
სამშაბათი ინდივიდუალიზება	**გამოვიცნოთ ემოცია**	**აქტივობა**: მოვიფიქროთ ემოციების გამომხატველი სიტყვები **როლური თამაში:** ზღაპრის სამყაროში - მე ჩემი საყვარელი გმირი ვარ. **წესებიანი თამაში:** სარკის ეფექტი	„ტოპო-ტიპი დაბადების დღისთვის ემზადება“ 	თამაში: „მოძრაობა ბურთით“	**აქტივობა სამუშაო ფურცლებით**: გააფერადე, გაავლე ხაზი და დახატე 4 ძირითადი ემოცია **აქტივობა:** ემოციების ორცხობილები **აქტივობა:** იპოვე შენი თავი	ჩავრთოთ განსხვავებული ტიპის სხვადასხვა მუსიკა (სევდიანი, მხიარული და ა.შ) და წავახალისოთ ბავშვები, იცეკვონ იმის მიხედვით, თუ რა შეგრძნებას უქმნის ესა თუ ის მუსიკა.	*რეფლექსია:* რომელი აქტივობა მოგეწონათ დღეს ყველაზე მეტად?

ორშაბათი	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
					მოგვიანებით სთხოვეთ აღწე-რონ, როგორია ეს მუსიკა და რა ემოცია გამოიწვია მათში (სიხარუ-ლი, სევდა, შიში და ა.შ.).		
მასალები/რესურ-სები	ბავშვების მიერ ორშაბათს დამ-ზადებული ზღაპრის გმი-რების აქსესუ-არები	წიგნი	ბურთი	სამუშაო ფურცლები ამობეჭდილი ყველა ბავშ-ვისთვის; პლასტილი-ნი, მარილი-ანი ცომი ან ორცხობილას დასამზადე-ბელი მასალა; ძველი ჟურ-ნალები.	სხვადასხვა ტი-პის მუსიკალური კომპოზიციები, კლასიკური მუ-სიკა.		

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	**რას ვგრძნობ, როცა...**	**პროექტი**: ემოციების წიგნი (I დღე). **წესებიანი თამაში:** სიმონი ასახელებს ემოციებს **როლური თამაში:** რატომ მოიწყინა დათუჩამ?	„გაქვს შენ საიდუმლო?“ 	მოძრავი თამაში „ჭაობი“	**აქტივობა სამუშაო ფურცლებით**: შემოხაზე, რაც შემდეგ მოდის **აქტივობა:** ემოციების სახლები **თამაში:** გრძნობების გამოფენა	ბავშვები მღერიან სხვადასხვა საბავშვო სიმღერას და შემდეგ ამბობენ იმას, თუ როგორ ემოციას ტოვებს მათში ეს სიმღერები: „ეს საწყალი კურდღელი“. „კანფეტების წვიმა“, „ჯამბაზები“ და „თუ, თუ, თუ“	*რეფლექსია:* რა გააკეთეს ისეთი, რის გაკეთებასაც კიდევ ისურვებდით?
მასალები/ რესურსები		ფერადი ფურცლები, სათამაშო დათვი, სხვადასხვა კოსტიუმი და დამხმარე საშუალებები როლური თამაშებისთვის.	წიგნი		სამუშაო ფურცლები; სახატავი ფურცლები და ფერადი ფანქრები.		

ორშაბათი	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	**რა ვქნა, როცა ვბრაზდები? როგორ ვმარ-თოთ ჩვენი ემოციები.**	**პროექტი**: ემოციების წიგნი (II დღე) **როლური თამაში:** ბრაზიანი მეფე **წესებიანი თამაში**: „გადა-აწოდე ვაშლი“ **აქტივობა:** „გაბრაზებული ბუშტი“	„ჰერბერტ მავნე“ (ზღაპარი წიგნიდან „ფერიების ზღაპრები“) 	თამაში - „შემხვედრი ესტაფეტა“	**აქტივობა სამუ-შაო ფურცლებით**: დაითვალე და გა-აფერადე გეომეტ-რიული ფიგურები **თამაში კამათლით**: როცა ვბრაზდები	ვუსმენთ, ვმღე-რით და ვცეკ-ვავთ სიმღერაზე- „კანფეტები ცვიოდა“ ნუკრი კაპანაძე https://www.youtube.com/watch?v=D_-DRGXxvwE	რეფლექსია: რა იყო საუკე-თესო, რაც მოისმინეთ დღეს?
მასალები/ რესურსები		ფერადი ფურც-ლები, ფერადი ფანქრები, ვაშლი, 2-3 ცალი ბუშტი, ფლომასტერი.			სამუშაო ფურც-ლები - დახატუ-ლია სხვადასხვა ფიგურა, ერთი მათგანი განსხვა-ვებულია;		

ორშაბათი	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივიდუალიზება	**ნამდვილი მეგობარი**	**პროექტი**: ემოციების წიგნი (III დღე) **აქტივობა:** თქვი, რას იგრძნობ? **აქტივობა:** მოდი, ვითამაშოთ **როლური თამაში:** ბრაზიანი მეფე	„ტოპო-ტიპი გააბრაზეს“ 	„არ გაგივარ-დეს ბურთულა“ აღმზრდე-ლის ნიშანზე მოთამაშეებ-მა კოვზზე დადებული ბურთულით უნდა გადაკ-ვეთონ ფინი-შის ხაზი.	**აქტივობა სამუშაო ფურცლებით**: დახატე და დაითვალე წრეები	ვუსმენთ და ვმღერით ერთად სიმღერას „ჩახედე მეგობარს თვალებში“	რეფლექსია: რომელი აქტივობა მოგეწონათ? ბავშები საუბრობენ მათ მიერ შექმნილ წიგნებზე. წარმოადგენენ რომელიმე ნახატს და საუბრობენ ნახატზე გადმოცემულ ემოციებზე. ყვებიან, რა მოეწონათ წიგნის პროექტში.

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები		ფურცლების წიგნის ასაკინძი საშუალებები: ქაღალდის გასახვრეტი, საქსოვი ძაფი ქაღალდების ერთმანეთთან დასამაგრებლად. როლური თამაშისთვის საჭირო დამხმარე საშალებები, გვირგვინები, მოსასხამები, შარფები, შუბები და ა.შ.		კოვზი პატარა სათამაშ ბურთი.	ჩვენ მიერ დამზადებული წრეების გამოსახულებები წერტილებით.		

პირველი შეხვედრა წრეში

1. **ვინ არის ჩემი საყვარელი გმირი და რატომ მომწონს ის?-** ვისაუბროთ ბავშვებთან მათი საყვარელი წიგნის გმირების შესახებ. ვთხოვოთ, დაასახელონ მათი საყვარელი გმირი და აგვიხსნან, რატომ მოსწონთ ის, რა თვისებების გამო მოეწონათ ესა თუ ის გმირი. ვთხოვოთ ბავშვებს გაგვიზიარონ, თუ ვინ უკითხავთ წიგნებს სახლში ყველაზე ხშირად.



2. **გამოვიცნოთ ემოცია -** ვაჩვენოთ ბავშვებს სხვადასხვა ემოციის გამომსახველი სახეები (იხ. ილუსტრაცია #9). ვკითხოთ, რას გამოხატავენ ისინი, როდის შეიძლება გვქონდეს ასეთი სახე? იმისთვის, რომ უფრო გასაგები გახდეს, რას გულისხმობს სიტყვა „ემოცია“, გამოვიყენოთ ილუსტრირებული წიგნები და ვისაუბროთ იმაზე, თუ რას შეიძლება გრძნობდეს ესა თუ ის გმირი წიგნში ნაჩვენებ ილუსტრაციაზე. მაგალითად: „შეხედეთ წითელქუდას სახეს; ის ძალიან შეშინებულია, როდესაც მგელს ხედავს ბებიას ტანსაცმელში“. წავახალისოთ, რომ ისაუბრონ საკუთარ ემოციებზე. ვკითხოთ, რას გრძნობენ, როცა იღებენ საჩუქრად ახალ სათამაშოს (გრძნობენ თუ არა სიხარულს?), როგორ გრძნობენ თავს საკუთარ დაბადების დღეზე.

3. **რას ვგრძნობ, როცა...** - ვესაუბროთ ბავშვებს იმაზე, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი საკუთარ ემოციებზე საუბარი. ვკითხოთ, უყვებიან თუ არა ისინი სხვებს (მშობლებს, და-ძმებს) საკუთარი ემოციების შესახებ, უზიარებენ თუ არა მათ საკუთარ სიხარულსა და წუხილს. უყვებიან თუ არა მათ, როცა რამის ეშინიათ? ვესაუბროთ ბავშვებს იმაზე, რომ საკუთარ ემოციებზე საუბარი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რამე გვაწუხებს. თუ მშობლებს ან და-ძმებს მოვუყვებით იმას, რაც გვაწუხებს, ისინი შეძლებენ ჩვენ დახმარებას.

4. **რა ვქნა, როცა ვბრაზდები? როგორ ვმართოთ ჩვენი ემოციები -** ვთხოვოთ ბავშვებს ისაუბრონ იმაზე, თუ რას აკეთებენ / როგორ იქცევიან, როცა ბრაზდებიან ან როცა რაიმე სწყინთ, როცა უხარიათ და ბედნიერი არიან, როგორ გამოხატავენ საკუთარ ემოციებს. ვესაუბროთ ბავშვებს საყვარელი წიგნის გმირებზე. გავიხსენოთ, როგორ იქცევიან ისინი, როცა ვინმე აბრაზებთ, როცა რაღაცის ეშინიათ ან როცა რაღაც არ გამოსდით. ვკითხოთ, მოსწონთ თუ არა ამ გმირების საქციელი და რატომ? მოიქცეოდნენ თუ არა ასე, მათ ადგილზე რომ ყოფილიყვნენ?

5. **ნამდვილი მეგობარი -** ვკითხოთ ბავშვებს, რას ნიშნავს მეგობარი. წავახალისოთ, რომ მოგვიყვნენ თავის საუკეთესო მეგობარზე (რა უყვარს მათ მეგობარს? რა სწყინს? გაიხსენონ, რით გაახარეს მე-

გობარი). ვისაუბროთ, რომ ჯგუფში ყველა ერთმანეთის მეგობრები ვართ, უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს და გული არ უნდა ვატკინოთ. ვისაუბროთ, თუ რამ შეიძლება გვატკინოს გული (ხშირად ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვეხუმრებით მეგობარს, მაგრამ ჩვენმა ხუმრობამ ზოგჯერ მას შეიძლება გული ატკინოს). ვისაუბროთ ქცევებზე, რომლებიც გვეხმარება სიყვარულის, სითბოს, კეთილგანწყობისა და სხვა ემოციების გამოხატვაში.

საქმიანობათა ინსტრუქციები

1. **შეადარე შენი საყვარელი ორი გმირი -** ვკითხოთ ბავშვებს, რომელია მათი საყვარელი ზღაპრის გმირი, შევთავაზოთ მათი გამოსახულებების კედელზე გამოფენა. ვთხოვოთ თითოეულ მათგანს,მოგვიყვეს მათ შესახებ (რის გამო მოსწონს, რა თვისებები აქვს). მას შემდეგ, რაც ბავშვები გაგვაცნობენ თავიანთ საყვარელ გმირებს, პატარების სურვილის მიხედვით ავირჩიოთ ორი რომელიმე გმირი და შევუდაროთ ისინი ერთმანეთს.

2. **ზღაპრის გმირების მემოს/მახსოვრობის ბარათების დამზადება -** მემოს ბარათების დამზადება შესაძლებელია როგორც ზღაპრის გმირების ილუსტრაციების გამოყენებით (იხ. ილუსტრაცია #10), ასევე ბავშვების მიერ დახატული ზღაპრის გმირებით. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები დაამზადებენ ბარათებს, საჭირო იქნება ბარათის ზომაზე დაჭრილი ფურცლების მომზადება. ამ ფურცლებს წყვილად დავურიგებთ ბავშვებს, რომლებიც დახატავენ ერთსა და იმავე გმირს ორ ბარათზე.

3. **საყვარელი გმირის აქსესუარების დამზადება -** ბავშვები ირჩევენ ამა თუ იმ გმირის აქსესუარს, რომლის დამზადებაც სურთ. შეგვიძლია შევთავაზოთ შესაძლო ვარიანტები: მაგალითად, პრინცესას ან პრინცის გვირგვინი, სუპერგმირის მოსასხამი და სამაჯურები, ქუდი და ა.შ.თუ რესურსები შეზღუდულია, შესაძლებელია ბავშვებს შევთავაზოთ გვირგვინების გაკეთება. მათი დამზადება შესაძლებელია მუყაოს რულონის გამოყენებით. გვირგვინის მარტივი ვარიანტისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სქელი მუყაო.

4. **მოვიფიქროთ ემოციების გამომხატველი სიტყვები -** ვთხოვოთ ბავშვებს, დაგვისახელონ ემოციის გამომხატველი სხვადასხვა სიტყვა (მაგალითი ჩვენ უნდა მივცეთ). შეგვიძლია დავხატოთ ბავშვების მიერ დასახელებული ემოცია, გვერდით მივუწეროთ შესაბამისი სიტყვა, თან გავიმეოროთ, რათა ბავშვებს დავეხმაროთ სიტყვის გრაფიკული და აკუსტიკური ხატების დაკავშირებაში. გავახსენოთ ბავშვებს სხვადასხვა სიტუაცია ზღაპრებიდან და ვკითხოთ, თუ რას გრძნობდა იმ დროს გმირი/ რა ემოცია ჰქონდა მას (იყო მოწყენილი, გახარებული, აღელვებული, შეშინებული, აფორიაქებული, დაღლილი, გაბრაზებული და ა.შ).

5. **გაბრაზებული ბუშტი:** აქტივობა წარმოადგენს კარგ ვიზუალურ საშუალებას იმისათვის, რომ ბავშვებმა ისწავლონ, როგორ შეიძლება ბრაზის ემოციისგან ნელ-ნელა გათავისუფლება.

   გავბეროთ ბუშტი (არ გავნასკვოთ ბუშტის თავი) და დავხატოთ მასზე გაბრაზებული სახე. შემდეგ ვუთხრათ ბავშვებს, რომ ეს ბუშტი არის მათი ბრაზის ემოცია. შევთავაზოთ იმაზე დაფიქრება, თუ რა ხდება/რა მოსდით, როდესაც უგროვდებათ ბრაზი, როგორ გრძნობენ თავს, რისი გაკეთების სურვილი უჩნდებათ ან რას აკეთებენ ხოლმე.

საუბრის დასრულების შემდეგ გავუშვათ ბუშტს ხელი და ნელ-ნელა გამოვუშვათ ჰაერი (შესაძლებელია ბუშტის გახეთქვაც იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ იქცევა ზოგჯერ გაბრაზებული ადამიანი) და ვესაუბროთ ქცევებზე, რომლებიც დაკავშირებულია გაბრაზებასთან: ყვირილი, "ცუდი" სიტყვების თქმა, ხელების ქნევა და ა.შ. ვუთხრათ, რომ თუ გვინდა არ დავემსგავსოთ ბუშტს, საჭიროა ვისაუბროთ ჩვენს გრძნობებზე, ვუთხრათ ერთმანეთს, რაც არ მოგვწონს/გვაბრაზებს და თავიდან ავიცილოთ უსიამოვნო ქცევები.

6. **თქვი, რას იგრძნობ? -** ვთხოვოთ ბავშვებს, დაასახელონ სიტყვები, რათა გამოხატონ ემოცია, რომელსაც იგრძნობდნენ სხვადასხვა სიტუაციაში, კერძოდ:

7. მოვიფიქროთ რაც შეიძლება მეტი დადებითი სიტუაცია ჩვენი ჯგუფის ყოველდღიური ცხოვრებიდან (მაგ., დაინახეს, როგორ დაუთმო ერთმა ბავშვმა მეორეს თავისი სათამაშო; როგორ გაიყვეს თანაბრად რაიმე; როგორ დაეხმარა ერთი ბავშვი მეორეს წაქცეული სკამის აყენებაში და ა.შ.), შიგადაშიგ დავასახელოთ რამდენიმე უსიამოვნო სიტუაციაც (მაგ., დაინახეს, რომ ერთმა ბავშვმა მის გვერდით მდგარ სკამზე არ დასვა მეორე ბავშვი და ა.შ.). ეცადეთ, რომ უარყოფითი სიტუაციები არ სჭარბობდეს დადებით სიტუაციებს. ამის მერე შეაფასეთ, რომელი სიტუაციის დროს იყო უფრო მეტი სასიამოვნო ემოცია. ჰკითხეთ როგორ ფიქრობენ, რა არის ამის მიზეზი.

7. **მოდი, ვითამაშოთ -** ვესაუბროთ ბავშვებს იმაზე, რომ თითოეული მათგანი იმსახურებს პატივისცემით მოპყრობას ჯგუფის წევრების მხრიდან - ანუ ყველანი კეთილნი უნდა იყვნენ ჯგუფელების მიმართ და ჩართონ ისინი თამაშებსა და სხვადასხვა აქტივობაში. ვთხოვოთ ბავშვებს, გაითამაშონ შემდეგი სიტუაცია: რამდენიმე ბავშვი თამაშობს ერთად, ერთი კი დგას ცალკე და უყურებს მათ. მას ძალიან უნდა თამაში, მაგრამ რცხვენია ან რაიმე მიზეზით ვერ მიდის მათთან ახლოს.

ვთხოვოთ ბავშვებს მოიფიქრონ, თუ როგორ მოიწვევენ ბავშვს მათთან სათამაშოდ, რას ეტყვიან მას და როგორ მიიყვანენ ჯგუფში. შეგვიძლია ასევე გავათამაშოთ სიტუაცია მეორე მხრიდანაც: ვთხოვოთ ცალკე მდგომ ბავშვს იმის მოფიქრება, თუ როგორ შეუერთდება მოთამაშე ბავშვების ჯგუფს, თუკი აქვს ამის სურვილი.

თუ თამაში პოზიტიურად და წარმატებით წარიმართა, ვთხოვოთ ბავშვებს, გაითამაშონ რამდენიმე სცენა. ჩვენ თავად გავითამაშებთ იმ ბავშვის როლს, რომელიც ამბობს: „შენ ვერ ითამაშებ ჩვენთან". მივცეთ ბავშვებს შესაძლებლობა მოიფიქრონ, თუ რას ეტყვიან საპასუხოდ უარის მთქმელ ბავშვს, როგორ გადაჭრიან მსგავს პრობლემას. დავასრულოთ აქტივობა იმით, რომ ავუხსნათ ბავშვებს - აუცილებე-

ლი არ არის ყოველთვის ყველა ბავშვის ჩართვა ყველა თამაშში, მაგრამ აუცილებელია, ვიყოთ მეგობრული და გულთბილად მოვეპყრათ ჯგუფელებს.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. ზღაპრის გმირების მემო/მახსოვრობის ბარათები

მცირე ჯგუფებში ბავშვები თამაშობენ მახსოვრობის ბარათებით, რომლებიც თვითონ დაამზადეს.

2. სარკის ეფექტი

ერთი ბავშვი განასახიერებს ემოციას. მეორემ უნდა გამოიცნოს, რა ემოციას გამოხატავს ის, დაასახელოს და შემდეგ თვითონაც გამოხატოს იგივე ემოცია.

3. სიმონი ასახელებს ემოციებს

ჯგუფიდან შეარჩევენ ერთ-ერთი ბავშვს, რომელიც თამაშობს სიმონის როლს. სიმონის როლში მყოფი ბავშვი დგება ჯგუფის წინ და ამბობს „სიმონი ამბობს, გახდი ბედნიერი (მოწყენილი, დაღლილი, მხიარული, გაბრაზებული, შეშინებული, სევდიანი და ა.შ)“, ბავშვები კი იღებენ ბედნიერ, მოწყენილ, დაღლილ, მხიარულ და ა.შ სახეებს. შესაძლებელია ამ კითხვებს დავუმატოთ სხვა შეკითხვებიც (მაგ., რამ გაგხადა ბედნიერი? რატომ ხარ მოწყენილი? და ა.შ.), ბავშვები კი დაასახელებენ ემოციათა გამომწვევ მიზეზებს.

4. გადააწოდე ვაშლი - ბავშვები სხდებიან წრეში. ერთ-ერთ ბავშვს ვაძლევთ ვაშლს (ან პატარა ბურთს). როდესაც უკრავს მუსიკა, ბავშვები ერთმანეთს გადააწოდებენ ვაშლს. მოთამაშე, რომლის ხელშიც აღმოჩნდება ვაშლი მუსიკის შეწყვეტის დროს, იძახის „ააა!“, როგორც გაბრაზებული ბავშვი. ვეკითხებით: „რა გაბრაზებს?“, ბავშვმა კი უნდა დაასახელოს ერთი მიზეზი, რის გამოც ბრაზდება ხოლმე.

ამის შემდეგ გავბერავთ ახალ ბუშტს და ვესაუბრებით ბავშვებს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ნელ-ნელა ბრაზის ემოციისგან გათავისუფლება. ლაპარაკის დროს თანდათან ვუშვებთ ბუშტიდან ჰაერს, თან ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ბუშტი გადარჩა (არ გაფრინდა და არ გასკდა) ჰაერის ნელ-ნელა გამოშვების შედეგად. ვუხსნით ბავშვებს, რომ მსგავსი რამის გაკეთება შეიძლება ბრაზისგან გასათავისუფლებლად.

5. შემხვედრი ესტაფეტა

ერთმანეთს ეჯიბრება 2 გუნდი. მონაწილეები ბურთს გადასცემენ ერთმანეთს (ბურთის ტარებით). წაგებულია ის გუნდი, რომელსაც მეტჯერ დაუვარდება ბურთი.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. აქტივობა: სამუშაო ფურცლებით - გაავლე ხაზი ზღაპრის გმირებს შორის

ამ აქტივობისათვის ბავშვებს წინასწარ უნდა დავუმზადოთ სამუშაო ფურცლები. მათზე გამოსახული არიან ზღაპრის გმირები, რომელთა შორის სხვადასხვა ფორმის წყვეტილი ზიგზაგებია გავლებული. წავა-

ხალისოთ ბავშვები, რომ სქელი ფანქრით გაჰყვნენ ზიგზაგებს ერთი გმირიდან მეორემდე (იხ. ილუსტრაცია #11).

2. აქტივობა: ბავშვები ხატავენ საყვარელი ზღაპრის/წიგნის გმირს

წავახალისოთ ბავშვები, დახატონ საყვარელი ზღაპრის გმირი. ბავშვების ნახატები გამოვფინოთ კედელზე. ნახატები გამოვიყენოთ ასევე თემის დასასრულს, შემაჯამებელი გამოფენის ერთ-ერთ ნაწილის სახით.

3. ემოციების ორცხობილები

ბავშვები ქმნიან ემოციის გამომხატველ სახეებს/ემოტიკონებს - ძერწავენ პლასტილინისგან ან თიხისგან. შეიძლება დავუმზადოთ მრგვლად ამოჭრილი ფორმებიც, რომლებსაც ბავშვები დაახატავენ სახეებს.

4. აქტივობა სამუშაო ფურცლით - გააფერადე, გაავლე ხაზი და დახატე 4 ემოცია.

5. იპოვე შენი თავი - ვთხოვოთ ბავშვებს, ამოარჩიონ სურათზე ემოცია, რომელიც გამოხატავს მათ განწყობას იმ მომენტისათვის. ასარჩევი სურათები შეიძლება ამოჭრილი იყოს ძველი ჟურნალებიდან ან დახატული იყოს ერთ ფურცელზე პლაკატის სახით. შესაძლებელია ასევე დამზადდეს ბარათებიც.

6. შემოხაზე, რაც მოდის შემდეგ - წინასწარ მომზადებულ სამუშაო ფურცლებზე ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, თუ რა თანამიმდევრობაა ფურცელზე გამოსახული და შესარჩევი პასუხების ნუსხიდან შემოხაზონ შესაბამისი ფიგურა (იხ. ილუსტრაცია #12).

7. ემოციების სახლები - ბავშვები ხატავენ სამი სახლის დიდ ჩარჩოს ცალ-ცალკე ფურცელზე. ერთი შიშისა და სევდის სახლია, რომელშიც ბავშვები ხატავენ იმას, რისიც ეშინიაც და რაზეც ღელავენ. მეორე სახლი არის ბედნიერების სახლი, რომელშიც ხატავენ იმას, რაც/ვინც უყვართ და რაც ახარებთ. მესამე სახლი კი ოცნებების სახლია. ამ სახლში ბავშვები ხატავენ იმას, რაზეც ოცნებობენ.

8. გრძნობების გამოფენა - წავუკითხოთ ბავშვებს წინასწარ მომზადებული წინადადებები. ვთხოვოთ, გამოხატონ მიმიკით ემოციები. მაგ.: გუშინ მოვდიოდი ბაღში, დავინახე პეპელა და ძალიან გამიხარდა; უცებ დაიწყო წვიმა, მე კი ქოლგა არ მქონდა თან, სახლში დამრჩა, სხვ. (ბავშვები გამოხატავენ შესაბამის ემოციებს).

9. დაითვალე და გააფერადე გეომეტრიული ფიგურები - ბავშვებს დავურიგოთ სამუშაო ფურცელი, რომელზეც გამოსახულია გეომეტრიული ფიგურები. დავითვალოთ გეომეტრიული ფიგურების რაოდენობა, დავასახელოთ ფიგურები და შემდეგ გავაფერადოთ (იხ. ილუსტრაცია #13).

10. თამაში კამათლით: როცა ვბრაზდები

ამ თამაშის მიზანია, ასწავლოს ბავშვებს საკუთარი ემოციების მართვა. ბავშვები მცირე ჯგუფში სათითაოდ აგორებენ მხოლოდ ერთ კამათელს. ყველა გაგორებულ ციფრს ახლავს შესაბამისი დავალება:

- თუ გაგორდა ერთიანი, ბავშვმა უნდა დაასახელოს ერთი რამ, რაზეც ბრაზდება ხოლმე.
- ვისაც შეხვდება ორიანი, მან უნდა დაასახელოს ისეთი რამ, რისი გაკეთებაც დაამშვიდებდა გაბრაზების დროს.
- სამიანის გაგორებისას ბავშვმა უნდა მოიფიქროს, როგორ შეუძლია გამოხატოს გაბრაზება, როცა საბავშვო ბაღშია.
- თუ ოთხიანი გაგორდა, ბავშვმა უნდა გაიხსენოს შემთხვევა, როდესაც ძალიან გაბრაზდა.
- თუ გაგორდა ხუთიანი, ბავშვმა უნდა აღწეროს, როგორ ვერ გააკონტროლა თავისი გაბრაზება და როგორ მოიქცა.
- ექვსიანის გაგორების შემთხვევაში ბავშვმა უნდა მოიფიქროს, თუ როგორ შეძლებს გაბრაზების დროს ბრაზის მართვას.

ამის შემდეგ გავიმეოროთ იგივე აქტივობა დადებით ემოციებზე (დავასახელოთ, მოვიფიქროთ, აღვწეროთ, რაც გვახარებს / გვაყენებს კარგ ხასიათზე).

პროექტები

1. პროექტი: ემოციების წიგნი (I დღე)

ბავშვები იწყებენ მუშაობას "ემოციების წიგნზე". პროექტი იწყება წიგნების თემაზე საუბრით. ვკითხოთ ბავშვებს, რა იციან მათ წიგნების შესახებ? იციან თუ არა, როგორ იქმნება წიგნები და ვინ ქმნის მათ; ვინ არის ავტორი და ვინ აკეთებს წიგნის ილუსტრაციებს, როგორ და სად ბეჭდავენ წიგნებს.

ავუხსნათ ბავშვებს, რომ მათაც შეუძლიათ გახდნენ წიგნის ავტორები და ილუსტრატორები; შევთავაზოთ, დაიწყონ მუშაობა "ემოციების წიგნზე". შევახსენოთ ბავშვებს, რომ მათ ორშაბათს და სამშაბათს უკვე ისაუბრეს იმაზე, თუ რა არის ემოციები, როდის როგორ გრძნობდნენ თავს სხვადასხვა წიგნის გმირები. წავახალისოთ ბავშვები, დაიწყონ ფიქრი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მათი ავტორობით შექმნილი ემოციების წიგნი: მოიფიქრონ, რა უნდა დახატონ და დაწერონ, რა ფერის ფურცლები უნდა გამოიყენონ. ვთხოვოთ ბავშვებს, შეარჩიონ მათი წიგნებისთვის კონკრეტული ფერი, მოიფიქრონ, რამდენი ფურცელი უნდა ჰქონდეს მათ წიგნს. ბავშვები არჩევენ ფურცლის ფერებს და ითვლიან თავიანთი წიგნებისთვის საჭირო ფურცლების რაოდენობას.

2. პროექტი: **ემოციების წიგნი** (II დღე)

პროექტის მეორე დღეს ბავშვები შეუდგებიან უშუალოდ წიგნზე მუშაობას. მათ მიერ შერჩეული ფერის ფურცლებზე იწყებენ დადებითი ემოციების ხატვას - ხატავენ დადებითი ემოციების გამომხატველ სახეებს და ასევე ისეთ ნახატებს, რომლებიც ამ ემოციებს (სიხარულს, ბედნიერებას და ა.შ.) ასახავს. დავეხმაროთ ბავშვებს წიგნისათვის სათაურის შერჩევაში.

3. პროექტი: **ემოციების წიგნი** (III დღე)

პროექტის მესამე დღეს ბავშვები ხატავენ ნეგატიური ემოციების გამომხატველ სახეებს და ამ ემოციების შესაფერის ნახატებს. როგორც დადებითი ემოციების შემთხვევაში, ამ ნახატებსაც მოვუძებნოთ საერთო სახელწოდება. ბოლოს დავეხმაროთ ბავშვებს წიგნების აკინძვაში. დღის ბოლოს, მეორე წრის დროს, ბავშვები საუბრობენ მათი ემოციების წიგნებზე. თითოეული საუბრობს იმაზე, თუ რატომ დახატა ესა თუ ის ნახატი (ამა თუ იმ ემოციის გამოსახატად).

როლური თამაშები

1. როლური თამაში: ზღაპრის სამყაროში მე ჩემი საყვარელი გმირი ვარ

სხვადასხვა დამხმარე საშუალების (ქუდები, თავშალი, მოსასხამი, გვირგვინები და ა.შ.) გამოყენებით ბავშვები წარმოადგენენ საყვარელ გმირს და ქმნიან ზღაპრულ სამყაროს, სადაც სხვადასხვა ზღაპრის გმირები ხვდებიან ერთმანეთს.

2. როლური თამაში: ზღაპრის სამყაროში მე - ჩემი საყვარელი გმირი ვარ

მეორე დღეს ბავშვები იყენებენ წინა დღეს დამზადებულ საყვარელი გმირების აქსესუარებს.

3. როლურ ითამაში: რატომ მოიწყინა დათუჩამ?

ამ როლურ თამაშში ბავშვებს ჰყავთ მეგობარი დათუჩა, რომელიც ძალიან მოწყენილია. ბავშვები ცდილობენ გაიგონ, რატომაა ის მოწყენილი და უნდა მოიფიქრონ, როგორ/რით უნდა გაამხიარულონ მეგობარი. ზოგი ხდება ექიმი, რათა გაიგოს, ავად ხომ არ არის დათუჩა; ზოგი ხდება მზარეული, რათა გემრიელი საჭმელი გაუკეთოს მას; ზოგი მიდის სათამაშოების მაღაზიაში, რათა ახალი სათამაშო უყიდოს, ზოგს კი დათუჩა გარეთ გაჰყავს სასეირნოდ და ა.შ.

4. როლური თამაში: ბრაზიანი მეფე

ამ თამაშში ერთი ბავშვი მოირგებს ბრაზიანი მეფის როლს, დანარჩენი ბავშვები კი ინაწილებენ მეფის ოჯახის წევრებისა და მის კარზე მცხოვრები პირების როლებს. ესენია: დედოფალი, პრინცესა, უფლისწული, კარისკაცები, ვეზირები, ელჩები, ჯამბაზი და ა.შ. მონაწილეები საქმიანობენ თავიანთი როლების შესაბამისი საქმეებით. მეფე ძალიან ბრაზიანია, უკლებლივ ყველაფერზე ბრაზდება. მეფის კარზე ყველა ცდილობს გაიგოს, რატომ ბრაზდება მეფე ყველაფერზე; ყველას უნდა, რომ დაეხმაროს მას ქცევის გამოსწორებაში.

როგორ უნდა განვიხილოთ ბავშვებთან წიგნი „ტოპო-ტიპი გააბრაზეს“

იმ წიგნების წაკითხვა, რომლებშიც აღწერილია ვინმეს დაჩაგვრის სიტუაციები, კარგი საშუალებაა იმაზე სასაუბროდ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ბავშვები მსგავს სიტუაციებში. „ტოპო-ტიპი გააბრაზეს“ სწორედ ერთ-ერთი ასეთი წიგნია: ტოპო-ტიპი ხდება ჩაგვრის მსხვერპლი საბავშვო ბაღში და ასევე თვითონ ხდება იმის მოწმე, თუ როგორ ჩაგრავენ ბავშვები სხვას. ამ და სხვა მსგავსი წიგნების კითხვის დასრულების შემდეგ მიზანშეწონილია შემდეგი კითხვების დასმა:

- რაზე მოგვითხრობდა წიგნი?
- რომელი გმირის საქციელი მოგეწონათ და რატომ?
- რომელი გმირის საქციელი არ მოგეწონათ და რატომ?
- თქვენი აზრით, რას გრძნობდა გმირი?
- კიდევ რისი გაკეთება შეეძლო რომელიმე გმირს დახმარების გასაწევად?
- თქვენ რას იზამდით, გმირის ადგილას რომ ყოფილიყავით?
- ყოფილხართ თუ არა მსგავს სიტუაციაში?
- როგორ იგრძენით თავი? რა გააკეთეთ ან რა არ გააკეთეთ? რა დაგეხმარათ ამ სიტუაციაში ან რა არ დაგეხმარათ?

მე – 17 კვირა

თემა: ემოციები – II კვირა

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ინდივიდუალიზება	**რას ნიშნავს თანაგრძნობა?**	**პროექტი**: ”მეგობრობის კედელი” (I დღე) **აქტივობა:** მსგავსი და განსხვავებული **როლური თამაში**: რატომ მოიწყინა დათუჩამ?	სოფიო კინწურაშვილის „კოლოფი“ http://www.kintsurashvili.com/the-box/	„ჩამჭრელი ბურთი“	**აქტივობა სამუშაო ფურცლებით**: შემოხაზე განსხვავებული **აქტივობა**: ”მეგობრობის სამაჯურების” გაკეთება	ვუსმენთ სიმღერას „ნუ ტირი“ https://www.youtube.com/watch?v=j2ZB4Tl9XEg	ვთხოვოთ ბავშვებს, დაასახელონ დღის ყველაზე საინტერესო აქტივობა და ახსნან თავიანთი არჩევანი (რატომ იყო ის მათთვის ყველაზე საინტერესო).

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
რესურსები/მასალები		ფორმატის ფურცლები; მარკერები; ბარათები; მუყაოს ქაღალდები, სამაჯურები; დისკები; ძაფები			საწრუპები, ძაფები ან რეზინი; სამუშაო ფურცლები.		
სამშაბათი ინდივიდუალიზება	**როგორ შევრიგდეთ? - კონფლიქტების მოგვარება.**	**პროექტი**: "მეგობრობის კედელი" (II დღე) **აქტივობა:** რა ვქნა, რომ არ ვიჩხუბოთ? **წესებიანი თამაში**: ავაგდოთ ბურთი ერთად	„ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს“	**თამაში „გადახტი სიგრძეზე“** დავხატოთ ცარცით ციფრები ერთიდან შვიდამდე ერთმანეთისგან დაშორებით. ბავშვები ათვალიერებენ ციფრების რიგს; ხტებიან იმ ციფრამდე, რომელსაც თქვენ ეტყვით. დანარჩენები ამოწმებენ, სწორად შეასრულა თუ არა ბავშვმა დავალება.	**აქტივობა სამუშაო ფურცლებით**: გავაფერადოთ და გავავლოთ ხაზები გეომეტრიულ ფორმებს შორის. **აქტივობა**: "მრავალფეროვნებისა და მეგობრობის ხის" შექმნა	ვმღერით და ვცეკვავთ სიმღერა „ჯამბაზების“ თანხლებით https://www.youtube.com/watch?v=Fxz5GLhX6cc	*რეფლექსია:* რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად?

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები		ფერადი საქსოვი ძაფები და კომპაქტ დისკები; წრის ფორმის დიდი ნაჭერი ან ცელოფანი, მსუბუქი ბურთი.			ფერადი ქაღალდები, ფერადი ფანქრები, ფორმატის ქაღალდები, სამუშაო ფურცლები		
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	**რა არის პატივისცემა?**	**პროექტი**: "მეგობრობის კედელი" (III დღე). **როლურითამაში**: ვიზიტი ექიმთან **წესებიანი თამაში:** ჩვენი რგოლები	წიგნი "პიერი და მთვარე" 	თამაში: წააქციე კეგლი	**აქტივობა სამუშაო ფურცლებით**: გამოჭერი სპირალი **აქტივობა საძერწით**: გამოძერწე შენი სახელის ასოები **აქტივობა**: მე მიყვარს, ჩვენ გვიყვარს	ერთად მოვისმინოთ და ვიმღეროთ სიმღერა „ჩვენი ეზო“ https://www.youtube.com/watch?v=aXeuGFDff9E	რეფლექსია: რომელი აქტივობა იყო დღეს ყველაზე სახალისო?
მასალები/ რესურსები		"ექიმობანას" თამაშისთვის შესაფერისი დამხმარე საშუალებები, 4-5 ცალი ჰულაჰუპის რგოლი.			საძერწი, დიდი თეთრი ფორმატის ქაღალდი.		

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	**როგორ მოვიქცეთ თავაზიანად?**	**როლური თამაში:** ვიზიტი ექიმთან **პროექტი**: „მეგობრობის კედელი“ (IV დღე) **წესებიანი თამაში:** არ დააგდო	წიგნი „ყვავი ცალიწინდა ცუდად იქცევა“ 	თამაში: მიბაძვა სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშების (ან მოძრაობის) გამეორება	**აქტივობა სამუშაო ფურცლებით**: შემოხაზე და გააფერადე წრეები **აქტივობა**: ვძერწავთ ციფრებს **თამაში:** „ვაშლის ხე“	ვუსმენთ და ვცეკვავთ ბავშვების მიერ შერჩეულ მუსიკაზე.	*რეფლექსია:* რომელი აქტივობა იყო დღეს ყველაზე საინტერესო?
	ექიმის თემის სათამაშოები; ბუშტი ან მსუბუქი დიდი ზომის ბურთი.			საძერწი, სამუშაო ფურცლები, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი	ექიმის თემის სათამაშოები; ბუშტი ან მსუბუქი დიდი ზონის ბურთი.		
პარასკევი ინდივიდუალიზება	**შეჯამება** **შევაჯამოთ თემა: „ჩემი მეგობარი - ემოციები“**	**პროექტების პრეზენტაცია**	ბავშვები ირჩევენ კვირის განმავლობაში წაკითხული წიგნებიდან ერთ-ერთს, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონა ბავშვების უმრავლესობას.	ცეკვავენ	**აქტივობა სამუშაო ფურცლებით**: დახატე მხიარული, მოწყენილი, გაბრაზებული და შეშინებული სახეები	მხიარული საცეკვაო მუსიკის ჩანაწერი.	ბავშვები იკრიბებიან წრეში და საუბრობენ მათთვის ყველაზე საინტერესო აქტივობებზე, რომლებიც ემოციების თემის ფარგლებში გაკეთეს.

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
							ბოლოს იწვევენ მშობლებს ოთახში და წარუდგენენ მათ საკუთარი ნამუშევრების გამოფენას.
მასალები/ რესურსები			წიგნი		ამობეჭდილი მზა ფურცლები		ბავშვების ყველა ნამუშევარი, რომლებიც თემის მიმდინარეობისას მომზადდა.

დილის შეხვედრა წრეში:

1. **რას ნიშნავს თანაგრძნობა? -** ვკითხოთ ბავშვებს, იციან თუ არა, რას ნიშნავს "თანაგრძნობა". ვთხოვოთ, საკუთარი სიტყვებით აგვიხსნან მისი მნიშვნელობა, შემდეგ თავადაც ავხსნით და განვმარტავთ. ვკითხოთ ბავშვებს, არის თუ არა საჭირო სხვების მიმართ თანაგრძნობის გამოვლენა. რატომ? რას ნიშნავს, იგძნო თავი სხვის ადგილას? სთხოვეთ, დაასახელონ გმირები მათი საყვარელი წიგნებიდან, რომელთაც ისინი თანაუგრძნობდნენ განსაცდელის დროს. ვკითხოთ, გამოუხატავთ თუ არა თანაგრძნობა მეგობრის მიმართ (რა დროს და კონკრეტულად, რა გააკეთეს ამისთვის?) ვკითხოთ, რისი გაკეთება შეიძლება, როცა გინდა ვინმეს თანაუგრძნო, ვთხოვოთ მაგალითების მოყვანა.

2. **როგორ შევრიგდეთ? -** ვკითხოთ ბავშვებს, როგორ იქცევიან, როცა ვინმეზე გაბრაზდებიან. როგორ რიგდებიან გაბრაზებისა და ჩხუბის შემდეგ? ვთხოვოთ, ისაუბრონ მეგობართან ან და-ძმასთან შერიგების მაგალითებზე.

3. **რა არის პატივისცემა? -** ვესაუბროთ ბავშვებს პატივისცემაზე. ვკითხოთ, იციან თუ არა, რას ნიშნავს სიტყვა „პატივისცემა"; ვთხოვოთ, დაასახელონ პატივისცემის გამოხატვის მაგალითები - გაიხსენონ სიტუაცია, როდესაც ადამიანი პატივისცემას გამოხატავს სხვის მიმართ. ვკითხოთ: რა ემოციები ეუფლებათ, როცა გრძნობენ სხვების პატივისცემას? როგორ შეიძლება გრძნობდეს თავს ადამიანი, უფროსი ან ბავშვი, როცა მას პატივს არ სცემენ? ვისაუბროთ სხვა სახის პატივისცემაზე - გარემოს პატივისცემაზე, წიგნების

პატივისცემაზე. ვთხოვოთ ბავშვებს ახსნან, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს. შევთავაზოთ, მოიფიქრონ კონკრეტული მაგალითები გარემოს, წიგნების პატივისცემაზე.

4. **როგორ მოვიქცეთ თავაზიანად? -** ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება მოვიქცეთ თავაზიანად. დასაწყისში გავაკეთოთ ზოგიერთი მარტივი ქცევის დემონსტრირება (მაგ. გაღიმება, მისალმება). ავუხსნათ, რომ მსგავსი ქცევებით გამოვხატავთ კეთილგანწყობას სხვა ადამიანების მიმართ. ვთხოვოთ, დაასახელონ თავაზიანი ქცევის მაგალითები. ვისაუბროთ იმაზე, თუ როდის ვიყენებთ სიტყვებს: ბოდიში, უკაცრავად, გთხოვთ, გმადლობთ, თუ შეიძლება და ა.შ.

საქმიანობათა ინსტრუქციები

1. 1.მსგავსი და განსხვავებული - ვკითხოთბავშვებს, რა მსგავსებაა მათ შორის, რითგანსხვავდებიანისინიერთმანეთისგან. თუბავშვებსგაუჭირდათკონკრეტული მაგალითებისმოფიქრება, ჩვენდავუსახელოთ (მაგალითად, ლილეს აქვს ცისფერი თვალები, ასეთივე ფერის თვალები აქვთ გიორგის, ნინოს და ნათიას. ეს მათი ერთ-ერთი მსგავსებაა. ლუკას, ბექას, მარიამს, ლიზიკოს და ნუცას კი თაფლისფერი თვალები აქვთ. ამით ისინი ჰგვანან ერთმანეთს და განსხვავდებიან დანარჩენებისგან. გიორგის აქვს ოქროსფერი თმა, დანარჩენ ბავშვებს ჯგუფში ასეთი თმა არ აქვთ, ასე რომ გიორგი თავისი თმის ფერით განსხვავდება სხვებისგან). შეგვიძლია ასევე გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ბავშვებს სხვადასხვა რამ მოსწონთ (მაგალითად, ნიკუშას უყვარს ლეგოს თამაში, გივიკოს კი უყვარს კუბებით კოშკების აშენება; ლიზიკოს უყვარს ხატვა, თათიას კი ძერწვა პლასტილინით; ნათიას შეუძლია სწრაფად სირბილი, მაგრამ ნინის შეუძლია ძალიან შორს, ყველაზე შორს გადახტომა).

ვკითხოთ ბავშებს, როგორი იქნებოდა მათი ჯგუფი, ყველა ბავშვი რომ ზუსტად ერთნაირი იყოს?

ამ კითხვაზე პასუხების მოსმენის დროს ვუთხრათ ბავშვებს, რომ შესაძლოა თავიდან ძალზე სახალისოდ მოგვეჩვენოს, თუკი ყველანი ზუსტად ერთნაირი ვიქნებით, მაგრამ საბოლოოდ ეს ძალიან მოსაწყენი გახდება, რადგან ჩვენ ვერასდროს გავიგებთ და გამოვცდით რაიმე ახალს, ყველა შეჯიბრება ფრედ დამთავრდება და ა.შ. ავუხსნათ ბავშვებს, რომ სწორედ ბავშვებს შორის განსხვავება ხდის ამ ჯგუფს უფრო ძლიერს, უფრო საინტერესოს; ასე უფრო იოლი ხდება ბევრი ახალი რამის გაკეთება. შემდეგ ხაზი გავუსვათ მსგავსებებს ბავშვებს შორის (მაგალითად, ყველა ბავშვი ჭამს, იძინებს, იზრდება, აქვსემოციები/გრძნობები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა ბავშვი სევდიანი, მოწყენილი და გულნატკენია, თუკი მას ცუდად ეპყრობიან).

აქტივობის დასასრულს აღვნიშნოთ შემდეგი: შევთანხმდეთ იმაზე, რომ ყველამ უნდა დავაფასოთ (პატივი ვცეთ) ჩვენი განსხვავებული მახასიათებლები და ჩვენი მრავალფეროვნება. კარგად უნდა გავიაზროთ ეს და გვახსოვდეს: არავის არ უნდა ვაწყენინოთ მხოლოდ იმის გამო, რომ ის ჩვენგან განსხვავდება.

2. **რა ვქნა, რომ არ ვიჩხუბოთ? -** აქტივობის მიზანია, ბავშვები გაეცნონ კონფლიქტების მოგვარების მისაღებ გზებს და ივარჯიშონ მათ გამოყენებაში.

აქტივობის დასაწყისში ვეკითხებით ბავშვებს, იციან თუ არა, რას ნიშნავს სიტყვა "კონფლიქტი". პასუხების მოსმენის შემდეგ, თუკი ვერც ერთი ბავშვი ვერ დაასახელებს სწორ განსაზღვრებას, ბავშვებს ავუხსნათ: "კონფლიქტი" აღნიშნავს სიტუაციას, როდესაც ორი ან მეტი ადამიანი ვერ თანხმდება ერთ რაღაცაზე, როდესაც ერთ ადამიანს უნდა რაღაცის გაკეთება, მეორეს კი - არა. ვთხოვოთ ბავშვებს, დაასახელონ ამგვარ სიტუაციათა მაგალითები.

- ავუხსნათ ბავშვებს, რატომაა კარგი კონფლიქტების სწრაფად და სამართლიანად მოგვარება: „ხანდახან ყველას გვაქვს კონფლიქტი ვინმესთან. ყოველთვის არ გამოვა ისე, რომ რიგში პირველი ვიყოთ ან ვითამაშოთ ყოველთვის იმ სათამაშოთი, რომელიც ყველაზე მეტად მოგვწონს. ასეთ სიტუაციებში კი ჩხუბზე იმდენ დროს დავხარჯავთ, რომ ვერც ერთი ვერ მოვახერხებთ იმის გაკეთებას, რაც გვინდა".

- გავესაუბროთ ბავშვებს იმაზე, რომ ხანდახან კონფლიქტები არასამართლიანად მთავრდება. ეს ხდება მაშინ, როდესაც ერთი ადამიანი მარტო თავის თავზე ფიქრობს და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ მიიღოს, რაც უნდა. იგი ყველაფერს აკეთებს ამისთვის და საბოლოოდ შეიძლება მიზანსაც მიაღწიოს. ამ დროს მას საერთოდ არ ადარდებს, რა უნდა სხვას, როგორ შეიძლება იგრძნოს თავი მეორე ადამიანმა, გულს სტკენს მას. ასეთ სიტუაციაში ერთი ადამიანი თავს გრძნობს ძალიან კარგად, ხოლო მეორე - ძალიან ცუდად.

- ავუხსნათ ბავშვებს, რომ დღეს ვისაუბრებთ კონფლიქტების მოგვარების სხვადასხვა სამართლიან ხერხზე - იმაზე, თუ როგორ არ უნდა ვიჩხუბოთ, როდესაც რაიმეს ვერ ვიყოფთ და როგორ მოვიქცეთ ისე, რომ არცერთმა ბავშვმა ასეთ დროს თავი ცუდად არ იგრძნოს. ვკითხოთ ბავშვებს: როდესაც ორ მათგანს უნდა ერთი და იმავე სათამაშოთი თამაში, როგორ შეიძლება ამ სიტუაციის მოგვარება სამართლიანად - ანუ ისე, რომ არცერთმა თავი ცუდად არ იგრძნოს? ჩავიწეროთ ბავშვების პასუხები და ვისაუბროთ თითოეული მათგანის სამართლიანობაზე. შემდეგ კი ვისაუბროთ იმდენ მეთოდზე, რამდენისაშუალებასაც მოგვცემს ბავშვების კონცენტრაციის უნარი. გავითამაშოთ სხვადასხვა სიტუაცია:

  - ალბათობა, ანუ ვისაც შეხვდება - ასეთ დროს კონფლიქტის მოსაგვარებლად ანუ სათამაშოს გასაყოფად შესაძლებელია ააგდოთ ხურდა ფული ან ვითამაშოთ „ჯეირანი" (მაკრატელი, ქვა, ქაღალდი). ვუჩვენოთ ბავშვებს, თუ როგორ უნდა ითამაშონ ეს თამაში და ვცადოთ რამდენიმე მათგანთან გათამაშება.

  - რიგითობის დაცვა - მაგალითად, შენ და შენს მეგობარს გინდათ ერთი და იმავე სათამაშო მანქანით თამაში. ამ დროს შეიძლება ჯერ ერთმა ითამაშოს ცოტა ხანს, მერე კი მეორემ გააგრძელოს თამაში. შესაძლებელია დროს მონიშვნა სთხოვოთ აღმზრდელს.

  - ბოდიშის მოხდა - ზოგჯერ ჩვენ შემთხვევით ვეჯახებით ხოლმე ერთმანეთს ან ვაკეთებთ რაიმე ისეთს, რაც, ჩვენდა უნებლიეთ, ტკივილს მიაყენებს სხვას. ასეთ დროს ჩხუბის ანუ კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელია ბოდიშის მოხდით. უთხარით მეგობარს: - ბოდიში.

- გაყოფა - ავუხსნათ ბავშვებს, რას ნიშნავს გაყოფა/გაზიარება და ვთხოვოთ, დაასახელონ ისეთი სიტუაცია, როცა კონფლიქტის ანუ ჩხუბის თავიდან აცილება შესაძლებელია რაღაცის გაყოფით.

ვთხოვოთ ბავშვებს, დაასახელოთ კონფლიქტური სიტუაციების მაგალითები, ანუ რატომ და რის გამო შეიძლება იჩხუბონ ბავშვებმა; წავახალისოთ, რომ გაივარჯიშონ ამ კონფლიქტების მოგვარებაზე ზემოთ განხილული გზების გამოყენებით.

შეჯამება პირველი წრის დროს

პირველი წრის დროს ბავშვებთან ერთად შევაჯამებთ ორი კვირის განმავლობაში განვლილ საკითხებს. ვკითხოთ ბავშვებს, რა ახსოვთ და რა ისწავლეს ამ ორი კვირის განმავლობაში; რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და ყველაზე მნიშვნელოვანი; რატომ აირჩიეს ზუსტად ეს აქტივობა/თამაში და.შ. ბავშვები აღმზრდელთან ერთად ამზადებენ გამოსაფენად თემის ფარგლებში შესრულებულ ყველა ნამუშევარს.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. ავაგდოთ ბურთი ერთად - თამაშის მიზანია, ასწავლოს ბავშვებს თანამშრომლობა და გუნდურად მუშაობა.

თამაშისთვის საჭიროა მრგვალი ფორმის დიდი ნაჭერი (შესაძლებელია დიდი ზომის ცელოფნის გამოყენებაც) და მსუბუქი ბურთი.

ყველა ბავშვი ნაჭერს გვერდებზე მოკიდებს ხელს. დავაგდოთ ბურთი ნაჭრის შუაში და სამის გათვლაზე ყველამ ერთად ავწიოთ ნაჭერი ისე სწრაფად, რომ ბურთი რაც შეიძლება მაღლა ავისროლოთ. ყოველი ასროლის დრო ერთმანეთთან უნდა შევათანხმოთ, რათა შესაძლებელი გახდეს ბურთის მაღლა ასროლა. იმავეს გაკეთება შესაძლებელია ასევე იმ მიზნით, რომ ბურთი ნაჭრის გარეთ გადავაგდოთ.

2. ჩვენი რგოლები - თამაში „ჩვენი რგოლები“ წარმოადგენს თამაშ „მუსიკალური სკამების“ ერთგვარ სახეცვლილებას. იმის ნაცვლად, რომ თითოეულმა მოთამაშემ იბრძოლოს უპირატესობის მისაღწევად და ამ მიზნით შეეცადოს თამაშიდან სხვების გაგდებას (როგორც ეს „მუსიკალური სკამების“ შემთხვევაშია),თამაშის ეს ვერსია გამარჯვების მოსაპოვებლად მოითხოვს თანამშრომლობას.

თამაშისთვის საჭიროა 4- 5 ცალი რგოლი (ჰულაჰუპი), რომლებიც უნდა გადავანაწილოთ სათამაშო ტერიტორიაზე. უკრავს მუსიკა, ბავშვები იწყებენ მოძრაობას რგოლის გარშემო, მაგრამ რგოლის შიგ-

ნით ფეხს არ აბიჯებენ. როდესაც მუსიკა უკრავს, ბავშვები მოძრაობენ, გაჩერება არ შეიძლება, მაგრამ როდესაც მუსიკა შეწყდება, ბავშვებმა უნდა მოასწრონ და ერთი ფეხი მაინც უნდა ჩადგან რგოლის შიგნით. ამ დროს მეორე ფეხი არ უნდა ეხებოდეს მიწას/იატაკს რგოლის გარეთ (ანუ ფეხი უნდა იყოს ან ჰაერში, ან რგოლის შიგნით). ის ბავშვი, რომელიც მუსიკის შეწყვეტის დროს რგოლის შიგნით არ დგას, თამაშიდან გადის.

ბავშვების თამაშიდან გასვლასთან ერთად, ნელ-ნელა მცირდება რგოლების რაოდენობაც, რაც ბავშვებს აიძულებს, გაიყონ დარჩენილი რგოლები. როდესაც თამაშში მხოლოდ ორი რგოლი დარჩება, გაიმარჯვებს ის რგოლი, რომლის შიგნითაც უფრო მეტი ბავშვი იქნება. ამ თამაშით ბავშვები სწავლობენ თანამშრომლობას და ერთმანეთის დახმარებას გამარჯვების მოსაპოვებლად.

3. **არ დააგდო -** სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის საუკეთესოა ისეთი სპორტული თამაშები, რომლებიც შეჯიბრების ნაცვლად თანამშრომლობას მოითხოვს, რადგანაც ამ ასაკში არათანაბრად განვითარებული ფიზიკური უნარებმა შესაძლოა დამრთგუნველად იმოქმედოს ზოგიერთ ბავშვზე. თამაში „არ დააგდო“ სწორედ ერთ-ერთი იმ თამაშთაგანია, რომლებიც თანამშრომლობას საჭიროებს.

თამაშისთვის საჭიროა ბუშტი ან დიდი მსუბუქი ბურთი. ბავშვები იყოფიან ორ გუნდად. გავავლოთ ხაზი და დავაყენოთ ერთი გუნდი ხაზის ერთ მხარეს, მეორე გუნდი - ხაზის მეორე მხარეს. როგორც ფრენბურთში, ბავშვებმა ერთმანეთს უნდა ესროლონ ბურთი ხაზის აქეთ-იქით ისე, რომ ბურთი არ შეეხოს მიწას ან იატაკს. თამაშის მნიშვნელოვანი წესი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ ჯერზე სხვა გუნდის წევრმა უნდა დაარტყას ბურთს მეორე მხარეს გადასაგდებად, რათა გუნდის ყველა წევრს მიეცეს გასროლის შესაძლებლობა. გუნდის სხვა წევრებს უფლება აქვთ, დაეხმარონ ერთმანეთს ბურთის ერთმანეთისთვის მიწოდებით.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **აქტივობა სამუშაო ფურცლებით: შემოხაზე განსხვავებული -** ამ აქტივობის შესასრულებლად ბავშვებს ურიგდებათ სამუშაო ფურცლები, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა სახის ფიგურები. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ და შემოხაზონ ის ფიგურა, რომელიც განსხვავდება სხვებისგან.

2. **„მეგობრობის სამაჯურების" გაკეთება -** დავურიგოთ ბავშვებს პატარა ზომებად დაჭრილი ფერადი საწრუპები, საქსოვი ძაფები ან რეზინები. ბავშვები კინძავენ მათ მიერ შერჩეული ფერის საწრუპის ნაჭრებს და ამზადებენ მისგან სამაჯურს მეგობრისთვის. ყველა ბავშვი ირჩევს თავის წყვილს - მეგობარს ჯგუფიდან, რომლისთვისაც ამზადებს საჩუქარს. სასურველია, რომ ბავშვები თავიდანვე დაწყვილდნენ საჩუქრების მისაღებად, რათა არც ერთი ბავშვი არ დარჩეს "მეგობრობის სამაჯურის" გარეშე.

3. **აქტივობა სამუშაო ფურცლებით**: გავაფერადოთ და გავავლოთ ხაზები გეომეტრიულ ფორმებს შორის

   წინასწარ მომზადებულ სამუშაო ფურცლებზე ბავშვები აფერადებენ და ავლებენ ხაზებს გეომეტრიულ ფიგურებს შორის ფანქრების გამოყენებით (იხ. ილუსტრაცია #14).

4. **„მრავალფეროვნებისა და მეგობრობის ხის" შექმნა** - აქტივობის ჩასატარებლად დიდ ქაღალდზე დავაწებებთ ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი ხელის ფორმის გამოსახულებას. ბავშვები დახატავენ სხვადასხვა ფერის გულებს, რომლებსაც დააწებებენ დიდ ქაღალდზე, ხელის ფორმის გარშემო. ამის შედეგად მივიღებთ "სიყვარულისა და მეგობრობის ხეს". ავუხსნათ ბავშვებს, რომ თითოეული გული თავის მხატვარს გამოსახავს, ხოლო გულების სხვადასხვა ფერი აღნიშნავს მათ განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას, რომელიც ერთიანობაში ქმნის ერთ ლამაზ ხეს. ეს მცირე ჯგუფებში შესრულებული კოლაჟები თემის ბოლო დღემდე დაიკიდება კედელზე და შეავსებს თემის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრების კოლექციას.

5. **აქტივობა სამუშაო ფურცლით: ამოჭერი სპირალი**

   პატარა ჯგუფებად დაყოფილ ბავშვებს ურიგდებათ მაკრატელი და სამუშაო ფურცლები სპირალის გამოსახულებით. ბავშვები ცდილობენ მიცემული მასალიდან სპირალის ამოჭრას (ვეხმარებით საჭიროების შემთხვევაში) (იხ. ილუსტრაცია #15).



6. **გამოძერწე შენი სახელის ასოები** - ბავშვებს ურიგდებათ სხვადასხვა ფერის საძერწი საშუალება. წაახალისონ ბავშვები, რომ გამოძერწონ საკუთარი სახელის ასოები.

7. **შემოხაზე და გააფერადე წრეები** - ამ აქტივობის ფარგლებში ბავშვები მუშაობენ წინასწარ მომზადებული სამუშაო ფურცლებით. ისინი ფანქარს ავლებენ წყვეტილი ხაზებით დახატულ წრეებს (შემოხაზავენ წრის კონტურს) და შემდეგ აფერადებენ წრეებს სასურველი ფერებით (იხ. ილუსტრაცია #16).

8. **მე მიყვარს, ჩვენ გვიყვარს** - ამ აქტივობის მიზანია, დაანახოს ბავშვებს, რომ: ისინი რაღაცით განსხვავდებიან, რაღაცით კი ჰგვანან ერ-

თმანეთს; ერთმანეთისგან განსხვავებულობა საინტერესოა, რადგან ერთმანეთისგან შეგვიძლია ბევრი საინტერესო რამ ვისწავლოთ. აქტივობა ასევე ავითარებს თანამშრომლობის უნარს.

ამ აქტივობისთვის ბავშვები წყვილდებიან ორ-ორად. მეწყვილეები არკვევენ ერთმანეთის საერთო და განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს ვენის დიაგრამის გამოყენებით. მეწყვილეებმა უნდა ჩამოუთვალონ ერთმანეთს თავიანთი საყვარელი ნივთები, საქმიანობა, ადამიანები, წიგნები და ა. შ, გაიგონ, რა უყვარს თითოეულს და იპოვონ რაიმე ისეთი, რაც ორივეს უყვარს. ამის შემდეგ დაწყვილებულ ბავშვებს დავურიგოთ დიდი ზომის ქაღალდები და ავუხსნათ, რომ ერთი წრე ეკუთვნის ერთ ბავშვს, მეორე - მეორე ბავშვს. თითოეულმა მეწყვილემ თავის წრეში უნდა ჩახატოს ის, რაც მას უყვარს, ხოლო წრის შემაერთებელ ოვალში ერთ-ერთი ბავშვი ჩახატავს იმას, რაც უყვარს ორივეს (ამას ერთმანეთთან გასაუბრებისას გაარკვევენ). ვთხოვოთ ბავშვებს, რომ ყურადღება მიაქციონ სწორი სიტყვების გამოყენებას ერთმანეთთან საუბრისას, შევახსენოთ მათ კარგი მანერები და კონფლიქტის მოგვარების ხერხები, რომლებიც მათ თემის ფარგლებში ისწავლეს, წავახალისოთ, რომ აქტიურად გამოიყენონ ისინი აქტივობის დროს.

9. **ვძერწავთ ციფრებს -** ამ თამაშის მიზანია, განუვითაროს ბავშვებს ნატიფი მოტორიკა. წავახალისოთ ბავშვები, გამოძერწონ ციფრები სხვადასხვა ფერის პლასტილინების გამოყენებით.

10. **ვაშლის ხე -** ამ თამაშისთვის საჭიროა მუყაოს თეთრი ქაღალდი, მაკრატელი, კამათელი, ასევე ყავისფერი, მწვანე და წითელი ფერადი ქაღალდები.

ჩვენი დახმარებით ბავშვები ფერად ქაღალდებზე ხატავენ ხის ნაწილებს, გამოჭრიან და დააწებებენ თეთრი მუყაოს დიდ ქაღალდზე. შემდეგ წითელი ქაღალდი იჭრება შედარებით პატარა ზომის ნაჭრებად. ბავშვები ნაჭრებს კეცავენ, კიდევ უფრო აპატარავებენ და ცდილობენ, მისცენ მათ ვაშლის ფორმა. ამის შემდეგ იწყება თამაში. ბავშვები სათითაოდ აგორებენ კამათელს და ხეს ადებენ კამათელზე ამოსული ციფრის შესაბამისი რაოდენობის "ვაშლებს". ამ თამაშს თამაშობენ წყვილებში, გამარჯვებული გამოვლინდება ყოველ გაგორებაზე. ყოველ გაგორებაზე ბავშვებს უწევთ დათვლა და ორი ციფრის ერთმანეთთან შედარება იმის გასარკვევად, თუ რომელია მეტი და რომელი - ნაკლები.

11. აქტივობა სამუშაო ფურცლებით: დახატე მხიარული, მოწყენილი, გაბრაზებული და შეშინებული სახეები

ესაა ემოციების თემის ერთ-ერთი შემაჯამებელი აქტივობა. ბავშვებს ურიგდებათ კონტურით შემოხაზული სახეების გამოსახულებები, რომელთა შიდა არეები ცარიელია. ბავშვები გამოსახავენ ემოციებს ცარიელ სახეებზე, შემდეგ კი ხსნიან, რომელი სახე რა ემოციას გამოხატავს.

პროექტები

1. პროექტი: „მეგობრობის კედელი“ (I დღე)

პროექტის პირველ დღეს ვკითხოთ ბავშვებს, რა იციან ქსოვაზე; უნახავთ თუ არა, როცა ვინმე ქსოვს ან ქარგავს, რა სახის ქსოვა უნახავთ და რისი გაგება აინტერესებთ ქსოვასთან დაკავშირებით. შემდეგ ვკითხოთ ბავშვებს, თუ სად და როგორ შეიძლება, მათი აზრით, იპოვონ პასუხები მათ კითხვებზე. ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა წყაროს განხილვის შემდეგ მოვუყვეთ ბავშვებს, რომ არსებობს სხვადასხვანაირი ქსოვის ხერხი: ჩხირით, ყაისნაღით, სპეციალურ ხალიჩების დაზგაზე და ა.შ. თუ გვაქვს საშულება, ვუჩვენოთ სურათები ან სხვადასხვა სახის ნაქსოვები. შესაძლებელია ვესაუბროთ ბავშვებს სხვადასხვა ქვეყანაში ქსოვის ტრადიციაზე. პროექტის ფარგლებში სასურველია ვისაუბროთ ქართული ხალიჩების ქსოვის ტრადიციებზე (როგორ ქსოვდნენ ადრე და როგორია ხალიჩების ქსოვის თანამედროვე მეთოდები).

მაგალითად, შესაძლებელია მოვუყვეთ ბავშვებს, რომ ძველად ხალიჩის ხელით მოქსოვას დაახლოებით 3 თვე სჭირდებოდა (ვაჩვენოთ კალენდარზე, რას ნიშნავს 3 თვე). ავუხსნათ, რომ ძაფს ამზადებდნენ ცხვრის ბეწვისგან, რომელსაც ჰქვია მატყლი. შესაძლებელია ვუჩვენოთ მატყლი (თუ ამის საშუალება გვექნება) და ავუხსნათ, როგორ კეთდება ძაფი მატყლის საშუალებით. მოვუყვეთ, თუ რა საშუალებებს იყენებდნენ ადრე ძაფების შესაღებად (სხვადასხვა მცენარის ნახარშს).

ტექნიკური შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ვაჩვენოთ ვიდეო იმის შესახებ, თუ როგორ ქსოვენ ხალიჩებს ხელით (https://www.youtube.com/watch?v=cgC6IMJWgu4), ასევე ვაჩვენოთ ქართული ხალიჩების ნიმუშების სურათები.

2. პროექტი: "მეგობრობის კედელი" (II დღე)

პროექტის მეორე დღეს ვუჩვენოთ ბავშვებს, თუ როგორ იქსოვება რგოლები CD დისკის გამოყენებით და შევთავაზოთ ნიმუშების სურათები/ან მზა ნამუშევრები. ბავშვები აკეთებენ ესკიზს, რათა წინასწარ შეარჩიონ სასურველი ფერის ძაფები, შეგვიძლია თავადაც ვნახოთ CD-ზე ქსოვის ვიდეოინსტრუქციის ბმული (იხ.https://www.youtube.com/watch?v=4xt5wQ5RCUw).



3. პროექტი: „მეგობრობის კედელი“ (III დღე)

პროექტის მესამე დღეს ბავშვები აგრძელებენ მუშაობას - CD-ზე ქსოვას.

4. პროექტი: „მეგობრობის კედელი“ (IV დღე)

მეოთხე დღეს ბავშვები ასრულებენ ქსოვას. სამუშაოების დასრულების შემდეგ ყველა ბავშვის ნამუშევარი ერთად მაგრდება კედელზე ისე, რომ შეიქმნას ფერთა გამა. ასე იქმნება ”მეგობრობის კედელი”, რომელიც იქნება ჯგუფის მეგობრობის სიმბოლო.

როლური თამაშები

1. როლური თამაში „ვიზიტი ექიმთან“

როლური თამაშისთვის საჭიროა სხვადასხვა სათამაშო საექიმო ხელსაწყოები. სასურველია, გვქონდეს ექიმის ხალათი, ქუდი და ნიღაბი. ბავშვები რიგრიგობით ირგებენ ექიმის როლს და ცალკე ადგილას მოწყობილ ექიმის კაბინეტში მიდიან ”ექიმთან” ვიზიტზე, ესაუბრებიან თავიანთი ჩივილების შესახებ; ”ექიმი” სინჯავს მათ და ვითომ უწერს რეცეპტს. შესაძლებელია მოვაწყოთ ასევე ”აფთიაქი”, სადაც ბავშვები გაყიდიან მათ მიერ მომზადებულ ვითომ წამლებს, გაკეთებულს სხვადასხვა მასალის გამოყენებით. თამაშის მიზანია, დაეხმაროს ბავშვებს ექიმის პროფესიის გააზრებასა და მის დაფასებაში, ასევე ექიმთან ვიზიტის შიშის დაძლევაში. სასურველია, წავახალისოთ ბავშვები, რომ ექიმის როლის მორგებისას, რიგითობის დაცვის მიზნით, გამოიყენონ კონფლიქტის მოგვარების ის ხერხები, რომლებიც წინა დღეს ისწავლეს.

2. როლური თამაში„ვიზიტი ექიმთან“

ბავშვები აგრძელებენ წინა დღეს დაწყებულ როლურ თამაშს. ამჯერად ყურადღება გავუმახვილოთ ბავშვებს ქცევის წესებზე - იმაზე, თუ როგორ უნდა ისაუბრონ ექიმთან, ან ექიმი როგორ ესაუბრება პაციენტს. ამისთვის გამოდგება წიგნში „ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს“ წარმოდგენილი ქცევის წესები, რომელსაც კურდღელი ასწავლის ყვავს.

წიგნის დრო

ამ დროს ბავშვები ირჩევენ მათთვის ყველაზე საინტერესო წიგნს, რომელიც ორი კვირის განმავლობაში წაიკითხეს. თუ ბავშვებს არ აქვთ საერთო არჩევანი, მაშინ შესაძლებელია წიგნის რამდენიმე ვარიანტის შერჩევა და ამ წიგნებისთვის ხმის მიცემა ხელის აწევით. ბოლოს ბავშვებს წავუკითხავთ იმ წიგნს, რომლის დასახელების დროსაც ყველაზე მეტი ბავშვი აწევს ხელს (ხმებს ყველა ბავშვი ერთად დაითვლის).

მე- 18 კვირა

თემა: ცხოველები ჩვენ გარშემო

თემა გრძელდება 4 კვირის განმავლობაში. თემის მიზანია ბავშვების ბუნებასთან დაახლოება, ცოცხალი ბუნების მიმართ ინტერესის გაღვივება, ეკოლოგიის საბაზისო ცნებებზე წარმოდგენების შექმნა. თემა ეყრდნობა კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს, ავითარებს ანალიტიკურ და შემოქმედებით აზროვნებას.

თემის ფარგლებში შემოთავაზებული ჯგუფური საქმიანობები ხელს უწყობს ურთიერთდახმარების, პასუხისმგებლობის, აღებული მოვალეობის ბოლომდე შესრულებისა და სხვა სოციალურ უნარებს.

თემაზე მუშაობისას ბავშვებს ექნებათ საშუალება, გაეცნონ საინტერესო ფაქტებს ცხოველთა სამყაროს შესახებ, აწარმოონ დაკვირვებები და კვლევები; დათვალონ, გაზომონ, აწონონ, მოახდინონ კლასიფიცირება, შეავსონ ცხრილები, დაამზადონ ხელნაკეთი წიგნები და შექმნან კატალოგები. თემის შესრულების პროცესში ბავშვები შეღებავენ კვერცხებს და გააკეთებენ სახალისო სააღდგომო ნაკეთობებს; შეეცდებიან უპასუხონ კითხვას - რა დაფრინავს და როგორ? ასევე მოუსმენენ სხვადასხვა ჟანრის მუსიკას, წაიკითხავენ საინტერესო წიგნებს.

სასურველია, თემა განხორციელდეს იმ თვეში, როცა უკვე საკმარისი სითბოა ექსკურსიის მოსაწყობად და ახლოვდება აღდგომა.

თემა მოიცავს რამდენიმე გასვლით გაკვეთილს (ექსკურსიას). თემის შინაარსიდან გამომდინარე, მათი მოწყობა აუცილებელია. თუ ექსკურსიისთვის განკუთვნილ დღეს ამინდი არ გვიწყობს ხელს, მაგალითად, კოკისპირული წვიმაა, უნდა გადავიდეთ შემდეგი დღის აქტივობებზე, ხოლო ექსკურსიაზე გავიდეთ მომდევნო დღეს. ამავე დროს პირველი დღის ექსკურსია - ზოოპარკის მონახულება შეიძლება ვერ განხორციელდეს ისეთ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც შორს არის თბილისიდან ან ბათუმიდან. ამიტომ გთავაზობთ თემის დაწყების ორ ვარიანტს: 1.) იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც შეძლებენ ზოოპარკის მონახულებას, 2.) იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც ამას ვერ შეძლებენ.

I კვირა

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	1. გავდივართ ექსკურსიაზე ბუნებაში, დავაკვირდეთ ბუნებას ჩვენ გარშემო. როგორი მცენარეები იზრდება? რომელთა სახელები ვიცით? ვკითხოთ ბავშვებს, როგორ ფიქრობენ - რა ცხოველები ცხოვრობენ აქ? რა ჩიტები? კიდევ რა ცხოველები ბინადრობენ საქართველოში? შინაური ცხოველების გარდა, რა ცხოველები გვინახავს? სად ცხოვრობენ ? რას ჭამენ? და ა.შ. ექსკურსიაზე წამოვიღოთ ცხოველების ილუსტრირებული ატლასი და დავათვალიეროთ ბავშვებთან ერთად. მოვუყვეთ რამდენიმე მათთვის უცნობი ცხოველის შესახებ. დავაკვირდეთ ფრინველებს. დავითვალოთ, რამდენ ფრინველს დავინახავთ დღის განმავლობაში. ვიცით თუ არა ამ ფრინველების სახელები? მოვისმინოთ მათი ხმები. შევაგროვოთ ბუნებრივი მასალები. ვითამაშოთ, ვირბინოთ, ვიმღეროთ. 2. თუ გავდივართ ექსკურსიაზე ზოოპარკში, საჭიროა საგანგებოდ მოვემზადოთ. შესაბამისი რეკომენდაციები მოყვანილია ქვემოთ.						
მასალები, რესურსები	ცხოველების ილუსტრირებული ატლასი; მასალების შესაგროვებელი ჩანთები; თუ არის შესაძლებლობა - ფოტოაპარატი.						

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი	წინა დღის შთაბეჭდილებების გაზიარება; საუბარი ზოოპარკების შესახებ.	**აქტივობა:** ილუსტრირებული ენციკლოპედიების დათვალიერება; **აქტივობა**: ცხოველების დამზადება; **როლური თამაში:** „ზოოპარკში“; **აქტივობა:** არარსებული ცხოველი	„ლომი და თაგვი“, ან „ჭკვიანი კურდღელი და ლომი“ 	ვაძლევთ დავალებას: ყველა დარბის, როგორც გეპარდი! (ანუ ძალიან სწრაფად - გეპარდი ხომ ყველაზე სწრაფი ცხოველია!) თამაში ”ზოოპარკი”.	ვხატავთ სპილოს ფაზლი ცხრილის შედგენა	მაღალი და დაბალი ბგერები	ვაჯამებთ დღეს. ვსაუბრობთ იმ ცხოველებზეც, რომლებიც დღეს არ გაგვახსენდა.
მასალები, რესურსები	წინა დღეს გადაღებული ფოტოები და შევსებული ცხრილები	ენციკლოპედიები, საქართველოს ბუნების ატლასი, ხელოვნების ცენტრის მასალები, მეორადი მასალები	წიგნი	სკამები	ფურცლები და ფანქრები; თვალის ასახვევი ნაჭერი; ფაზლი; ცხრილები.	ნებისმიერი მუსიკალური ინსტრუმენტი	

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრუ-ლებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი	საუბარი „ცხო-ველების მეფე-ზე“ - ლომი და სპილო	**აქტივობა:** სურათების დათვალიერება **წესებიანი თამა-ში:** ”ჩავიფიქრე ცხოველი”. **როლური თამაში:** „ფოტოსაფარი“ ან „აფრიკაში გამგზავრება ზოოპარკისთვის სპილოს ჩამოსაყ-ვანად“. **აქტივობა:** აფრი-კაში გასამგზავ-რებლად გემის გაკეთება	წავუკითხოთ კიპლინგის ზღაპარი ‘’საიდან აქვს სპილოს ხორ-თუმი ‘’ 	დავხტივართ ჩაკუზულები - ვართ მაიმუ-ნები. თამაში: მა-იმუნების ფრენბურთი	სიტყვები „ლომი“ და „სპილო“. გაფერადება	სენ-სანსი, „ცხო-ველთა კარნავა-ლი“	შევაჯამოთ დღე. ბავშვებმა ისაუბ-რონ, იმაზე, თუ როგორ წარმოუდ-გენიათ, აფრიკის სავანა. იქ ცხელა თუ ცივა? რა მცე-ნარეებია? რომე-ლი ცხოველები ცხოვრობს? ვუთხ-რათ, რომ ხვალაც გავაგრძელებთ ამ თემაზე საუბარს.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/რესურსები	ვიდეომასალა ან/და სავანის ცხოველების სურათები; „ჩემი პირველი კითხვებისა და პასუხების წიგნი“	ენციკლოპედიები, მუყაოს ყუთები და სხვა დამხმარე მასალა, „ფოტოაპარატურა“, მზის ქუდები და სათვალეები და სხვა რეკვიზიტი აფრიკაში გასამგზავრებლად.	რ. კიპლინგის წიგნი ''აი ასეთი ამბები''.	ფერადი ბურთები, სასტვენი	წინასწარ გამზადებული ტექსტი ან წიგნი, ბარათები, ფანქრები, გასაფერადებელი	აუდიომასალა	
ხუთშაბათი	სავანის ცხოველები. ბალახისმჭამელები. მწვანილი	**აქტივობა**: მატყლი და ძაფი. **აქტივობა:** „ხალიჩის“ დამზადება **როლური თამაში:** გემით მოგზაურობა აფრიკაში	წავიკითხოთ „რწყილი და ჭიანჭველა“ გავათამაშოთ.	**თამაში წეროები** **თამაში: კლასობანა (ასკინკილა)**	”რა მწვანილია?”; „ობობას ქსელი“; აპლიკაცია ძაფით	ცეკვა „ქართული“.	შევაჯამოთ დღე: ვნახეთ, საიდან ჩნდება ძაფი. ძაფებს მერე ღებავენ სხვადასხვა ფერით და ქსოვენ ტანსაცმელს, აკეთებნენ ხალიჩებს და ა.შ.
მასალები/რესურსები	ცხოველების ატლასები, სხვადასხვა მწვანილი	ხალიჩის საქსოვი ყუთი, შალის ფერადი ძაფები, მატყლი. წინა დღეს დამზადებული გემი და შესაბამისი ატრიბუტიკა	წიგნი „რწყილი და ჭიანჭველა“	ცარცი	სხვადასხვა მწვანილი, შალის ძაფები, წებო, გასაფერადებელი ფურცლები	აუდიო- ან ვიდეომასალა	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი	საუბარი შინაურ ფრინველებზე. კვერცხი.	**როლური თამაში:** მძინარე მზეთუნახავის ახალი თავგადასავალი **აქტივობა**: მეფის სასახლის აშენება **აქტივობა:** ექსპერიმენტი - იძირება თუ არა კვერცხი წყალში? **წესებიანი თამაში:** "მე მივდივარ ზოოპარკში"	შარლ პეროს ზღაპარი „მძინარე მზეთუნახავი".	დახტიან კენგურუებივით (ანუ დიდი ნახტომებით) სტარტიდან ფინიშამდე. **თამაში რომელი საათია, ბატონო მგელო?**	კვერცხები რიცხვებით კვერცხები ასოებით	ბალეტი ''მძინარე მზეთუნახავი''.	დღის შეჯამება: რა იყო ყველაზე კარგი?
მასალები, რესურსები		მუყაოს ყუთები, კუბურები, ფერიების ქუდები და მოსასხამები, პრინცესების ტანსაცმელი - ქსოვილები ან ძველი ქვედაბოლოები, გვირგვინები; ორი ქილა, მარილი, წყალი, ჯამები, კვერცხები.	ზღაპრების წიგნი		წინასწარ გამზადებული პლასტმასის კვერცხები, ასოებით და ციფრებით	ვიდეოჩანაწერი ან აუდიოჩანაწერი	

საქმიანობათა ინსტრუქციები

რეკომენდაციები ზოოპარკში ექსკურსიისათვის

ნებისმიერი ექსკურსიისათვის აუცილებელია საგანგებო მომზადება. თუ თემას ვიწყებთ ზოოპარკში ექსკურსიით, სასურველია, წინასწარ ვეწვიოთ ზოოპარკს და შევუთანხმდეთ დირექციას ბავშვების ვიზიტის შესახებ, დავთქვათ ექსკურსიის დღე და ვთხოვოთ დახმარება. დახმარებაში იგულისხმება ბავშვებისთვის ზოოპარკის ბინადრებზე საინტერესო ინფორმაციის მიწოდება, ზოოპარკის სამეცნიერო ცენტრში წარმოდგენილი თვალსაჩინო მასალების გაცნობის შესაძლებლობა, საკვლევი მასალის გაზიარება (მაგალითად, ფრინველების ბუმბული, ცხოველების ბეწვი, გველის პერანგი, მაჩვზღარბას ნემსები და ა.შ.), რომელიმე უსაფრთხო ცხოველთან ურთიერთობის დამყარების (მოფერება, საკვების მიწოდება) უფლების მიცემა და ა.შ. ამას გარდა, აუცილებელია წინასწარ ვიცოდეთ, რა ცხოველებს ვნახავთ ექსკურსიის დროს, რათა წინსმსწრებად მოვამზადოთ შესავსები ცხრილები.

ექსკურსიის დღეს **დილის შეხვედრაზე** დავრწმუნდეთ, რომ ყველას აქვს პატარა ზურგჩანთა, რომელშიც დევს წყლის ბოთლი და ხელსახოცები. ვკითხოთ ბავშვებს: რა მოლოდინები აქვთ? რომელი ცხოველების ნახვა სურთ ყველაზე მეტად? გავაცნოთ ზოოპარკში ქცევის წესები და ავუხსნათ, რატომ უნდა დავიცვათ ეს წესები.

დავურიგოთ ბავშვებს წინასწარ გამზადებული ცხრილები და ფანქრები და ავუხსნათ, თუ როგორ უნდა იმუშაონ ამ ცხრილებთან. ცხრილების შედგენა შეიძლება მრავალნაირად. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ბავშვები ჩაინიშნავენ, აქვთ თუ არა პირველ სვეტში გამოსახულ ცხოველებს თათები, კუდი, ბეწვი, ბუმბული, ხოლო სტრიქონის ბოლო უჯრაში აღნიშნავენ, რამდენი ასეთი ცხოველი ნახეს.

					?
ლომი					
სპილო					
მაიმუნი					
სირაქლემა					
გველი					
თევზი					
თუთიყუში (ჩიტი)					

შეგვიძლია მოვიფიქროთ სხვანაირი ცხრილებიც. მაგალითად, დავაკვირდეთ და ჩავინიშნოთ, რას ჭამენ ცხოველები, ჩადიან თუ არა წყალში და ა.შ.

თუ ექსკურსიაზე მოგვყვებიან დამხმარეები (სასურველია, თან გვახლდეს ერთი ან ორი მშობელი), დილის წრეში ისინიც მიიღებენ მონაწილეობას.

ექსკურსიას ჩვენ გავუძღვებით და დავეხმარებით ბავშვებს ცხრილების შედგენაში. არ უნდა დაგვავიწყდეს ბავშვების ყურადღების გამახვილება ზოოპარკის პერსონალის მუშაობაზე, მათ მოვალეობებზე. თანაშემწე (ასევე მშობლები, თუ მონაწილეობენ) საგანგებოდ ზრუნავს ბავშვების უსაფრთხოებაზე და იღებს ფოტოებს.

დილის წრე

1. საუბარი ზოოპარკების შესახებ

გავუზიაროთ ერთმანეთს შთაბეჭდილებები გუშინდელი დღის შესახებ. რა მოგვეწონა? რა დაგვამახსოვრდა ყველაზე უფრო?

თუ წინა დღეს ვიყავით ზოოპარკში, ვისაუბროთ ამ ზოოპარკის შესახებ. თუ ზოოპარკში ვერ წავედით, სასურველია ვაჩვენოთ ბავშვებს ვიდეომასალა ზოოპარკების შესახებ (თუ არის ამის შესაძლებლობა).

ვსაუბრობთ ზოოპარკების შესახებ - რა არის ზოოპარკი, რისთვის არის საჭირო, რა ფუნქციას ასრულებს, როგორი უნდა იყოს კარგი ზოოპარკი.

ვეკითხებით: რომელი ცხოველის ნახვას ისურვებდნენ? რატომ?

2. საუბარი "ცხოველების მეფეზე"

წამოვიწყოთ საუბარი ლომზე - „ცხოველების მეფეზე". ვეუბნებით ბავშვებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ცხოველების მეფედ ითვლება სპილო. ბავშვები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რომელი ცხოველია ნამდვილი "მეფე" და ხსნიან, რატომ ფიქრობენ ასე. თუ გვაქვს შესაძლებლობა, ვაჩვენოთ მოკლე ვიდეო აფრიკის სავანაში მცხოვრები ცხოველების შესახებ. თუ ეს შესაძლებელი არ არის, ისევ გამოვიყენოთ ენციკლოპედიები.

მოვუყვეთ საინტერესო ამბები ცხოველებზე: ლომების ოჯახს ჰქვია პრაიდი. როგორც წესი, პრაიდი შედგება 4-6 ძუ ლომის, 1-2 ხვადისა და ბოკვრებისგან. ლომის ბოკვერები 3 წლისანი რომ ხდებიან, კისრის ირგვლივ ფაფარი ეზრდებათ. ისინი სწორედ ამ დრომდე რჩებიან პრაიდში, შემდგომ კი დამოუკიდებლად აგრძელებენ ცხოვრებას. ხვადი ლომები, ცოტა არ იყოს, ზანტები არიან, მხოლოდ ძუ ლომები ნადირობენ, ბოკვრებსაც ისინი უვლიან. სამაგიეროდ, ხვადებს პრაიდის ტერიტორიის დაცვა ევალებათ.

სპილოებიც დიდ ოჯახებად - ჯოგებად ცხოვრობენ. ჯოგი დედალი სპილოებისა და მათი სპლიყვებისგან შედგება. ყველაზე მოხუცი დედალი სპილო ჯოგის მეთაურია. ზრდასრული მამალი სპილოები განმარტოებით ცხოვრობენ. სპილოები ბალახისმჭამელი ცხოველები არიან. ისინი მიირთმევენ ძალიან ბევრ ფოთოლს, ბალახს, ყვავილებსა და ხილს.

3. სავანის ცხოველები: ბალახისმჭამელები.

ვსაუბრობთ სავანის ცხოველებზე. ამჯერად ვამახვილებთ ყურადღებას ბალახისმჭამელებზე. ესენია, კერძოდ: ჟირაფი, ბეჰემოტი, ანტილოპა, ზებრა.

გავახსენოთ ბავშვებს წინა დღეს წიგნებში ნანახი სურათები (ან ვუჩვენოთ კიდევ ერთხელ). ვკითხოთ: მათი აზრით, როგორია სავანა? როგორ ფიქრობენ, იქ ცივა თუ ცხელა? რა მცენარეები იზრდება? რა ცხოველები ბინადრობს? რატომ აქვს ჟირაფს ასეთი გრძელი კისერი? რატომ არის ზებრა ზოლიანი? როგორც ვნახეთ, ბევრი ცხოველი ჭამს ბალახს. ადამიანები თუ ჭამენ ბალახს? ვაჩვენოთ ბავშვებს გარეცხილი მწვანილი - ოხრახუში, ქინძი, კამა, ნიახური და ა.შ. გავიხსენოთ თითოეულის სახელი. შეუძლიათ თუ არა, იპოვონ განსხვავება ოხრახუშსა და ქინძს შორის? ოხრახუშსა და ნიახურს შორის? თუ უყვართ მწვანილი? როგორი სუნი აქვს ამ მწვანილს? კიდევ რომელი ბალახისმჭამლი ცხოველები ვიცით? შევახსენოთ ბავშვებს მათთვის ცნობილი ბალახისმჭამელი შინაური ცხოველები - ცხვარი, თხა, ძროხა. რას გვაძლევენ ეს ცხოველები? (დღეს ყურადღებას ვამახვილებთ მატყლზე).

4. საუბარი შინაურ ფრინველებზე: კვერცხი

ვსაუბრობთ შინაურ ფრინველებზე. შინაური ცხოველების გარდა, ჩვენ გვყავს შინაური ფრინველები. რა შინაური ფრინველები ვიცით? სად ცხოვრობენ? რას ჭამენ? რას გვაძლევენ შინაური ფრინველები? გიყვართ კვერცხი? შემწვარი კვერცხი უფრო გიყვართ თუ მოხარშული? ნამცხვარი თუ გიყვართ? და ა.შ. ვსაუბრობთ, რაში ვიყენებთ კვერცხს.

აქტივობები

1. **ილუსტრირებული ენციკლოპედიების დათვალიერება -** ბავშვები ათვალიერებენ ცხოველების ილუსტრირებულ ენციკლოპედიებს, ეცნობიან ეგზოტიკურ ცხოველებს; არკვევენ, რომელი ცხოველები ბინადრობენ საქართველოში.

2. **არარსებული ცხოველი -**ბავშვებს შევთავაზოთ არარსებული ცხოველის სურათები. ვკითხოთ, თუ რომელ ცხოველს მიამსგავსებდნენ მას? მათი აზრით, ვის ჰგავს იგი? სად ცხოვრობს? რას ჭამს? რატომ ფიქრობენ ამგვარად? რას დაარქმევდნენ? (იხ. ილუსტრაცია #17)

3. **ცხოველების "დამზადება" -** ბავშვები ხატავენ, ძერწავენ, ან სხვა ნებისმიერი ტექნიკისა და მასალების გამოყენებით ქმნიან ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებებს/ფიგურებს. (ცხოველებს, რომლებიც ნახეს ზოოპარკში წიგნებში, ან უნახავთ ადრე. შეუძლიათ მოიგონონ არარსებული ცხოველებიც).

4. **სურათების დათვალიერება -** ბავშვები ათვალიერებენ სავანას და სავანის ცხოველების სურათებს, მაგალითად:

(იხ. ილუსტრაცია #18)

5. **გემის გაკეთება -**მივცეთ ბავშვებს მუყაოს დიდი ყუთები და შევთავაზოთ გემის გაკეთება აფრიკაში გასამგზავრებლად.

6. **მატყლი და ძაფი -** საკვლევად შევიტანოთ მატყლი. ბავშვები აკვირდებიან მას, სინჯავენ ხელით, როგორია. თუ იციან, რას აკეთებენ მატყლისგან? ვუჩვენოთ, როგორ ღებულობენ მატყლისგან ძაფს (თუ გვაქვს საშუალება, ვაჩვენოთ ვიდეო). წინასწარ გავიკითხოთ (ვკითხოთ მშობლებს), ჯგუფში თუ ჰყავს ვინმეს ბებია ან მეზობელი/ნაცნობი, რომელმაც იცის ძაფის დართვა. თუ გვყავს, იგი აუცილებლად უნდა დავპატიჟოთ სტუმრად, რათა ბავშვებს გაესაუბროს ამ პროცესის შესახებ. შევთავაზოთ და ავუხსნათ ბავშვებს ახალი სიტყვები: თითისტარი, ჩეჩვა, ნართის რთვა, სართავი ჯარა.

7. **შალის ძაფით „ხალიჩის“ დამზადება -** მივცეთ ბავშვებს შალის ფერადი ძაფები. ვუთხრათ, რომ ძაფს ჯერ რთავენ, მერე სხვადასხვაფრად ღებავენ და ასე ღებულობენ ფერად-ფერად საქსოვ მასალას. შევთავაზოთ, რომ დაათვალიერონ და ხელით გასინჯონ ძაფები. მივცეთ წინასწარ გაკეთებული „საქსოვი დაზგა“ და დავეხმაროთ „ხალიჩის“ მოქსოვაში. ხალიჩისთვის ბავშვები თვითონ შეარჩევენ ფერებს. იმუშაონ ჯგუფურად.

დაწვრილებით ამ აქტივობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: http://tinkerlab.com/make-simple-box-loom-weaving/



8. **ექსპერიმენტი** - იძირება თუ არა კვერცხი წყალში? ავიღოთ ორი ჭურჭელი - ქილა ან გადაჭრილი პლასტმასის ბოთლი. ჩავასხათ ორივეში

სუფთა წყალი, ერთ-ერთში ბავშვები გახსნიან სუფრის მარილს (1ლ წყალზე 10 სუფრის კოვზი მარილი). მივცეთ კვერცხი, რათა შეამოწმონ, ჩაიძირება თუ არა. ბავშვები ნახავენ, რომ კვერცხი ჩვეულებრივ წყალში იძირება, ხოლო მარილიან წყალში - არა. საქმე ისაა, რომ მარილიანი წყალი უფრო მკვრივია. ვუთხრათ, რომ ზღვაში (მარილიან წყალში) ადამიანებისთვისაც უფრო იოლია ცურვა, ვიდრე ტბაში (მტკნარ წყალში).

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **ჩავიფიქრე ცხოველი -** ერთი მოთამაშე გადის, დანარჩენები ჩაიფიქრებენ ცხოველს. დაბრუნებული მოთამაშე რიგრიგობით უსვამს სხვებს შეკითხვებს, რათა გამოიცნოს, რომელი ცხოველია ჩაფიქრებული.

2. **ზოოპარკი -** მოთამაშეები სხედან წრიულად მდგარ სკამებზე, წამყვანი დგას შუაში. მოთამაშეებს მიენიჭებათ ოთხი ნებისმიერი ცხოველის სახელი. მაგალითად, პირველი იქნება ლომი, მეორე - სპილო, მესამე - ვეფხვი, მეოთხე - ზებრა. მეხუთე - ისევ სპილო, და ა.შ., გაითვლიან ბოლომდე. მერე წამყვანი დაასახელებს ორ რომელიმე ცხოველს, მაგალითად, სპილოსა და ზებრას. ამის თქმაზე ყველა „სპილომ“ და „ზებრამ“ უნდა გაუცვალოს ადგილი ერთმანეთს. მერე წამყვანი ასახელებს ორ სხვა ცხოველს და თამაში გრძელდება, სანამ წამყვანი არ დაიძახებს „ზოოპარკი!“ ამ დროს ყველა მოთამაშემ უნდა შეიცვალოს ადგილი. სხვებთან ერთად წამყვანიც შეეცდება სკამზე დაჯდომას. ვინც დარჩება ადგილის გარეშე, ხდება ახალი წამყვანი.

3. **მაიმუნების ფრენბურთი -** ვთამაშობთ 10-20 პატარა ფერადი ბურთით. გავავლოთ მიწაზე ხაზი, მოთამაშეების ორი გუნდი დგება ხაზის სხვადასხვა მხარეს. ბურთების ნახევარი აქვს პირველ გუნდს, ნახევარი - მეორეს. თამაშს ვიწყებთ სასტვენის ხმაზე, ყველა ცდილობს გადააგდოს ბურთი მოწინააღმდეგე გუნდის ნახევარზე. თამაში გრძელდება 1 წუთი, მერე წყდება მასწავლებლის სასტვენზე. მოგებულია ის გუნდი, რომლის მხარეს ნაკლები ბურთი დარჩება.

4. **წეროები -** ყველანი ვართ წეროები და უნდა ვიდგეთ ცალ ფეხზე. ჯერ ყველა დგას მარჯვენა ფეხზე, მერე - მარცხენაზე. ვინ გაჩერდება უფრო დიდ ხანს? (შეგვიძლია გავართულოთ: ვდგავართ ცალ ფეხზე, ხოლო ხელი ზევით გვაქვს აწეული - ეს წეროს კისერი და თავია)

5. **რომელი საათია, ბატონო მგელო? -** გავავლოთ მიწაზე ხაზი, ეს სახლია. ხაზთან დამწკრივდებიან მოთამაშეები - ”ბატები”. წამყვანი (”მგელი”) დგას მოშორებით, ზურგით ”ბატებისკენ”. ”ბატები” ყვირიან: - რომელი საათია, ბატონო მგელო? – ”მგელმა” უნდა პასუხად უნდა დაასახელოს ნებისმიერი რიცხვი 1-დან 12-მდე. მაგალითად, თუკი დაიძახებს ”სამი!”, ”ბატებმა” უნდა გადადგან სამ-სამი ნაბიჯი - დიდი თუ პატარა, სულ ერთია. მერე ”ბატები” ისევ იმეორებენ კითხვას და ისევ მოძრაობენ მანამდე, სანამ ”მგელი” მათ კითხვაზე არ უპასუხებს - ”სადილის დროა!” ამის თქმისთანავე ”მგელი” გამოეკიდება ”ბატებს”, რომლებიც სახლისკენ გაიქცევიან. ვინც მოასწრებს, იმას ”მგელი” ვერ დაიჭერს. თუ ”მგელი” დაიჭერს რომელიმე ”ბატს”, ის გახდება ”მგელი”.

6. მე მივდივარ ზოოპარკში - იატაკზე დავაწყოთ ნიშნულები. ერთი იქნება ,,სახლი'', მეორე - ,,ზოოპარკი''. ბავშვმა თითო ნაბიჯის გადადგმისას უნდა დაასახელოს ერთი ცხოველი. "ზოოპარკამდე" მიაღწევს' ის ბავშვი, რომელიც შეძლებს ნიშნულამდე ცხოველების დასახელებას. თავდაპირველად შეიძლება ნიშნულები საკმაოდ ახლოს იყოს ერთმანეთთან, შემდეგ კი თანდათან გავზრდით მათ შორის მანძილს. ბოლოს მთელი ჯგუფი იკრიბება ,,ზოოპარკში'' და მონაწილეები დაჯილდოვდებიან აპლოდისმენტებით.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **ვხატავთ სპილოს -** მივცეთ თითოეულ ჯგუფს დიდი ფორმატის ფურცელი. ჯგუფმა ერთობლივად უნდა დახატოს რაიმე ცხოველი, მაგალითად, სპილო. ხატვის წესი შემდეგია: ბავშვები ხატავენ რიგრიგობით, თითოეული ბავშვი ხატავს სპილოს ერთ რომელიმე ნაწილს, მაგალითად, ფეხს ან ხორთუმს. ის ბავშვი, რომელსაც დახატვის ჯერი მოუწევს, ამბობს, რომელი ნაწილის დახატვას აპირებს, ადებს ქაღალდის შესაბამის ადგილას ფანქარს, მერე ხუჭავს თვალს და ხატავს თვალდახუჭული. ხატვის დასრულების შემდეგ შევადარებთ, რომელი ჯგუფის ნახატი უფრო ჰგავს სპილოს.

2. **ფაზლი** - რომელიმე ცხოველის სურათის აწყობა. რამდენ ნაწილიანი იქნება ფაზლი, დამოკიდებულია ბავშვების განვითარების დონეზე. უნდა ვიქონიოთ სხვადასხვა სირთულის ფაზლები და თანდათან გავურთულოთ ბავშვებს ამოცანა. შეგვიძლია ფაზლები თავადაც დავამზადოთ.

3. **ცხრილები -** თუ ჯგუფი ზოოპარკში არ ყოფილა, მივცეთ ბავშვებს შესავსებად ცხრილები, რომლებსაც მოვამზადებთ ენციკლოპედიაში დათვალიერებული მასალის მიხედვით. შეგვიძლია გამოვიყენოთ ზემოთ მოყვანილი ცხრილი ბოლო სვეტის გარეშე ან შევადგინოთ ნებისმიერი სხვა - იმის გათვალისწინებით, რა ენციკლოპედიები გვაქვს ხელთ.

4. **სიტყვების მოძებნა ტექსტში** - წინასწარ მოვამზადოთ ტექსტი ან წიგნი, რომელშიც მეორდება სიტყვები „ლომი“ და „სპილო“, ასევე 4 სახეობის ბარათები: 1. ხატია ლომი და წერია „ლომი“ , 2. წერია სიტყვა ''ლომი“, 3. ხატია „სპილო“ და წერია სიტყვა „სპილო“, 4. წერია სიტყვა „სპილო“ (იხ. ილუსტრაცია #19). ვაძლევთ ბავშვების ორ ჯგუფს სურათებიან ბარათებს და ვთხოვთ, მოძებნონ ტექსტში სიტყვები „ლომი“ და „სპილო“. შევადაროთ, რომელმა ჯგუფმა მონახა მეტი სიტყვა? მივცეთ ბარათები სურათების გარეშე. დათვალონ ასოების რაოდენობა ამ სიტყვებში. რომელი სიტყვაა უფრო გრძელი? შემოხაზონ ის ასოები, რომლებიც ორივე სიტყვაში გვხვდება.

5. **გაფერადება -** შევთავაზოთ ბავშვებს გასაფერადებელი ,,სპილო და სპლიყვი''. ბავშვებმა უნდა გააფერადონ და მოიფიქრონ მათზე ისტორია. (ილუსტრაცია ???).



6. **რა მწვანილია? -** თამაშობენ წყვილებად. წყვილები რიგრიგობით ხუჭავენ თვალს და ცდილობენ სუნით ამოიცნონ, რომელ მწვანილს ვთავაზობთ (მეწყვილეებს უნდა ჰქონდეთ ერთი პასუხი, თუ ვერ შეთანხმდებიან, პასუხი არ მიიღება).

7. **ობობას ქსელი -**ბავშვები დადგებიან წრეში და გადაუგდებენ ერთმანეთს მრგვალად დახვეულ ძაფის გორგალს ისე, რომ ძაფის წვერს ხელს არ უშვებენ. ბოლოს ყველა ბავშვი დაკავშირებული აღმოჩნდება ერთმანეთთან ძაფით. ამის შემდეგ ბავშვები შებრუნებული მიმდევრობით გადაუგდებენ ერთმანეთს გორგალს, თან დაახვევენ ძაფს.

8. **აპლიკაცია ძაფით -** შევთავაზოთ ბავშვებს დიდი ფორმატის ფურცლებზე გასაფერადებელი სურათები (კონტურები). მათ უნდა ამოავსონ სურათები ფერადი ძაფების დაწებების გზით. ბავშვებმა უნდა იმუშაონ ჯგუფებად, ერთად შეარჩიონ ფერები და გადაწყვიტონ, ვინ რა ნაწილს გააკეთებს.

9. **კვერცხები რიცხვებით -** წინასწარ მოვამზადოთ პლასტმასის კვერცხები: კვერცხის ერთ ნახევარზე დავაწეროთ ციფრები 1-დან 10-მდე, მეორე ნახევარზე კი დავსვათ შესაბამისი რაოდენობის წერტილები.

მივცეთ ბავშვების ორ ჯგუფს თითო ასეთი ნაკრები, ოღონდ წინასწარ გავხსნათ ყველა კვერცხი და ნაწილები ერთმანეთში ავურიოთ. გუნდებმა უნდა ააწყონ უშეცდომოდ. მოგებულია ის, ვინც პირველი შეასრულებს დავალებას.

10. **კვერცხები ასოებით -** ჩავდოთ პლასტმასის კვერცხებში სხვადასხვა ასოს გამოსახულება (პლასტმასის ან ქაღალდზე დაწერილი). თითო კვერცხში შეიძლება იდოს ერთი ან რამდენიმე ასო. მათ შორის უნდა იყოს რამდენიმე ასო „ი“. გუნდებმა უნდა გახსნან კვერცხები და იპოვონ ყველა „ი“.

წიგნის დრო

1. წავუკითხოთ ბავშვებს ნებისმიერი იგავ-არაკი ან ზღაპარი, რომელშიც გვხვდება ლომი. მაგალითად, „ლომი და თაგვი“ ან „ჭკვიანი კურდღელი და ლომი“. ვკითხოთ: როგორ გაიგეს? ვისაუბროთ შინაარსზე.

2. წავუკითხოთ ბავშვებს შარლ პეროს ზღაპარი „მძინარე მზეთუნახავი“. ვკითხოთ: როგორ მოეწონათ ზღაპარი? როგორ ფიქრობენ, რა მოხდა მას მერე, რაც ზღაპარი დამთავრდა? შევთავაზოთ, მოიფიქრონ გაგრძელება - „მძინარე მზეთუნახავის ახალი თავგადასავალი“.

მუსიკა

1. **მაღალი და დაბალი ბგერები -** ბავშვები უსმენენ დაბალი და მაღალი ნოტების ჟღერადობას. ვკითხოთ: რომელი ცხოველის ხმას ჰგავს? დათვია თუ ჩიტი? ვმღერით ბავშვებთან ერთად ბოხი ხმით (როგორც ლომები), წვრილი ხმით (როგორც თაგვები).

2. **ცხოველთა კარნავალი -** მოვასმენინოთ ბავშვებს ნაწყვეტები სენ-სანსის „ცხოველთა კარნავალიდან“, კერძოდ, კომპოზიციები: *შესავალი* და *ლომის მარში*, *სპილო* და *კენგურუ*.

   ყოველი ნაწყვეტის შემდეგ შევჩერდეთ, ვკითხოთ, ახსენებთ თუ არა ეს მუსიკა რაიმე ცხოველს. ბავშვების მიერ ვარაუდების გამოთქმის შემდგომ დავუსახელოთ კომპოზიციის სახელწოდება. ხელმეორედ ჩავრთოთ ნაწყვეტი და ვთხოვოთ, იმოძრაონ მუსიკის თანხლებით, კომპოზიტორის მიერ ნაგულისხმევი ცხოველის მსგავსად.

3. **ცეკვა „ქართული“** - შეიძლება ვაჩვენოთ ბავშვებს ვიდეოჩანაწერი. მაგალითად, ნაწყვეტი ფილმიდან „ქეთო და კოტე“, მერე დავუკრათ ან ჩავრთოთ შესაბამისი მუსიკა და ვიცეკვოთ ბავშვებთან ერთად. არ დაგვავიწყდეს: ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ის, რომ ბავშვებმა ზუსტად გაიმეორონ მოძრაობები.

4. **„მძინარე მზეთუნახავი“-** ვაჩვენებთ ბავშვებს ნაწყვეტს ჩაიკოვსკის ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“ (თუ ვიდეოს ნახვის საშუალება არ გვაქვს, მოვასმენინოთ ეს მუსიკა და ვაჩვენოთ ბალეტის სურათები).

   შევთავაზოთ, რომ თვითონაც იცეკვონ ამ ბალეტის მუსიკაზე (ცეკვავენ თავისუფლად, ჩვენ არ ვკარნახობთ მოძრაობებს).

მე-19 კვირა

თემა: ცხოველები ჩვენ გარშემო (II კვირა)

ამ კვირაში ბავშვები იწყებენ მუშაობას დიდ პროექტზე, რომელსაც ეწოდება „ჩვენი ზოოპარკი“ და გაგრძელდება თემის ბოლომდე. ამ დროის განმავლობაში ბავშვები შექმნიან ცხოველების ვოლიერებისა და თევზების აკვარიუმების მაკეტებს, ცხოველების გამოსახულებებს/ფიგურებს, დახაზავენ ზოოპარკის გეგმას და ააშენებენ "ზოოპარკს" ჯგუფში. უნდა ვისაუბროთ ბავშვებთან, რომ ზოგჯერ იქ, სადაც ცხოველები ადრე თავისუფლად ცხოვრობდნენ ბუნებაში, ამჟამად მათთვის აღარ დარჩა საცხოვრებელი ადგილი - იქ გაიჩეხა ტყეები, აშენდა ქალაქები, გაყვანილია გზები. ასეთ შემთხვევაში ცხოველებისთვის ქმნიან ნაკრძალებს ან ათავსებენ მათ ზოოპარკებში. იმისთვის, რომ ცხოველები კარგად გრძნობდნენ თავს ზოოპარკში, უნდა შევუქმნათ ისეთი საცხოვრებელი პირობები, რომელიც მაქსიმალურად დაემსგავსება მათ ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს. გარდა ამისა, ცხოველები არ უნდა დავტოვოთ მარტო, მათ უნდა ჰყავდეთ ოჯახი და მეგობრები; უნდა ვაჭამოთ ის საკვები, რომელიც მათ უყვართ და მათთვის სასარგებლოა, ვუმკურნალოთ და ა.შ.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი	საუბარი თევზებზე	**პროექტი:** ზოოპარკი - 1. წყლის მცენარეები. **პროექტი:** ზოოპარკი - 2. აკვარიუმი.	წავიკითხოთ ზღაპარი „ოქროს თევზი“.	როლური თამაში: „მივდივართ სათევზაოდ“	თევზაობა	1. სიმღერა ”ზღვის ქვემოთ” („under the sea“) დისნეის მულტ-ფილმიდან ”პატარა ქალთევზა”. . 2.სენ-სანსი, „ცხოველების კარნავალი“ - კომპოზიცია ”აკვარიუმი”.	შევაჯამოთ დღე. ვუთხრათ ბავშვებს, რომ ძალიან მოგვეწონა მათ მიერ გაკეთებული აკვარიუმები. ვკითხოთ, ხომ არ მოგვეწყო ჯგუფში ზოოპარკი? აკვარიუმის განყოფილებისთვის უკვე გვაქვს გამზადებული აკვარიუმები. აგრეთვე უკვე გვაქვს დამზადებული რამდენიმე ცხოველი. შევთავაზოთ, იფიქრონ ამ იდეაზე.
მასალები/ რესურსები	ილუსტრირებული ენციკლოპედიები	ხელოვნების ცენტრის მასალები, მეორადი მასალები, დიდი გამჭირვალე კონტეინერი ან 3-ლიტრიანი ქილა ან პატარა აკვარიუმი (3-5ლ), კენჭები, წყლის მცენარე, პატარა რეზინის შლანგი, დიდი ჭიქები ან პატარა პლასტმასის ბოთლები.	წიგნი	ბაწარი, ცარცი, ნიჩბები, ვედროები. მუყაოს ან ძაფის ან სხვა მასალით გაკეთებული „ჭიები“	მაგნიტი, საკანცელარიო სკრეპები, ხელოვნების ცენტრის მასალები	ვიდეოჩანაწერი ან აუდიოჩანაწერი	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი	საუბარი პროექტ-ზე „ზოოპარკი“	**პროექტი** ზო-ოპარკი - 2. აკვა-რიუმი **პროექტი** ზო-ოპარკი-2. აკვა-რიუმი - დასრუ-ლება **პროექტი** ზო-ოპარკი: ბილეთები **როლური თამა-ში:** ”ვეტერინარი ზოოპარკში” ან ”ვეტერინარული კლინიკა”.	ძმები გრიმე-ბის ზღაპარი „ბრემენელი მუსიკოსები.	ვივარჯიშებთ წონასწორობის უნარს - გადავდი-ვართ ვიწრო ხიდ-ზე მდინარეზე, სადაც ბინადრო-ბენ ნიანგები. ფიცარს ჯერ უბ-რალოდ ვდებთ მიწაზე, ხოლო „მდინარეს“ ვხა-ტავთ ცარცით. თუ ბავშვებს არ უჭირთ, ფიცარს ვდებთ 20-30 სმ სიმაღლეზე. **თამაში: «სათაგური».**	კატალოგების გაკეთება (პროექტი ზოოპარკი - 5) ფაზლის აწყობა	სიმღერა მულ-ტფილმიდან ბრემენელი მუსიკოსები	შევაჯამოთ ვინ ვის დაეხმარა დღეს? რა არ გამოგი-ვიდათ?

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები		ხელოვნების ცენტრის მასალები, მეორადი მასალები, ექიმის სათამაშო ნაკრები, შპრიცები, პიპეტები, ბამბა, ბინტი, კარგად გარეცხილი წამლის ცარიელი ფლაკონები და ა.შ.	წიგნი	20სმ სიგანის გრძელი ფიცარი, ცარცი.	ხელოვნების ცენტრის რესურსები; ფაზელი.	ბავშვების ხელნაკეთი მუსიკალური ინსტრუმენტები, აუდიოჩანაწერები.	
ოთხშაბათი	საუბარი ფრინველებზე. როგორია ფრინველი?	**პროექტი** ზოოპარკი- 4. პაპიემაშე.	ანდერსენის ზღაპარი „მახინჯი იხვის ჭუჭული“ (პირველი ნახევარი)	1.თამაში: ”მიპასუხე” 2. თამაში: ”დაფრინავს-არ დაფრინავს”	სურათების დახარისხება ფრინველების კუდები	სიმღერა „ჭრელო პეპელა“.	შეავაჯამოთ დღე: ვკითხოთ, რა იყო ყველაზე კარგი? რას მოუყვებიან მშობლებს? რა არ მოგეწონათ?
მასალები/ რესურსები	ენციკლოპედია, სურათები, ხელის თოჯინა	ფქვილი ან სახამებელი, ძველი გაზეთები, ბუშტები, წვენის, კეფირის ყუთები, ბოთლები და სხვა მეორადი მასალები.	ზღაპრების წიგნი	ბურთი	ცხოველების, ფრინველების, მწერების სურათების ნაკრები; ხელოვნების ცენტრის მასალები.	ჭრელი ნაჭრები	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბა-თი ინდივი-დუალი-ზება	საქართველოს ფრინველები. რითი იკვებებიან ფრინველები.	**როლური თამა-ში:** "ზოოპარკში სანიტარული დღეა". **პროექტი** ზო-ოპარკი - 5. აბ-რები. **პროექტი** ზო-ოპარკი - 6. ჩიტე-ბის ვოლიერები.	ანდერსენის ზღაპარი „მა-ხინჯი იხვის ჭუკი“ (გაგრ-ძელება და-დასრულება).	სახტუნაო (ლახ-ტი) **თამაში:** ქორი და წიწილები	1. "შემოხაზე ზედმეტი" 2."დავითვა-ლოთ ჩიტები" 3. "შევაერთოთ წყვილები"	ჩაიკოვსკის ბალეტი „გედე-ბის ტბა“	შეჯამება როგორ მოგეწონათ ზღაპარი? რა მოგეწა-ნოთ უფრო?
მასალები/ რესურსე-ბი	ილუსტრირებუ-ლი ენციკლოპე-დია, საქართვე-ლოს ფრინველე-ბის სურათები, ნისკარტების სურათები	ხელოვნების ცენტრის მასა-ლები.	ზღაპრების წიგნი	ლახტები	წინასწარ გამ-ზადებული სამუშაო ფურც-ლები	ვიდეო- ან /და აუდიოჩანაწე-რი	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივი-დუალი-ზება	ვინ რას ჭამს? წყლის ფრინვე-ლები	**პროექტი** ზო-ოპარკი: ბავშ-ვები ამთავრებენ ადრე დაწყებულ პროექტებს: აფერადებენ და ამთავრებენ ადრე გაკეთე-ბულ პაპიემაშეს ცხოველებს, ამ-თავრებენ ჩიტე-ბის ვოლიერებს, აბრებს. **წესებიანი თამა-ში:** დომინო, შაში ან სხვა სამაგიდო თამაში. **როლური თამა-ში:** "ზოოპარკში ცხოველებს ჭა-მის დრო აქვთ".	ზღაპარი "კურდღელი და კუ" 	ესტაფეტა	კატალოგები ვისი ჩრდი-ლია?	სენ-სანსის „მომაკვდავი გედი“	შევაჯამოთ დღე: ვისაუბროთ, რა დაგ-ვრჩა გასაკეთებელი ჩვენი ზოოპარკისთ-ვის? რა გვინდა, რომ იყოს კიდევ?

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსე-ბი	დასურათებული ენციკლოპედია	ხელოვნების ცენტრის და მა-სალები; სამაგი-დო თამაშები; ცხოველების კვებისთვის სა-ჭირო რეკვიზი-ტი: ვედროები, ურიკები, „თივა“, „ხორცი“ და ა.შ.	წიგნი	წინაღობები ესტა-ფეტისთვის	ადრე გაკეთე-ბული წიგნები, ცხოველების სურათები, წებო, ხელოვ-ნების ცენტრის მასალები. სა-მუშაო ფურც-ლები.	ვიდეო ან/და აუდიოჩანაწე-რები	

საქმიანობათა ინსტრუქციები

დილის შეხვედრა წრეში

1. საუბარი თევზებზე

ვესაუბრებით თევზების შესახებ დავათვალიერებთ თევზების სურათებს ენციკლოპედიებში. ვკითხოთ ბავშვებს: რა ვიცით თევზების შესახებ? რას ჭამენ თევზები? სად ცხოვრობენ? თუ ვიცით, რა არის აკვარიუმი? თუ გვინახავს? (თუ ჯგუფი გვყავდა ზოოპარკში, ვიხსენებთ აკვარიუმის განყოფილებას).

საუბარი პროექტზე: „ზოოპარკი“

ვკითხოთ ბავშვებს: უნდათ თუ არა ზოოპარკის შექმნა? რომელი ცხოველები გვეყოლება ზოოპარკში? როგორ მოვაწყოთ? როგორი უნდა იყოს პირობები ამ ცხოველებისთვის?

ვუთხრათ, რომ ჯერ კარგად გავაკეთებთ ყველაფერს, მოვაწყობთ სანიმუშო ზოოპარკს, მერე კი დავპატიჟებთ სტუმრებს ჩვენს ზოოპარკში.

2. საუბარი ფრინველებზე

ვკითხოთ: რა ფრინველები ვნახეთ ზოოპარკში? კიდევ რა ჩიტები უნახავთ? როგორ მიხვდნენ, რომ ისინი ფრინველები არიან? რითი განსხვავდებიან ფრინველები სხვა ცხოველებისგან?

გამოვიყენოთ ხელის თოჯინა. პატარა თოჯინა ეძებს ფრინველებს გარეგნული ნიშნების მიხედვით, ბავშვები ეხმარებიან. მაგალითად, ეუბნებიან: "ფრინველი დაფრინავს!" მასწავლებელს მომარაგებული აქვს პეპელას, ფუტკრის, ბუზის, თვითმფრინავის სურათები. თოჯინა წამოიძახებს: - აი, ესენი ყოფილან ფრინველები! - არა, - ამბობენ ბავშვები, - ფრინველებს აქვთ ორი ფეხი! თოჯინა მივა ერთ-ერთ ბავშვთან და ამბობს: "შენ ყოფილხარ ფრინველი, შენ გაქვს ორი ფეხი!" და ასე შემდეგ (გავითვალისწინოთ: ნისკარტი აქვს იხვნისკარტასაც, კვერცხებს დებენ გველებიც და კუებიც. მთავარია, კარგად მოვემზადოთ ამ თამაშისთვის და მოვიმარაგოთ საჭირო სურათები).

3. საქართველოს ფრინველები

დავათვალიერებინოთ ბავშვებს საქართველოს ფრინველების სურათები - არწივის, ბუს, ბეღურას, ბულბულის, მტრედის, ოფოფის, მერცხლის, კოდალას და ჩხიკვის სურათები. ვკითხოთ: რომელი უნახავთ? რომლის სახელები იციან? რომელია მგალობელი ფრინველი?

დავათვალიერებინოთ ნაირ-ნაირი ფრინველების სურათები ენციკლოპედიაში. გავუმახვილოთ ბავშვებს ყურადღება მათ ნისკარტებზე. დავუსვათ შეკითხვა: რატომ აქვთ ფრინველებს ასეთი განსხვავებული ნისკარტები? ბავშვები გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს, შემდეგ კი ვაჩვენებთ სათანადო ილუსტრაციებს და ავუხსნით მიზეზს.

მივაწოდოთ ინფორმაცია: ზოგიერთი ფრინველი იკვებება მწერებით, კენკრით, ხილით, მარცვლებით, ხოლო მტაცებელი ფრინველები იკვებებიან ხორცითა და თევზით. ის ფრინველი, რომელიც იჭერს და ჭამს მწერებს, ვერ შეჭამს მარცვლეულს, ხოლო ფრინველი, რომელიც იკვებება მარცვლეულითა და ხილით, ვერ დაიჭერს მწერებს. მათ ნისკარტებიც ისეთი აქვთ, რომ თავიანთი საყვარელი საჭმელი უფრო ადვილად იშოვონ. ვაჩვენოთ ბავშვებს შესაბამისი ილუსტრაცია და დავაზუსტოთ, რომელი ნისკარტი რომელ საკვებს მიესადაგება, მაგალითად:

- იმ ფრინველებს, რომლებიც მწერებს ჰაერში იჭერენ, აქვთ წვეტიანი ნისკარტი, ნისკარტის გარშემო კი აქვთ პატარა «ულვაშები», რათა უფრო ადვილად დაიჭირონ მწერები და ა.შ.(იხ. ილუსტრაცია #20)

	ასეთი ფორმის მაგარი ნისკარტი მოსახერხებელია თესლების (მარცვლეულის) გასარჩევად და საჭმელად.		ჩიტებს, რომლებიც იკვებებიან თევზით, აქვთ ნისკარტზე ბასრი, კბილისმაგვარი ნაზარდი - იმისთვის, რომ მაგრად დაიჭირონ თევზი.
	ვიწრო და წვეტიანი ნისკარტი საჭიროა ფოთლებიდან და ტოტებიდან მწერებისა და მატლების ასაღებად.		მტაცებელ ფრინველებს აქვთ ბასრი, მოკაუჭებული ნისკარტი, რომლითაც შეუძლიათ დაიჭირონ ცხოველები.
	კოდალას აქვს მაგარი და ბოლოსკენ წაწვეტებული ნისკარტი, რომლითაც ადვილად ხვრეტს ხის ქერქს და იჭერს ქერქის ქვეშ მობინადრე მწერებს,		იხვებისა და ბატების ნისკარტი ისეა მოწყობილი, რომ მოსახერხებელი იყოს წყლიდან მცენარეებისა და მცირე ზომის ცხოველების ამოღება.
	ჩიტებს, რომლებიც იჭერენ მწერებს ჰაერში, აქვთ ძირში წაბრტყელებული და განიერი ნისკარტი. ნისკარტის კუთხეებში აქვთ «ულვაშები», რომლებიც უადვილებენ მსხვერპლის დაჭერას.		 a

4. ვინ რას ჭამს?

ვათვალიერებთ ფრინველების სურათებს (წინასწარ შევარჩიოთ, რა ფრინველებს ვაჩვენებთ). ბავშვები ნისკარტის ფორმით უნდა მიხვდნენ, რით იკვებება ესა თუ ის ფრინველი. ვკითხოთ: რომელი ფრინველები ცხოვრობენ წყალთან? თუ გინახავთ ეს ფრინველები? ვისაუბროთ წყლის ფრინველებზე.

წესებიანი /მოძრავი თამაშები

1. **სათაგური -**ორი მოთამაშე (წამყვანები) დგება ერთმანეთის პირისპირ. ორივენი მაღლა ასწევენ შეერთებულ ხელებს და ამბობენ რაიმე მოკლე წინადადებას (ან ლექსს) თაგვების შესახებ. მაგალითად: «თაგვმა თავი მოგვაბეზრა, ყველაფერი შეგვიჭამა, სათაგური დავაყენოთ და თაგვები დავიჭიროთ!» სანამ წამყვანები ლაპარაკობენ, დანარჩენი მოთამაშეები (”თაგვები”) ერთმანეთის მიყოლებით გარბიან მათი ხელების ქვეშ. ბოლო სიტყვაზე წამყვანები სწრაფად უშვებენ ხელებს დაბლა და იჭერენ ერთ-ერთ მოთამაშეს «სათაგურში». დაჭერილი მოთამაშე უერთდება წამყვანებს. სათაგური დიდდება. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ არ დარჩება მხოლოდ ერთი ”თაგვი” - ესაა გამარჯვებული.

2. **მიპასუხე -** შევქმნათ წრე. გადავუგდოთ რომელიმე ბავშვს ბურთი და დავუსვათ შეკითხვა. ბავშვმა უნდა გასცეს პასუხი კითხვას და დაგვიბრუნოს ბურთი. თამაში გამოიყენება დამახსოვრებული ინფორმაციის გასამყარებლად. ჩვენს შემთხვევაში მისი გამოყენება შეგვიძლია ფრინველებთან დაკავშირებული ინფორმაციის დასამახსოვრებლად (მაგ., რომელმა გარეულმა ფრინველმა იცის ჭუკჭუკი? ჭიკჭიკი? ჟივჟივი? ჩხავილი? რომელი ფრინველის ბარტყს ჰქვია ბახალა? ხუნდი? მართვე? და ა.შ.).

3. **დაფრინავს-არ დაფრინავს -** ვქმნით წრეს. ვასახელებთ ცხოველს ან საგანს და ვამბობთ: ”არწივი მიფრინავს”, ან ”მაგიდა მიფრინავს” და თან ვწევთ ხელებს მაღლა. თუ დასახელებული საგანი მართლაც დაფრინავს, ბავშვებმაც მაღლა უნდა ასწიონ ხელები; თუ არ დაფრინავს, არ უნდა გაინძრნენ.

4. **სახტუნაო (ლახტი) -** ვსწავლობთ სხვადასხვგვარად ხტუნვას ლახტით - ცალი ფეხით, ორი ფეხით, წინ, უკან და ა.შ.

5. **ქორი და წიწილები -** მოედნის ერთ მხარეზე, ორ ბოძს შორის, 40-50 სმ-ის სიმაღლეზე გაბმულია თოკი -ეს ”კრუხისა” და ”წიწილების” სახლია. მოშორებით გამოყოფილია კიდევ ერთი ადგილი - ეს ”ქორის”სახლია. ”წიწილები” და ”კრუხი” ისვენებენ სახლში, ”ქორს” სძინავს. მასწავლებლის ნიშანზე: “ერთი, ორი, სამი”, ”კრუხი” გამოძვრება თოკის ქვემოდან და მიდის საჭმლის საშოვნელად, ეძახის ”წიწილებს”: “კო... კო... კო...”, ამ ნიშანზე ”წიწილებიც” გამოძვრებიან სახლიდან, კენკავენ საჭმელს, სეირნობენ. მასწავლებლის ნიშანზე - “ქორი”, -”წიწილები” სირბილით ბრუნდებიან სახლში. ”ქორი” იჭერს ჩამორჩენილ ”წიწილებს” და მიჰყავს თავის სახლში. თამაში მეორდება რამდენჯერმე.

6. **ესტაფეტა -** ყველა ბავშვმა უნდა გაირბინოს გარკვეული მონაკვეთი და გადალახოს წინაღობები: გადახტეს, გადაძვრეს პატარა სათამაშოთი ხელში; შემდეგ დაბრუნდეს და გადასცეს სათამაშო შემდეგს.

როლური თამაში ეზოში: მივდივართ სათევზაოდ

მივცეთ ბავშვებს ნიჩბები და ვედროები და ვაჩვენოთ, სად უნდა ამოთხარონ "ჭიები". თუ ეზოში გვაქვს საქვიშე, შეგვიძლია წინასწარ ჩავმალოთ ქვიშაში „ჭიები". ,,ჭიების'' დამზადება თავად შეგვიძლია (ბაწრით ან სხვა მასალით). მივცეთ ბავშვებს პატარა ჯოხები და ბაწარი ანკესების გასაკეთებლად. ბავშვები თავისუფლად თამაშობენ, მაგრამ აუცილებლად უნდა დავდოთ ქვები (ან დავხატოთ ისინი ცარცით) და ვუთხრათ ბავშვებს, გადახტდნენ ქვიდან ქვაზე "მდინარემდე" მისასვლელად.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **თევზაობა -** თხელი მუყაოსგან გამოვაჭრევინოთ ბავშვებს პატარა (2-3სმ) თევზები, ნაწილი გააფერადონ, რამდენიმე კი გაუფერადებელი დატოვონ. გაფერადებულ თევზებს გავუკეთოთ ცხვირზე საკანცელარიო სკრეპი. მივცეთ ბავშვებს წინასწარ გამზადებული ანკესი - პატარა ჯოხი და ბაწარი, რომლის ბოლოზე დამაგრებულია მაგნიტი. შევთავაზოთ ბავშვებს, ითევზაონ რიგრიგობით (ყოველ ჯგუფს თითო ანკესი უნდა ჰქონდეს). ვკითხოთ, რატომ ვერ იჭერენ თეთრ თევზებს? როგორ ფიქრობენ, კიდევ რისი „დაჭერა" შეიძლება მათი ანკესებით და რატომ? (მივცეთ საშუალება, შეამოწმონ საკუთარი ვარაუდები).

2. მივცეთ ჯგუფებს დავალება (შეჯიბრი) - მაგალითად, დაიჭირონ 2 ლურჯი, 5 წითელი და 3 ყვითელი თევზი. შემდეგ დათვალონ, სულ რამდენი დაიჭირეს.

3. **ვამზადებთ წიგნებს** - ვიწყებთ პროექტისთვის ზოოპარკის კატალოგების გაკეთებას. კატალოგები იქნება დასურათებული წიგნი - მასში ცხოველების სურათებს ან ფოტოებს ჩავაწებებთ ან ჩავხატავთ. ავხსნათ, რა არის კატალოგი. მივცეთ ყოველ ჯგუფს არჩევანი - რა ცხოველების კატალოგს გააკეთებენ (მტაცებლების, ფრინველების, თევზების თუ სხვ.). ჯგუფმა უნდა აირჩიოს წიგნის ფორმა - უბრალო, გასაშლელი, სამგანზომილებიანი თუ სხვა (სულ გვინდა 4 ან 5 წიგნი). ამის შემდეგ ჯგუფები შეუდგებიან მუშაობას.

4. **ფაზლის აწყობა -** მივცეთ ასაწყობად წყალქვეშა სამყაროს 12-16-ნაწილიანი ფაზლი.

5. **სურათების დახარისხება -** დავარიგოთ ფრინველებისა და სხვა ცხოველების სურათები. ვთხოვოთ ბავშვებს, დაალაგონ ისინი კატეგორიების/მახასიათებლების მიხედვით. დავალება მივცეთ იმგვარად, რომ ყოველ ჯერზე ჯგუფდებოდეს სხვადასხვა ნახატი. მაგალითად, ჯერ დავახარისხოთ ცხოველების ფეხების რაოდენობის მიხედვით - აქ ფრინველები იქნება ცალკე ჯგუფში, მწერები - ცალკე,შემდეგ ფრენის უნარის მიხედვით - სირაქლემა და პინგვინი გადაინაცვლებს სპილოსთან, ხოლო ფუტკარი და ბუზი - ფრინველებთან. მტაცებლების ჯგუფში მოხვდებიან როგორც ოთხფეხა მტაცებლები, ასევე ფრინველების ნაწილი და ა.შ.

6. წინასწარ მოვამზადოთ მუყაოსგან ფრინველების ფიგურები, დავაწეროთ ციფრები. ბავშვებმა გაუკეთონ კუდები - შესაბამისი რაოდენობის სარჭები.

7. ბავშვებს ვთხოვოთ, შემოხაზონ ზედმეტი ფრინველი (იხ. ილუსტრაცია #21)

8. ვთხოვოთ ბავშვებს, დაითვალონ მსგავსი ფრინველები. რომელია ყველაზე მეტი? (იხ. ილუსტრაცია #22))



9. ვთხოვოთ ბავშვებს, ფანქრით შეაერთონ წყვილები (იხ. ილუსტრაცია #23).

10. ვაგრძელებთ კატალოგებზე მუშაობას. ადრე გამზადებულ წიგნებში ბავშვები აწებებენ სურათებს წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად (იხ. ზემოთ, #3. ვამზადებთ წიგნებს) და ამზადებენ მტაცებლების, ბალახისმჭამელების, ფრინველების, თევზების თუ სხვა ტიპის კატალოგებს, აფორმებენ მათ სათანადოდ.

11. მივცეთ ბავშვებს წინასწარ გამზადებული სამუშაო ფურცელი, რომელზეც გამოსახულია რამდენიმე ცხოველი, მცენარე ან ნივთი ასევე მათი ჩრდილები. ბავშვებმა უნდა განსაზღვრონ, რომელი ჩრდილი რომელ ცხოველს/მცენარეს/ნივთს ეკუთვნის (იხ. ილუსტრაცია #24).

პროექტები

პროექტი: ზოოპარკი

1. **პროექტი ზოოპარკი - 1. წყლის მცენარეები -** გამჭირვალე კონტეინერში ან პატარა აკვარიუმში (3-5ლ) ჩავასხათ წყალი. ბავშვებმა წინასწარ გამოთქვან ვარაუდები, რამდენი ჭიქა (ან სხვა რაიმე საზომი) წყალი ჩავა ამ კონტეინერში. ყველამ დაასახელოს საკუთარი ვარაუდი, მერე შევამოწმებთ, ვინ უფრო ახლოს იყო სწორ პასუხთან.

   ბავშვები წყლიან კონტეინერში ჩაყრიან წინასწარ გამზადებულ და გარეცხილ კენჭებს ან ქვიშას, შეუძლიათ ჩაყარონ სათამაშო თევზებიც. წინასწარ ვკითხოთ ბავშვებს, როგორ ფიქრობენ, რა მოხდება? ვაკვირდებით, რა მოხდა (კენჭები ჩაიძირა, წყალი გადმოვიდა კონტეინერიდან). რატომ?

   ბავშვები რგავენ აკვარიუმში ერთი ან ორი სახეობის წყალმცენარეს. ეს ძალზე საინტერესო პროცესია, ვინაიდან წყალში მცენარე სულ სხვანაირად "იქცევა", მისი დარგვაც არ არის მარტივი. წყალში ჩაშვებული ხელიც სხვანაირად ჩანს.

   თუ ოთახი იძლევა საშუალებას (საკმარისი შუქია და სითბო), ეს აკვარიუმი შეიძლება დარჩეს ჯგუფში პროექტის დასრულების შემდეგაც. ბავშვები დააკვირდებიან მცენარეების ზრდისა და გამრავლების პროცესს. აქვე შეიძლება ჩავსვათ წყლის ლოკოკინებიც - ბავშვები დააკვირდებიან ლოკოკინების კვების პროცესს, ქვირითს, პატარა ლოკოკინების გამოჩეკვასა და ზრდას. ასეთი აკვარიუმი არ მოითხოვს ხარჯებს ან განსაკუთრებულ მოვლას და ძალზე სასარგებლოა შემეცნებითი თვალსაზრისით.

2. **პროექტი ზოოპარკი -2. აკვარიუმი -** ბავშვები ამზადებენ „აკვარიუმებს“ სხვადასხვა ხერხითა და სხვადასხვა მასალით. მაგალითად, სხვადასხვა მასალისგან ამზადებენ ან ხატავენ თევზებს, მერე აკრავენ ფორმატის ფურცლებზე და აფორმებენ, როგორც აკვარიუმებს, ***ან***: იყენებენ მუყაოს ყუთებს, ყუთების სახურავებს. შეიძლება გამოვიყენოთ ასევე შუშის ქილები ან გამჭირვალე კონტეინერები:

   შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა მეორადი მასალა: ყუთები, დიდი ფორმატის ფურცლები. თვითონ აირჩიონ, როგორი იქნება მათი აკვარიუმები.

3. **პროექტი ზოოპარკი - 3. ბილეთები -** დავარიგოთ ზოოპარკის ბილეთები (იმ ჯგუფებში, რომლებიც იყვნენ ზოოპარკში), სხვა ჯგუფებთან კი გამოვიყენოთ სხვა ბილეთების ნიმუშები. დააკვირდნენ: როგორ გამოიყურება ბილეთები? რა აწერია? რას ნიშნავს ეს ციფრები? ვუთხრათ, რომ ჩვენც დაგვჭირდება ბილეთები ჩვენი ზოოპარკისთვის. შევთავაზოთ, მოიფიქრონ დიზაინი და მოამზადონ ბილეთები. ვუთხრათ, რომ უნდა იყოს ორი სახეობის ბილეთები: 1) ბავშვებისათვის, რომელიც ღირს ერთი ლარი, 2) დიდებისთვის, რომელიც ღირს ორი ლარი. ბავშვებმა უნდა დააწერონ ან დააწებონ ფასი, ან განასხვაონ ბილეთები ფერის მიხედვით. მაგალითად, ერთლარიანი ბილეთი იქნება წითელი ფერის, ორლარიანი - ყვითელი ფერის.

4. **პროექტი ზოოპარკი - 4. პაპიემაშე -** ზოოპარკის ბინადართა ფიგურების გაკეთება პაპიემაშეს ტექნოლოგიით.

ბავშვები ბერავენ ბუშტებს, მერე ბუშტების, ძველი ბოთლების, წვენის ყუთების და სხვა მეორადი მასალებით აკეთებენ ფრინველებისა და სხვა ცხოველების ფიგურებს პაპიემაშეს მეთოდით. ბოლოს დააწყობენ გასაშრობად და მოაწესრიგებენ ოთახს.

(შენიშვნა: ბავშვები თვითონ ირჩევენ, რომელ ცხოველს გააკეთებენ, ჩვენ ამაში არ უნდა ჩავერიოთ. შესაძლებელია, ეს იყოს არარსებული ცხოველიც).

5. **პროექტი ზოოპარკი - 5. აბრები -** ვამზადებთ ვოლიერების აბრებს. ბავშვები აფორმებენ თავიანთი სურვილისამებრ, შემდეგ გადაიხატავენ შესაბამის სიტყვას (ცხოველის სახელს) ან ჩვენ გვიკარნახებენ, რათა ჩავწეროთ იგი. მაგალითად, ვამზადებთ აბრებს სპილოსა და ლომის ვოლიერებისთვის: ბავშვები გადაიხატავენ სიტყვებს „ლომი“ და „სპილო“, გააფორმებენ ნახატით ან სხვაგვარად - როგორც მოინდომებენ. კიდევ ერთხელ ვიპოვით ამ სიტყვებში საერთო ასოებს. ასევე ვიპოვით, რომელი ასო შეესაბამება ბგერას „ო“.

6. **პროექტი ზოოპარკი - 6. ჩიტების ვოლიერები -** ვამზადებთ ჩიტების გალიებს ზოოპარკისთვის. შევთავაზოთ იმის მოფიქრება, თუ როგორ უნდა მოეწყოს გალიები წყლის ფრინველებისთვის.

მუსიკა

1. სიმღერა "ზღვის ქვემოთ" (**Under the sea**) - ვაჩვენოთ ბავშვებს ის ნაწყვეტი დისნეის მულტფილმიდან ქალთევზა, როდესაც ასრულებენ სიმღერას „under the sea".

   https://www.youtube.com/watch?v=GC_mV1IpjWA
   შემდეგ მივცეთ ბავშვებს შესაძლებლობა, თავადაც შეასრულონ ეს სიმღერა. წავახალისოთ, რომ მოიფიქრონ ქართული ტექსტი.

   თუ ვიდეოს საშუალება არ გვაქვს, მოვასმენინოთ სენ-სანსის „კარნავალიდან" კომპოზიცია "აკვარიუმი". ვიმსჯელოთ ამ მუსიკაზე.

2. **ბრემენელი მუსიკოსები -** შევქმნათ „ბრემენელი მუსიკოსების ანსამბლი" ყველა სახის ხელმისაწვდომი (ჩვენი ხელნაკეთი თუ სხვა არსებული) ინსტრუმენტებით. დავუკრათ სხვადასხვა რიტმი პიანინოს აკომპანემენტის ან დისკზე ჩაწერილი მუსიკის თანხლებით (ავყვეთ მუსიკას). „შევაშინოთ" ყაჩაღები - ისე, როგორც ზღაპარშია.

ვიმღეროთ და ვიცეკვოთ ჩვენსავე დაკრულზე.

3. **სიმღერა „ჭრელო პეპელა" -** ვმღერით სიმღერას „ჭრელო პეპელა". სიმღერის დროს ბავშვები "დაფრინავენ" პეპლებივით და ცეკვავენ ჭრელი ნაჭრების გამოყენებით (ცეკვავენ თავისუფლად, საკუთარი ფანტაზიით, არ ვუჩვენებთ „სწორ" მოძრაობებს).

4. **გედების ტბა** - ვაჩვენოთ ბავშვებს მოკლე ნაწყვეტი ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედების ტბა" - "პატარა გედების ცეკვა" (თუ არის შესაძლებელი).

მერე ჩავურთოთ მუსიკა იმავე ბალეტიდან, რათა იცეკვონ საკუთარი ფანტაზიით.

5. "**მომაკვდავი გედი" -** მოვასმენინოთ სენ-სანსის „გედი". დახატონ ეს მუსიკა.

   ვაჩვენოთ ვიდეოჩანაწერი ქორეოგრაფიული მინიატიურისა "მომაკვდავი გედი", რომელიც სენ-სანსის ამ მუსიკაზეა შექმნილი (თუ გვაქვს ამის საშუალება).

მე -20 კვირა

თემა: ცხოველები ჩვენ გარშემო (III კვირა)

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი	ვსაუბრობთ ფრენასა და მიზიდულობაზე (გრავიტაციაზე).	**აქტივობა:** ფრთები **როლური თამაში:** თვითმფრინავით მოგზაურობა **აქტივობა:** ვაშენებთ აეროპორტს	ანდერსენის ზღაპარი "ნამცეცა" (პირველი ნახევარი)	ბავშვებს გააქვთ ეზოში თავისი გაკეთებული ფრთები და შეეცდებიან აფრენას. გაითამაშებენ, რომ ვითომ არიან თვითმფრი-ნავები, ფრინველები.	საგნების ვარდნის კვლევა „ქაღალდ-მფრენის“ გაკეთება; "მე ვიცი, რომ დაფრინავს"	ჩავრთოთ მუსიკა ბავშვების არჩევანით. ვიმღეროთ, რასაც თვითონ მოინდომებენ. მოვიშველიოთ ჩვენი ინსტრუმენტები. ვიცეკვოთ.	ვაჯამებთ დღეს - ვსაუბრობთ ფრენის შესახებ.
მასალები/ რესურსები		ხელოვნების ცენტრის მასალები, ნაჭრები, ცელოფანი, ძველი გაზეთები, ბუმბული	ანდერსენის ზღაპრების წიგნი		ქაღალდი, ბამბა, ბურდღლი, სხვა ბუნებრივი მასალები; სასწორი; ქაღალდი, საკანცელარიო სკრეპები, მაკრატელი	აუდიომასალა	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი	როგორ აფრინდებიან ფრინველები?	**პროექტი:** ფრანის გაკეთება. **როლური თამაში:** ვართ ჩიტები, უნდა ავაშენოთ ბუდეები, გამოვჩეკოთ ბარტყები. ბავშვები ირჩევენ, რომელი ფრინველები იქნებიან, შესაძლოა, ზოგმა მოინდომოს იყოს სხვა ცხოველიც.	ანდერსენის ზღაპარი "ნამცეცა" (მეორე ნახევარი)	ბავშვებმა უშვებენ მათ მიერ გაკეთებულ ფრანს და სიმაღლიდან ჩამოაგდებენ პარაშუტებიან სათამაშოებს. მოსინჯავენ იმაივე პარაშუტით უფრო მძიმე სათამაშოს ჩამოგდებას **თამაში: "გაშეშობანა"**	სათამაშოების შერჩევა ცხრილისა და გრაფიკის გაკეთება პარაშუტის გაკეთება	ბრამსის "უნგრული ცეკვა"	შევაჯამოთ - მოვახერხეთ ფრანის აფრენა? პარაშუტებმა თუ იმუშავა? რომელი სათამაშო დაეშვა პარაშუტით უკეთ - მჩატე თუ მძიმე?
მასალები/ რესურსები		ხელოვნების ცენტრის მასალები, პატარა ჯოხები, ბაწარი; მასალები „ბუდეებისთვის“ - ყუთები, ნაჭრები, ძველი გაზეთები, ბალიშები	ანდერსენის ზღაპრების წიგნი		სასწორი, ცელოფნის პარკები, ბაწარი. პატარა სათამაშოები; ფურცლები და ფანქრები, ცხრილები	აუდიო- ან ვიდეომასალა	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი	საუბარი ბუდეებზე	**აქტივობა**: 3 ბუდის გაკეთება **თავისუფალი თამაში**: ბავშვებმა თვითონ აირჩიონ სად და რა ითამაშონ. **წესებიანი თამაში:** გამოიცანი ცხოველი	ანდერსენის ზღაპარი "ნამცეცა" (დასასრული)	**თამაში:** „ბუდეები“	ჭიკარტების ჩაჭედება ბუს ვოლიერის აბრის გაფორმება	ბრამსის "უნგრული ცეკვა"	შევაჯამოთ დღე.
მასალები, რესურსები		ფოთლები, ბალახი, თიხა, ხელოვნების ცენტრის მასალები, ნაჭერი, ძაფი	ზღაპრების წიგნი	ცარცი	მუყაო დაწერილი ციფრებით, ჭიკარტი ან პატარა ლურსმნები, ჩაქუჩი;. ხელოვნების ცენტრის მასალები. ბარათები	ვიდეომასალა	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუა-ლიზება	საუბარი კვერცხებზე	**აქტივობა:** კვერცხის ნაკეთობები **თამაში:** "რა შეიცვალა?"	ნოდარ დუმბაძის "გუგულის საყვედური". ვისაუბროთ გუგულის შესახებ, ავხსნათ ლექსის შინაარსი.	მონადირეები და იხვები	ანბანი წრეში. რამდენი კვერცხია? **თამაში:** ვინ დაასახელებს ბოლოს?	სიმღერა "საქათმეში შეპარულა მელა" - მოვუსმინოთ, მერე ვიმღეროთ ყველამ ერთად https://www.youtube.com/watch?v=W3Ltu-ZSt3Aw	შევაჯამოთ დღე. თუ თბილისში ვართ, ვუთხრათ ბავშვებს, რომ ხვალ მივდივართ მუზეუმში კვერცხების დასათვალიე-რებლად. თუ ვერ ვახერხებთ მუზეუმში წასვლას, მაშინ გავდივართ ექსკურსიაზე ბუნებაში.
მასალები, რესურსები	კვერცხი, სურათები	პლასტმასის კვერცხები, მუყაოს ქაღალდები, წებო. ხელოვნების ცენტრის მასალები	წიგნი	ბურთი, ცარცი	სამუშაო ფურცლები, ხელოვნების ცენტრის მასალები	ვიდეო- ან აუდიოჩანაწერი	

პარასკევი თბილისის და თბილისთან ახლომდებარე ბაღები მიდიან ექსკურსიაზე თბილისის სახელმწიფო მუზეუმში (საჭიროა ექსკურსიის წინასწარ შეთანხმება მუზეუმთან) ან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის კორპუსში, რათა ბავშვებმა დაათვალიერონ ფრინველების კვერცხების და ბუდეების კოლექციები.

სხვა დასახლებულ პუნქტებში - შევეცადოთ მოვაწყოთ ექსკურსია ფერმაში, სადაც ბავშვები შეძლებენ კვერცხის წარმოების ნახვას. თუ ესეც შეუძლებელია, გაგვყავს ბავშვები ექსკურსიაზე ბუნებაში: ვსეირნობთ, ვაკვირდებით ჩიტებსა თუ სხვა ცხოველებს, ვაგროვებთ ბუნებრივ მასალებს, ვთამაშობთ, ვიღებთ სურათებს.

საქმიანობათა ინსტრუქციები

დილის შეხვედრა

1. ვსაუბრობთ ფრენასა და მიზიდულობაზე (გრავიტაციაზე)

ვსაუბრობთ ფრენასა და დედამიწის მიზიდულობაზე (გრავიტაციაზე): ყველაფერი ძირს, დედამიწაზე ვარდება, როცა წავიქცევით, როცა რაღაცა გაგვივარდებათ ხელიდა, როცა ფოთლები ცვივა და ა.შ. ვეკითხებით ბავშვებს: მაშ, როგორ დაფრინავენ ფრინველები? რატომ არ ეცემიან? ყველა ფრინველი თუ დაფრინავს? გავიხსენოთ ზოოპარკში ნანახი პინგვინები და სირაქლემა. როგორი ფრთები ჰქონდათ? როგორ ჰგონიათ, ძნელია ფრენა? კიდევ რა დაფრინავს? როგორ აფრინდებიან? და ა.შ. გამოთქვან ვარაუდები იმის თაობაზე, თუ რატომ დაფრინავს ფრინველი, თვითმფრინავი, ვერტმფრენი. ვეუბნებით, რომ ამ კითხვებზე პასუხის მოსაძიებლად დღეს ჩავატარებთ კვლევას.

2. როგორ აფრინდებიან ფრინველები?

ვსაუბრობთ თემაზე - როგორ აფრინდებიან ფრინველები? ვაჩვენოთ მოკლე ვიდეო, სადაც ნაჩვენებია, როგორ აფრინდებიან მძიმე ფრინველები - ალბატროსები ან გედები (მაგალითად, ვებგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=ulDN8buIirA).

ფრინველებს აფრენისთვის სჭირდებათ გარბენი. პატარა და მსუბუქი ფრინველები ადვილად აფრინდებიან მიწიდან. არწივები ხტებიან კლდიდან, გაშლიან ფრთებს და მიჰყვებიან თბილი ჰაერის ზემოთ ამავალ დინებას.

3. საუბარი ბუდეებზე

საუბარი ბუდეებზე: გაზაფხულზე ფრინველები იკეთებენ ბუდეებს. ზოგი ჩიტი იკეთებს ბუდეს ხის ტოტზე, ზოგი - ბუჩქის სიღრმეში, ზოგი - პირდაპირ მიწაზე, ზოგიც ფუღუროში ან პატარა სოროში იწყობს ბუდეს. ბუდეები სხვადასხვა მასალისგანაა გაკეთებული. ზოგი ჩიტი იყენებს წვრილ ტოტებს, ზოგი - ბალახს, მერცხლები აშენებენ ბუდეებს თიხისგან და ა.შ.

ვაჩვენოთ ბავშვებს მოკლე ვიდეოფილმი სხვადასხვა სახის ბუდეების შესახებ. თუკი სოფელში ვართ, დავაკვირდეთ, როგორ აშენებენ ბუდეს მერცხლები, როგორ აგროვებენ ბუმბულებს რბილი საფენის გასაკეთებლად.

4. საუბარი კვერცხებზე

საუბარი კვერცხებზე: ბუდეში ფრინველები კვერცხებს დებენ, ზედ სხდებიან და ათბობენ. გარკვეული დროის შემდეგ კვერცხიდან ბარტყები გამოიჩეკებიან.

ჩამოვატაროთ ქათმის კვერცხი, გავახსენოთ ბავშვებს, რომ ასეთი კვერცხით უკვე ვითამაშეთ. ვუთხრათ, რომ სხვა ფრინველების კვერცხები განსხვავდება ზომით და ფერით. ვაჩვენოთ ბავშვებს სირაქლემას კვერცხის, ქათმის კვერცხისა და შაშვის კვერცხების სურათი (იხ. სურათი).




თუ ვართ თბილისში ან ახლომდებარე პუნქტებში, ვუთხრათ, რომ ხვალ წავალთ მუზეუმში კვერცხებისა და ბუდეების სანახავად.

აქტივობები

1. **ფრთები -** შევთავაზოთ ბავშვებს გააკეთონ "ფრთები" იმ მასალით, რომელსაც ჩათვლიან საჭიროდ. შეუძლიათ გამოიყენონ ნაჭერი, მუყაო, ქაღალდი, ბუმბული, წვრილი ჯოხები, ცელოფნის პარკები და ა.შ.

2. **ფრანის გაკეთება -** ჯერ დავრწმუნდეთ, რომ თბილი ჰაერი ყოველთვის ადის ზემოთ. ამისთვის ავიდეთ სკამზე დახურულ ოთახში, ავწიოთ ხელი ზევით და დავრწმუნდეთ, რომ იქ ჰაერი უფრო თბილია, ვიდრე იატაკთან ან დავაკვირდეთ ორთქლის მოძრაობას (ადრეც გვაქვს ნანახი). თბილი ჰაერის აღმავალი ნაკადებით სარგებლობენ, მაგალითად, არწივები. ისინი ფრთებს არც იქნევენ - გაშლილი ფრთებით „დაცურავენ" ჰაერში. ფრანიც ამიტომ ადის ზევით - ისიც თბილი ჰაერის ნაკადს მიჰყვება ზემოთ..

ფრანის დამზადების ინსტრუქცია:

1. მყარ ქაღალდზე მოვხაზავთ რომბს და ვთხოვთ ჯგუფის რომელიმე წევრს მის გამოჭრას.



2. ჯგუფის მეორე წევრს ვთავაზობთ ორ ჯოხს, რომლებიც მან თოკით უნდა გადააბას ერთმანეთს.

3. ვეხმარებით ბავშვებს, რომ დაამაგრონ რომბზე ჯოხები წებოვანი ლენტით. იქვე ვატანთ ძაფს. ამის შემდეგ გამოგვდის საჰაერო გველი, რომელსაც ეზოში თამაშისას გამოვიყენებთ.



2. **ბუდის გაკეთება -** დავათვალიერებინოთ ბავშვებს სურათები, რომლებზეც ასახულია, თუ როგორ აკეთებენ ბუდეებს სხვადასხვაგვარი ჩიტები, მერე შევთავაზოთ სამნაირი ბუდის გაკეთება. ესენია: მერცხლის ბუდე - თიხის პატარა ბურთულებისგან, შეკერილი ბუდე - შევკეროთ ფოთლებისგან (ქაღალდისგან) ბალახით (ძაფით), დაბოლოს, ბუდე საკუთარი ფანტაზიით - ნებისმიერი მასალისგან.

3. **კვერცხის ნაკეთობები** - პლასტმასის, ქაღალდის ან სხვა ნებისმიერი მასალისგან დამზადებული კვერცხებით ბავშვები შექმნიან რაიმე სახალისო ნაკეთობას თავიანთი სურვილით.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **გამოიცანი ცხოველი -** წამყვანი ჩაიფიქრებს ცხოველს. დანარჩენი მოთამაშეები რიგრიგობით უსვამენ მას ისეთ კითხვებს, რომლებზედაც წამყვანმა უნდა უპასუხოს “კი” ან “არა” - სხვა ტიპის კითხვების დასმა არ შეიძლება. იგებს ის მოთამაშე, რომელმაც გამოიცნო, რა იყო ჩაფიქრებული. თუ ვერავინ გამოიცნობს, გამარჯვებულია წამყვანი.

2. **რა შეიცვალა? -** მაგიდაზე დევს რამდენიმე პატარა ნივთი: ფანქარი, სათამაშო, ნიჟარა, გირჩა, კუბურა, ბურთი და ა.შ. ბავშვი ჯერ ყურადღებით აკვირდება, მერე გადის. დანარჩენები მალავენ ერთ-ერთ საგანს. გასული ბრუნდება და უნდა გამოიცნოს, რა საგანი აკლია (საგნების რაოდენობა განისაზღვრება ბავშვების განვითარების დონის მიხედვით- დავალება არ უნდა იყოს არც ძალიან ადვილი, არც დაუძლეველი).

3. **გაშეშობანა -** ბავშვები თამაშობენ "დაჭერობანას". წამყვანი იჭერს. ვისაც ხელით შეეხება, ის მოთამაშე "გაშეშდება" მანამდე, სანამ სხვა მოთამაშე არ შეეხება მას. როცა სამი მოთამაშე გაშეშდება, წამყვანი იცვლება.

4. **ბუდეები -** მიწაზე შემოვხაზავთ ცარცით წრეებს - ეს არის "ბუდეები". წამყვანის გარდა. ყველა ბავშვს აქვს საკუთარი "ბუდე". წამყვანი დაიძახებს: "ვეძებ ბუდეს!", ამ დაძახილზე ყველამ უნდა შეიცვალოს ბუდეები. ვინც დარჩება ბუდის გარეშე, ხდება წამყვანი.

5. **მონადირეები და იხვები -** ცარცით ვხაზავთ წრეს- ეს იქნება "ტბა". მოთამაშეები იყოფიან 2 ჯგუფად. ერთი ჯგუფი იქნება „იხვები", რომლებიც დგებიან წრეში - „ტბაში", მეორე ჯგუფი - „მონადირეები" ცდილობენ "იხვების" გამოდევნას "ტბიდან" ბურთის დარტყმით. თამაშისთვის რბილი ბურთი დაგვჭირდება. "იხვები" გამოდიან "ტბიდან" მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბურთი მათ ხვდება პირდაპირ და არა მიწაზე დაცემის შემდეგ. გამოვარდნილი" იხვი"შეიძლება ისევ დაბრუნდეს თამაშში, თუ რომელიმე "იხვი" ტბაში დაიჭერს "მონადირის" ნასროლ ბურთს. როცა "ტბაში" რჩება ბოლო "იხვი", მას შეიძლება ესროლონ ბურთი მხოლოდ 5-ჯერ. თუ მას ვერ ამოაგდებენ, გაიმარჯვებს "იხვების" გუნდი. თუ ყველა"იხვი" გამოიდევნება "ტბიდან", ჯგუფები გაცვლიან ადგილებს.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **საგნების ვარდნის კვლევა**

   1. ბავშვები იკვლევენ, როგორ ვარდება სხვადასხვა საგანი - ქაღალდის ნაგლეჯები, კენჭები, ბამბის ნაფლეთები, პატარა კუბიკები, პლასტმასის სათამაშოები და სხვა. არკვევენ, რა ჩერდება ჰაერში უფრო მეტ ხანს.

   2. ადარებენ ამ საგნების წონას. რომელი ჩერდება ჰარში უკეთესად - მძიმე თუ მსუბუქი საგნები?

   3. შეადარონ ქაღალდის ორი ერთნაირი პატარა ფურცლის ძირს ვარდნა - ერთი დაკუჭონ, როგორც ბურთულა. რომელი ჩერდება ჰაერში უკეთესად? რატომ?

   4. ამოარჩევენ უკეთესად „მფრინავ" საგნებს (ქაღალდისა და ბამბის ნაფლეთებს, ბუმბულს) და ეცდებიან, დიდხანს გააჩერონ ჰაერში სულის შებერვით.

2. **„ქაღალდმფრენის" გაკეთება -** ვაჩვენოთ, როგორ კეთდება „ქაღალდმფრენი" ქაღალდისგან და საკანცელარიო სკრეპისგან. ბავშვებს წინასწარ დავუმზადოთ 1 სანტიმეტრის სიგანისა და 10 სანტიმეტრის სიგრძის ქაღალდის ზოლი. ვთხოვოთ მათ ქაღალდის შუაზე

გადაკეცვა, შემდეგ გადმოვუკეცოთ ,,ფრთები'' ქვემოთ და დავამაგროთ სკრეპი. ვუჩვენოთ, როგორ უნდა ამის გაკეთება; მივცეთ ბავშვებს საშუალება იმის გამოსაკვლევად, თუ რას შეცვლის ქაღალდის სიგანის ან სიგრძის ცვლილება.

3. **,მე ვიცი რომ დაფრინავს -** მცირე ჯგუფი ზის წრეში. შევეცადოთ, რომ ჯგუფში ბავშვების რაოდენობა 9-10 -ს არ აღემატებოდეს. თამაშს ჩვენ ვიწყებთ შემდეგი ფრაზით "მე ვიცი რომ დაფრინავს ... კოდალა". ამის შემდეგ ჩვენგან მარჯვნივ მჯდომი ბავშვი აგრძელებს თამაშს. ის იმეორებს ჩვენს ნათქვამს და ამატებს თავის მოსაზრებას: "მე ვიცი, რომ დაფრინავს... ბუზი". ასე გრძელდება, სანამ წრეში მყოფი ყველა ბავშვი არ მიიღებს თამაშში მონაწილეობას.

4. **სათამაშოების შერჩევა -** ბავშვები წონიან სახვადასხვა პატარა სათამაშოს. ისინი იკვლევენ, რომელი სათამაშოებია შედარებითმსუბუქი, რათა პარაშუტით გააფრინონ ისინი (გვაინტერესებს მხოლოდ შედარებითი წონა, არ ვხმარობთ საწონებს და წონის საზომ ერთეულებს); შეადგენენ აწონილი სათამაშოების წონის შემადარებელ ცხრილსა და გრაფიკს. ცელოფნის გამოყენებით აკეთებენ პარაშუტებს უფრო მჩატე სათამაშოებისთვის.

5. მივცეთ ბავშვებს ბარათები, რომლებზეც წერია სიტყვა „ბუდე“, „ბუმბული“ და „ბუ“. შეღებონ ფერადი ფანქრებით ამ სიტყვების საერთო ნაწილები.

6. გადმოხატონ სიტყვა „ბუ“ და გააფორმონ ბუს ვოლიერის აბრა "ზოოპარკისთვის".

7. ვათვალიერებთ დასურათებულ წიგნს, ვეძებთ ტექსტში სიტყვას „კვერცხი“

8. **ანბანი წრეში -** ვდგებით წრეში. ვირჩევთ რომელიმე ასოს, მაგ., "კ"-ს, ვესვრით ბავშვებს ბურთს და ვთხოვთ დაასახელონ ამ ასოზე დაწყებული სიტყვები.

9. სამუშაო ფურცელზე ჩამოწერილია ფერადი ციფრები 4-დან 7-მდე. ბავშვებმა უნდა მიუხატონ შესაბამისი რაოდენობისა და ფერის კვერცხი.

10. თამაში: "ვინ დაასახელებს ბოლოს?"- ვასახელებთ რიგრიგობით ცხოველებს (ფრინველებს, მწერებს). მოგებულია ის, ვინც დაასახელებს ბოლო სიტყვას.

მუსიკა

1. **ბრამსის "უნგრული ცეკვა" -** ჩავურთოთ ბრამსის უნგრული ცეკვა N5 : https://www.youtube.com/watch?v=Nzo3atXtm54
   ბავშვები მოძრაობენ მუსიკის ტემპის შესაბამისად. შეგვიძლია დავაწყვილოთ, დავაჭერინოთ ლენტები ან ნაჭრები, რომლებსაც ააფრიალებენ მუსიკის რიტმში.
   (ამ ცეკვაში რიტმი ხშირად იცვლება).

2. **ბრამსის "უნგრული ცეკვა" -** ვაჩვენოთ ბავშვებს ვიდეო: https://www.youtube.com/watch?v=2yd6WduQSd4

   ბრამსის იგივე (N5) უნგრული ცეკვა, რაც იყო წინა დღეს, ოღონდ ბალეტის თანხლებით.

ბავშვებმაც იცეკვონ.

წიგნის დრო

გუგულის საყვედური

ჩიტებში რომ მაქიაქებთ,
მთათხავთ, ტალახს მესვრით,
ნეტა ვინ გყავთ ქვეყანაზე
ჩემზე უკეთესი?..
სხვა რომელი ჩიტი გიხმობთ
გაზაფხულზე ესე:
- ხალხო, დროზე გაიღვიძეთ,
თესეთ - კაფეთ - თესეთ!!!
მე შემარქვით პარაზიტი,
ბულბულზე წერთ ლექსებს,
ამის შემდეგ სხვებს ასწავლით
ზრდილობას და წესებს?!

ნოდარ დუმბაძე

21-ეკვირა

თემა: „ცხოველები ჩვენ გარშემო" (IV კვირა)

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი	ექსკურსიის შთაბეჭდილებები, საუბარი ენდროზე და კვერცხების ღებვაზე	**აქტივობა:** კვერცხების ნაკეთობები. **აქტივობა:** თიკანი	ძმები გრიმების ზღაპარი „მგელი და შვიდი ციკანი"	თამაში: "იჭმევა-არ იჭმევა"	ლოტო ცხოველების გამოსახულებებითა და სიტყვებით. ასო თ კანონზომიერება ბუნებრივი მასალებით	სიმღერა "თუ-თუ-თუ"	შევაჯამოთ დღე,
მასალები/ რესურსები		ხელოვნების ცენტრის მასალები, კვერცხები, საკვების საღებავები, ქინდლის (პლასტმასის) კვერცხები, ყურის ჩხირები, ორმაგი სკოჩი, ბამბა	ზღაპრების წიგნი	ბურთი	სამუშაო ფურცლები	ვიდეო/აუდიო მასალა	

	პირველი შეხვედ-რა წრეში	კვლევა და აღმო-ჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხე-ლოვნება	შემაჯამებელი შეხ-ვედრა წრეში
სამშაბათი	საუბარი ჩვენს ზოოპარკზე. როლების განა-წილება	**პროექტი: ზო-ოპარკი** - გაზომვა **პროექტი: ზო-ოპარკი** - გეგმა **პროექტი: ზო-ოპარკი -**სალარო. **როლური თამაში:** ”თხა და შვიდი ციკანი - ახალი თავგადასავალი”.	სელმა ლა-გერლოფის ”ნილსისა და ბატების საოცარი მოგზა-ურობა” (პირველი ნახევარი)	თამაში: ”მესამე ზედმეტია”	რომელია ზედ-მეტი? იპოვე წყვილები ფაზლი	დათვი ბალუს სიმღერა დის-ნეის მულტ-ფილმიდან ”ჯუნგლების წიგნი”	
მასალები/ რე-სურსები		მუყაოს დიდი ყუთი; ფანქრე-ბი, ფურცლები, ნაჭრები, სახაზა-ვი, სანტიმეტრი, ჯოხი, ქაღალდის დიდი ფურცლე-ბი, სხვა „საშენი მასალები“: თხის „სახლი“	წიგნი		სურათების ნაკ-რებები, სამუშაო ფურცლები, ფაზლი	ვიდეომასალა	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	საუბარი ზოოპარკის გაფორმებაზე	**პროექტი:** "ზოოპარკის მშენებლობა".	სელმა ლაგერლოფის "ნილსისა და ბატების საოცარი მოგზაურობა" (მეორე ნახევარი).	ფეხბურთი	ვაგრძელებთ აბრებისა და კატალოგების სისრულეში მოყვანას ბილეთების ყიდვა-გაყიდვა	ბასტი-ბუბუს სიმღერა „მოფრინავდა ჩიტი-გვრიტი“	შევაჯამოთ დღე. ვისაუბროთ იმ სირთულეებზე, რომლებიც შეგვხვდა ზოოპარკის მოწყობის დროს. როგორ გავაკეთოთ ხვალ?
მასალები/რესურსები	ხელოვნების ცენტრის მასალები, ბუნებრივი მასალები, ოთახის მცებარეები	ხელოვნების ცენტრის მასალები, სასურსათო მაღაზიების კატალოგები	წიგნი	ბურთი, ჯოხები	სათამაშო ფული; ხელოვნების ცენტრის მასალები	ვიდეომასალა	
ხუთშაბათი	საუბარი ზოოპარკის შემდგომ კეთილმოწყობაზე	**პროექტი:** გრძელდება ზოოპარკის მოწყობა. **პროექტი:** ზოოპარკი **როლური თამაში** „ზოოპარკი ამუშავდა!“	შარლ პეროს ზღაპარი „ჩექმებიანი კატა“	"ბუ და თაგვები"	როგორ უნდა ავწონოთ ცხოველებისთვის საკვები? - აქტივობები სასწორის გამოყენებით.	გავიხსენოთ ნაცნობი მელოდიები. ვიმღეროთ და ვიცეკვოთ.	შევაჯამოთ დღე და თემა. ვისაუბროთ იმაზე, რაც გავიგეთ ამ თვის განმავლობაში. ბავშვებმა თქვან, რა იყო საინტერესო, რა არ მოეწონათ, კიდევ რისი გაგება თუ გაკეთება სურთ?

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში	
მასალები/რესურსები		მეორადი მასალები, კუბურები, მუყაოს ყუთები, ბუნებრივი მასალები, როლური თამაშების ცენტრის რეკვიზიტი	ზღაპრების წიგნი		სასწორი, ლიტრიანი და ნახევარლიტრიანი პლასტიკური ბოთლები წყლით, სხვადასხვა ზომის ქვები, ბამბა, კილოგრამიანი და ნახევარკილოგრამიანი საწონი			
პარასკევი	საუბარი დღევანდელი ღონისძიების შესახებ	ზოოპარკი იხსნება მშობლებისთვის და სხვა მსურველებისთვის. ისინი იძენენ ბილეთებს სალაროში, ეცნობიან კატალოგებს და ათვალიერებენ "ზოოპარკს". ბავშვებს მიჰყავთ ექსკურსიები - უზიარებენ სტუმრებს ინფორმაციას ზოოპარკის ამა თუ იმ ბინადარზე.	წავიკითხოთ ის წიგნი, რომელსაც ბავშვები აირჩევენ (უკვე წაკითხულებიდან)	ითამაშონ მოძრავი თამაში საკუთარი არჩევანით.	აგრეთვე გამოვფინოთ ბავშვების ნახატები, კოლაჟები, კვერცხის ნაკეთობები, გაფერადებული კვერცხები და ა.შ. ამ გამოფენასაც ბავშვები აჩვენებენ სტუმრებს.			

	პირველი შეხვედ-რა წრეში	კვლევა და აღმო-ჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხე-ლოვნება	შემაჯამებელი შეხ-ვედრა წრეში	
		თუ ზოოპარკში არის კაფე, გა-უმასპინძლდებიან სტუმრებს. თუ კარუსელია - სტუმრები გაერ-თობიან კარუსელ-ზე ტრიალით.						

საქმიანობათა ინსტრუქციები

დილის შეხვედრა

1. **ექსკურსიის შთაბეჭდილებები: საუბარი ენდროზე, კვერცხების ღებვაზე**

ვსაუბრობთ წინა დღის ექსკურსიის შესახებ, ვუზიარებთ ერთმანეთს

შთაბეჭდილებებს, ვათვალიერებთ გადაღებულ სურათებს.

ახლოვდება (ან ახლახანს იყო) აღდგომა, სააღდგომოდ კი ჩვენ ვღებავთ კვერცხებს და ვცდილობთ, რომ ძალიან ლამაზი ფერი მივიღოთ. ტრადიციულად, საქართველოში კვერცხებს ენდროთი ღებავენ.

ვაჩვენოთ ბავშვებს ენდრო. ვუთხრათ, რომ ეს მცენარის ფესვია, ხოლო თვითონ მცენარე ასეთია (იხ. სურათი):

ამ მცენარეს ოდითგანვე იყენებდნენ საქართველოში საღებავის მისაღებად, ღებავდნენ ძაფებს, ქსოვილებს. ვეუბნებით, რომ ჯგუფში ენდროთი შეღებვის საშუალება არ გვაქვს, მაგრამ დღეს ჩვენ გავაკეთებთ ბევრნაირ ლამაზ კვერცხს - თქვენ თვითონ აირჩევთ, როგორი კვერცხის გაკეთება გინდათ.

2. საუბარი ჩვენს ზოოპარკზე.

ვეუბნებით ბავშვებს, რომ მოვიდა დრო, მოვაწყოთ ჯგუფში ზოოპარკი. რა უნდა გაკეთდეს? როგორ ხედავენ ამ ზოოპარკს?

შევთანხმდებით, რომ ყველა გალიაზე უნდა იყოს შესაბამისი აბრა, როგორც ნამდვილ ზოოპარკში. ვეკითხებით, ვინ რა სამუშაოს შეასრულებს? ინაწილებენ როლებს - ვინ იქნება მოლარე და გაყიდის ბილეთებს, ვინ იქნება დაცვა და დაიცავს წესრიგს; ვინ რომელ განყოფილებაში იმუშავებს და მოუვლის „თავის“ ცხოველებს, ვინ წაიყვანს ექსკურსიებს სხვადასხვა განყოფილებაში.

3. საუბარი ზოოპარკის გაფორმებაზე

გავახსენოთ, რომ ზოოპარკს სჭირდება მცენარეები. გადაწყვიტონ ეს ამოცანაც - შეიძლება გააფორმონ ოთახის მცენარეებით, შეიძლება გაკეთონ ხეები, ბუჩქები და ყვავილები.

მივცეთ ბუნებრივი მასალები - გირჩები, ქვები, ტოტები. გააკეთონ ბილიკები, ღობეები, საყვავილეები. მოკლედ, მოაწყონ ზოოპარკი თავის გემოზე.

4. საუბარი ზოოპარკის შემდგომ კეთილმოწყობაზე

ვკითხოთ, კიდევ რისი გაკეთება სურთ თავიანთ ზოოპარკში. არ უნდა დაგვავიწყდეს ნაგვის ჩასაყრელი ურნა (ხომ ვიცით, რომ ნაგავი მხოლოდ ურნაში შეიძლება ჩავყაროთ?!) შესაძლოა, ბავშვებმა მოინდომონ კაფეს მოწყობა ან კარუსელის გაკეთება.

5. საუბარი დღევანდელი ღონისძიების შესახებ

დღეს გვაქვს შემაჯამებელი ღონისძიება - ზოოპარკი იხსნება სტუმრებისთვის. გავუზიაროთ ერთმანეთს მოლოდინები; გადავწყვიტოთ, რა არის დასასრულებელი, ხომ არ დაგვავიწყდა რამე მნიშვნელოვანი?

დღის პირველ ნახევარში წავიკითხოთ, მერე ვითამაშოთ ეზოში, ხოლო 12 საათისთვის დავნიშნოთ ზოოპარკის გახსნა სტუმრებისთვის.

აქტივობები

1. კვერცხების ნაკეთობები - ვაგრძელებთ კვერცხების ნაკეთობების შექმნას. შეგვიძლია გამოვიყენოთ "ქინდლის" კვერცხები, აგრეთვე მოხარშული კვერცხები, პაპიემაშეს კვერცხები: დამატებითი იდეებისთვის შეგვიძლია ვისარგებლოთ შემდეგი ვებმისამართებით:

http://www.kkm.lv/modules.php?name=Content&pa=showpage&pid=1076;
https://www.youtube.com/watch?v=BY9_DDF9GPY.

ბავშვებისთვის ძალზე სახალისო შეიძლება აღმოჩნდეს პლასტმასის კვერცხისგან თიკნის გაკეთება. ამისთვის საჭიროა პატარა ჯოხები, წებოვანი ლენტი, ბამბა. კვერცხს გავუკეთოთ ოთხი ნახვრეტი. მათში ბავშვები ჩაამაგრებენ პატარა ჯოხებს, როგორც ფეხებს. შემოვაკრათ კვერცხს წებოვანი ლენტი. მივცეთ ბავშვებს ბამბა, რომელსაც დაამაგრებენ წებოვან ლენტზე. გამოვჭრათ სახე და დავუხატოთ თვალები.



აქვე გთავაზობთ კურდღლის გაკეთების ინსტრუქციასაც. ამისთვის დაგვჭირდება მუყაოს ქაღალდი, პლასტმასის კვერცხი, მაკრატელი და წებო. ჯერ ფანქრით ვხატავთ (ნიმუშის მიხედვით) კურდღლის ფეხებსა და ყურებს, შემდეგ - ცხვირსა და თვალებს. ბოლოს წებოს მეშვეობით ვამაგრებთ კვერცხზე.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **”იჭმევა-არ იჭმევა”-** ბავშვები დგებიან წრეზე. წამყვანი გადაუგდებს ბურთს რომელიმე მოთამაშეს და თან ამბობს რაიმე სიტყვას. თუ სიტ-ყვა საკვებ პროდუქტს აღნიშნავს, მოთამაშემ ბურთი უნდა დაიჭიროს, თუ არა - გადააგდოს უკან. თუ მოთამაშეს შეეშალა და ჩათვალა, რომ ნათქვამი სიტყვა (მაგ., ,,ფეხსაცმელი”) საჭმელია, ის ხდება წამყვანი. თამაში უნდა მიმდინარეობდეს სწრაფ ტემპში.

2. **მესამე ზედმეტია -** ბავშვები დგებიან წყვილებად, ერთი მეორეს უკან. ორი წამყვანიდან ერთი იჭერს მეორეს. ის, ვინც გარბის, ცდილობს, დადგეს ნებისმიერი წყვილის უკან. თუ ამას მოახერხებს, ამ წყვი-ლის ის მოთამაშე, რომელიც დგას პირველი, გახდება „ზედმეტი“ და უნდა გაეკიდოს იმ წამყვანს, რომელიც ვერ დაეწია მეორე, გაქცეულ წამყვანს. თუ პირველმა წამყვანმა დაიჭირა მეორე, მათი როლები იცვლება.

3. **ფეხბურთი -** ვაკეთებთ „კარს“ ორი ბოძის (ჯოხის) მეშვეობით, ბავ-შვებმა რიგრიგობით უნდა გაიტანონ „პენალტი“. მეკარე პირობი-თია - შეიძლება გამოვიყენოთ ჯოხი ან სათამაშო. შეგვიძლია გა-ვართულოთ თამაში: დავაყენოთ მეკარეები ან /და დავყოთ ბავშ-ვები გუნდებად.

4. **ბუ და თაგვები -** თამაშის ერთი მონაწილე არის ”ბუ”, დანარჩენები - ”თაგვები”. როდესაც წამყვანი ამბობს: „დღე“, მაშინ ”თაგვები” ფხიზ-ლობენ და მოძრაობენ, ”ბუს” სძინავს. თუკი წამყვანი ამბობს „ღამე“, ყველა ”თაგვი” უნდა გაშეშდეს, რადგან ღამით ბუები ნადირობენ. თუ ”ბუ” შეამჩნევს, რომ რომელიმე ”თაგვი” ამოძრავდა, წაიყვანს თავის

სახლში. დაჭერილი "თაგვები" ეხმარებიან "ბუს" იმაში, რომ შეამჩნიოს ის "თაგვები", რომლებსაც ღამეარ სძინავთ.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **ლოტო** - ვითამაშოთ ლოტო ცხოველების გამოსახულებებით და სიტყვებით. ბავშვებს ვურიგებთ დიდ ფურცლებს, რომლებზეც წარმოდგენილია ცხოველთა გამოსახულებები და სიტყვები, ბარათებზე კი - მხოლოდ სიტყვები. თამაშს ჩვენ ვიწყებთ: ვიღებთ ბარათს, ვუჩვენებთ ბავშვებს და ვამბობთ: - მე მიჭირავს ხელში ზებრა. აბა, ყურადღებით შეხედეთ, ვის აქვს ასეთი წარწერა? - ბავშვს, რომელიც ამოიცნობს, ვეკითხებით, როგორ მიხვდა.

2. **კანონზომიერებების გაგრძელება** - მივცეთ ბავშვების ორ ჯგუფს ბუნებრივი მასალები. თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიფიქროს კანონზომიერება და შესთავაზოს მეორე ჯგუფს, გააგრძელოს იგი.

3. **რომელია ზედმეტი?** - წინასწარ მოვამზადოთ 4-4 სურათის ნაკრები. სურათები შევარჩიოთ ისე, რომ ერთი გამოსახულება დანარჩენი სამისგან განსხვავდებოდეს. მაგალითად, სამი ცხოველი და ერთი ფრინველი, ***ან:*** სამი მტაცებელი ცხოველი, ერთიც - ბალახისმჭამელი, ***ან:*** სამი ფრინველი, ერთი მწერი, ***ან:*** სამი შინაური ცხოველი, ერთი გარეული და ა.შ. ბავშვებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელია ზედმეტი.

4. **მუშაობა სამუშაო ფურცელზე** - ფურცელზე არეულად წერია მარტივი სიტყვები. ყოველი სიტყვა ორჯერ უნდა იყოს დაწერილი. ბავშვებმა უნდა იპოვონ წყვილები.

5. **ფაზლის აწყობა** - ამ დროისთვის, სავარაუდოდ, ბავშვებმა უკვე უნდა შეძლონ 16-ნაწილიანი ფაზლის აწყობა.

6. **აბრები და კატალოგები** - ვაგრძელებთ აბრებისა და კატალოგების სისრულეში მოყვანას.

7. **სათამაშო ფული -** ბავშვებს ვურიგებთ სათამაშო ფულს - მონეტებს ან ქაღალდის "კუპიურებს" (გვჭირდება სხვადასხვა ღირებულების ფული - 1-, 2-, 3-, 4- და 5-ლარიანები). მათ უნდა ივარჯიშონ ბილეთების ყიდვა-გაყიდვაში: ბილეთები ღირს 1 და 2 ლარი (ბავშვის და უფროსის). გაარკვიონ, რამდენი ხურდა უნდა დაუბრუნოს მოლარემ მყიდველს 5-ლარიანიდან, 2- ლარიანიდან, 3- ან 4-ლარიანიდან? თუ მყიდველი ორ ბილეთს ყიდულობს?

8. **როგორ წონიან საკვებს ცხოველებისთვის? - აქტივობები სასწორის გამოყენებით**

   გამოვიყენოთ არასტანდარტული საზომი ერთეულები, მაგალითად, შევარჩიეთ ქვები და ავწონოთ საგნები ქვებით: ერთი თოჯინა პატარა ქვის ტოლია, ხოლო მანქანა - დიდი ქვის ტოლი. დიდი ქვა უფრო მძიმეა პატარაზე. ე.ი. რომელია უფრო მძიმე - თოჯინა თუ მანქანა? შევამოწმოთ. შევადაროთ წონები - რომელი სათამაშო უფრო მძიმეა? მანქანა თუ ბურთი? ბურთი თუ თოჯინა? ბავშვებმა ჯერ გამოთქვან ვარაუდები, მერე კი შეამოწმონ.

პროექტები:

1. პროექტი: "ზოოპარკი" - გაზომვა

ბავშვები ზომავენ ოთახს. მათ უნდა გადაწყვიტონ, მაგალითად, რამდენი ვოლიერი დაეტევა ერთ კედელთან. გასაზომად შეუძლიათ გამოიყენონ ნაბიჯები, თოკი, ჯოხი, სხვა. ვაჩვენოთ, რა არის მტკაველი და ციდა.

2. პროექტი "ზოოპარკი" - გეგმის შედგენა

წინასწარი გაზომვების გათვალისწინებით ბავშვები „შექმნიან" ოთახის გეგმას, გადაწყვეტენ: სად რა დაიდგმება, სად რომელი ვოლიერი ან ატრაქციონი იქნება, საიდან გაკეთდება ზოოპარკში შესასვლელი და ა.შ.

3. პროექტი "ზოოპარკი" - სალარო

წამოვიწყოთ საერთო საუბარი, გავიხსენოთ, როგორ შევდიოდით ზოოპარკში. რა არის სალარო? რა ხდება სალაროსთან? ბავშვები აკეთებენ ზოოპარკის სალაროს დიდი მუყაოს ყუთისგან. მოიფიქრებენ, როგორ უნდა იყოს მოწყობილი ეს სალარო, დავეხმაროთ ფანჯრის გამოჭრაში.

4. პროექტი "ზოოპარკი" - ზოოპარკის მშენებლობა

მას შემდეგ, რაც ბავშვები გადაწყვეტენ, სად რა განლაგდება ზოოპარკში, მთლიანად ცვლიან ოთახის სივრცეს, დადგამენ უკვე გაკეთებულ „ვოლიერებს" და აშენებენ ახლებს კუბურების, მუყაოს ყუთების, ტოტების, ნაჭრების, სხვა ნებისმიერი მასალის გამოყენებით. მოათავსებენ "ვოლიერებში" ცხოველებს - მათ მიერ შექმნილ სათამაშო ფიგურებს, ზოგან - უბრალოდ, სურათს ან პირობით საგანს. თუ რაიმე დააკლდათ (მაგ., აბრები), დაამზადებენ დანაკლისის შესავსებად.

თითოეულ ცხოველს ვანიჭებთ ნომერს 1-დან 9-მდე, იგივე ნომრები ჩაწებდება ან ჩაიხატება უკვე გამზადებული კატალოგის შესაბამის სურათთან. ვინაიდან, სავარაუდოდ, ცხოველების რაოდენობა 9-ზე მეტი იქნება, სხვადასხვა კატალოგში ნომრები უნდა იყოს სხვადასხვა ფერის (აბრებზეც შესაბამისი ფერი უნდა გამოვიყენოთ). ფერადი ციფრების ამოჭრა შესაძლებელია სასურსათო მაღაზიების კატალოგებიდან, რომლებსაც უფასოდ არიგებენ ან ძველი ჟურნალებიდან (სთხოვეთ მშობლებს, მოგამარაგონ ასეთი მეორადი მასალებით, ასევე შესაძლებელია დავხატოთ ციფრები და გავაფერადოთ).

5. პროექტი: გრძელდება "ზოოპარკის" მოწყობა.

პროექტი: ზოოპარკი

როლური თამაში: „ზოოპარკი ამუშავდა!"

ბავშვებს შევახსენოთ, რომ მცენარეები უნდა მოირწყას, ზოოპარკის ტერიტორია უნდა გამოიხვეტოს, ცხოველებს უნდა აჭამონ, ვეტექიმმა უნდა მოინახულოს თავისი პაციენტები, ბეჰემოტის აუზში უნდა გამოიცვალოს წყალი, სპილოს სჭირდება შლანგით წყლის გადავლება და ა.შ. - მივაწოდოთ ბავშვებს იდეები (თუკი გამოელევათ), რათა თვითონ გადაწყვიტონ პრობლემები. ეს უნდა მოხდეს თამაშის ფორმით:

მაგალითად, ჩვენ ვართ "დამთვალიერებელი" და ვეკითხებით "დირექტორს": - ცხოველებს უკვე აჭამეს? მინდოდა მენახა, როგორ ხდება, ***ან***: მივდივართ "ვეტექიმთან" და ვეუბნებით: - ახლახანს ვიყავი მგლების ვოლიერთან და, მგონი, ერთი მგელი ვერ არის კარგად - წევს და საჭმელს არ ჭამს, სხვ.

წიგნის დრო

1. წავიკითხოთ ძმები გრიმების ზღაპარი „მგელი და შვიდი ციკანი". მოვაყოლოთ ბავშვებს წაკითხული ზღაპარი მგლის თვალთახედვით, ერთ-ერთი ციკნის თვალთახედვით, თხის თვალთახედვით და ა.შ.

მუსიკა

1. სიმღერა „თუ-თუ-თუ": ვაჩვენოთ ვიდეო https://www.youtube.com/watch?v=P9YfsLfNz2Q . თუ არ გვაქვს ამის საშუალება, მოვასმენინოთ სიმღერა „თუ-თუ-თუ". ვისწავლოთ ეს სიმღერა და მივაქციოთ ყურადღება იმ სიტყვებს, რომლებიც იწყება "თ" ასოთი.

2. ვაჩვენოთ ნაწყვეტი დისნეის "ჯუნგლების წიგნიდან", კერძოდ, ბალუს სიმღერა:

   https://www.youtube.com/watch?v=9ogQ0uge06o

   იცეკვონ, შეეცადონ აკომპანირებას თავიანთი ინსტრუმენტებით.

3. ვუჩვენოთ და მოვასმენინოთ ბასტი-ბუბუს სიმღერა „მოფრინავდა ჩიტი-გვრიტი"
   https://www.youtube.com/watch?v=Z4UEcl0Poio

გაიმეორონ მოძრაობები და იმღერონ ბასტი-ბუბუსთან ერთად.

22-ეკვირა

თემა: ტანსაცმელი

თემა "ტანსაცმელი" ერთ კვირას გრძელდება. მისი მიზანია ბავშვები გაეცნონ სხვადასხვა სეზონის, კულტურისა და ეპოქისათვის დამახასიათებელ ტანსაცმელსა და აქსესუარებს, შექმნან თავისი საყვარელი ზღაპრის გმირი და შეურჩიონ შესაბამისი ტანსაცმელი. ამავე კვირაში ბავშვები გაეცნობიან ზღაპარს "პიტერ პენი და ვენდი". მოძრავი თამაშების დიდი ნაწილი სწორედ ამ ზღაპარზეა აგებული.

ბავშვები ამ თემაზე მუშაობისას განივითარებენ ნატიფ და მსხვილ მოტორიკას, შემოქმედებით და სოციალურ უნარებს.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუ-ალიზება	რას ვიცვამთ	პროექტი: ტანსაც-მლის დიზაინე-რი- ტანსაცმლის ხატვა. აქტივობა: ტან-საცმლის ლოტოს დამზადება როლური თამაში: ტანსაცმლის ატე-ლიე.	"პიტერ პენი" 	ჯადოსნური მტვერი	ტანსაცმლის ლოტო დაახარისხე ტანსაცმელი	მუსიკა "პიტერ პენიდან" https://www.youtube.com/watch?v=NmI9fVrHaf0	რეფლექსია: ბავშვები მოყვებიან დღის ყველაზე საინტერესო საქმიანობაზე.
მასალები/ რესურსები	პატარა ჩემოდა-ნი ან ჩანთა, რო-მელშიც იქნება სხვადასხვა სა-ხის ტანსაცმელი: კაბა, შარვალი, შორტი, პერანგი, ჟაკეტი, ფეხსაცმელი, ასევე აქსესუ-არები: ქუდები, ჩანთა, შარფი, ქოლგა და სხვა.	ფერადი ფანქრები, ფურცლები. მუყაო, წებო, მაკრატელი. ტანსაცმელი, ქსო-ვილების დიდი ნაჭრები, სათამაშო საკერავი მანქანა, სიგრძის საზომი ლენტი, სახაზა-ვი, საქსოვი და საკერავი ძაფები, ფერადი ლენტები, ღილები, ფურც-ლები და ფანქრე-ბი, სხვადასხვა	"პიტერ პენი"	წვრილად დაჭ-რილი ბრჭყვი-ალა ქაღალდი, პატარა ტომ-სიკა.	ბავშვების დამზა-დებული ტანსაცმ-ლის ლოტო, ძველი ჟურნალე-ბი, მაკრატელი.	მუსიკალური ცენტრი და დის-კი ჩანაწერით	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
		დროისა და ქვეყ-ნის ძველებური და თანამედროვე ტანსაცმელების ფოტოები ან ნახა-ტები.					
სამშაბათი ინდივიდუ-ალიზება	რა აცვიათ ზღაპ-რის გმირებს	პროექტი: ტანსაც-მლის დიზაინერი - დახატე ზღაპრის გმირის კოსტიუმი. აქტივობა: ააშენე სახლი შენი გმი-რისთვის. წესებიანი თამა-ში: ტანსაცლმის ლოტო როლური თამაში: ტანსაცმლის ატე-ლიე	”პიტერ პენი”	ჯადოსნური მტვერი	”შეუსაბამე ციფრს სარეცხის სარჭი” ”შეუსაბამე სიტყვა ნახატს”	სიმღერა “რეტ-რო” https://www.youtube.com/watch?v=8E3O7MB50Ek	რეფლექსია: ბავშვები ისეუბრებენ, თუ რომელი ზღაპრის გმირი შეარჩიეს და რატომ, წარ-მოადგენენ ეს-კიზებს.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	რამდენიმე პატარა ზღაპარი სერიიდან "წიგნი ყველა ბავშვს"	ფერადი ფანქრები, გუაში, ფურცლები. კუბურები, ქსოვილები, ბუნებრივი მასალები. ტანსაცმლის ლოტო მასალა როლური თამაშისათვის.	"პიტერ პენი"	წვრილად დაჭრილი ბრჭყვიალა ქაღალდი, პატარა ტომსიკა.	მუყაო, მაკრატელი, ფლომასტერი, ხის სარჭები. ჟურნალებიდან ამოჭრილი ტანსაცმლის ფოტო ან ნახატები. მუყაოს პატარა ბარათები, ფლომასტერი	მუსიკალური ცენტრი და დისკი ჩანაწერით	
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	როგორ ეცვათ ძველად საქართველოში?	პროექტი ტანსაცმლის დიზაინერი-შექმენი ზღაპრის გმირი. აქტივობა: ქართული ტანსაცმლის გადახატვა - აპლიკაცია ქსოვილებით. როლური თამაში: ტანსაცმლის ატელიე	"პიტერ პენი"	"ატარე ნივთი"	ფეხსაცმელების ცხრილი თასმების შეკვრა ქსოვილების დახარისხება	სიმღერა "რეტრო" https://www.youtube.com/watch?v=8E3O7MB50Ek	რეფლექსია: ბავშვები ისეუბრებენ იმაზე, თუ როგორ დაახარისხეს ფეხსაცმელები.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	ალბომი: ნინო ბრაილაშვილი, ასეთი მახსოვს საქართველო	პლასტილინი, თიხა ან პაპიემაშეს დასამზადებლად: ჯამი, მეორადი ქაღალდი, წებო ემულსია ან ფქვილი, წყალი. უბრალო ფანქრები და ფურცლები, სხვადასხვა ქსოვილის პატარა ნაჭრები, წებო ემულსია, მაკრატელი.	"პიტერ პენი"	ბურთი, თოჯინა, დათუნია ან სხვა საშუალო ზომის ნივთი.	დიდი ფორმატი, ბავშვების ფეხსაცმელები, ფლომასტერი. მუყაოსგან გამოჭრილი ფეხსაცმლის ფორმები, თასმები. სახვადასხვანაირი ქსოვილის პატარა ნაჭრები.	მუსიკალური ცენტრი და დისკი ჩანაწერით	
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	სხვადასხვა ქვეყნის ტანსაცმელი	პროექტი: "ტანსაცმლის დიზაინერი" - შექმენი ზღაპრის გმირის კოსტიუმი. აქტივობა: შერჩეული ქვეყნის ტანსაცმლის დახატვა და აპლიკაცია ქსოვილით.	"პიტერ პენი"	"ატარე ნივთი"	ტანსაცმლის გაფენა ღილების/ პატარა ზომის ნივთების განაწილება ქილებში.	სიმღერა მკერავები https://www.youtube.com/watch?v=VIuF_gKmkMo&index=20&list=PL0ABC6A3968804547	ბავშვები წარმოადგენენ თავის დამზადებულ პერსონაჟებს. ისაუბრებენ მათზე.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
		როლური თამაში: ტანსაცმლის ატელიე აქტივობა: ქსოვილების მემოს დამზადება					
მასალები/ რესურსები	ალბომი “მოდა”	ქსოვილები, მძივები, ღილები, ბალთები, ძაფები, რეზინი, მაქმანები, ბუმბული და ა.შ. ასევე სტეპლერი და წებო ემულსია. მუყაო , წებო, ქსოვილები, მაკრატელი.	"პიტერ პენი"	ბურთი, თოჯინა, დათუნია ან სხვა საშუალო ზომის ნივთი.	ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, ფლომასტერი, თოკი. ღილები, პატარა ზომის ფაფის ქილები ან ერთჯერადი ჭიქები.	მუსიკალური ცენტრი და დისკი ჩანაწერით	
პარასკევი ინდივიდუალიზება	თანამედროვე ჩაცმულობა	პროექტი: ტანსაცმლის დიზაინერი-შექმენი ზღაპრის გმირის კოსტიუმი. აქტივობა: კოლაჟი როლური თამაში: ტანსაცმლის ატელიე წესებიანი თამაში: ქსოვილების მემო	”პიტერ პენი”	კაუჭა და ბავშვები	ღილების დახარისხება თასმების შეკვრა	სიმღერა მკერავები https://www.youtube.com/watch?v=VIuF_gKmkMo&index=20&list=PL0ABC6A3968804547	ბავშვები წარმოადგენენ თავის დამზადებულ პერსონაჟებს. ისაუბრებენ მათზე.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები და რესურსები	თანამედროვე ტანსაცმლის ალბომი	ქსოვილები, მძივები, ღილები, ბალთები, ძაფები, რეზინი, მაქმანები, ბუმბული და ა.შ. ასევე სტეპლერი და წებო ემულსია. ძველი მოდების ჟურნალები. მშრალი წებო, ლენტები, მაქმანები,ღილები. წინასწარ დამზადებული ქსოვილების მემო.	"პიტერ პენი"	მუყაოს კაუჭი	სხვადასხვა ზომის, ფერისა და ფორმის ღილები. მუყაოსგან გამოჭრილი ფეხსაცმლის ფორმები, თასმები.	მუსიკალური ცენტრი და დისკი ჩანაწერით	

საქმიანობათა ინსტრუქციები

შეხვედრა დილის წრეში

1. რას ვიცვამთ? - წინასწარ მოვიძიოთ და მივიტანოთ ჯგუფურ შეხვედრაზე პატარა ჩემოდანი ან ჩანთა, რომელშიც იქნება სხვადასხვა ტანსაცმელი: კაბა, შარვალი, შორტი, პერანგი, ჟაკეტი, ფეხსაცმელი, ასევე აქსესუარები: ქუდები, ჩანთა, შარფი,ქოლგა და სხვა (შეიძლება მშობლებს ვთხოვოთ, მოგვაწოდონ ტანსაცმელი, რომელიც აღარ სჭირდებათ, გამოვიყენოთ მხოლოდ სუფთა და უსაფრთხო სამოსი). წავახალისოთ ბავშვები, ჩამოთვალონ სხვადასხვა ტანსაცმელი, რომელსაც იცვამენ სხვადასხვა დროს, როგორი ტანსაცმელი უყვართ, რომელში გრძნობენ თავს მოხერხებულად. როგორ ტანსაცმელს შეიკერავდნენ თავად? რიგრიგობით ამოვიღოთ ჩანთიდან სხვადასხვა სამოსი და გადავაწოდოთ ბავშვებს, რათა დაათვალიერონ, შეეხონ, დაასახელონ. ვისაუბროთ, როგორი მასალით არის დამზადებული ნივთები, რომელი მასალა ჰგავს ერთმანეთს და რომელი განსხვავდება.

2. რა აცვიათ ზღაპრის გმირებს - წავუკითხოთ ბავშვებს რამდენიმე პატარა ზღაპარი სერიიდან "წიგნი ყველა ბავშვს". ეს შეიძლება იყოს "წითელქუდა", "ნილსისა და ბატების საოცარი მოგზაურობა", "ოზის ჯადოქარი", "კალის ჯარისკაცი", "ჩექმებიანი კატა".

   შევეცადოთ, შევარჩიოთ ისეთი ზღაპრები, რომლის ანიმაციური ვერსია (მულტფილმი) ბავშვებს არ ექნებათ ნანახი, თავი უნდა ავარიდოთ ასევე კომერციული დატვირთვის მქონე გმირებს (მაგ., მიკი მაუსი, სპაიდერმენი და ა.შ.). თითოეული ზღაპრის წაკითხვის შემდეგ ვკითხოთ ბავშვებს, როგორ წარმოიდგინეს ესა თუ ის გმირი, როგორი ტანსაცმელი ეცვა ან რა ეკეთა მას.

3. როგორ ეცვათ ძველად საქართველოში? - დავათვალიერებინოთ ბავშვებს ალბომი ძველი ქართული ტრადიციული ტანისამოსის ფოტოებით (ალბომი შეიძლება მოვიძიოთ ბიბლიოთეკაში, მაგ., ნინო ბრაილაშვილის "ასეთი მახსოვს საქართველო"). ვთხოვოთ ბავშვებს, აღწერონ სხვადასხვა კუთხის ტანსაცმელი: როგორი ფერებია გამოყენებული, რა ნაწილებისგან შედგება და ა.შ. http://giorgimarjanishvili.blogspot.com/2012/10/blog-post.html

4. სხვადასხვა ქვეყნების ტანსაცმელი - დავათვალიერებინოთ ბავშვებს სხვადასხვა დროისა და ქვეყნის ტანსაცმლის ფოტოები (ალბომი "მოდა", სულაკაურის გამომცემლობა). წავახალისოთ, რომ აღწერონ და შეადარონ ერთმანეთს ცალკეული სამოსი. გაიხსენონ, სად უნახავთ ასეთი ტანსაცმელი.

5. თანამედროვე ჩაცმულობა - დავათვალიერებინოთ ბავშვებს თანამედროვე ტანსაცმლის ალბომი. ვთხოვოთ აღგვიწერონ, როგორ შეიცვალა ტანსაცმელი დროთა განმავლობაში, შეუდარონ თანამედროვე სამოსი ძველ სამოსს.

აქტივობები

1. ააშენე სახლი შენი გმირისთვის - შევთავაზოთ ბავშვებს მრავალფეროვანი მასალა სახლების ასაშენებლად: კუბურები, გირჩები, ხის ტოტები, ქსოვილები, ფოთლები და სხვა.

2. ქართული ტანსაცმლის გადახატვა: აპლიკაცია ქსოვილებით - დავუდოთ ბავშვებს ქართული ტანსაცმლის ალბომი და პატარა ქსოვილების ნაჭრები, შევთავაზოთ ტანსაცმლის შერჩევა და გადახატვა. ხატვის შემდეგ ბავშვები შეარჩევენ შესაბამის ქსოვილებს, ამოჭრიან და გააკეთებენ აპლიკაციას.

3. შერჩეული ქვეყნის ტანსაცმლის დახატვა და აპლიკაცია ქსოვილით - დავუდოთ ბავშვებს ამა თუ იმ ქვეყნის ალბომი და პატარა ქსოვილების ნაჭრები; შევთავაზოთ, რომ შეარჩიონ რაიმე სამოსი და გადაიხატონ. გადახატვის შემდეგ ბავშვები შეარჩევენ შესაბამის ქსოვილებს, ამოჭრიან და გააკეთებენ აპლიკაციას.

4. ქსოვილების მემოს დამზადება - მივცეთ ბავშვებს მუყაოს ბარათები და სხვადასხვანაირი ქსოვილის ნაჭრები. წავახალისოთ, გამოჭრან და დააწებონ ქსოვილები მუყაოზე, გააკეთონ წყვილები.

5. კოლაჟი - მოვიძიოთ ძველი მოდის ჟურნალები. ვთხოვოთ ბავშვებს, ამოარჩიონ და ამოჭრან ის მოდელები, რომლებიც ყველაზე მეტად მოეწონებათ. ამოჭრილ გამოსახულებებს ბავშვები გადაანაწილებენ ფერად ფორმატზე, დააწებებენ და დაამზადებენ კოლაჟს.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. ჯადოსნური მტვერი - შეირჩევა წამყვანი, რომელსაც მივცემთ წვრილად დაჭრილი ბრჭყვიალა ან ფერადი ქაღალდით სავსე პატარა ტომარას. წამყვანი რიგრიგობით აყრის ჯადოსნურ მტვერს ბავშვებს, რის შემდეგაც ისინი იწყებენ "ფრენას" (სირბილს და ხელების ქნევას). მათ ამგვარად უნდა მიაღწიონ წინასწარ დათქმულ "კუნძულამდე". შეიძლება ასევე შეირჩეს კაუჭა და ორი მეკობრე, რომლებიც შეეცდებიან დაიჭირონ ბავშვები მანამდე, სანამ ისინი "კუნძულზე" მიფრინდებიან.

2. ატარე ნივთი - ბავშვები გავყოთ ორ გუნდად და დავაწყვილოთ. თითოეულმა წყვილმა მკლავებით ან მხრებით უნდა დაიჭიროს ბურთი ან სხვა სათამაშო და მიიტანოს მონიშნულ ადგილამდე. წყვილის დაბრუნების შემდეგ მიდის ახალი წყვილი. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც პირველი დაასრულებს თამაშს.

3. კაუჭა და ბავშვები - შეირჩევა ერთი მოთამაშე, რომელიც იქნება კაუჭა, დანარჩენები - მხიარული ბავშვები. ბავშვები აბრაზებენ კაუჭას და ისიც დასდევს მათ დასაჭერად. დაჭერილი ბავშვი ხდება კაუჭა. კაუჭას შეიძლება წინასწარ დავუმზადოთ მუყაოს კაუჭი.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. ტანსაცმლის ლოტო - შევთავაზოთ ბავშვებს ლოტო ტანსაცმლის გამოსახულებებით ან დავეხმაროთ, რომ თვითონ დახატონ და დაამზადონ ლოტო. ოთხ დაფაზე შეიძლება გავანაწილოთ სხვადასხვა ტანსაცმელი სეზონის, სტილის, მსგავსების მიხედვით ან პროფესიული ტანსაცმელი და აქსესუარები (იხ. ილუსტრაცია 25)

2. დაახარისხე ტანსაცმელი - ბავშვებს დავურიგებთ ძველ ჟურნალებს, საიდანაც მათ უნდა ამოჭრან სხვადასხვა ტანსაცმელი, აქსესუარები და დაახარისხონ სახეობების მიხედვით. შემდეგ შეიძლება შევცვალოთ დავალება და დავახარისხებინოთ ფერის ან მასალის მიხედვით.

3. შეუსაბამე რაოდენობას სარეცხის სარჭი - მუყაოსგან წინასწარ გამოვჭრათ წრე და ფლომასტრით გავყოთ ათ ნაწილად. თითოეულ ნაწილზე დავხატოთ 1-დან 10-მდე ბურთულები. ხის სარეცხის სარჭებს დავაწეროთ ციფრები 1-დან 10-მდე. ბავშვებმა ბურთულების რაოდენობასუნდა მიუსადაგონ სარჭზე გამოსახული სათანადო ციფრი და დაამაგრონ შესაბამის მონაკვეთზე.

4. შეუსაბამე სიტყვა ნახატს - ჟურნალებიდან წინასწარ ამოჭრილი ტანსაცმელის და აქსესუარების ფოტოები ან ნახატები დავაწებოთ პატარა მუყაოს ბარათებზე. ცალკე, პატარა ბარათებზე, დავწეროთ შესაბამისი სიტყვები. ბავშვებმა უნდა მიუსადაგონ სიტყვა გამოსახულებას. საჭიროების შემთხვევაში დავეხმაროთ.

5. ფეხსაცმელების ცხრილი - დიდი ფორმატი წინასწარ დავყოთ უჯრებად. ვთხოვოთ ბავშვებს, დააკვირდნენ თავიანთ ფეხსაცმელებს და განსაზღვრონ, რა ტიპის ფეხსაცმელი აცვიათ (შეიძლება იყოს "ფხრიწებზე" ან თასმებზე; მაღალყელიანი, დაბალყელიანი, სპორტული და ა.შ.). ბავშვებმა უნდა დაახარისხონ ფეხსაცმელები უჯრებში და შემდეგ დათვალონ. შეიძლება ფეხსაცმლის ნაცვლად ჩაწერონ მათი პატრონის სახელი.

6. თასმების შეკვრა - წინასწარ გავამზადოთ მუყაოსგან გამოჭრილი ფეხსაცმლის რამდენიმე ფორმა თასმებით. წავახალისოთ ბავშვები, რათა ჯერ ჩვენი დახმარებით, შემდეგ კი დამოუკიდებლად შეკრან თასმები.

7. ქსოვილების დახარისხება - წინასწარ გამოვჭრათ ქსოვილებიდან პატარა ნაჭრები და გავამზადოთ წყვილები. წავახალისოთ ბავშვები, რომ იპოვონ წყვილები, შემდეგ კი დაახარისხონ ქსოვილები სხვადასხვა ნიშნით (კოპლებიანი, ყვავილებიანი, სადა, ფერებით და ა.შ.).

8. ტანსაცმლის გაფენა-ფერადი ქაღალდისაგან წინასწარ გამოვჭრათ სხვადასხვა ტანსაცმელი და დავაწეროთ ციფრები 1-დან 10-მდე; გავჭიმოთ თოკი სკამებს შორის და წავახალისოთ ბავშვები,რომ გაფინონ სარეცხი რიგის (დაწერილი ციფრების) მიხედვით.

9. ღილების / პატარა ზომის ნივთების განაწილება ქილებში - პატარა ქილებს ან ერთჯერად ჭიქებს დავაწეროთ ციფრები. ვთხოვოთ ბავშვებს, გაანაწილონ ჭიქებში შესაბამისი რაოდენობის ღილები ან ნებისმიერი პატარა ზომის ნივთები.

10. ღილების დახარისხება - დავურიგოთ ბავშვებს მუყაოს კვერცხის ჩასადების ექვსნაწილიანი ნაჭრები. შევთავაზოთ, დაახარისხონ ღილები ამ ბუდეებში და ახსნან, რა პრინციპით დაახარისხეს ღილები.

პროექტები

პროექტი: ტანსაცმლის დიზაინერი”

1. ტანსაცმლის ხატვა - ვთხოვოთ ბავშვებს, დახატონ ტანსაცმელი საკუთარი ფანტაზიით ან გადაიხატონ რომელიმე წიგნიდან.

2. დახატე ზღაპრის გმირის კოსტიუმი
   შევთავაზოთ ბავშვებს, დახატონ ზღაპრის გმირები ისე, როგორც წარმოუდგენიათ; დაუხატონ და გაუფერადონ ტანსაცმელი და სხვა აქსესუარები (გმირი შეიძლება იყოს როგორც ადამიანი, ისე ცხოველიან გამოგონილი არსება).

3. შექმენი ზღაპრის გმირი - შევთავაზოთ ბავშვებს, დაამზადონ საკუთარი ზღაპრის გმირები სხვადასხვა მასალის საშუალებით. ეს შეიძლება იყოს პლასტილინი, თიხა ან პაპიემაშეს განსხვავებული ტექნოლოგია: დამბალი ქაღალდებით ძერწვა. ამ ტექნოლოგიის გამოყენებისათვის დაგვჭირდება დიდი რაოდენობით მეორადი ქაღალდი. წინასწარ დავამზადოთ პაპიემაშეს წებო ან გავხსნათ წყალში წებო ემულსია. ქაღალდი დავაქუცმაცოთ და დავალბოთ ამ წებოში; ზედმეტი წყალი გადავღვაროთ და ვურიოთ მანამდე, სანამ არ მივიღებთ საძერწად მოსახერხებელ მასას. წავახალისოთ ბავშვები, გამოძერწონ სასურველი ზღაპრის გმირები.

4. შექმენი ზღაპრის გმირის კოსტიუმი - წავახალისოთ ბავშვები, შექმნან მათ მიერ მოგონილი ზღაპრის გმირების კოსტიუმები თავიანთი ჩანახატების მიხედვით. შევთავაზოთ მათ სხვადასხვა მასალა: ქსოვილები, მძივები, ღილები, ბალთები, ძაფები, რეზინი, მაქმანები, ბუმბული და ა.შ. ასევე სტეპლერი და წებო ემულსია.

5. შექმენი ზღაპრის გმირის კოსტიუმი - ბავშვები დაასრულებენ მუშაობას.

როლური თამაშები

ტანსაცმლის ატელიე- მოვაწყოთ როლური თამაშების კუთხე, როგორც სამკერვალო ატელიე; შევიტანოთ წინასწარ შეგროვებული ტანსაცმელი, ქსოვილების დიდი ნაჭრები, სათამაშო საკერავი მანქანა, სიგრძის საზომი ლენტი, სახაზავი, საქსოვი და საკერავი ძაფები, ფერადი ლენტები, ღილები, ფურცლები და ფანქრები. კედელზე გამოვაკრათ სხვადასხვა დროისა და ქვეყნის ძველებური და თანამედროვე ტანსაცმლის ფოტოები ან ნახატები.

23-ე კვირა

თემა: მცენარეები

თემის ხანგრძლივობაა ორი კვირა. თემის ერთ-ერთი მიზანია მცენარეების განვითარების ციკლის გაცნობა, ამიტომ ეს ორი კვირა რამდენიმე თვით უნდა დავაშოროთ ერთმანეთს. ამ პერიოდის განმავლობაში ბავშვები აკვირდებიან მათ მიერ დათესილი მცენარეების განვითარებას,

უვლიან მათ, აწარმოებენ ჩანაწერებს, გაზომვებს, აკეთებდნენ ჩანახატებს და ა.შ.

თემის მეორე კვირის ფარგლებში ბავშვებს ექნებათ საშუალება, დააკვირდნენ სახვადასხვა სახეობის მცენარეების ყვავილობას, გაიცნონ ყვავილის აგებულება; გაარკვიონ, რა კავშირია ყვავილებსა და მწერებს შორის.

თემა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბავშვებმა აწარმოონ დაკვირვებები, გაზომონ, შეადგინონ ცხრილები და გრაფიკები, მოახდინონ კლასიფიცირება. განივითარონ შემოქმედებითი უნარები და ნატიფი მოტორიკა. გათვალისწინებულია აგრეთვე აქტივობები წერითი მეტყველებისა და სხვა უნარების განვითარებისათვის.

მცენარეები. მეორე კვირა - გაზაფხული

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი	საუბარი ჩვენს მცენარეებზე. გაზაფხულის მოსვლაზე	**პროექტი:** გაზაფხული - გაზაფხულის ხეები. **როლური თამაში:** მებაღეობანა **აქტივობა:** გავაშენოთ პარკი **აქტივობა:** თამაშისთვის ქვის დამზადება **აქტივობა:** აბსტრაქტული ხატვა	ტუვე იანსენი „ჯადოქრის ქუდი“ (პირველი თავი)	ზამბახი, ვარდი, ია, ენძელა.	ხაზების გავლება; კანონზომიერებები კუბურებით; ფიგურული ხაზების გამოჭრა.	სიმღერა გაზაფხულზე (აღმზრდელის არჩევანი)	შევაჯამოთ. შევახსენოთ, რომ ხვალ მივდივართ ექსკურსიაზე.გავაფრთხილოთ, რომ არ დაავიწყდეთ სასმელი წყლის წამოღება, ასევე ჩანთები (პარკები) მასალების შესაგროვებლად.
მასალები/ რესურსები	ბავშვების მიერ გაკეთებული დაკვირვების ცხრილები, ჩანახატები.	ბუნებრივი მასალები; მეორადი მასალები; ხელოვნების ცენტრის მასალები, კუბურები, მებაღის სათამაშო ინსტრუმენტი; ქვები, უფერო ლაკი	ტუვე იანსენი „ჯადოქრის ქუდი“	ცარცი	სამუშაო ფურცლები, მცირე ზომის ფერადი კუბურები; მაკრატლები	აუდიოჩანაწერი	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი	გასვლითი მეცადინეობა ბოტანიკურ ბაღში (თბილისი და შემოგარენი, ბათუმი და ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა არის). სადაც ბოტანიკური ბაღი არ არის, გავდივართ პარკში ან ბუნებაში, ისეთ ადგილას, სადაც იქნება ყვავილები და აყვავილებული ხეები. ვათვალიერებთ მცენარეებს, ვავსებთ წინასწარ გამზადებულ დაკვირვების ფურცლებს. ვიღებთ ფოტოებს (შეძლებისამებრ). განსაკუთრებული ყურადღებით ვაკვირდებით ყვავილებს და მწერებს - პეპლებს, ფუტკრებს, ჭიანჭველებს; ყურადღებას მივაქცევთ ჩიტებს, ვუსმენთ მათ ხმებს. მოვაწყოთ „სიჩუმის 5 წუთი“ და მოვუსმინოთ ბუნების ხმებს. ვაგროვებთ ბუნებრივ მასალას - ფოთლებს, ყვავილებს, ბალახს, ტოტებს (ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ხეებს არ უნდა მოვატეხოთ ტოტები!).						
მასალები/ რესურსები	სამუშაო ცხრილები, ფურცლის დასადები „პლანშეტები“, ფანქრები, გამადიდებელი შუშები (ლუპები)						
ოთხშაბათი	საუბარი გუშინდელ ექსკურსიაზე თამაში: „ფუტკრების დედოფალი“	**აქტივობა:** ყვავილის შესწავლა **აქტივობა:** ფუტკრის აგებულება **როლური თამაში:** ფუტკრების ოჯახი. **პროექტიგაზაფხული** - ყვავილებისა და მწერების დამზადება **წესებიანი თამაში:** მწერის დახატვა	ტუვე იანსენი „ჯადოქრის ქუდი“ (მეორე თავი)	ფუტკრების მოგზაურობა	გრაფიკები ცხრილები ხაზები	ყვავილების ვალსი	შევაჯამოთ. რა გავიგეთ ყვავილების შესახებ? ფუტკრების შესახებ?

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები		ფუტკრის ფოტო-სურათი; მუყაოს დიდი ყუთი ფუტ-კრების სახლის/ სკის მოსაწყობად, ხელოვნების ცენტ-რის მასალები, წინა დღეს შეგროვებუ-ლი ყვავილები და სხვა ბუნებრივი მა-სალები; ლუპა	ტუვე იან-სენი „ჯადოქრის ქუდი“		ექსკურსიაზე შედგენილი ცხრილები, ყვავილები, ფოთლები, ფანქრები	ვიდეომასალა	
ხუთშაბათი	საუბარი - წინა დღის თემის გაგრ-ძელება და გაღრ-მავება. ფუტკრები და ჭიან-ჭველები	**პროექტი: გაზაფხუ-ლი** - ყვავილების და მწერების დამზადება (გაგრძელება) **პროექტი: გაზაფხუ-ლი** - გაკეთებული ხეებით, ყვავილე-ბით, მწერებით მა-კეტის აწყობა - „გაზაფხული“ **წესებიანი თამაში:** მე ვიცი-2 **აქტივობა:** თამაშის-თვის ქვის დამზა-დება (დასრულება)	ტუვე იან-სენი „ჯადოქრის ქუდი“ მესამე თავი	ბურთი მე-ზობელს	ჭიამაია - კლა-სიფიცირება ყვავილების მემო ფაზლი „გა-ზაფხული“	ვალსი	შევაჯამოთ. ვუთხ-რათ ბავშვებს, რიმ ხვალ ვაწყობთ გამო-ფენას და საგაზაფ-ხულო მეჯლისს, რომელზეც შეუძ-ლიათ დაპატიჟონ მშობლები და ოჯა-ხის სხვა წევრები.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები		ხელოვნების ცენტ-რის რესურსები; ბუნებრივი მასალე-ბი; მეორადი მასა-ლები; მუყაოს ყუ-თები; ფრჩხილების უფერო ლაკი.	ტუვე იან-სენი „ჯადოქრის ქუდი“	ბურთი	ბარათები ჭი-ამაიების გამო-სახულებით; ციფრების ბორ-ბალი და სარ-ჭები; ფაზლი	ვიდეო/აუდიო მასალა	
პარასკევი	ვაჯამებთ თემას	**წესებიანი თამაში:** დღე და ღამე **აქტივობა:** შევუ-საბამოთ ქოლგას ტარი **აქტივობა:** მოვ-ძებნოთ სიტყვები „დღე“ და „ღამე“ სა-მუშაო ფურცელზე და დავაწყვილოთ	ტუვე იან-სენი „ჯადოქრის ქუდი“ (მეოთხე თავი)	დაჭერობანა მწკრივში	შემაჯამებელი: პროექტ „გაზაფხულის“ პრეზენტაცია. ბავშვები დაასრულებენ მაკეტს და გამოფენენ, მოაწყო-ბენ ოთახს, მორთავენ. გამოფენენ აგრეთვე მათ მიერ შე-მოდგომაზე დარგულ მცენარეებს, ყვავილებს. შემოვიტანოთ ჯგუფში ფერადი ბუშტები, ბავშვებმა გა-ბერონ. ჩავრთოთ მუსიკა და ვიცეკვოთ ბუშტებით ვალსი . https://www.youtube.com/watch?v=Cr0r0E2ZSIA როცა მოვლენ მშობლები, ბავშვები წარუდგენენ პროექტს და შესთავაზებენ, იცეკვონ მათთან ერთად.		
მასალები/ რესურსები		სათამაშო ქვა და ცხრილი; სამუშაო ფურცლები.	ტუვე იან-სენი „ჯადოქრის ქუდი“		ბუშტები, აუდიოჩანაწერი.		

საქმიანობათა ინსტრუქციები

დილის შეხვედრა წრეში

1. საუბარი მცენარეებზე, გაზაფხულის მოსვლაზე

გავიხსენოთ, რა ვიცით მცენარეების შესახებ. ბავშვები საუბრობენ იმ მცენარეებზე, რომლებიც შემოდგომაზე დათესეს. როგორ გაიხარეს? რა შედეგები მივიღეთ? რა პირობები ყოფილა საჭირო მცენარის ზრდისათვის? და ა.შ. საუბარი დამოკიდებულია იმ შედეგებზე, რომლებიც მივიღეთ ზამთრის განმავლობაში. ბავშვები აჩვენებენ ერთმანეთს დაკვირვების შედეგებსა და ჩანახატებს. ვისაუბროთ იმაზე, როგორ შეიცვალა ხეები და, ზოგადად, ბუნება გაზაფხულზე - მცენარების ყვავილობაზე, ჩიტების დაბრუნებაზე, მწერების გაღვიძებაზე.

2. საუბარი გუშინდელ ექსკურსიაზე

ვსაუბრობთ გუშინდელ ექსკურსიაზე. რა ვნახეთ? რომელი მცენარეები? როგორი ყვავილები? როგორი პეპლები? რას აკეთებდნენ ფუტკრები, ჭიანჭველები, ჭიამაია?

განვიხილავთ შევსებულ ცხრილებს.

ვთამაშობთ თამაშს „ფუტკრების დედოფალი“. თამაშის დასასრულს განვიხილავთ თამაშს. ვეკითხებით ჯგუფს, მათი აზრით, კარგად ეხმარებოდნენ თუ არა დედოფალს; დედოფალსაც ვეკითხებით, გრძნობდა თუ არა სხვების დახმარებას.

3. საუბარი მცენარეებსა და მწერებზე: ფუტკრები და ჭიანჭველები

წინა დღის თემის გაგრძელება და გაღრმავება. დავსვათ კითხვები: როგორ ფიქრობენ, რა მოხდებოდა, მწერები რომ არ იყოს? რა მოუვიდოდა მცენარეებს? მოვისმინოთ ბავშვების აზრები.

თუ იციან, როგორ ცხოვრობენ ფუტკრები? ჭიანჭველები? ერთად ვნახოთ ილუსტრირებულ ენციკლოპედიებში.

4. თემის შეჯამება

დღეს გვაქვს თემის შეჯამების დღე, ამიტომ ვსაუბრობთ იმაზე, თუ როგორ მოვაწყობთ ოთახს და რას გავაკეთებთ, როგორ წარვადგენთ ჩვენს ნამუშევრებს; ვემზადებით აგრეთვე მეჯლისისთვის - უნდა ვიცეკვოთ სტუმრებთან ერთად.

აქტივობები

1. **ქვის (ქვების) დამზადება თამაშისთვის „დღე და ღამე“ -** ავიღოთ გლუვი და ბრტყელი ქვა, შევღებოთ მისი ერთი მხარე ლურჯად. როცა საღებავი გაშრება, დავახატოთ დიდი მომღიმარე მზე. შემდეგ

შევღებოთ ქვის მეორე მხარე შავად. ვაცალოთ საღებავს გაშრობა და დავახატოთ ნახევარმთვარე და ვარსკვლავები. წავუსვათ ქვის ორივე მხარეს უფერო ფრჩხილების ლაქის ორი ან სამი შრე ნახატების დასაცავად.

2. **აბსტრაქტული ხატვა -** ბავშვები დავყოთ წყვილებად, დავურიგოთ მათ A3 ზომის ფურცლები და ვთხოვოთ, რომ ფურცლის შუაში, ცენტრში, დასვან წერტილი. დავეხმაროთ და ვუჩვენოთ, სად შეიძლება იყოს ცენტრი. ვთხოვოთ ბავშვებს, რომ მოიმარჯვონ ფერადი ფანქრები ფურცლის ცენტრში. ამის შემდგომ ვთხოვოთ თვალების დახუჭვა და თვალდახუჭული ხატვა 1 წუთის განმავლობაში, შემდეგ ვთხოვოთ თვალების გახელა. ბავშვები შეხედავენ ნამუშევარს, დაფიქრდებიან იმაზე, თუ რას ჰგავს იგი და დაასრულებენ ნამუშევარს. შესაძლოა ბავშვებმა შექმნან აბსტრაქტული ნამუშევრებიც.

შეგვიძლია ბავშვებს დავათვალიერებინოთ დავით კაკაბაძის აბსტრაქტული ნამუშევრები.

3. **ყვავილის შესწავლა -** შევთავაზოთ ბავშვებს, ლუპის მეშვეობით დააკვირდნენ ყვავილის აგებულებას და „ჩაიწერონ“ კვლევის შედეგები. ამ აქტივობისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ წინა დღეს შეგროვებული ყვავილები.

4. **ფუტკრის აგებულება -** მივცეთ ბავშვებს ფუტკრის ფოტოსურათი. ვთხოვოთ, დააკვირდნენ ფუტკრის აგებულებას და აღწერონ ის: რამდენი ფეხი აქვს ფუტკარს? როგორია ეს ფეხები? რამდენი ფრთა აქვს? როგორი მუცელი აქვს? და ა.შ.

5. **შევუსაბამოთ ქოლგას ტარი -** წინასწარ მოვამზადოთ ქაღალდის ფერადი ქოლგები და ტარები. ბავშვებმა უნდა გამოჭრან და დაიწებონ ან, უბრალოდ, დადონ ქაღალდზე, თან სწორად შეარჩიონ ტარები.

6. **სიტყვები „დღე“ და „ღამე“ -** ფურცელზე არეულად დავწეროთ სხვადასხვა სიტყვა, მათ შორის რამდენჯერმე უნდა განმეორდეს სიტყვები ”დღე” და ”ღამე”. ბავშვებმა უნდა მოძებნონ და ფანქრით შეაერთონ ყველა წყვილი.

მოძრავი თამაშები/წესებიანი თამაშები

1. **ფუტკრების დედოფალი -** ვირჩევთ ერთ-ერთ ბავშვს, რომელიც იქნება ფუტკრების დედოფალი. ბავშვი ცოტა ხნით გადის ჯგუფიდან, ჩვენ ვმალავთ ,,თაფლს'' (ეს შეიძლება იყოს ფანქარი ან ნებისმიერი ნივთი). ბავშვების ამოცანაა, დაეხმარონ "ფუტრების დედოფალს" თაფლის მოძებნაში. შევთანხმდებით წესებზე: როდესაც დედოფალი მიუახლოვდება სამალავს, მივანიშნებთ ხმით - ძალზე ხმამაღლა ვიტყვით: ,,ბზზზზ''; თუ სამალავს დაშორდება, ჩვენ ნელ-ნელა დავუდაბლებთ ხმას; თუ ძალიან დაშორდება, საერთოდ გავჩუმდებით და ვთხოვთ "დედოფალს", დაბრუნდეს იმ ადგილზე, სადაც ხმას ვაწვდიდით. შეგვიძლია ბავშვებს ჩვენ ვუხელმძღვანელოთ - ხელებს როცა მაღლა ავწევთ, ბავშვები ხმას აუწევენ, თუ დაბლა ჩამოვწევთ, ხმას დაიდაბლებენ; თუ ხელებს გადავაჯვარედინებთ - გაჩუმდებიან.

2. **ზამბახი, ვარდი, ია, ენძელა** - ვსხდებით წრეზე. წამყვანი დგას ცენტრში. მონაწილეებს ვარქმევთ ყვავილების სახელებს (ზამბახი, ვარდი, ია, ენძელა, სხვ.). ამის შემდეგ წამყვანი ამბობს რომელიმე ყვავილის სახელს, მაგ., "ია! ", რის შემდეგაც ყველა „ია" სწრაფად უცვლის ერთმანეთს ადგილებს. წამყვანიც ცდილობს რომელიმე სკამის დაკავებას. მონაწილე, რომელიც ფეხზე აღმოჩნდება, ხდება წამყვანი.

3. **ფუტკრების მოგზაურობა** - ვიყოფით ორ გუნდად (სკებად). ვავლებთ ხაზს (სტარტს) - სადაც არის სკები; მოშორებით ვავლებთ მეორე ხაზს, იქ არის მდელო და ყვავილები. გუნდების წევრები - "ფუტკრები" რიგრიგობით უნდა მივიდნენ მდელომდე და დაბრუნდნენ უკან შემდეგი წესით: გუნდებს აქვთ სამ-სამი მუყაოსგან გამოჭრილი წრე - ეს არის ყვავილები. „ფუტკარი" ისვრის ამ წრეებს წინ და მოძრაობს იმგვარად, რომ დააბიჯოს მხოლოდ წრეებზე. ერთი წრიდან მეორეზე რომ გადავა, უნდა მიწვდეს და აიღოს წინა წრე, მერე ისევ გადააგდოს წინ და გააგრძელოს გზა "მდელომდე". "მდელოდან" იმავე ხერხით ბრუნდება "სკაში" და გადასცემს წრეებს თავისი გუნდის შემდეგ მოთამაშეს. მოგებულია ის "სკა", რომელიც უფრო სწრაფად მოახერხებს ყველა "ფუტკრის" გამგზავრებას და დაბრუნებას "სკაში".

4. **ბურთი მეზობელს -** ბავშვები დგანან წრეზე, ერთმანეთისგან ერთი ნაბიჯის მანძილზე. ისინი ერთმანეთს გადასცემენ ბურთს - მარჯვნივ ან მარცხნივ, მაგრამ აუცილებლად მეზობელს. წამყვანი დგას წრის გარეთ. მისი ამოცანაა, შეეხოს ბურთს. თუ მან ეს მოახერხა, წამყვანი ხდება ის მოთამაშე, რომლის ხელშიც იყო ამ დროს ბურთი.

5. **დღე და ღამე -** წინასწარ ვამზადებთ სათამაშო ქვას (იხ. ზემოთ, # 1 აქტივობა), რომლის ერთი მხარე არის „დღე", მეორე - „ღამე". მოთამაშეები რიგრიგობით ამბობენ - "მზე" ან "ღამე" და ააგდებენ ქვას. ვინც გამოიცნობს, რომელი მხრით "დაჯდება" ქვა, იღებს ერთ ქულას, ვისაც შეეშალა - 0 ქულას. ბავშვებმა შეიძლება აწარმოონ აღრიცხვა და შეადგინონ ცხრილი იმის აღსანიშნავად, თუ ვინ რამდენჯერ გამოიცნო სწორად.

6. **დაჭერობანა მწკრივში -** მონაწილეები დგანან მწკრივში; ყველას ქამრით უჭირავს მის წინ მდგომი მოთამაშე. პირველი მოთამაშე, წამყვანი, ცდილობს დაიჭიროს ბოლო. თუ მოახერხა, ეს წყვილი იცვლება სხვა მოთამაშეებით.

7. **ხოჭოს ხატვა -** თამაში ორი ან მეტი მოთამაშესთვის. ყოველ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ქაღალდი და ფანქრები. მათ უნდა გააგორონ ორი კამათელი და დახატონ ხოჭო. ხოჭოს ხატვის წესი:

1-თავი	2-ტანი	3-ფეხი	4-ფეხი
5-ფეხი	6-ფეხი	7-ფეხი	8-ფეხი
9-თვალი	10-თვალი	11 - ულვაში	12-ულვაში

ყოველ გაგორებაზე შეიძლება ხოჭოს მხოლოდ ერთი ნაწილის დახატვა. მაგალითად, თუ მოგვივიდა 1 და 2, შეგვიძლია დავხატოთ თავი (1) ან ტანი (2), მაგრამ არა ორივე. ასევე შეგვიძლია შევაჯამოთ მიღებული პასუხები და დავხატოთ შესაბამისი რიცხვის ნაწილი, მაგ., დავხატოთ ფეხი, ვინაიდან 1+2=3. თუ ხოჭოს უკვე აქვს ეს ნაწილები, მაშინ უნდა გამოვტოვოთ სვლა. მოგებულია ის მოთამაშე, რომელიც პირველი დაასრულებს თავისი ხოჭოს დახატვას.



8. **მე ვიცი. 2 -**მონაწილეები დგანან წრეში და გადასცემენ ერთმანეთს ბურთს. წამყვანი ამბობს ცხოველთა რომელიმე ზოგადი სახეობის აღმნიშვნელ სიტყვას, მაგალითად, „მწერი“. მონაწილემ, რომელსაც აქვს ბურთი, უნდა სწრაფად დაასახელოს ორი მწერი და გადასცეს ბურთი მეზობელს. ისიც ასახელებს ორს და ა.შ. როცა მწერები ამოიწურება, წამყვანი ასახელებს სხვა სახეობას (მაგალითად, წარმოთქვამს: „ფრინველი“) და თამაში გრძელდება.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში:

1. წინასწარ მოვამზადოთ სამუშაო ფურცლები და მივცეთ ბავშვებს შემდეგი დავალებები:

- ხაზების გავლება წყვეტილი ხაზის გასწვრივ;
- მაკრატლით ფიგურული ხაზების გამოჭრა;
- სურათის მიხედვით კუბურებით კანონზომიერების გამეორება (ფერების მიმდევრობისა და რაოდენობის დაცვა).



2. **ხაზები: ხაზების გავლება** - გაითვალისწინეთ, მნიშვნელოვანია ფანქრის (ხელის) მოძრაობა როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ასევე მაჯვნიდან მარცხნივ და ზემოდან ქვემოთ (იხ. ილუსტრაციები #26, 27).



3. **ცხრილები:ყვავილებისა და ფოთლების დათვლა და ცხრილის შედგენა** - დავდოთ მაგიდაზე არეულად რამდენიმე სახეობის (ფერის) ყვავილები და ფოთლები. მივცეთ ბავშვებს შესაბამისი ცხრილები. მათ უნდა დათვალონ და ცხრილში აღნიშნონ, რამდენია თითოეული სახეობის ყვავილი თუ ფოთოლი.

4. **გრაფიკები -** წინა დღეს შედგენილი ცხრილების მიხედვით გრაფიკების აგება.

5. **ჭიამაიების სურათების კლასიფიცირება -** წინასწარ დავამზადოთ სხვადასხვა ფერის ბარათები, რომლებზედაც გამოსახულია ჭიამაიები ფრთებზე მოხატული სხვადასხვანაირი ფიგურებით.



ასეთი ნაკრები გვაძლევს კლასიფიცირების უამრავ ვარიანტს, მაგალითად, ფერების მიხედვით, ფიგურების მიხედვით, სხვ. იგი გვაძლევს ასევე უფრო რთული ამოცანების დასმის საშუალებას. მაგალითად, ქვემოთ, ერთ წრეში, ვარდისფერი ჭიამაიებია, მეორეში - მრგვალი ორნამენტების მქონე ჭიამაიები. აქვე გვაქვს აგრეთვე ამ ორი სიმრავლის გადაკვეთაც - წრე, რომელშიც ორივე ნიშნის მქონე ჭიამაიებია მოთავსებული (მრგვალი ორნამენტების მქონე ვარდისფერი ჭიამაიები):

10. **ყვავილების მემო -** წინასწარ გავაკეთოთ ყვავილების მემო (6 ან მეტი წყვილი ყვავილის გამოსახულება. რაოდენობას შევარჩევთ ბავშვების საჭიროებათა მიხედვით) და ვათამაშოთ ბავშვები)(იხ. ილუსტრაცია #28).

11. **ფაზლი „გაზაფხული“ -** შევთავაზოთ ბავშვებს 16- ან მეტნაჭრიანი ფაზლი "გაზაფხულის სურათი".

პროექტები

პროექტი: გაზაფხული

ბავშვები აკეთებენ გაზაფხულის დიდ მაკეტს - დაამზადებენ აყვავილებულ ხეებს, ყვავილებს, მწერებს; განალაგებენ ამ საგნებს მუყაოს ყუთებისგან შექმნილ „ბუნებაში“, გააფორმებენ ნახატებით ან/და ბუნებრივი მასალებით - მივცეთ საშუალება, თვითონ გადაწყვიტონ, როგორი იქნება „გაზაფხული ჩვენს ჯგუფში“.

1. პროექტი: გაზაფხული

გაზაფხულის ხეები - გავამახვილოთ ბავშვების ყურადღება ფერებზე - როგორ შეიცვალა ფერები შემოდგომასთან შედარებით; მივცეთ საშუალება, გააკეთონ გაზაფხულის ხეები იმ მასალებითა და იმ ტექნიკით, რომელსაც თვითონ შეარჩევენ.

სურათებზე მოყვანილია რამდენიმე მაგალითი - გაზაფხულის ხეები, შექმნილი ფერადი ქაღალდების, ღილების და ბატიბუტის გამოყენებით.

აგრეთვე სამგანზომილებიანი ხეები:

2. პროექტი: გაზაფხული

ყვავილებისა და მწერების დამზადება - მივცეთ ბავშვებს სრული თავისუფლება, რათა ნებისმიერი მასალებითა და ტექნიკით დაამზადონ ყვავილები, ჭიამაიები თუ სხვა მწერები, ან გაზაფხულის სურათები და კოლაჟები. მაგალითები:

მუსიკა

1. ყვავილების ვალსი: მოვასმენინოთ ბავშვებს "ყვავილების ვალსი" ჩაიკოვსკის ბალეტიდან „მაკნატუნა".

   თუ არის საშუალება, ვაჩვენოთ შემდეგი ვიდეო:

   https://www.youtube.com/watch?v=9a4DnEWXMHM
   მოისმინონ, დახატონ, იცეკვონ თავისუფლად.

2. ვალსი: ვაჩვენოთ ბავშვებს ვალსის რამდენიმე პა, ნახონ ვიდეო:
   https://www.youtube.com/watch?v=ua_8RWl2p2g

   ვესაუბროთ ბავშვებს ვალსის რიტმის შესახებ; შევთავაზოთ, მოსინჯონ დირიჟორობა.

იცეკვონ, ჩავურთოთ სხვადასხვა ვალსი. იცეკვონ, როგორც გრძნობენ, როგორც მოსწონთ, არ ვუსწორებთ, არ გვჭირდება ზუსტი მოძრაობები

(მოიძიეთ ვალსები შემდეგ მისამართზე: https://www.youtube.com/watch?v=FaxTRX9oAV4)

24-ე კვირა

თემა: როგორ შევქმნათ თვითმფრინავი, გემი, მატარებელი?

თემა ერთი კვირის განმავლობაში გრძელდება. იგი ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, იმსჯელონ სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტზე და მიიღონ პასუხი ისეთ შეკითხვებზე, როგორებიცაა: როგორ ვიმოგზაურთ შორ მანძილებზე? როგორ შევქმნათ ქაღალდისა და ბოთლების გამოყენებით თვითმფრინავები? თემის ფარგლებში წარმოდგენილი აქტივობები ბავშვებს შესაძლებლობას მისცემს, დააჯგუფონ სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტი.

თემა ითვალისწინებს ხელნაკეთი გემების დამზადებას და კვლევა-ძიებას იმის გასარკვევად, თუ რატომ არ იძირება ზოგიერთი ნივთი წყალში. ბავშვები შეძლებენ სხვადასხვა ტიპის გასაფერადებლების გაფერადებას; შექმნიან მატარებლებს, ისწავლიან და გაიხსენებენ კვირის დღეებს, საბოლოოდ კი შეაჯამებენ სასწავლო-სააღმზრდელო კვირას.

აღნიშნული თემა ხელს უწყობს ბავშვების მოტივირებას, ეხმარება მათ თვალსაწიერის გაფართოებაში; უზრუნველყოფს იმგვარი უნარების განვითარებას, როგორებიცაა: დაკვირვება, კლასიფიკაცია, შემოქმედებითობა, ნატიფი მოტორიკა.

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ინდივიდუალიზება	**საუბარი თემაზე; როგორ მივიდეთ დანიშნულების ადგილამდე, ტრანსპორტი.**	**აქტივობა**: შევქმნათ თვითმფრინავები ვაძლევთ ბავშვებს შესაძლებლობას, რომ "გააფრინონ" საკუთარი თვითმფრინავები.	**გავიცნოთ პირველი ფრინველი**	"დაიმახსოვრე შენი ადგილი". "გველეშაპი"	დაასრულე ნახატი რომბებით. გააფერადე ჩემნაირი თვითმრინავი.	ვისმენთ სიმღერას ,,ავტომობილი'' (მაკა არაშიძე)	რა იყო საინტერესო დღევანდელ ჯგუფში? რომელი თამაში/აქტივობა მოგვეწონა ყველაზე მეტად?

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
		წესებიანი თამაში: ვისი თვითმფრინავი უფრო შორს გაფრინდება? **როლური თამაში:** ტურისტული სააგენტო					
მასალები/ რესურსები	ხელნაკეთი საათი; ან საათი წიგნიდან ,,რომელი საათია''- (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).	ფერადი ფურცლები; ლოტოს ბარათები სხვადასხვანაირი ტრანსპორტის გამოსახულებით; ფოტოები; სხვადასხვა ქვეყნებისა და ადგილების გამოსახულებით; ჯოხები, მყარი ქაღალდი; წებოვანი ლენტი; თოკი	არქეოპტერიქსის გამოსახულება ენციკლოპედიიდან ან სხვა წყაროდან; ქაღალდი; ფერადი ფანქრები		თაბახის ქაღალდები რომბების გამოსახულებით (თითო გამოსახულება თითოეული ბავშვისთვის)	მუსიკალური ცენტრი დისკი	

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი ინდივიდუალიზება	მივესალმოთ ბავშვებს, ვკითხოთ, თუ რა იყო საინტერესო სასკოლო მზაობის ჯგუფიდან წასვლის შემდეგ? შევთავაზოთ **აქტივობა:** გაიმეორე ჩემი მოძრაობა	**წესებიანი თამაში:** განალაგე ჩემნაირად **პროექტი:** ჩემი საფრენი აპარატი	შეგვიძლია ბავშვებს წავუკითხოთ ისტორიები წიგნიდან ,,365 ძილისპირული ამბავი'' მოთხრობა ,,რობი და თვითმფრინავი''.	ზღაპრული რბოლა	სიტყვების ,,დომინო''	მინდა გითხრა ,,ა, ე, ო, უ, ი"	ვკითხოთ ბავშვებს, თუ რას მოუყვებიან მშობლებს, ბებია- ბაბუას დღევანდელი დღის შესახებ?
მასალები/ რესურსები		გასაფერადებლები; ცხრილი და დაჭრილი ბარათები სხვადასხვა ტრანსპორტის გამოსახულებით; მუყაოს ქაღალდები; მაკრატელი; წებოვანი ლენტი; პლასტმასის ბოთლები.	წიგნი "365 ძილისპირული ამბავი"		ბარათები სიტყვებით; სხვადასხვა ტრანსპორტის გამოსახულებები სახელწოდებების თანხლებით		

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	**ორიგინალური მისალმება**	**აქტივობა**: საოცნებო მოგზაურობა. **აქტივობა 2.**: პასპორტისა და თვითმფრინავის ბილეთების დამზადება. **პროექტი:** ჩემოდნის დამზადება **წესებიანი თამაში:** საჭირო ნივთები მგზავრობისთვის	წიგნი ,,ლუკა მარტოდმარტო ქვეყანაზე''	”არის, კაპიტანო!”	,,იდუმალი ყუთი''	ბავშვები ისმენენ და მოძრაობენ სიმღერის თანხლებით ,,მატარებელი'' https://www.youtube.com/watch?v=XQMqf2laeXs&list=PL0ABC6A3968804547&index=22	ბავშვები აწესრიგებენ გარემოს. აღმზრდელი ურჩევს, რომ გაუზიარონ მშობლებს ,,ჩემოდნის'' დამზადების ამბავი და ჰკითხონ რჩევა (ხომ არ გამოგვრჩა რაიმე, რის წაღებასაც მშობლები გვირჩევენ).
მასალები/ რესურსები		თაბახის ქაღალდები; ფანქრები და ფლომასტერები; მუყაოს ქაღალდები; დაჭრილი ბარათები სხვადასხვა საგნის გამოსახულებებით	წიგნი ,,ლუკა მარტოდმარტო ქვეყანაზე''		მუყაოს მორთული ყუთი; სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი	მუსიკალური ცენტრი და დისკი	

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	**ვესალმებით ერთმანეთს მხიარულად.** ვესალმებით ბავშვებს- წარმოვთქვამთიმ მისალმებას, რომელმაც წინა დღეს განსაკუთრებით ხანგრძლივი აპლოდიმენტები დაიმსახურა.	**აქტივობა:** იძირება/ არ იძირება **პროექტი:** გავაკეთოთ ჩვენი გემი	თამრი ფხაკაძის მოთხრობა ,, მეზღვაური ზენი" ჯერ ვუჩვენოთ ილუსტრაცია და ვკითხოთ, ვინ არის გამოსახული? როგორ მიხვდნენ? რა ატრიბუტები აქვს მეზღვაურს? დავუწეროთ სიტყვები: მეზღვაური; ზენი; ზღვა; ზვიგენი. ვკითხოთ, თუ რით ჰგავს ეს სიტყვები ერთმანეთს?	თამაში: ,,თევზაობა" არის კაპიტანო (დაუმატეთ თქვენი ბრძანებებიც).	გააფერადე ,,გემი"- შევთავაზოთ ბავშვებს გასაფერადებლები, სადაც მითითებულია ციფრები და აღნიშნულია, რომელი ციფრი რა ფერით უნდა გაფერადდეს.	მოძრავი თამაში ,,გავაცილოთ მგზავრები".	ვკითხოთ ბავშვებს, რომელ აქტივობას გაიმეორებდნენ ხვალინდელ დღეს?

ორშაბათი	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებ-ლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
			მივცეთ მაგ., ძველი გაზე-თი და ვთხო-ვოთ, რომ შე-მოხაზონ ასო "ზ". ვიმუშაოთ მათთან ერ-თად სიტყვე-ბის დამარცვ-ლაზე.				
მასალები/რე-სურსები		კორპის საცობები, ცარიელი ბოთლები, ბოთლის საცობები; კოვზები. გერადი ფურცლები; პატარა ჯოხები; ფერადი ფურცლები; ლოტოს ბარათები სხვადასხვა ტრანს-პორტის გამოსახუ-ლებით.	თამრი ფხაკა-ძის "ლაზარე ანბანის ქვე-ყანაში" (გა-მომცემლობა ტრიასი). მოთხრობა ,,მეზღვაური ზენი.''		გასაფერადებ-ლები		

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივიდუალიზება	**საუბარი თემაზე: ჩემთვის საინტერესო აქტივობები.** ვეკითხებით ბავშვებს, თუ რა იყო მათთვის საინტერესო გუშინ? რა აქტივობას გაიმეორებდნენ სიამოვნებით? რატომ მოეწონათ ეს აქტივობები?	**აქტივობა:** საყვარელი ტრანსპორტის ხატვა **წესებიანი თამაში:** გამოიცანი ტრანსპორტი **როლური თამაში**: გამგზავრება მატარებლით **პროექტი:** დღეების მატარებელი	ვუკითხავთ ''მხიარულ მატარებელს'' თამრი ფხაკაძის წიგნიდან "ლაზარე ანბანის ქვეყანაში" (გამომცემლობა ტრიასი). ვუსვამთ შეკითხვებს: რა ჩანდა მარჯვნივ? რა ჩანდა მარცხნივ? ვის გვერდით იჯდა მელაკუდა მელანია? მაჩვი მაცაცა? როგორ სიმღერას მღეროდნენ?	"მარჯვენა-მარცხენა" "მივდივართ სამოგზაუროდ"	ვაგონების თანამიმდევრობა	ბავშვები ისმენენ და მოძრაობენ სიმღერის თანხლებით ,,მატარებელი''	ვმსჯელობთ, რა იყო კარგი და საინტერესო. ვაწესრიგებთ გარემოს.

ორშაბათი	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებ-ლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რე-სურსები		თაბახის ფურცლები; ფერადი ფანქრები; ლოტოს ბარათები; ფერადი ფურვლები; მაკრატელი.	თამრი ფხაკა-ძის "ლაზარე ანბანის ქვეყა-ნაში" -"მხი-არული მატა-რებელი"		გამოჭრილი ვაგონები	მუსიკალური ცენტრი და დისკი	

საქმიანობათა ინსტრუქციები

შეხვედრა დილის წრეში

1. **როგორ მივიდეთ დანიშნულების ადგილამდე: ტრანსპორტი-** ვკით-ხოთ ბავშვებს, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუკი ახლა ვინმე დაგვირეკავს და დაგვპატიჟებს დაბადების დღეზე შორს, ძალიან შორს; თანაც გვეტყვის, რომ იქ უნდა ვიყოთ სულ რაღაც 5 საათში. ვთხოვოთ ბავშვებს, გვიჩვენონ, რამდენ საათში უნდა იყოთ იქ. ამის შემდეგ ბავშვებს ვუჩვენებთ საათის მაკეტს, ვუხსნით, რომ ახლა 10 საათია - პატარა ისარი არის 10-ზე, დიდი ისარი - 12-ზე. გადავანაცვლოთ საათი და ვუთხრათ, რომ ჩვენ სტუმრად გველიან მაშინ, როდესაც პატარა ისარი იქნება 2-ზე, ხოლო დიდი ისარი 12-ზე. ე.ი 2 საათზე სტუმრად უნდა ვიყოთ. როგორ მოვასწროთ იქ ჩასვ-ლა? რომელია, თქვენი აზრით, ყველაზე სწრაფი ტრანსპორტი? შევა-ჯამოთ, რომ ძალიან შორს ჩვენ ყველაზე სწრაფად თვითმფრინავით მოვხვდებით.

2. **ორიგინალური მისალმება -** ბავშვები დავაწყვილოთ და შევთავა-ზოთ, მოიფიქრონ რაც შეიძლება საინტერესო და განსხვავებული მისალმება. ამის შემდეგ თითოეული წყვილი წარმოადგენს თავის „ორიგინალურ მისალმებას". გამარჯვებული იქნება ის წყვილი, რო-მელიც დაიმსახურებს ყველაზე ხანგრძლივ აპლოდისმენტებს.

აქტივობები

1. თვითმფრინავების შექმნა

ა. ბავშვებს ვურიგებთ A4 ზომის ქაღალდს და შევთავაზებთ თვითმფ-რინავების დამზადებას. ფურცლის შუაში გავავლოთ ხაზი.

ბ. ჩამოვკეცოთ ფურცლის კუთხე და გავუთანაბროთ ჩამოსმულ ხაზს.



გ. იმავეს ვაკეთებთ მეორე მხარეს.



დ. ისევ გადმოვკეცოთ ფურცლის კუთხე და კვლავ შევეცადოთ, რომ გავუთანაბროთ ჩამოკეცილი ფურცლის კუთხე შუა ხაზს.



ე. იმავეს ვაკეთებთ მეორე მხარეს



ვ. ფურცელს მოვკეცავთ შუა ხაზზე.



ზ. ,,ფრთებს'' გადავკეცავთ ჯერ ერთ მხარეს, შემდეგ - მეორე მხარეს.

თ. ბავშვები აფორმებენ თვითმფრინავებს.

ვაძლევთ ბავშვებს შესაძლებლობას, რომ ,, გააფრინონ '' საკუთარი თვითმფრინავები.

2. **საოცნებო მოგზაურობა -** ვკითხოთ ბავშვებს, თუ სად სურთ მოგზაურობა და ვთხოვოთ დასახელებული ადგილების დახატვა ფანტაზიით. მივცეთ საშუალება ბავშვებს, რომ გაუზიარონ მეწყვილეებს ნამუშევრები.

3. **პასპორტისა და თვითმფრინავის ბილეთების დამზადება -** ავუხსნათ ბავშვებს, რომ მათ გაფრენისთვის აუცილებლად დასჭირდებათ პასპორტი და თვითმფრინავის ბილეთი. ვუჩვენოთ მათი ნიმუშები. ვუთხრათ, რომ პასპორტში უნდა იყოს მათი ფოტო (შეუძლიათ დახატონ საკუთარი თავი), უნდა ეწეროს სახელი და გვარი, ასევე ქალაქი და ქვეყანა, სადაც ცხოვრობენ. შეგვიძლია წინასწარ გავამზადოთ ქალაქის/დაბის და ქვეყნის სახელწოდებები, რათა ბავშვებმა ისინი, უბრალოდ, ჩააწებონ "პასპორტში", ან გავუმზადოთ შაბლონი წერტილებით, რომელსაც ბავშვები ფლომასტერს შემოატარებენ. წინასწარ გავუმზადოთ ცარიელი ქაღალდები ბილეთებისთვის. ვაჩვენოთ ადგილები, რომლებიც შეიძლება ჰგავდეს მათი ოცნების ადგილს (შეგვიძლია გლობუსის გამოყენებაც).

4. **იძირება- არ იძირება** - ბავშვებს ვთავაზობთ წყლით სავსე ჯამს და სხვადასხვა ნივთს. ვუხსნით, რომ ახლა ჩვენ დავადგენთ, რომელი ნივთი ჩაიძირება, რომელი - არა (დაიწყებს ტივტივს. ნივთები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: კორპის საცობი, პლასტმასის სათამაშო, რკინის კოვზი, სარჭი, ბოთლის თავსახური, რეზინის ბურთი და ა.შ. სანამ ნივთებს ჩავუშვებთ წყალში, ვკითხოთ ბავშვებს: ჩაიძირება თუ არა ეს ნივთი? რატომ ფიქრობ ასე? მოვახდინოთ დემონსტრირება. შევეცადოთ, რომ ბავშვებმა ჩამოაყალიბონ შემდეგი: რაც მძიმეა, იძირება, რაც მსუბუქია, არ იძირება. ჩავდოთ წყალში ბურთი და შევეცადოთ მის ჩაძირვას. ბურთს ხელს როგორც კი გავუშვებთ, ის წყლიდან მაშინვე ამოხტება, ე.ი წყალს შეუძლია ნივთების ამოგდება. ასევეა ნავიც, ამიტომაც ის არ იძირება.

5. გააფერადე გემი: ნიმუში - ვთავაზობთ ბავშვებს გასაფერადებელს, რომელზედაც ციფრი შეეფერება ფერს. ბავშვებმა გემი ინსტრუქციის მიხედვით უნდა გააფერადონ.

(იხ. ილუსტრაცია # 29)



6. საოცნებო ტრანსპორტი' - ვეკითხებით ბავშვებს, თუ რომელი ტრანსპორტით ურჩევნიათ მგზავრობა. ბავშვები ხატავენ თავისუფლად მათთვის სასურველ ტრანსპორტს.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

ოთახში ვავლებთ ხაზს (მოვნიშნავთ საზღვარს). ვეუბნებით ბავშვებს, რომ ჩვენ ახლა უნდა შევქმნათ ნებისმიერი ფორმისა თუ ზომის თვითმფრინავები და ვისროლოთ რაც შეიძლება შორს. გამარჯვებული იქნება ის, ვისი ,,საფრენი აპარატიც'' ყველაზე შორს გაფრინდება. შეგვიძლია გადავთვალოთ, თუ რამდენ ნაბიჯზე გაფრინდება თვითმფრინავი. შედეგების აღსანიშნავად შეგვიძლია გამოვიყენოთ ცხრილი ან გამოვფინოთ პლაკატი. მათზე ბავშვები თავად ჩაინიშნავენ ნაბიჯების რაოდენობას.

სოფო	აკაკი	ლუკა	კოტე	ანა
// /// 5	// 2	////// 6	/// 3	////4

1. გაიმეორე ჩემი მოძრაობა - ჯგუფი დგება წრეში. შეგვიძლია თამაში ჩვენ დავიწყოთ. ვამბობთ ჩვენს სახელს და ვასრულებთ გარკვეულ მოძრაობას. ამის შემდეგ ჩვენ გვერდით მდგომი ბავშვი ამბობს ჩვენს სახელს და იმეორებს ჩვენ მიერ შესრულებულ მოძრაობას; შემდეგ ამბობს თავის სახელს და ამატებს თავის მოძრაობას. თამაშს აგრძელებს მის გვერდით მდგომი ბავშვი და ა.შ. ასე გრძელდება მანამდე, სანამ თითოეული ჯგუფის წევრი არ იტყვის სახელს და შეასრულებს მოძრაობას. ყოველ მეოთხე ბავშვზე მთელი ჯგუფი ერთად იმეორებს სახელებს და ასრულებს მოძრაობებს.

2. განალაგე ჩემნაირად - წინასწარ გავუმზადოთ ბავშვებს ბარათები, რომლებიც 9 უჯრისგან შედგება, ასევე პატარა ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტი იქნება გამოსახული (იხ. ილუსტრაცია #30). ბარათების დამზადება და დაჭრა თავადაც შეგვიძლია.

ცხრილი

ბარათის ნიმუში.

მიმდინარეობა: თამაშში მონაწილეობენ წყვილები. ერთი ბავშვი უჯრაზე აწყობს 3 ბარათს. მისმა მეწყვილემ უნდა დაიმახსოვროს ეს ბარათები. ამის შემდეგ პირველი მოთამაშე ფურცელს დააფარებს მათ. მეორე მოთამაშემ უნდა შეარჩიოს იგივე ნახატები და განათავსოს თავისი ბარათები იმავე ადგილზე. ამის შემდეგ შევამოწმებთ შედეგებს. დამკვირვებლები ჩაინიშნავენ, თუ რამდენი ბარათი აღადგინა სწორად მეწყვილემ. მეორე რაუნდში როლები იცვლება: ნახატებს განალაგებს ის მოთამაშე, რომლის მიზანიც წინა რაუნდში იყო დამახსოვრება, მისმა მეწყვილემ კი უნდა გაიმეოროს ისინი. ბავშვების სურვილისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, შეგვიძლია შევამციროთ ან გავზარდოთ ბარათებისა და ცხრილის უჯრების რაოდენობა.

3. საჭირო ნივთები მგზავრობისათვის - დავყოთ ბავშვები წყვილებად, დავურიგოთ მათ ბარათები ნივთების გამოსახულებით. ვთხოვოთ ბავშვებს, აარჩიონ მათგან 5 განსაკუთრებით საჭირო ნივთი. შემდეგ კი ვთხოვოთ, დააწყონ ისინი გარკვეული თანამიმდევრობით, დაწყებული ყველაზე სასარგებლოდან ვიდრე ნაკლებ სასარგებლომდე. ვთხოვოთ საკუთარი მოსაზრებების გაზიარება (იხ. ილუსტრაცია #31)

4. განასახიერე პანტომიმით - ჩავყაროთ სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის გამოსახულებები პატარა ტომარაში. ბავშვები იღებენ მათ და ახასიათებენ. შეუძლიათ ახსნან პანტომიმითაც.

5. დაიმახსოვრე შენი ადგილი - ბავშვები ოთახში თავისუფლად განლაგდებიან. აღმზრდელის ნიშანზე ყველა ბავშვი იწყებს წრეზე სიარულს. მეორე ნიშანზე ყველა ბავშვმა უნდა დაიკავოს თავისი თავდაპირველი ადგილი. შეიძლება თამაშში გამარჯვებულიც გვყავდეს. მაგ., ის ბავშვი, რომელსაც ერთხელაც არ შეშლია.

6. გველეშაპი - მიმდინარეობა: ჯგუფის წევრები დგანან ერთმანეთის უკან. პირველი წევრი არის გველეშაპის თავი, ბოლო წევრი - მისი კუდი. დანარჩენი წევრები შეადგენენ ,,გველეშაპის'' სხეულს. ვუთხრათ ბავშვებს, რომ გველეშაპს კუდი ექავება და უნდა, რომ კუდზე იკბინოს - წინ მდგომი მოთამაშე იჭერს უკანასკნელ წევრს ისე, რომ არ დაირღვეს "გველეშაპის სხეულის" მთლიანობა (ბავშვები არ უნდა გამოვარდნენ მწკრივიდან).

7. ზღაპრული რბოლა - თამაშის მსვლელობისას ყველა ბავშვი მორიგეობით გარდაისახება ნაცნობი ზღაპრის გმირად - ადამიანად, ზღაპრულ არსებად, ცხოველად და ა.შ. რბოლის მარშრუტის განსაზღვრისთვის უნდა დაიდგას ორი სკამი ერთმანეთისგან 2-3 მეტრის დაშორებით. წამყვანი, რომელიც ბავშვების მწკრივს ჩაუდგება სათავეში, წავა ერთი სკამიდან მეორისკენ, შემოუვლის მას და ისევ პირველი სკამისკენ გაემართება. ბავშვები მოძრაობენ არა პირდაპირ, არამედ ,,რვიანების'' სახით, მიხვეულ-მოხვეულად, რათა გვერდი აუარონ ორივე სკამს. თავდაპირველად ყველა მონაწილე ჩვეულებრივი ნაბიჯებით დადის. საჭიროა ყურადღებით ყოფნა და აღმზრდელის ბრძანების მოსმენა, რადგან ჩვენი მითითებების შესაბამისად, მოთამაშეებმა უნდა წარმოიდგინონ თავი იმ გმირად, რომლის სახელსაც დავასახელებთ. მითითების მოსმენის შემდეგ ბავშვებმა უნდა გააგრძელონ მოძრაობა ,,გმირის როლში'' - ისე, როგორც გმირი ივლიდა. რეკომენდაცია: ჩვენ, როგორც წამყვანებს, შეგვიძლია არა მხოლოდ ბრძანებების გაცემა, არამედ ბავშვებისთვის იმის დემონსტრირებაც, თუ როგორ უნდა იმოძრაონ ამ თუ იმ გმირის როლში.

წამყვანის ბრძანებები	მოძრაობა
თოჯინების თეატრში დააბიჯებს ბურატინო.	ხელები მოხრილია იდაყვებში, თითები მუჭშია მოქცეული, სიარული თანაბარი ნაბიჯებით.
ტყეში მიაბიჯებს დათვი ბაჯბაჯა	თავი დაწეულია, ხელები - მომრგვალებული; ფეხის ტერფები შეწეულია შიდა მხარეს, სიარული ბაჯბაჯით.
მოფრინავენ ბატები/ გედები	მსუბუქი სირბილი ფეხის წვერებზე, ხელები გაშლილია, კისერი წინ არის გამოწეული, სიარული ხელების ნარნარად ქნევით.
დააბიჯებენ გოლიათები	ფართო ნაბიჯებით სიარული ფეხის წვერებზე, ხელების ფართოდ ქნევით.
დახტის ბაყაყი ყიყინა	ხელის თითები გაშლილია, სიარული წინ ხტუნვა-ხტუნვით ან სხეულის მობრუნებით მარჯვნივ ან მარცხნივ.

8. არის, კაპიტანო! - ვუთხრათ მონაწილეებს, რომ წინ საინტერესო მოგზაურობა გველის - ვიმოგზაურებთ შავ, თეთრ, ცისფერ, წითელ, მწვანე, იასამნისფერ ზღვებში. ასეთი საპასუხისმგებლო მოგზაურობისთვის აუცილებელია, რომ შეიკრიბოს ძალიან კარგი გუნდი. ვეუბნებით, რომ ახლა უნდა შევამოწმოთ, რამდენად სწრაფად და ხარისხიანად შეგვიძლია კაპიტნის ბრძანებების შესრულება, რადგან სწორედ ამის მიხედვით შევარჩევთ გუნდის წევრებს. თანაც დავუმატოთ, რომ ბრძანებები შესაბამისი მოძრაობებით უნდა შესრულდეს.

ბრძანებები:

- **სწორდი!** - ამ განკარგულებების გაცემისას მონაწილეები სწორ მწკრივში უნდა დადგნენ ერთმანეთის უკან.
- **გავრეცხოთ გემბანი!** - მონაწილეებმა გულმოდგინედ უნდა დაიწყონ გემბანის რეცხვის განსახიერება.
- **მარცხენა ფლანგი** - მონაწილეები მარცხენა კედლისკენ უნდა გაიქცნენ სწრაფად.
- **მარჯვენა ფლანგი!** - მონაწილეები მარჯვენა მხარეს მირბიან.
- **ქარიშხალი!** - მონაწილეები ისეთ მოძრაობებს ასრულებენ, თითქოს აქეთ-იქით ირხევიან.
- **ადამიანი წყალში!** - მონაწილეები წყალში მყოფი ადამიანის გადარჩენის იმიტირებას ახდენენ - ვითომ მისკენ მიცურავენ და გემბანზე ამოჰყავთ.
- **პატრული!** - მონაწილები ყურადღებით აკვირდებიან გარშემო სივრცეს "ჭოგრიტით".

მნიშვნელოვანია, რომ კაპიტანმა განსხვავებული ტიპის ბრძანებებიც მოიფიქროს და სხვა მონაწილეებიც წააქეზოს ამისთვის, ვინაიდან კაპიტნის როლში ყოფნა სხვა მონაწილეებსაც მოუწევთ.

9. მარჯვენა-მარცხენა - დავყოთ ჯგუფი პირველ-მეორეზე გადათვლით პირობითად - "ბაჭიებად" და "დათუნიებად".

ბავშვები დგანან მწკრივად, ერთმანეთის ზურგს უკან. ვაძლევთ შემდეგ სიგნალებს: "მარჯვნივ თაფლია, მარცხნივ-სტაფილო!". ამის მოსმენისთანავე ,,დათვები'' მარჯვნისკენ გარბიან ძუნძულით, "ბაჭიები" კი მარცხნისკენ გაემართებიან სკუპ-სკუპით. იმავე პრინციპით შეგვიძლია ბავშვები დავყოთ სხვა ჯგუფებად, მაგ., "ბაყაყებად" და "წეროებად" და მივცეთ შემდეგი მითითება: "მარჯვნივ თევზია, მარცხნივ -ბუზი!" მითითების მოსმენის შემდეგ "ბაყაყები" მიემართებიან მარცხნისაკენ (ჩაცუცქდებიან, ხელებს დაიდებენ მუხლებზე, გადაადგილდებიან ხტუნვით), "წეროები" - მარჯვნისკენ (ხელები წინ აქვთ გაწეული ნისკარტივით, მუხლს შეძლებიდაგვარად მაღლა წევენ და ისე მიაბიჯებენ).

10. მივდივართ სამოგზაუროდ - თამაშში მონაწილეობს ყველა ბავშვი, მაგრამ 6 მათგანი განასახიერებს ცალკეულ ობიექტებს: გვირაბს, ქანდაკებასა და შადრევანს. ორ ბავშვს ხელი აქვთ ერთმანეთზე ჩაკიდებული, ისინი გვირაბს განასახიერებენ. "გვირაბში" გავლისას ბავშვებმა თავი უნდა დახარონ. შუაში დგას "ქანდაკება", რომელსაც ბავშვებმა უნდა შემოუარონ; ორი ბავშვი შადრევანია, რომელ-

საც სურათი უნდა გადაუღონ. ბავშვები ერთმანეთის უკან დგებიან. ჩვენ ვაძლევთ მიმართულებებს: მივდივართ პირდაპირ. ვუხვევთ მარჯვნივ, შევდივართ გვირაბში, თავები დავხაროთ ყველამ, ვუხვევთ მარცხნივ, სურათებს ვუღებთ შადრევანს.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **დაასრულეთ ნახატი** - ვთავაზობთ ბავშვებს შაბლონებს რომბების გამოსახულებით. ვთხოვთ, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რას შეიძლება ჰგავდეს რომბი - მიმოიხედონ ოთახში, გაიხსენონ სახლში არსებული სხვადასხვა ნივთი და დახატონ. შეგვიძლია სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული გეომეტრიული ფიგურები მივცეთ (მაგ., წრეები, მართკუთხედები, კვადრატები). ვთხოვოთ გაიხსენონ, თუ რა ნივთი/საგანი შეიძლება იყოს ამავე ფორმის. შეგვიძლია საქმიანობას შეჯიბრის სახეც მივცეთ და ვნახოთ, რომელ ჯგუფს მოუვიდა ყველაზე ბევრი იდეა? რომელი იდეაა ყველაზე საინტერესო? უცნაური?

2. **გააფერადე ჩემნაირი თვითმფრინავი -** დავურიგოთ ბავშვებს გასაფერადებლები. ვუთხრათ, რომ ჩვენ გვაინტერესებს, შეუძლიათ თუ არა მათ ერთმანეთთან მოლაპარაკება და შეთანხმება. სასურველია, რომ მათ ერთნაირად გააფერადონ თვითმფრინავები. ამისთვის ჯერ უნდა შეთანხმდნენ ფერზე. ბოლოს შეგვიძლია გამოვაკრათ მათი ნამუშევრები და დავუსვათ შეკითხვები: საინტერესო იყო დავალება? როგორ მოილაპარაკეს?

(იხ. ილუსტრაცია # 32)



3. **სიტყვების დომინო**

ბავშვებს დავურიგოთ ბარათები ნახატებითა და სიტყვებით, რომლებიც თემაზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ. მაგ., თვითმფრინავი, ფრანი, ვერტმფრენი, ჩიტი, ფრთები , რომბი და ა.შ. დავტოვოთ სანიმუშოდ კედელზე.

ამის შემდეგ დავურიგოთ სიტყვები ბავშვებს, ვუჩვენოთ დაფაზე ნახატი და სიტყვა; ვთხოვოთ ბავშვს, რომელსაც აქვს ეს სიტყვა, დააამაგროს დაფაზე. პროცესის უფრო თვალსაჩინოდ აღსაქმელად შეგვიძლია ვნახოთ ფილმი ,,სიტყვების და ნახატების დაწყვილება'' (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. https://www.youtube.com/watch?v=D1HKBKt2-l0). აუცილებელი არ არის, ბავშვმა ამოიკითხოს სიტყვა. მთავარია, სიტყვის მთლიანობითი ხატი დაამთხვიოს დაფაზე მოცემული ნახატისა და სიტყვის ხატს.

4. **იდუმალი ყუთი -** ბავშვებს ვთავაზობთ ყუთს/ ჩემოდანს, რომელშიც სხვადასხვა საგანია მოთავსებული. გამოვიხმობთ ერთ ბავშვს. ესაა წამყვანი, რომელიც ყუთიდან/ჩემოდნიდან იღებს რაიმე საგანს (ისე, რომ სხვებს არ უჩვენებს) და აღწერს მის ფერს, მასალას (რისგანაც არის დამზადებული) და დანიშნულებას. მომდევნო ბავშვი მხოლოდ პანტომიმით ასახიერებს ამ ყოველივეს. თუ ჯგუფი ძალიან იყოჩაღებს, შეიძლება წესი შევცვალოთ: წამყვანი საგანს არ აღწერს, მას საგნის ამოსაცნობად შეკითხვებს უსვამს ჯგუფი. ჯგუფის შეკითხვები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ წამყვანმა უპასუხოს მხოლოდ: "კი", "არა", "არ ვიცი". ჯგუფს ამ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს 7 კითხვის დასმისა და სამი ვერსიის დასახელების უფლება.

5. **ვაგონების თანამიმდევრობა** - დავყოთ მონაწილეები 4-5 კაციან ჯგუფებად. დავურიგოთ ვაგონები, რომლებზედაც გამოსახულია გარკვეული რაოდენობის წერტილები. ბავშვებმა ისინი თანამიმდევრობით უნდა დაალაგონ. თუ ვიცით, რომ ბავშვებს შეუძლიათ მიმატება ან გამოკლება, შევთავაზოთ მათ ქვემოთ მოცემული ილუსტრაციის მსგავსი გამოსახულება. ამ შემთხვევაში ბავშვებს ჯერ მოუწევთ გამოთვლა და შემდგომ თანამიმდევრობით დალაგება.



როლური თამაშები

1. ტურისტული სააგენტო

ვუჩვენოთ ბავშვებს სხვადასხვა ადგილის ფოტოები. მაგ., ჯუნგლები, უდაბნო, ტყე, ზღვა და ა.შ. შევთავაზოთ თამაში, რომლის დროსაც ბავშვების ნაწილი იქნება ტურისტული სააგენტოს თანამშრომელი, ნაწილი - მოგზაური. ვთხოვოთ მათ, რომ გაითამაშონ სცენები. მაგ., "სააგენტოს თანამშრომლები" უჩვენებენ "მოგზაურებს" სხვადასხვა ადგილის ფოტოებს, რათა მათ აირჩიონ, სად სურთ გამგზავრება, შემდეგ კი მსჯელობენ იმაზე, თუ რა უნდა წაიღონ სამოგზაუროდ კონკრეტულ ადგილზე.

2. **მატარებლით მგზავრობა -** წინასწარ დავამზადოთ მატარებლის ბილეთები, დავნომროთ თითოეული მათგანი. ვთხოვოთ მონაწილეებს, გაემზადონ წასასვლელად და კიდევ ერთხელ გასინჯონ ჩემოდნები (რაიმე ხომ არ რჩებათ?). მატარებლის გამცილებელს ვთხოვოთ, რომ შეამოწმოს ბილეთები.

წიგნის დრო

გავიცნოთ პირველი ფრინველი

სანამ ბავშვებთან საუბარს დავიწყებდეთ, ვთავაზობთ თამაშს ,,დაფრინავს / არ დაფრინავს'': ვასახელებთ ცხოველებსა და სხეულებს, რომელთაც შეუძლიათ ან არ შეუძლიათ ფრენა; ვეკითხებით ბავშვებს, რით განსხვავდება ის, რაც დაფრინავს, მათგან, რაც არ დაფრინავს? ამის შემდეგ ვუყვებით მათ, რომ ძალიან დიდი ხნის წინათ არსებობდა პირველი ფრინველი - ,,არქეოპტერიქსი''

(ვიკითხავთ, ხომ არ სმენია ვინმეს მის შესახებ). მოვუყვეთ, რომ მას თურმე ჰქონდა ფრთები, ხვლიკის მსგავსი კუდი და ბუმბულები, მაგრამ არ ჰქონდა იმგვარი ნისკარტი, როგორიც აქვთ ჩვენთვის ნაცნობ ფრინველებს. არქეოპტერიქსის თავი თურმე ნიანგისას ჰგავდა, მას ჰქონდა გრძელი კბილები, ფეხებზე კი - გრძელი ბრჭყალები, რომლითაც მოხერხებულად ადიოდა ხეებსა და კლდეებზე. ფრთებს არქეოპტერიქსი იშვიათად იყენებდა - მხოლოდ მაშინ, როდესაც საშიშროებას იგრძნობდა.

შენიშვნა აღზრდელებისთვის: აქ შეგვიძლია ბავშვებს ვთხოვოთ არქეოპტერიქსის დახატვა ჩვენი აღწერის საფუძველზე.

ადამიანები ყოველთვის შენატროდნენ ფრინველებს, მათაც უნდოდათ ფრენა. როგორ ფიქრობთ, რატომ? (ვისმენთ ბავშვების მოსაზრებებს). თურმე ადამიანებმა ძალიან დიდი ხნის წინათ გამოიგონეს საჰაერო გველი და პლანერები (შევახსენებთ, თუ როგორ გააკეთეს მათ საჰაერო გველი).

პროექტები

სანამ პროექტზე მუშაობას დავიწყებდეთ, გავესაუბროთ ბავშვებს. ვკითხოთ: რატომ ხდება, რომ ნებისმიერი ნივთი, რომელსაც ხელს გავუშვებთ, ვარდება, თვითმფრინავი კი არა? ვარდება თუ არა ფურცელი, კალამი? (თან ვუჩვენოთ); ჩიტი რატომ არ ვარდება? იმიტომ, რომ მას ფრთები აქვს? (მართალია, თანაც ის ძალიან ძლიერად არხევს ფრთებს). თვითმფრინავი ფრთებს არ არხევს, მაგრამ მას აქვს ძლიერი ძრავა, რომელიც მას აძლევს ფრენის საშუალებას. ძველ დროში იყო ერთი მხატვარი, ლეონარდო და ვინჩი. მას ძალიან აინტერესებდა, თუ როგორ დაფრინავდნენ ჩიტები და იხატავდა მათ ფრთებს. სწორედ ამ მხატვარმა მოიფიქრა პირველი ვერტმფრენი. ვუჩვენებთ ბავშვებს ვერტმფრენის ჩანახატს და ვეკითხებით: რით ჰგავს და რით განსხვავდება ჩანახატი რეალური ვერტმფრენისგან?



ამის შემდეგ ბავშვებს ვუჩვენებთ სხვადასხვა სახის მასალებსა და ნიმუშებს; ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ,,საფრენ აპარატებს'' აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფრთები, პროპელერი და კუდი.

1. პროექტი: საფრენი აპარატის დამზადება - შეგვიძლია ბავშვებს შევთავაზოთ პლასტმასის ბოთლები, მუყაოს ქაღალდები, სარჭები და ვუთხრათ, რომ თვითმფრინავს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფრთები, კუდი ან პროპელერი. შეგვიძლია ვუჩვენოთ ნიმუშებიც (იხ. ქვემოთ).

თვითმფრინავის დამზადება სარეცხის სარჭისა და ჯოხებისგან

პლასტმასის ბოთლისა და მუყაოსგან

პლასტმასის კოვზებისა და ქაღალდებისაგან

პროექტი 2: სამგზავრო ჩემოდანი - გავესაუბროთ ბავშვებს, ვუთხრათ, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ბილეთი და პასპორტი. ვკითხოთ: კიდევ რა გვჭირდება იმისთვის, რომ სადმე გავემგზავროთ? - მართალი ხართ, ჩემოდანი! მოდით, დავამზადოთ. ამისთვის ბავშვებს დავურიგოთ ფორმატის ზომის მუყაოები და დავეხმაროთ სახელურების გაკეთებაში. ამის შემდეგ ვიკითხავთ: როგორ ფიქრობთ, რა უნდა წავიღოთ სამოგზაუროდ? მივცეთ ბავშვებს პატარა ბარათები, რომლებზედაც მათ უნდა დახატონ, რის წაღებასაც აპირებენ აუცილებლად. მომზადებული ნახატები ბავშვებს შეუძლიათ "ჩემოდანზე" დააკრან, *ან:* ჩვენ თავად შევთავაზებთ ბავშვებს სხვადასხვა ნივთის სურათებს, ისინი კი შეარჩევენ და დააკრავენ "ჩემოდანზე". აღნიშნული პროექტი შეიძლება რამდენიმე ბავშვმა განახორციელოს ერთად.

სასურველია, ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა მიგვაქვს - რა სახის სამოსი, თავის მოვლის რომელი საშუალება; რატომ ვთლით, რომ ის აუცილებლად დაგვჭირდება და ა.შ.

პროექტი 3: გემის დამზადება

ბავშვებს გავუმახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ კორპის საცობები წყალში არ ჩაიძირა და შევთავაზებთ, რომ გემის დასამზადებლად სწორედ ისინი გამოვიყენოთ. შემდეგ შევთავაზებთ ნიმუშებსა და მასალებს: საცობებს, ფერად ფურცლებს, კბილის ჩხირებს და ა.შ. ვუჩვენებთ, თუ როგორ არის შესაძლებელი რამდენიმე კორპის საცობის დამაგრება ერთმანეთთან თოკით; ვეხმარებით პატარა ჯოხის, ანძის, შუაში ჩამაგრებაში, ასევე იალქნის გამოჭრაში.

შენიშვნა: გემების დასამზადებლად შეგვიძლია უფრო მარტივი მასალების, მაგ., ბოთლის თავსახურების, ფანერის და ა.შ. შეთავაზებაც.

(იხ. ნიმუში).

პროექტი 4: მატარებლის დამზადება

წინასწარ მოვიმარაგოთ ყუთები, დავეხმაროთ ბავშვებს კარ-ფანჯრის დახატვაში. წებოვანი ლენტით დავამზადოთ მათთან ერთად რელსები და შუქნიშანი; გარშემო სივრცე გავაფორმოთ სახლებით და ა.შ. შეგვიძლია გამოვიყენოთ ასევე კვერცხის ყუთები, დაგრაგნილი ქაღალდები ან ცარიელი ბოთლები პატარა ვაგონების შესაქმნელად.



პროექტი 5: მატარებლის დამზადება

წინასწარ მოვამზადოთ მატარებლის შაბლონები კვირის დღეების აღმნიშვნელი წარწერებით. შევქმნათ 7-კაციანი ჯგუფები. ვთხოვოთ ბავშვებს, გაიხსენონ, თუ რა გავაკეთეთ ორშაბათს, სამშაბათს; ვკითხოთ, რის გაკეთებას აპირებენ შაბათს ან კვირას. ბავშვები აფორმებენ მატარებლის ვაგონებს საკუთარ მეხსიერებასა თუ ფანტაზიაზე დაყრდნობით. დავეხმაროთ ბავშვებს, რომ ვაგონები სწორი თანამიმდევრობით განალაგონ. მათთან ერთად მიმოვიხილოთ განვლილი კვირა.

რეკომენდაციები მუსიკის/ცეკვის/რიტმიკისათვის

1. **„მინდა გითხრა: ა ე ო უ ი!"** - მონაწილეები წრიულად დგანან. ვთხოვთ მოხალისეს, რომ გამოვიდეს წრის შუაგულში. მან რაიმე გრძნობა, ემოცია ან იდეა მხოლოდ ერთი ასოთი უნდა გამოხატოს. ეს შესაძლებელია იყოს ხუთი ხმოვნიდან ერთ-ერთი ასო. მაგალითად, სიხარული „ა" ბგერით ან გაკვირვება „ო" ბგერით. წარმოთქმულ ბგერაში გამოხატული უნდა იყოს გრძნობა, ემოცია ან იდეა - ინტონაციით, თანმხლები ჟესტით და/ან პანტომიმით. შემდეგ ეს მთელმა გუნდმა სამჯერ უნდა გაიმეოროს ყველა დეტალის შენარჩუნებით. სავარჯიშო გრძელდება მანამდე, სანამ თითოეული მონაწილე არ გამოხატავს თავის ემოციებსა და გრძნობებს ამ პრინციპით. შესაძლებელია სავარჯიშო სხვა გზითაც განვითარდეს - მონაწილეები ხმოვნის ნაცვლად ამბობენ სიტყვას, რომელიც ემოციის, გრძნობის ან იდეის გამომხატველია.

2. **მოძრავი თამაში მუსიკის თანხლებით: გავაცილოთ მგზავრები**

მუსიკის ფონზე ბავშვებს ვაძლევთ სხვადასხვა მითითებას: დავდივართ ისე, ვითომ ძალიან მიგვეჩქარება; ვითომ გაგვახსენდა, რომ რაღაც დაგვრჩა; ისევ გავრბივართ და წამოვიდა წვიმა! როგორც იქნა, მივედით და ამოვისუნთქეთ; დავუქნიეთ ხელი მგზავრებს, ვესროლეთ მათ ყვავილები; დავუქნიეთ ხელი! (შეგვიძლია შევთავაზოთ მოძრაობის ჩვენეული ვერსიებიც).

25-ე კვირა

თემა: ახალი ამბები (I კვირა)

თემა ორი კვირის განმავლობაში გრძელდება. იგი საშუალებას აძლევს ბავშვებს გაეცნონ, თუ სად ან როგორ იქმნება და ვრცელდება ახალი ამბები (გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია).

თემაზე მუშაობისას ბავშვებს საშუალება ექნებათ, გამოსცენ ჟურნალი თავდაპირველად საკუთარი თავისა და ინტერესების შესახებ, შემდეგ ბუნებისა და ბუნებრივი კატასტროფების, ასევე მათთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების შესახებ; მოამზადონ „გადაცემა"- „ჩვენ დღეს ეთერში გავდივართ", რომელშიც ისაუბრებენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებზე, მაგ., ადამიანებზე, რომლებიც ჩვენს უსაფრთხოებას იცავენ (ჯარისკაცი, პოლიციელი, მეხანძრე), ადამიანებზე, რომლებიც ჩვენს ჯამრთელობაზე ზრუნავენ და ა.შ.

თემის ფარგლებში ბავშვები მოინახულებენ საბავშვო თეატრს და/ან გაეცნობიან მსახიობის პროფესიას. მიღებულ ინფორმაციას ისინი შეიტანენ თავიანთ ჟურნალში.

თემაზე მუშაობისას ბავშვებს მიეცემათ ასევე იმის საშუალება, რომ იმსჯელონ, დააკვირდნენ, იანგარიშონ, აღმოაჩინონ მსგავსებები და განსხვავებები ცალკეული საკითხების განხილვის დროს.

თემის ფარგლებში განხილული საკითხები და განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს ბავშვების ფიზიკურ განვითარებას, ასევე კრიტიკული, შემოქმედებითი და დამოუკიდებელი აზროვნების, თვითშეფასების, თვითმართვის, თვითგამოხატვისა და მეტყველების უნარების სრულყოფას.

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ინდივიდუალიზება	**ვსაუბრობთ თემაზე „ახალი ამბები“.**	**პროექტი: როგორ შევქმნათ ჟურნალი** - ვეცნობით ჟურნალებსა და გაზეთებს, მათ სტრუქტურას, გაფორმებას და ა.შ.	ლექსი „ტელევიზორი“ (ნ. დუმბაძე)	თამაში: „მხიარული მატარებელი“	,, მარტო და ერთად''	მოვასმენინოთ რამდენიმეჯერ საბავშვო ტელეგადაცემების ქუდები. მოგვიანებით გამოიცნონ, რომელი ქუდი რომელ გადაცემას ეკუთვნის.	რა გააკეთეთ დღეს ისეთი, რაც სხვა დროს არ გაგიკეთებიათ?
მასალები/ რესურსები		ქაღალდები ფანქრები/ფლომასტერები	წიგნი	თოკი	ძველი ჟურნალები, ყუთები	ჩანაწერი	
სამშაბათი ინდივიდუალიზება	**ვსაუბრობთ პროექტზე „ჟურნალი ჩემ შესახებ“**	**აქტივობა**: გააფერადე და დაითვალე **აქტივობა** : ჩრდილები **პროექტი**: ვქმნი ჟურნალს ჩემ შესახებ	,,მზე და ქარი'' კორნეი ჩუკოვსკის „მოპარული მზე“	თამაში ,,ქორობანა''	გაფუჭებული ტელეფონი; დაასრულე ნახატი. ,,ზღვის სანაპიროზე მე წავიღე...“	სიმღერა „მზემ პირი დაიბანა“-(”ივერიის” რეპერტუარიდან)	*რეფლექსია:* ყველაზე მეტად რა მომეწონა ამ თემაზე მუშაობის დროს?

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები		ფურცელი, ფანქრები, სურათი სხვადასხვა ამინდისათვის შესაფერისი ტანსაცმლით, სათამაშო მზის სათვალე, ქუდი, მარაო....	წიგნი		ფურცელი, ფანქრები, სათამაშო მზის სათვალე, ქუდი, მარაო, ქოლგა და ა.შ.	სიმღერის ჩანაწერი	
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	**საუბარი თემაზე: ბუნების მოვლენები.**	**აქტივობა:**, ჩემი წვეთი გაიმარჯვებს' **როლური თამაში**: "წვიმს'' **აქტივობა**: ზომები **აქტივობა:** შემოხაზე ბოტი **პროექტი:** ჟურნალი - ჩემი წვიმიანი დღე.		მოძრავი თამაში "წვიმა''	წესებიანი თამაში: „წვეთები" მემო	მოვასმენინოთ წვიმის ხმების ჩანაწერი და სიმღერა „ჟუჟუნა წვიმა"	*რეფლექსია* :რა იყო დღეს ყველაზე მეტად საინტერესო?
მასალები/ რესურსები		ფოლგა, წინასწარ გამოჭრილი სხვადასხვა ზომის წვეთები, ფერადი ფურცლები, მაკრატელი	წიგნი	ბურთი/ ბადე	ფანქრები, ფლომასტერები, ქვები/მძივები, ბარათები	სიმღერის ჩანაწერი	

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	**ვსაუბრობთ თემაზე ბუნების მოვლენები, მათთან დაკავშირებული რისკები და უსაფრთხოების წესები.**	**თამაში**: რა იწვევს ქარიშხალს? **როლური თამაში**: ქარიშხლის წინააღმდეგ **პროექტი:** „ჟურნალი“ - ვხატავთ ქარიან ამინდს. რა უნდა გავაკეთოთ, როდესაც ძლიერი ქარია?	”ჩემი პირველი კითხვებისა და პასუხების წიგნი” (პალიტრა ლ) გალაკტიონ ტაბიძის ლექსი ,,ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა”	,,ქარი უბერავს, ვისაც...”	აქტივობა: ,,ყურადღება, არაფერი გამოგრჩეს”	**თამაში:,,მხიარული მუსიკა”** ჩართეთ მხიარული მუსიკა. წაახალისეთ ბავშვები, გადაადგილდნენ ტორნადოს მსგავსად, წრეში მოძრაობებით.	რომელი აქტივობა იყო თქვენთვის ყველაზე სახალისო?
მასალები/ რესურსები	სურათები	ბოთლი, ბუშტი, სურათი	წიგნი		ფურცელი, ფანქრები/ფლომასტერები,	ჩანაწერი	
პარასკევი ინდივიდუალიზება	**საუბარი თემაზე: ბუნებრივი კატასტროფები - მიწისძვრა**	**აქტივობა:** რა შეიძლება ჩამოვარდეს და რა არა! **როლური თამაში**: რას ვაკეთებ მიწისძვრის დროს **პროექტი/ჟურნალი:** ,ბავშვები ხატავენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მიწისძვრის დროს.	წავუკითხოთ ამბავი ,,ფლო”	მოძრავი თამაში: „ბურთის გადაგდება წყვილებში“	,,აბლაბუდა” ,,კურდღელო, კურდღელო, გაიღვიძე”	მერი პოპინსი https://www.youtube.com/watch?v=i8S9hlVb9U0	ვკითხოთ, თუ გააკეთეს ისეთი რამ, რისი გაკეთების სურვილიც კიდევ აქვთ.
მასალები/ რესურსები		ფორმატის ფურცლები, მარკერები	წიგნი	ბურთი	ძაფის გორგალი	სიმღერის ჩანაწერი	

საქმიანობათა ინსტრუქციები

პირველი შეხვედრა წრეში

1. **ვსაუბრობთ თემაზე „ახალი ამბები“ -** ვთხოვოთ ბავშვებს გვითხრან, რა იციან იმის შესახებ, თუ სად ან როგორ იქმნება და ვრცელდება ახალი ამბები. როგორ იქმნება გაზეთები, ჟურნალები, როგორ მუშაობს რადიო, ტელევიზია და ა.შ. ვესაუბროთ შემდგომი ორი კვირის გეგმებზე/ პროექტებზე. ვუთხრათ, რომ მოვამზადებთ ჟურნალს სხვადასხვა თემაზე. ეს შეიძლება იყოს საკუთარი ჟურნალი ან ჟურნალი ბუნების მოვლენების შესახებ (მზიანი ამინდი, წვიმა, ქარიშხალი, მიწისძვრა, წყალდიდობა); აგრეთვე მოვამზადებთ გადაცემას - „ჩვენ დღეს ეთერში გავდივართ“. მასში ვისაუბრებთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებზე და ა.შ.

2. **საუბარი პროექტზე: ჟურნალი ჩემ შესახებ** - ვესაუბროთ ბავშვებს დღევანდელი დღის მიზანზე: თითოეულმა ბავშვმა უნდა მოამზადოს/ შექმნას ჟურნალი საკუთარ თავზე. გავიხსენოთ გუშინდელი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჟურნალი, როგორ უნდა გაფორმდეს და ა.შ. ვისაუბროთ, რას ელიან, როგორი იქნება მათი ჟურნალი, რას ჩაწერენ და ვის „წააკითხებენ“.

3. **საუბარი თემაზე: ბუნების მოვლენები -** ვსაუბრობთ ბუნებრივ მოვლენებზე. ვიხსენებთ, რა ვისწავლეთ თემა „ამინდის“ დროს. ვამახვილებთ ყურადღებას წვიმასა და წვიმიან ამინდზე - გავარკვიოთ, რა იციან წვიმის შესახებ. ვკითხოთ ბავშვებს, რაში გვეხმარება წვიმა (ყვავილებს ეხმარება გაზრდაში, ავსებს ტბებს და ა.შ.); ვისაუბროთ, რით შეიძლება ბავშვები გაერთონ წვიმიან დღეს. განვმარტოთ სიტყვები: თავსხმა წვიმა, ჟუჟუნა წვიმა, კოკისპირული წვიმა, დელგმა და ა.შ. წავახალისოთ ბავშვები, განასახიერონ მათი (სხვადასხვაგვარი წვიმის) ხმები. წავახალისოთ და დავეხმაროთ ბავშვებს, რათა მათ შეძლონ ამ თემაზე სიუჟეტის მოფიქრება ახალი ამბების რუბრიკისთვის.

4. **ვსაუბრობთ თემაზე ”ბუნების მოვლენები, მათთან დაკავშირებული საფრთხეები და უსაფრთხოების წესები” -** ვაგრძელებთ საუბარს ბუნებრივ მოვლენებზე. ვამახვილებთ ყურადღებას ქარზე, წვიმასა და ჭექა-ქუხილზე. ვკითხოთ: ხომ არ ახსოვთ, როდის უბერავდა ძლიერი ქარი? სად იყვნენ ამ დროს, გარეთ ხომ არ გაუხედავთ? რა ხდებოდა გარეთ? სასიამოვნოა თუ არა ამ დროს სეირნობა, ხომ არ არის სახიფათო? იციან თუ არა, რომ ქარიან ამინდში უნდა: სახლში დარჩნენ და ფანჯრისგან საკმაოდ შორს იყვნენ, მოძებნონ ისეთი ოთახი, სადაც არაა ბევრი ფანჯარა და იქ მოთავსდნენ და ა.შ. ვკითხოთ: როგორ უნდა მოვიქცეთ ძლიერი წვიმის დროს? ჭექა-ქუხილის დროს? ისაუბრეთ და გაარკვიეთ, იციან თუ არა უსაფრთხოების წესები, რომლებიც აუცილებლად უნდა დავიცვათ. დავეხმაროთ ბავშვებს, მოიფიქრონ სიუჟეტი ახალი ამბებისათვის ამ თემაზე. განსაკუთრებით გავამახვილოთ ყურადღება უსაფრთხოების წესებზე.

5. **საუბარი თემაზე ”ბუნებრივი კატასტროფები”: მიწისძვრა -** ვესაუბროთ ბუნებრივ კატასტროფებზე. სმენიათ თუ არა ქარიშხლის, მიწისძვრის, მეწყრის, წყალდიდობისა და ა.შ. შესახებ? თუ იციან უსაფრთხოების წესები, რომლებიც აუცილებლად უნდა დავიცვათ? ვესაუბრებით პროექტზე „ჟურნალი”. პროექტზე მუშაობისას დროს უნდა განვიხილოთ ბუნების მოვლენები და მათთან დაკავშირებუ-

ლი უსაფრთხოების წესები. განსაკუთრებულად გავამახვილებთ ყურადღებას მიწისძვრაზე. ვიხსენებთ, რა ვიცით მიწისძვრის შესახებ, ვაჯამებთ ინფორმაციას და ვთანხმდებით, რომ ჟურნალს მიწისძვრის დროს დასაცავ უსაფრთხოების წესებზე გამოვუშვებთ.

აქტივობები:

1. **გააფერადე და დაითვალე -** შევთავაზოთ ბავშვებს, ამოარჩიონ და სხვადასხვა ფერით გააფერადონ მზიანი და ცივი დღისათვის შესაფერისი სამოსი წინასწარ მომზადებულ სურათზე. დათვალონ და შეადარონ, რომელია უფრო მეტი.

   (იხ. ილუსტრაცია #33)



2. **ჩრდილები** - ვთხოვოთ ბავშვებს, მოძებნონ ჩრდილები. შეუძლიათ საკუთარი სხეულით ჩრდილების გაკეთება? სცადონ საკუთარი ჩრდილების დაგრძელება და დამოკლება. შეუძლიათ ასევე დაკავშირონ ჩრდილები და გამოსახულებები ერთმანეთთან.

   (იხ. ილუსტრაციები # 34, 35, 36).

3. **ჩემი წვეთი გაიმარჯვებს -** წავახალისოთ ბავშვები, დააწვეთონ წვეთი ფოლგაზე და ასწიონ ფურცელი, რათა წვეთები ძირს დაეშვას. რომელმა წვეთმა მოიგო? როგორ უნდა მოიქცნენ, რომ მოგების მეტი შანსი ჰქონდეთ? (დიდი წვეთები უფრო სწრაფად მიცურავს ქვემოთ).

4. **ზომები -** ლურჯი ფერის ფერადი ქაღალდიდან გამოვჭრათ სხვადასხვა ზომის წვეთები. წავახალისოთ ბავშვები, რომ წვეთები სიდიდის მიხედვით დააწყონ. ასევე შესაძლებელია ვთხოვოთ, დახატონ ნიჟარა და ჩახატონ მასში წვეთების გარკვეული (მითითებული) რაოდენობა.

5. **შემოხაზე ბოტი -** ბავშვებს ვთავაზობთ ილუსტრაციებს ბოტების გამოსახულებებით და ვაძლევთ სხვადასხვა ტიპის ინსტრუქციებს: შემოხაზე ორი წითელი ბოტი, რომლებსაც ცხვირი მარჯვნივ აქვთ მიბრუნებული; შემოხაზე ორი ცისფერი ბოტი, რომლებსაც ცხვირი მარცხნივ აქვთ მიბრუნებული; გადახაზე ბოტი ზედა მარჯვენა კუთხეში და ა.შ. (იხ. ილუსტრაცია #37).

6. **რა იწვევს ქარიშხალს? -** აქტივობამდე რამდენიმე საათით ადრე მოვათავსოთ პლასტმასის ბოთლი საყინულეში. გავბეროთ ბუშტი და გამოვუშვათ ჰაერი (ბუშტის გაწელვის მიზნით), გამოვიღოთ ბოთლი საყინულიდან და ბუშტი დავამაგროთ ბოთლის პირზე. დავდოთ ბოთლი ლამბაქზე, დავასხათ მასზე თბილი წყალი. ამის შედეგად თბილი და გრილი ჰაერის კომბინაცია გაბერავს ბუშტს.

7. ვუთხრათ ბავშვებს, რომ მიწისძვრის დროს თავის დასაცავად ჩვენ უნდა შევძვრეთ მაგიდის ქვეშ, დავიფაროთ თავი ან მოვეჭიდოთ მაგიდას. შემდეგ შევთავაზოთ: მოდით, ვნახოთ, ხომ არ დევს კარადის თავზე მძიმე საგნები? კარგად თუ არის დამაგრებული ნახატები? გვიდევს თუ არა მსხვრევადი ნივთები თაროზე? გვაქვს თუ არა მძიმე საგნები ბორბლებიან მაგიდაზე? გვაქვს თუ არა სარკეები, რომლებიც შეიძლება ადვილად ჩამოვარდეს? შეგვიძლია ბავშვებთან ერთად კიდევ ერთხელ დავათვალიეროთ ოთახი და ვნახოთ, რამდენად უსაფრთხოა ის.

8. **ქარიშხლის წინააღმდეგ** - ვესაუბროთ ბავშვებს უსაფრთხოების დაცვის წესებზე ქარიშხლის დროს; ვუთხრათ, რომ საჭიროა მივიდნენ უსაფრთხო ადგილას, სადაც არ არის ფანჯრები. აჩვენეთ ეს სურათი და სთხოვეთ, აღწერონ ის. მოგვიანებით გააფრთხილეთ, რომ ქარიშხლის საშიშროებაა და სთხოვეთ, რომ თითოეულმა მათგანმა გააკეთოს იგივე.



9. **რას ვაკეთებ მიწისძვრის დროს?** - იმ შემთხვევაში, თუ ვართ გარეთ, ვეძებთ გაშლილ ადგილს და ვჩერებით; იმ შემთხვევაში, თუ ვართ შენობაში, ვეძებთ „უსაფრთხო“ ადგილს, ვძვრებით მაგიდის ქვეშ, ვეჭიდებით მაგიდის ფეხს.

იხ. ბმული- **http://www.fema.gov/media-library-data/20130726-1452-20490-2572/fema-240.pdf**

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **მხიარული მატარებელი** - მოედანზე (იატაკზე) გაივლება სასტარტო ხაზი, რომლის ბოლოებში დაიდგმება თითო ალამი. სასტარტო ხაზთან, 3-4 მ-ის დაშორებით, რიგებად მოეწყობიან ორი გუნდის მოთამაშეები, 5-6 ბავშვის რაოდენობით. თითოეული გუნდის მოთამაშე (”მატარებლის ვაგონები”) მარჯვენა ხელს კიდებს თოკს. გუნდების წინ, 3-4 მ-ის დაშორებით, დაიდგმება თითო რკალი, ხოლო შემდეგ, მისგან 5-6 მ-ის ინტერვალით, მოთავსდება თითო ალამი. აღმზრდელის სათანადო ნიშანზე (სასტვენი, ტაში) გუნდების მოთამაშეები ჩაცუცქდებიან და „ბატის“ ნაბიჯით გაემართებიან რკალებისკენ, გაძვრებიან მათში, გაიმართებიან და გაიქცევიან ალმებისკენ; შემდეგ შემოუვლიან მას შიდა მხრიდან და გაიქცევიან სასტარტო ხაზისკენ. გუნდის ბოლო მოთამაშე ამ ხაზის გადაკვეთისას მარცხენა ხელით აიღებს და თავს ზემოთ ასწევს ალამს. გამარჯვებული ის გუნდი, რომელიც შეინარჩუნებს „მატარებლის“ მთლიანობას და უფრო ადრე ასწევს ალამს. ალამთან მობრუნების დროს “ვაგონები“ ახლოს უნდა იყვნენ ერთმანეთთან, რომ „მატარებელი“ არ გაწყდეს. თამაშის გართულების ვარიანტი: თოკზე მოკიდების ნაცვლად ბავშვები ხელებს ადებენ წინ მდგომს.

2. **ქორობანა -** დავდგათ სკამი ოთახის შუაგულში. ერთ-ერთი ბავშვი განასახიერებს ,,ქორს'', დანარჩენები არიან ”წიწილები”. წინასწარ დავხატოთ ბარათებზე მზე და მთვარე. მზის ნიშნის ჩვენებისას ,,ქორი” სკამზე იძინებს, სხვა ბავშვები, ”წიწილები”, მოძრაობენ. მთვარის ნიშნის ჩვენებისას კი ”ქორი” იღვიძებს და გადის ”წიწილებზე” სანადიროდ. ”წიწილებს” ”ქორისგან” თავის დახსნა იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ არ გაინძრევიან. იმ მონაწილეს, რომელიც გაინძრევა, ”ქორი” იჭერს და მიჰყავს თავის ”ბუდეში”. ეს მოთამაშე ერთ სვლას გამოტოვებს. ნიშანზე - ,,მზე'' ქორი კვლავ ბრუნდება თავის ადგილზე. ამის შემდეგ ჯგუფიდან ირჩევენ ახალ ,,ქორს''.

3. **წვიმა** - დავაყენოთ ბავშვები წრეზე და ვუთხრათ, რომ ჩვენ ახლა ”გავახმოვანებთ” წვიმას. ჯერ ვიწყებთ ,,წვეთების'' გახმოვანებას, ამისთვის ვდილობთ ცერის, საჩვენებელი თითისა და შუა თითის გატკაცუნებას; ”ძლიერი წვიმის” დროს - ხელებს ვიტყამთ ფეხებზე, ”ჭექა-ქუხილის” დროს კი ვაბრახუნებთ ფეხებს; ”ქარი” ამოვარდა - ხელისგულებს ვუსვამთ ერთმანეთს. ბოლოს ხელებს ვწევთ მაღლა და ვამბობთ, რომ მზე ამოვიდა. ვინაიდან ამ აქტივობის მიზანი განტვირთვაა, მის ხანგრძლივობასა და ხმაურის

ინტენსივობას თავად განვსაზღვრავთ, გამომდინარე ჯგუფის საჭიროებიდან.

4. **ქარი უბერავს მისთვის, ვინც/ვისაც... -** დავაწყოთ წრიულად სკამები, ჯგუფის წევრთა რაოდენობაზე ერთით ნაკლები. ერთ-ერთი მონაწილე ჯგუფის შუაგულშია მოქცეული. ის წარმოთქვამს ფრაზას: „ქარი უბერავს მისთვის, ვინც დღეს... ბაღში მოვიდა", ან ასახელებს თავის ერთ-ერთ ნიშან-თვისებას/მახასიათებელს, რომელიც სხვა ბავშვსაც გააჩნია. მაგ., "ვისაც უყვარს ნაყინი", "ვისაც ლურჯი მაისური აცვია", "ვინც დადის ცურვაზე" და ა.შ). ის ბავშვები, რომელთაც აქვთ საერთო ნიშან-თვისება თუ მახასიათებელი, ადგილებს გაუცვლიან ერთმანეთს. ფეხზე დარჩენილი მონაწილე გახდება წამყვანი და გააგრძელებს თამაშს.

5. **ბურთის გადაცემა წყვილებში -** მოთამაშეები იყოფიან ორ გუნდად და ეწყობიან ორ მწკრივად სახით ერთმანეთისკენ, გაშლილი მკლავების მანძილზე. გუნდის წამყვან მოთამაშეებს ხელში აქვთ ბურთი. ჩვენს ნიშანზე ისინი ბურთს აწვდიან პირისპირ მდგომ მოთამაშეს, რომელიც გადასცემს ბურთს გვერდზე მდგომს და ა.შ. როცა ბურთი მიაღწევს მწკრივში მდგომ უკანასკნელ წყვილამდე, მეწყვილეები დააბრუნებენ ბურთს იმავე წესით, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით. როცა ბურთი დაუბრუნდება წამყვან მოთამაშეს, იგი ბურთს თავზევით ასწევს. თუ მოთამაშემ შეცდომა დაუშვა, იგი საჯარიმო ქულას მიიღებს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც ადრე დაამთავრებს თამაშს და ნაკლებ შეცდომას დაუშვებს.

წესები:

ბურთის გადაცემა შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული წესით: იატაკიდან არეკვლით, ცალი ხელით მხრიდან, ორი ხელით მკერდიდან;

თუ მოთამაშეს ბურთი ხელიდან გაუვარდა, იგი აიღებს ბურთს, დაბრუნდება თავის ადგილზე და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძობს თამაშს;

გამარჯვებული გუნდის გამოვლენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ გუნდის მიერ დაგროვილი საჯარიმო ქულები;

არ შეიძლება მოთამაშის გამოტოვება.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **მარტო და ერთად** - დავურიგოთ ბავშვებს A3 ზომის ფურცელი, რომელიც 3 ნაწილად იქნება დაყოფილი. ჯგუფი დავყოთ წყვილებად. მივცეთ უფლება, რომ ფურცლის კიდეებში/აშიებზე დახატონ მათთვის სასურველი ნახატი, შუაში კი უნდა დახატონ მეწყვილესთან შეთანხმებული ნახატი. ვერც ერთი ვერ დახატავს ვერაფერს, სანამ არ მოილაპარაკებს მეწყვილესთან. აქტივობის დასასრულს შეგვიძლია ვკითხოთ ბავშვებს, რა უფრო მისაღები იყო მათთვის - ხატვა თავის ნაწილში, თუ საერთო ნაწილში. როგორ შეთანხმდნენ ერთმანეთთან?

2. **დაალაგე ჩემნაირად -** მოვამზადოთ ორი 12-უჯრიანი ცხრილი და პატარა ბარათების წყვილები. ბარათებზე შეგვიძლია დავხატოთ სხვადასხვა სიმბოლო, დავწეროთ სიტყვები ან ასოები. მიმდინარე-

ობა: თამაშში მონაწილეობს წყვილი. ერთ-ერთი მონაწილე თავის ცხრილზე დებს 3 ბარათს, მეწვილემ ისინი უნდა დაიმახსოვროს. ამის შემდეგ პირველი მოთამაშე ფურცელს აფარებს ბარათებს, მისმა მეწყვილემ კი მეხსიერებით უნდა გაიმეოროს. ამის შემდეგ მათი როლები იცვლება. ჩვენ ვადევნებთ თვალყურს თამაშის მსვლელობას, ვაკვირდებით, რამდენ ბარათს დაიმახსოვრებენ ბავშვები. თანდათან შეიძლება თამაშის გართულება დასამახსოვრებელი ბარათების რაოდენობის გაზრდით.

3. **გაფუჭებული ტელეფონი** - ბავშვებთან ერთად ვსხდებით წრეზე. ჩვენგან მარჯვნივ მჯდომ ბავშვს ვუჩურჩულებთ ფრაზას: ,,ყვითელფაფრიანი ლომი წითელი ქოლგის ქვეშ მოკალათებულიყო და ალუბლის ნაყინს მიირთმევდა''. ბავშვები ჩურჩულით გადასცემენ ერთმანეთს ჩვენს ნათქვამს. ბოლო ბავშვს ვთხოვთ წინადადების გამეორებას. თუ ინფორმაციამ სწორად მიაღწია, ბავშვებს ვაჯილდოვებთ; თუ შეიცვალა, ვიწყებთ იმის გარკვევას, თუ რომელმა მონაწილემ შეცვალა ინფორმაცია. ამის შემდეგ ჩვენ გვერდით მჯდომი ბავშვი ახალ წინადადებას გადასცემს ჯგუფს და ა.შ.

4. **დაასრულე ნახატი** - ბავშვებს ვურიგებთ წრეების გამოსახულებებს. მათ უნდა მიიხედ-მოიხედონ, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რომელ ნივთს აქვს წრის ფორმა და დაასრულონ ნახატები.

5. **ზღვის სანაპიროზე მე წავიღე -** ვსხდებით წრეზე, ვიწყებთ თამაშს და ვამბობთ: "ზღვის სანაპიროზე მე წავიღე.." (მაგ., ქოლგა). ჩვენგან მარჯვნივ მჯდომმა ბავშვმა უნდა გაიმეოროს ჩვენ მიერ ნათქვამი ფრაზა და დაამატოს თავისი სიტყვა. (შევეცადოთ, რომ ბავშვებმა ითამაშონ მცირე ჯგუფებში - ჯგუფში 7-9 ბავშვზე მეტი არ უნდა იყოს).

6. **წვეთები -** დავყოთ მონაწილეები 5-კაციან ჯგუფებად, დავურიგოთ ბარათები და ვთხოვოთ, რომ დახატონ სხვადასხვა რაოდენობის წვეთები (1-დან 10-ის ჩათვლით). დავდოთ მაგიდის შუაში ჭიქა ქვებითა და მძივებით. ერთ-ერთი ბავშვი დებს თავის ნახატს, მისგან მარჯვნივ მჯდომმა კი ნახატზე უნდა დადოს იმდენი ქვა, რამდენი წვეთიც არის დახატული (გადაითვალოს, თუ რამდენი წვეთი ან ქვა გვაქვს). შემდეგ ეს ბავშვი აბრუნებს თავის დახატულ წვეთებს და ასე გრძელდება მანამდე, სანამ ყველა ბავშვის ნახატზე არ დაიდება ქვები ან მძივები. დავუსვათ შემდეგი ტიპის შეკითხვები: "რომელ ბარათზეა ყველაზე მეტი წვეთი/ქვა? რომელ ბარათზეა ყველაზე ნაკლები? რამდენით ნაკლებია?".

7. **მემო** - შევთავაზოთ ბავშვებს წვიმის ამსახველი ნახატები (ყოველ ნახატს უნდა ჰქონდეს თავისი წყვილი) (იხ. ილუსტრაცია #38) და ვთხოვოთ მათი დამახსოვრება. შემდეგ გადავაბრუნოთ ნახატები ისე, რომ არ შევუცვალოთ ადგილი. ამის შემდეგ ერთი ბავშვი აბრუნებს ნახატს, ხოლო მისმა წყვილმა უნდა მოძებნოს ასეთივე ნახატი და გადმოაბრუნოს. თუ სწორად გამოიცნო, მას მიაქვს ორივე ბარათი.

8. **ყურადღება! არაფერი გამოგრჩეს** - მოვამზადოთ სურათი, რომელზედაც სამ რიგადაა დახატული ნაძვები, ბურთები და სოკოები. ვთხოვოთ ბავშვებს, გააფერადონ ნაძვები მწვანედ, სოკოები - წითლად, ბურთები - ორივე ფერით. დასრულებისას დავთვალოთ სათითაოდ, შევადაროთ რაოდენობები (იხ. ილუსტრაცია #38)

9. **აბლაბუდა -** დავსხდეთ წრეზე. თამაშს ჩვენ ვიწყებთ და ბავშვებს ვეუბნებით, რომ ახლა ყველანი გადავიქცევით ობობებად და მოვქსოვთ ქსელს, ოღონდ ჩვენ, ობობებისგან განსხვავებით, ერთმანეთს უნდა ვუთხრათ თბილი სიტყვები. ძაფის ერთი ბოლო ჩვენ დავიტოვოთ, გადავუგდოთ რომელიმე ბავშვს გორგალი და ვუთხრათ - ,,მე მომწონს როცა შენ ...იცინი'' ამის შემდეგ ეს ბავშვი იჭერს ძაფს, თავადაც იტოვებს ძაფს (შეიძლება ხელზე გადაიხვიოს, მაგრამ ყურადღება მივაქციოთ, რომ არ შემოიჭიროს ხელზე). ამის შემდეგ მოთამაშე სხვა ბავშვს გადააწოდებს ძაფის გორგალს, ეუბნება კომპლიმენტს და ა.შ. ბოლოს ჩვენ უნდა დავშალოთ "აბლაბუდა'' და თავიდან დავახვიოთ გორგალი, ამასთან გავიმეორებთ ჩვენთვის ნათქვამ თბილ სიტყვებს.

10. **კურდღელო, კურდღელო, გაიღვიძე -** ჯგუფში ერთ-ერთ ბავშვს ევალება კურდღლის ,,დაძინება'', ოღონდ ეს ბავშვი ჩვენგან ზურგით დგას და ასახიერებს, რომ ვითომ ეფერება/აძინებს სათამაშოს. სხვა ბავშვებმა კი შეცვლილი ხმით უნდა დაიძახონ: ,,კურდღელო, კურდღელო, გაიღვიძე!''. ზურგით მდგომმა ბავშვმა უნდა გამოიცნოს ის ბავშვი, რომელმაც შეიცვალა ხმა.

11. **როლური თამაში "წვიმს"**

მოვიმარაგოთ საწვიმარი პალტოები, ქუდები, უსაფრთხო ქოლგები, ასევე ლურჯი ხალიჩები - ეს "გუბეებია". წაახალისეთ ბავშვები, დაითვალონ და გადაახტნენ გუბეებს (შეიძლება დისკზე ჩაწერილი წვიმის ხმის გამოყენებაც)

პროექტები

1. **პროექტი 1: როგორ შევქმნათ ჟურნალი?** - ვეცნობით ჟურნალებსა და გაზეთებს, მათ სტრუქტურას, გაფორმებას და ა.შ.

მოვიმარაგოთ საბავშვო ჟურნალები და გაზეთები. მივცეთ ბავშვებს საშუალება, დაათვალიერონ, შეისწავლონ იგი; ნახონ, როგორ არის გაფორმებული თითოეული გვერდი, ვისუბროთ იმ მსგავსებასა და განსხვავებებზე, რომლებიც აღმოაჩინეს ბავშვებმა გაზეთებსა და ჟურნალებს შორის. შევთანხმდეთ, როგორი ჟურნალის შექმ-

ნა გვინდა, დავაკვირდეთ ჟურნალების სტრუქტურას - რით განსხვავდება თავფურცელი დანარჩენი გვერდებისაგან, როგორია ბოლო გვერდი და ა.შ. შევთანხმდეთ, რომ ჩვენი ჟურნალი იქნება 4-გვერდიან. შევთავაზოთ, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა ინფორმაციის მოთავსება სურთ თავიანთ ჟურნალებში.

2. **პროექტი 2: როგორ შევქმნა ჟურნალი ჩემ შესახებ?** - დავურიგოთ ბავშვებს თაბახის ან ფორმატის გადაკეცილი ფურცლები. დავეხმაროთ მათ გვერდების დანომრვაში. ვუჩვენოთ, რომ თავფურცელი იქნება პირველი გვერდი და იქ ვწერთ ციფრს 1. მომდევნო გვერდზე დავწერთ 2-ს, შემდეგ -3-ს და ა.შ. შევთახმდეთ, რომ თავფურცელზე უნდა დაიხატოს მათთვის ყველაზე ,,მნიშვნელოვანი'' თემა. ბავშვები ხატავენ მათთვის ყველაზე საინტერესო საკითხს. მაგ., რის შესახებაც უყვართ ამბების მოსმენა, ან რისი კეთებაც უყვართ ყველაზე მეტად. თავფურცლის შექმნის შემდეგ შევიძლია გავაზიაროთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვის რა თემა აინტერესებს ყველაზე მეტად. ვთხოვოთ ბავშვებს, ჟურნალის თავფურცელი ისე დაიკავონ, რომ ყველა ხედავდეს მათთვის საინტერესო თემას. შევთავაზოთ, მოძებნონ ის ბავშვები, რომელთაც მსგავსი ინტერესები/ან საყვარელი საქმიანობა აქვთ და გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება. ასევე ვისაუბროთ ბავშვებთან იმაზე, თუ რა თემას წარმოადგენენ მეორე გვერდზე. ეს შეიძლება იყოს საყვარელი ცხოველი, საჭმელი ან ნებისმიერი სხვა რამ. მეორე გვერდისთვის შერჩეული თემის წარმოდგენა ბავშვებს შეუძლიათ ნახატით, აპლიკაციით და ა.შ. მთავარია, რომ ეს ნახატი/აპლიკაცია და ა.შ. გვაწვდიდეს ინფორმაციას თემასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ ჩავხატავთ საყვარელ ცხოველს, უნდა დავუხატოთ კვების განრიგი - რა უყვარს, რას ვაჭმევთ და/ან ვისთან თამაშობს ყველაზე მეტად და ა.შ. ასევე შეგვიძლია შევარჩიოთ მესამე და მეოთხე გვერდების თემებიც - მივანიშნოთ, რომ შემდეგ გვერდებზე წარმოადგინონ თემები: *ჩემი ოჯახი* და *სასურველი პროფესია* (”რა გამოვალ, როცა დიდი ვიქნები“) ან სხვა მათთვის საინტერესო თემა *(მომდევნო დღეებში ბავშვები დაამატებენ ფურცლებს შესაბამისი თემატიკით).*

3. **პროექტი 3: ჟურნალი ჩემ შესახებ -** ჟურნალს ვამატებთ გვერდებს ,,ჩემი წვიმიანი დღე''. ვხატავთ ან ვქმნით აპლიკაციას წვიმიანი ამინდის შესახებ - რა გვაცვია, რა ნივთები გვჭირდება ასეთ ამინდში, როგორია ჩვენი განწყობა, სად გვირჩევია ყოფნა - სახლში თუ გარეთ და ა.შ. რეკომენდებულია, ბავშვებმა თვითონ შეარჩიონ წვიმიანი ამინდის შესატყვისი სამუშაო, დახატონ, თუ რას გააკეთებენ, თემას როგორ გაშლიან და ა.შ.

4. **პროექტი 4: ჟურნალი თემაზე „როგორ დავიცვათ თავი ბუნებრივი კატასტროფებისგან“ -** ვაკეთებთ ჟურნალს მიწისძვრის დროს დასაცავი უსაფრთხოების ზომების შესახებ. აღნიშნული აქტივობის დასაგეგმად შეგვიძლია გამოვიყენოთ გზამკვლევი საბავშვო ბაღის აღმზრდელებისთვის “ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება”.

წიგნის დრო

ტელევიზორი

გადაცემა ვისზეა,
ყვავზეა თუ ჩხიკვზეა?
- სულერთია, ვისზეა,
ჩართეთ ტელევიზორი!
... და მთელი დღე ასეა,
ყველა ათი სართულის,
ყველა ტელევიზორი
ართული და ჩართული.
და არც ერთმა არ იცის:
ვინც უგნურად იქცევა,
მალე ტელევიზორის
ყუთად გადაიქცევა.
ნოდარ დუმბაძე

***

მზე პირს იბანს

მზე პირს იბანს, პირს იბანს
თხუნელა და ზღარბი,
-წი-წი-წი-წი, - წიწილაც
წყაროსაკენ გარბის...
მარტო ჩვენს ღორს არა აქვს
სისუფთავის დარდი, -
არც რცხვენია, ეზოში
მოთხუპნული დადის.

მ. ფოცხიშვილი

***

მოპარული მზე

მზე ცხრათვალა,
მზე თაკარა
ღრუბლის ფთილას
მიეფარა
და სარკმელი,
სულ პატარა,
დაუბნელდა
ყურნაცარას.

კაჭკაჭებმა
ხტუნვა-ხტუნვით,
მოთქმით,
ოხვრით,
დარდით,
ურვით,
მიირბინეს
ფარანდებთან:
გვამყოფეთო
თქვენთან ერთად,
ვეღარ ვიკვლევთ
გზა-კვალსაო,
მზე ნიანგმა ჩასანსლაო.-
ღამე ჩამოწვა
ლუსკუმი,
ბაკმის ნაკვალევიც
არ ჩანს,
უთრთის გულიც და
მუსკულიც
ყველას,
ვინც გარეთ დარჩა.

ნაცრისფერი ბეღურები
ცას მუდარით
შეჰყურებენ:
მზეო, ამოანათეო,
თბილი სხივით გაგვათბეო,
სიბნელეში ვბრმავდებითო,
გვინათე და გვალხინეო,
გახელილი თვალებითო
სარჩო მოგვანახვინეო.

კორდებზე ტირიან
კურდღლები:
ღამეა და შინ ვერ ვბრუნდებით. –
მგლები კი საკბილოს
გაჰყურებენ
და არეს ყმუილით
აყრუებენ.

დილით ადრე
ორი არნი,
საბრძოლველად
წამომდგარი,
დგას და ფეხებს
უბაკუნებს
გადაკეტილ
საკეტს კარის:
- დაირაზმენით, ნადირნო,
ნიანგს ცრემლი ვადინოთ,
ვაიძულოთ უგულო,
ზეცას მზე დაუბრუნოს! –

მაგრამ მხეცებს,
ბანჯგვლიანებს,
აცახცახებთ,
აჟრიალებთ:
- ეშვებით და თათებითო
მასთან ვერას გავხდებითო,
მზეს არ მოგვცემს, არაო,
მის ხელთაა ძალაო. –

და გარბიან
ბუნაგისკენ დათვისა:
- გეყოფაო, დათვო,
ლოკვა თათისა,
გამოგვყევი,
უსაქმურო, მალეო,
მზის დახსნაში
მხეცებს დაგვეხმარეო. –

მაგრამ ძუ დათვს ომი არ სურს,
ტირის ვაჟს და ასულს:
- რად დამტოვეთ ბებერიო
მერტყვილებმა,
ვინ მომხედავს -
როცა რამე მეტკინება?!
ჭაობში კი ხვადი დათვი
ნამორის ქვეშ
ეძებს თათით
სასეირნოდ
გასულ ბელებს,
ცუღლუტებს და
უდარდელებს:

- ერთმანეთით სული გიდგათ,
ერთურთს ხომ არ დასცილდითო,
ძაღლი ხომ არ გამოგიდგათ,
თხრილში ხომ არ ჩაცვივდითო. –
უცბად ბუჩქიდან ნაცარა
ყურცქვიტა გამოცანცარდა:

- არ გცხვენიაო
რად ტირი, ნათებს
კურდღელი ხარ თუ
ნადირი?
გიჯობს, ხვედრს კი არ შესტირო,
ნიანგს ეკვეთო, მერტყვილო,
სძლიო ძვლებდასალეწავსო,
მზე დაუბრუნო ზეცასო;
და ისევ როცა ინათებს,
შვილს ვფიცავ,
ვამბობ სიმართლეს,
სახლში მოგივლენ ბელები,
უდარდელ-უზრუნველები.

ჰოდა, წამოდგა ბურდღუნა,
ჩაიბურდღუნა ბურდღუნამ
და დიდ მდინარეს ბურდღუნით
მიუახლოვდა ბურდღუნა.
მდინარეში კი,
მშვიდი იერით,
იწვა ნიანგი,
დიდი , ძლიერი
და პირში ენთო,
ცეცხლი კი არა,
მზე ნაქურდალი -
თვალებბრიალა.

დათვი ნიანგს მიეპარა,
თათი გაჰკრა:
აბა, ჩქარა,
რაიც მიისაკუთრეო;
უკან გადმოაფურთხეო;

დამიხედეთ ამასაო,
გადაყოლილს ჭამასაო,
ცხრათვალა მზე მოუპარავს,
ბინძურ პირში მალავსაო;
ბინდი ბუდობს ყველგანაო,
ნადგურდება ქვეყანაო,
ეს კი წყალში დანავარდობს,
არცა წუხს და არცა დარდობს! –

ეცინება უსინდისოს:

- ჯერ ვიგემე
გემო მზისო,
კვლავ მოვიკრებ ძალასაო
და მთვარესაც
ჩავსანსლავო. –

რაკი ვერ გაჭრა
ვერც რჩევამ,
ვერც ხვეწნამ,
და ვერც მუდარამ,
ყელში სწვდა
ნიანგს ბურდღუნა,
გასწირა გასაგუდავად.

გრიხა
ჭმუჭნა და
ათრია,
ძვალი და რბილი ამტვრია:

- ნუღარ ახანებ,

რაც იავეო,
იკმარე,
ზეცას ახლავე

დაუბრუნე
ცისკარი. –
ნიააგმა ვეღარ ივარგა,
შიშმა შეიპყრო ნიანგი,
პირი დააღო დიდკბილამ,
ტკივილისაგან იკივლა,
მზე დააგდო და .....
ბრდღვიალამ
კვლავ ძველებურად იალა,
სხივების ბრჭყვიალ-ბრჭყვიალით
მთა-ბარი შემოიარა.
ჩიტუნები ავიშიშდნენ,
მუმლს დასდევენ,
ხარობენ,
ბაჭიები აკვინტრიშდნენ,
ჭყანტში ჭყუმპალაობენ.
ნახეთ, ნახეთ,
ორი ბელი
აქეთ მოდის
მოიმღერის:

- არ იდარდოთ,
დიდებო,
მოვიჩქარით,
მოვდივართ,
სიარულში ვიზრდებით,
ცუდმავალნი როდი ვართ!

ხარობენ სკვინჩები და
როჭოები,
ხარობენ ბაჭიები და
გოგოები:

- დღეიდან ბაჯბაჯას
ერთგულნი ვართო,
მადლობა მზისთვის,
კეთილო დათვო!

კ. ჩუკოვსკი

ფლო

ყვავილების მინდორზე პატარა ყვავილი ამოვიდა. თვალი გაახილა თუ არა, გარშემო ნაირფერი, ლამაზი ყვავილები დაინახა. არცერთი ყვავილი არ ჰგავდა ერთმანეთს. ზოგი ყვითელი იყო დიდი ფოთლებით, ზოგიც წითელი. ყვავილები სიყვარულით მიესალმნენ ახლად ამოსულ ყვავილს და სახელად ფლო შეარქვეს.

დილაობით ყვავილები ჯერ მზეს ესალმებოდნენ, შემდეგ - ერთმანეთს და მერე ყველა თავისი საქმით კავდებოდა. ხოლო საღამოობით ყველაზე საინტერესო იწყებოდა: უფროსი ყვავილები პატარებს უყვებოდნენ, რა ხდებოდა მინდორზე მათ დაბადებამდე. ერთ საღამოს ამბის თხრობა ბაბუა ზამბახმა დაიწყო...

-ეს ამბავი გასულ ზაფხულს მოხდა. ძალიან მშვიდი ზაფხული იყო და არაფერი მნიშვნელოვანი არ ხდებოდა. მხოლოდ ცაში ძალიან მაღლა, მიფრინავდნენ ძმები: ქარი და წვიმა. თან, იმდენად მაღლა მიფრინავდნენ, რომ დედამიწაზე მათ არსებობას ვერავინ ამჩნევდა.

სიჩუმეში მათ გაიგონეს, როგორ ამბობდნენ ყვავილები, რომ ისინი დედამიწაზე ყველაზე მეგობრული არსებები არიან. ძმებმა მათი გამოცდა გადაწყვიტეს.

პირველად საქმეში ქარი ჩაერთო. მან იმდენად ძლიერად დაუბერა, რომ ყვავილებს ლამის ფესვიანად გლეჯდა. ყვავილებმა ფოთლები ჩაჰკიდეს და ისე მაგრა ჩაეჭიდნენ ერთმანეთს, რომ ქარი დარწმუნდა მათ მეგობრობაში და თავი დაანება. მაშინ საქმეში წვიმა ჩაება და კოკისპირული წვიმა დაუშვა.

მაღალმა, დიდფოთლებიანმა ყვავილებმა თავისი განიერი ფოთლები გადააფარეს პატარებს. მხოლოდ მაშინ დარწმუნდნენ ძმები ყვავილთა ერთგულებაში. ასე დასრულდა ბაბუა ზამბახის ისტორია.

ფლო ამ ამბის მოსმენის შემდეგ ძალიან ბედნიერი იყო, ვინაიდან იქ დაიბადა, სადაც ყველაზე მეგობრული არსებები ცხოვრობენ.

შეკითხვები:

1. *რა გამოცდა მოუწყვეს ძმებმა - ქარმა და წვიმამ ყვავილებს?*
2. *რა გააკეთეს ყვავილებმა ქარის დროს? წვიმის დროს?*
3. *რაში დარწმუნდნენ წვიმა და ქარი?*
4. *რატომ იყო ფლო ძალზე ბედნიერი ზამბახის ისტორიის მოსმენის შემდეგ?*

26-ე კვირა

თემა: ახალი ამბები (II კვირა)

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ინდივიდუალიზება	**საუბარი თემაზე „სატელევიზიო და რადიო გადაცემები“**	**აქტივობა**: ჟურნალისტის ნივთები” **როლური თამაში**: ჯარისკაცები **აქტივობა**: სიტყვები	ანდერსენის კალის ჯარისკაცი	ვმოძრაობთ ისე, როგორც ჯარისკაცები აღლუმზე. ვატარებთ აღლუმს.	აქტივობა: ,,მოდი დავითვალოთ” აქტივობა: ,,ჯარისკაცის ნივთები” აქტივობა: „იპოვე განსხვავება“	მოვუსმინოთ საქართველოს ჰიმნს	*შევაჯამოთ ინფორმაცია ტელევიზიისა და რადიოს შესახებ; ვთხოვოთ ბავშვებს, გამოკითხონ ოჯახის წევრებს საყვარელი ტელეგადაცემის შესახებ.*
მასალები / რესურსები		ფურცლები, ფანქრები/ფლომასტერები, სურათები	წიგნი		ფურცლები, ფანქრები/ფლომასტერები, სურათები		
სამშაბათი ინდივიდუალიზება	**საუბარი თემაზე: სატელევიზიო გადაცემის გმირები: პოლიციელი**	**აქტივობა**: ჩემი პოლიციელი **აქტივობა**: ჩემი პოლიციის მანქანა **აქტივობა**: აბა, გამოიცანი **აქტივობა:** ჩემი ემბლემა	ს. მიხალკოვის „ძია მიხო“	თამაშობენ „დამალობანას” -“პოლიციელი” ეძებს დამალულ ჯგუფელებს.	აქტივობა: სად არის ის? აქტივობა: მიმიკებით თამაში აქტივობა: ”ლაბირინთი”	თამარ ვაშაკიძის „მატყუარა ჩიტი“	შევაჯამოთ, რა გავაკეთეთ დღეს ისეთი, რითიც შეგვიძლია ვიამაყოთ?

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
		\წავახალისოთ ბავშვები, დახატონ ემბლემა და ზედ დააწერონ თავიანთი სახელი.					
მასალები/ რესურსები		წინასწარ გამოჭრილი გეომეტრიული ფიგურები, წებო, ფურცლები, ფანქრები/ფლომასტერები	წიგნი		სასტვენი, წინასწარ მომზადებული ლაბირინთი	სიმღერის ჩანაწერი	
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	**საუბარი თემაზე: სატელევიზიო გადაცემის გმირები - მეხანძრე**	**აქტივობა**: გაჩერდი, დაწექი, გაგორდი **თამაში:** შეადარე პროფესიები **აქტივობა:** გააცანით და გაითამაშეთ **პროექტი**: სახანძრო მანქანა	წავუკითხოთ: „მეხანძრე ძაღლები", „მეხანძრე სპილო" (მანანა ტონია)	„ფერადი ლენტებით ცეკვა" (ვცეკვავთ ფერადი ლენტების გამოყენებით)	თამაში: „ხანძარი"	«მოფრინავდა ჩიტი გვრიტი" https://www.youtube.com/watch?v=Z4UEcl0Poio	რეფლექსია: რა ვისწავლე დღეს? რა მოხდა ყველაზე გასაოცარი ჩვენს ჯგუფში?

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები		წიგნები მეხანძრეებზე	ფერადი ლენტები	ს ა ე ვ ა კ უ - აციო გეგმა; მ უ ყ ა ო ს ყუთი; თოჯინა	სიმღერის ჩანაწერი		
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	**სატელევიზიო პროექტის „ჩვენ დღეს ეთერში გავდივართ“- მოსამზადება.**	ვიზიტი თეატრში ან **აქტივობა**: თეატრში **წესებიანი თამაში**: პანტომიმის თეატრი **პროექტი:** ჟურნალ’- ვამატებთ ჩვენთვის საინტერესო ნამუშევარს - პოლიციის, მეხანძრისა და თეატრის შესახებ.	ვთხოვოთ ბავშვებს, გაიხსენონ მოთხრობა, ზღაპარი რომელიც მოეწონათ. დავურიგოთ ხელთათმანები და მრგვალად დაჭრილი ქაღალდები, რომლებსაც დაახატავენ ან დააწებებენ სახეს (შეგვიძლია დავეხმაროთ მათ დაწებებაში), გავითამაშოთ სცენები მათი საყვარელი ზღაპრიდან.	”დავდივართ როგორც...”	**აქტივობა:** „დავამზადოთ თეატრის ბილეთები“. **როლური თამაში:** „ბილეთების შეძენა“.	მოვუსმინოთ სიმღერას „ალისა“ https://www.youtube.com/watch?v=vRNF-phJkwc	რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დღის განმავლობაში ან თეატრში ვიზიტის დროს?

ორშაბათი	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
რესურსები		თაბახის ფურცლები, ფლომასტერები			ფურცლები, ფანქრები/ფლომასტერები, სურათები	ჩანაწერი	

პარასკევი	პირველი შეხვედრა წრეში	პროექტის პრეზენტაცია	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	პროექტის პრეზენტაცია
ინდივიდუალიზება	**თემის შეჯამება:** წავახალისოთ ბავშვები, შეაგროვონ და გამოფინონ ნამუშევრები, რომლებიც შექმნეს თემის (,,ახალი ამბების“) შესწავლისას	ბავშვები საუბრობენ მათ მიერ შექმნილ „ჟურნალებზე“; ინაწილებენ როლებს (ჟურნალისტი, ჯარისკაცი, პოლიციელი, მსახიობი) ტელეგადაცემისათვის „ჩვენ დღეს ეთერში გავდივართ.“	ვიხსენებთ წაკითხულ წიგნებს, მათ პერსონაჟებს.	ცეკვავენ	ბავშვები ზეიმობენ თემის დასრულებას, ათვალიერებენ მათ მიერ შექმნილ ჟურნალებს, მონაწილეობენ ტელეგადაცემაში „ჩვენ დღეს ეთერში გავდივართ.“
მასალები/ რესურსები	ბავშვების ნამუშევრები	ბავშვების ნამუშევრები			

საქმიანობათა ინსტრუქციები

პირველი შეხვედრა წრეში

1. **საუბარი თემაზე „ტელე და რადიოგადაცემები“.** ვთხოვთ ბავშვებს, გაიხსენონ საყვარელი სატელევიზიო გადაცემები. ვკითხოთ, თუ როგორია ეს გადაცემები, ვინ მონაწილეობს მასში, რომელი სატლევიზიო პერსონაჟი მოსწონთ ყველაზე მეტად. ვამახვილებთ ყურადღებას ჟურნალისტის, ოპერატორისა და ფოტოკორესპონდენტის პროფესიებზე. წავახალისოთ და დავეხმაროთ ბავშვებს, რათა მოიფიქრონ, რა როლი აქვს თითოეულ მათგანს გადაცემის მომზადებისას. ვკითხოთ, სურთ თუ არა, რომ გახდნენ ჟურნალისტები, ფოტოკორესპონდენტები, ოპერატორები? ვუთხრათ, რომ ამ კვირის განმავლობაში ვიმუშავებთ სატელევიზიო პროექტის - „ჩვენ დღეს ეთერში გავდივართ“ მომზადებაზე.

2. **საუბარი თემაზე ”სატელევიზიო გადაცემის გმირები” -** ჩვენ უკვე ვიცით, რომ ვამზადებთ სატელევიზიო პროექტს „ჩვენ დღეს ეთერში გავდივართ“. ვსაუბროთ, ვინ შეიძლება იყოს სატელევიზიო გადაცემის გმირი. გავამახვილოთ ყურადღება იმ ადამიანებზე, რომლებიც ჩვენს უსაფრთხოებას იცავენ: ჯარისკაცებზე, პოლიციელებზე და ა.შ. (შეკითხვები: არის შენს სახლთან/ბაღთან ახლოს პოლიციის შენობა?). დავეხმაროთ ბავშვებს, გააცნობიერონ, რომ პოლიციელი იცავს კანონს; ხელი შევუწყოთ იმის გააზრებაში რომ პოლიციელი არის ადამიანი, ვინც ეხმარება ხალხს. ამისათვის ის პატრულირებს ქუჩაში, ეხმარება უბედური შემთხვევისას დაზარალებულებს და ა.შ. ვკითხოთ: რატომ ანათებს ციმციმა პოლიციის მანქანებზე? შეხვედრიან თუ არა პოლიციელს? ვთხოვოთ, ისაუბრონ თავიანთ ნაცნობ პოლიციელებზე ან მოვიწვიოთ პოლიციელი და ვთხოვოთ, ისაუბროს საკუთარ პროფესიაზე. ბავშვებს წინასწარ დავეხმაროთ შეკითხვების მოფიქრებაში.

3. **საუბარი თემაზე ”სატელევიზიო გადაცემის გმირები - მეხანძრე”** - ვუთხრათ ბავშვებს, რომ დღეს ვისაუბრებთ მეხანძრეებზე. გავარკვიოთ, რა იციან მეხანძრეზე და მის საქმიანობაზე. ვაჩვენოთ მეხანძრის ნივთები (ჩაფხუტი, უნიფორმა, ხელთათმანები, ჩექმები). გავაცნოთ ცეცხლთან დაკავშირებული ლექსიკა: ცეცხლის ალი, ნაცარი, ნაკვერჩხალი, კოცონი, ჭიაკოკონა. ვკითხოთ: როდის ვამბობთ, რომ ხანძარია? შეგვიძლია მოვიპატიჟოთ მეხანძრე და ვთხოვოთ, ისაუბროს უსაფრთხოების წესებზე (არ ითამაშოთ ასანთით ან სანთებელათი, მოერიდეთ ელექტროჩამრთველებს, სხვ.).

4. **სატელევიზიო პროექტის (გადაცემა „ჩვენ დღეს ეთერში გავდივართ“) მომზადება -** ვამახვილებთ ყურადღებას თეატრსა და მსახიობის პროფესიებზე. წავახალისოთ ბავშვები და დავეხმაროთ, მოიფიქრონ კითხვები თეატრისა და მსახიობის პროფესიის შესახებ. გაიხსენონ, თუ ყოფილან თეატრში, რა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე სპექტაკლმა. ვკითხოთ: უნდათ თუ არა, რომ გახდნენ მსახიობები? რა სჭირდება მსახიობს, რომ კარგად შეასრულოს როლი? და ა.შ.

აქტივობები

1. **ჟურნალისტის ნივთები -** ვთხოვოთ ბავშვებს, დახატონ და დაამზადონ ჟურნალისტის და ფოტოკორესპონდენტისათვის საჭირო ნივთები ქაღალდებისგან (მაგ, მიკროფონი, კამერა). ბავშვებს შეუძლიათ, ჯერ დახატონ ეს ნივთები მუყაოს ქაღალდზე, შემდეგ კი გამოჭრან და გამოიყენონ აქტივობის დროს.

2. **სიტყვები -** შევთავაზოთ ბავშვებს, ყურადღებით მოისმინონ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი სიტყვები და თუკი შეხვდებათ სიტყვა, რომელიც იწყება " ჯ" ბგერაზე, შემოკრან ტაში.

3. **შეადარე პროფესიები -** წავახალისოთ ბავშვები, შეადარონ ერთმანეთს მათთვის ნაცნობი პროფესიები და დაასახელონ ისინი, რომლებიც, მათი აზრით, უფრო საინტერესოა და/ან მოითხოვს დიდ გამბედაობასა და ცოდნას.
4. **ჩემი პოლიციელი -** წავახალისოთ ბავშვები, შექმნან პოლიციელის გამოსახულება სხვადასხვა მასალით (გამოჭრილი გეომეტრიული ფორმებით, მაგ., წრეებით, რომელთაც სახისთვის გამოიყენებენ და ა.შ.), უნიფორმის ფერები კი შეარჩიონ ადგილობრივი პოლიციელის ტანსაცმლის ფერების მიხედვით.

5. **ჩემი ემბლემა -** დავურიგოთ ბავშვებს პოლიციელის ემბლებები, ვთხოვოთ მათი გაფორმება, საკუთარი სახელის ჩაწერა (იხ. ილუსტრაცია #40).



6. **დავამზადოთ თეატრის ბილეთები -** წინასწარ მოვამზადოთ და ვუჩვენოთ ბავშვებს თეატრის ბილეთები. ავუხსნათ, რომ მათზე მითითებული პირველი ციფრი აღნიშნავს რიგს, მეორე ციფრი - ადგილს. დავეხმაროთ ბავშვებს თეატრის ბილეთების ასლების დამზადებაში.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **აბა, გამოიცანი -** მოვიმარაგოთ თემასთან დაკავშირებული ნივთები (სამკერდე, ქუდი, მანქანა, პორტატიული გადამცემი (რაცია) და ა.შ. სათითაოდ ამოვიღოთ ნივთები ჩანთიდან და ვთხოვოთ ბავშვებს, გამოიცნონ, თუ რა დანიშნულება აქვს თითოეულ მათგანს.

2. **გაჩერდი, დაწექი, გაგორდი** - ვკითხოთ ბავშვებს: იციან თუ არა, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, თუ მას ტანისამოსზე ცეცხლი წაეკიდება? - თურმე გაქცევა ცეცხლს უფრო მეტად ააგიზგიზებს, ამიტომ უნდა გავჩერდეთ, ცეცხლის ჩასაქრობად კი ძირს დავწვეთ და გავგორდეთ.

3. **პანტომიმის თეატრი** - ავუხსნათ ბავშვებს, რომ არის თეატრის ასეთი ჟანრი - პანტომიმა. ასეთ თეატრში მსახიობები არ ლაპარაკობენ და მხოლოდ მოძრაობით გამოხატავენ სათქმელს. მოვამზადოთ წინასწარ ,,იდუმალი ყუთი", სადაც ჩავდებთ სხვადასხვა ნივთს (მაგ., მაკრატელს, სათვალეს, ბინოკლს, სარჭს და ა.შ). ერთ-ერთი ბავშვი გამოდის, იღებს საგანს და პანტომიმით (ჟესტების, მიმიკის, მოძრაობების გამოყენებით) უხსნის სხვებს, თუ რა საგანი ამოიღო, მაყურებლებმა კი უნდა გამოიცნონ. არ დაგვავიწყდეს ,,არტისტის" ტაშით დაჯილდოება.

4. **მოძრავი თამაში „დავდივართ, როგორც... " -** მივაწოდოთ ბავშვებს შემდეგი ინსტრუქციები: "დავდივართ ისე, როგორც ადამიანები ძლიერი წვიმის დროს გუბეებში"; "დავდივართ ისე, როგორც ადამიანები ცხელ ქვებზე"; "დავდივართ ისე, როგორც ძალიან სწრაფი/ ძალიან ნელი ადამიანები" და ა.შ.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **მოდი, დავითვალოთ -** შევთავაზოთ ბავშვებს ოთხი სურათი სხვადასხვა რაოდენობის სათამაშოს ან რაიმე ნივთების გამოსახულებებით. წავახალისოთ, დათვალონ და შეადარონ ნივთების რაოდენობა სურათებზე.

2. **ჯარისკაცის ნივთები -** ვთხოვოთ ბავშვებს, დახატონ ჯარისკაცის უნიფორმა, ქუდი, ვარსკვლავი, დაამზადონ საქართველოს დროშები.

3. **იპოვე განსხვავება -** წავახალისოთ ბავშვები, იპოვონ ცალკეული განსხვავებები მსგავს ნახატებს შორის (იხ. ილუსტრაცია #41).



4. **სად არის ის? -** ერთი მოთამაშე ირგებს პოლიციელის როლს და ტოვებს ოთახს, მეორე მოთამაშე - დაკარგული ბავშვის როლს და იმალება ოთახში. "პოლიციელი" ბრუნდება, დანარჩენი ბავშვები ეუბნებიან, რომ დაეკარგათ ბავშვი. "პოლიციელი" ცდილობს "დაკარგული" ბავშვის პოვნას. წავახალისოთ ბავშვები, რომ ისაუბრონ გასაგებად, დააცადონ ერთმანეთს საუბარი, მისცენ გასაგები ახსნა-განმარტებები „პოლიციელს" და ა.შ.

5. **,,ლაბირინთი" -** ლაბირინთის ბოლოში ნაჩვენებია დაკარგული კნუტი. პატარა გოგონა ცდილობს დაკარგულ კნუტამდე მიღწევას (იხ. ილუსტრაცია #42). ვთხოვოთ ბავშვებს, რომ დაეხმარონ გოგონას გზის გაგნებაში.



6. **თეატრში -** დავაწყოთ სკამები ისე, როგორც თეატრის პარტერში. დავეხმაროთ ბავშვებს იმის გარკვევაში, თუ რომელ რიგშია მათი ადგილი - გადავითვალოთ მათთან ერთად რიგები, შემდეგ სკამები და მოვთავსდეთ შესაბამის ადგილზე. თუ გვაქვს შესაბამისი მოწყობილობა, შევთავაზოთ ბავშვებს ნაწყვეტი რომელიმე საბავშვო სპექტაკლიდან (შეგვიძლია ვუჩვენოთ, მაგ., "ჭინჭრაქა". იხ. https://www.youtube.com/watch?v=b3PLSysS5NM)

როლური თამაშები

1. **ჯარისკაცები -** წავახალისოთ ბავშვები, მორთონ ოთახი საზეიმოდ, გაითამაშონ აღლუმი და გამოიყენონ მათ მიერ დამზადებული დროშები. "აღლუმის" ჩატარებისას ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ ბავშვების მიერ შექმნილი ინსტრუმენტები ან ჩავრთოთ მარშის ჩანაწერი. ვთხოვოთ, დაითვალონ, რამდენი ,,ჯარისკაცია'' აღლუმში (რამდენმა ბავშვმა გამოთქვა სურვილი აღლუმში მონაწილეობის მისაღებად).

2. **ხანძარი -** ვთხოვოთ ბავშვებს, გაითამაშონ ხანძრის სცენა და "გადაარჩინონ" რომელიმე სათამაშო.

3. **ბილეთების შეძენა -** ავუხსნათ ბავშვებს, რომ თუკი გვსურს თეატრში წასვლა, ჯერ ბილეთები უნდა შევიძინოთ. შემთხვევითი შერჩევით შევარჩიოთ 4 გამყიდველი, რომლებიც გაყიდიან ბილეთებს. ვუთხრათ, რომ ბილეთი 5 ლარი ღირს. ფულის ერთეულად შეგვიძლია შევარჩიოთ ღილები ან სათამაშო ფულის კუპიურები. გავითამაშოთ ბილეთების ყიდვის სცენა.

4. **მზადება პროექტისათვის ,,ჩვენ ეთერში გავდივართ'' -** წავახალისოთ ბავშვები, მოამზადონ კითხვები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისათვის და აიღონ მათგან ინტერვიუ.

პროექტები

1. **პროექტი: სახანძრო მანქანა -** მოვიმარაგოთ დიდი ზომის მუყაოს ყუთი და ვთხოვოთ ბავშვებს, გადააქციონ სახანძრო მანქანად; დაამზადონ საჭირო რეკვიზიტები და დაამაგრონ სახანძრო მანქანაზე. შესაძლებელია მანქანის მოხატვაც.

2. **პროექტი: ჩემი პოლიციის მანქანა -** მოვიმარაგოთ წინასწარ გამოჭრილი ფორმები (წრეები საბურავებისთვის, ოთხკუთხედები მანქანის კორპუსისთვის და ა.შ.). წავახალისოთ ბავშვები, გააკეთონ პოლიციის მანქანები. პოლიციის მანქანის დასამზადებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ნებისმიერი მასალა და ნებისმიერი ტექნიკა: ძერწვა, ხატვა, აპლიკაცია და ა.შ. მთავარია, რომ წარმოდგენილი იყოს პოლიციის ძირითადი ატრიბუტიკა.

3. **პროექტი: ჟურნალი -** ბავშვები გააგრძელებენ პროექტზე მუშაობას და შეავსებენ მას ამბებით/ილუსტრაციებით სხვადასხვა პროფესიის ადამიანების შესახებ.

4. **სატელევიზიო პროექტი „ჩვენ დღეს ეთერში გავდივართ“ -** წინასწარ მოვემზადოთ "ეთერისთვის": დავგეგმოთ სატელევიზო გადაცემები; განვსაზღვროთ, ვის რა როლი ექნება სატელევიზო გადაცემის დროს. შევქმნათ ისეთი გარემო, როგორიც გადასაღებ მოედანზეა: დავაყენოთ „ოპერატორები“, ჩავრთოთ „განათებები“, შევარჩიოთ წამყვანი ჟურნალისტი; მოვაწყოთ სტუდია, შევარჩიოთ სათანადო დეკორაციები, შევარჩიოთ გადაცემის ქუდი (შესაძლებელია მუსიკალური გაფორმებით). ასევე შეგვიძლია გადაცემა დავყოთ სექციებად. მაგალითად, გამოვყოთ თავისუფალი სექცია (ვისაც რა უნდა, იმით წარდგება - იტყვის ლექსს, მოყვება საინტერესო ამბავს და ა.შ.), ინტერვიუს სექცია (შეირჩევა რესპოდენტი, რომელსაც შეგვიძლია შევურჩიოთ რაიმე როლი, მაგ., პოლიციელის, მეხანძრის და ჩამოვართვათ ინტერვიუ წინასწარ მომზადებული კითხვების გამოყენებით), ამინდის პროგნოზის სექცია და ა.შ. სასურველია, პროექტის შეჯამებაში მონაწილეობა მიიღონ ოჯახის წევრებმაც. თუ პროექტს ასე დავგეგმავთ, შესაძლებელია რამდენიმე კითხვა დავუსვათ ასევე მშობლებს, როგორც გადაღებისას დამსწრე საზოგადოებას.

წიგნის დრო

მეხანძრე ძაღლები

ხდება ხოლმე ქალაქებში ხანძრის დროს ალმოდებულ შენობაში პატარა ბავშვები რჩებიან. მათი გამოყვანა ძალიან ძნელია, რადგან შიშისაგან ხშირად ხმას არ იღებენ და ბოლშიც არ ჩანან. ამიტომ მეხანძრეებს ჰყავთ სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლები, რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ და როცა ხანძარია, ცეცხლმოკიდებულ სახლში ბავშვების მოსაძებნად შედიან. ერთმა ასეთმა ძაღლმა, ბობიმ, ლონდონში თორმეტი ბავშვი გადაარჩინა.

ერთხელ მეხანძრეები გამოძახებაზე გავიდნენ, სახლის წინ ქალი მოთქვამდა. ცეცხლმოდებულ შენობაში მისი ორი წლის შვილი დარჩენილიყო. მეხანძრეებმა ბობი გაუშვეს. ბობი ბოლში მიიმალა. ხუთი წუთის მერე გამოჩნდა. პირი ბავშვის ტანსაცმლისთვის ჩაევლო და ფრთხილად მოჰყავდა. დედა სიხარულით ატირდა და შვილი ჩაიხუტა. მეხანძრეები ბობის ეფერებოდნენ და ათვალიერებდნენ, ხომ არ იყო ძაღლი დამწვარი ან დაშავებული, მაგრამ ბობი არ უჩერდებოდათ, ისევ სახლისკენ მიიწევდა. მეხხანძრეებმა იფიქრეს, ცეცხლში, ალბათ, კიდევ ვინმე დარჩაო და გაუშვეს.

როცა ბობი სახლიდან გამოვიდა, ყველამ გაიცინა. მას პირში პატარა სათამაშო დედოფალა ეჭირა.

27-ე კვირა

თემა: რას მიირთმევენ სხვადასხვა ქვეყანაში? (I კვირა)

ეს თემა ორ კვირას მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში ბავშვები გაეცნობიან საქართველოს და სხვა ქვეყნების სიმბოლიკასა და კვების კულტურას, ხალხურ ცეკვასა და სიმღერას; დაამზადებენ ჭურჭელსა და სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული კერძების იმიტაციას; ითამაშებენ როლურ თამაშს "კაფეში" (შერჩეული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ გარემოში), გააწყობენ სუფრას და გამოიყენებენ შესაბამის ლექსიკას; მოუსმენენ ტრადიციულ მუსიკას და იცეკვებენ მისი თანხლებით; ააშენებენ ცნობილ ნაგებობებს კუბურების მეშვეობით, დაამზადებენ ჩინურ მარაოს, მექსიკურ სომბრეროს, მზარეულის ჩაჩს და ა.შ.

ეს თემა მისცემს ბავშვებს საშუალებას, განივითარონ სოციალური და მეტყველების უნარები (როლური თამაშის მეშვეობით), იანგარიშონ და გადაიწერონ, ისწავლონ ახალი სიტყვები. თემა მნიშვნელოვანია ასევე შემეცნებისა და ზოგადი ცოდნის სფეროს განვითარების კუთხით.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	როგორ მოვაწყოთ კაფე?	**პროექტი**: სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო 1. კაფეს მოწყობა **აქტივობა**: პაპიემაშეს ჭურჭელი **როლური თამაში:** რესტორანში	"მერი პოპინსი" (პირველი წიგნი) აღმოსავლეთის ქარი 	მიზანში სროლა http://handsonaswegrow.com/letter-number-scavenger-hunt/	"ჩაიფიქრე ჭურჭელი" "საიდან უბერავს ქარი?"	სიმღერა მზარეულებზე https://www.youtube.com/watch?v=lqpWD0jMt6M	ბავშვები გაიხსენებენ აქტივობას, რომელიც მოეწონათ დღის განმავლობაში.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	წიგნი კაფეზე, ფორმატი, მარკერი, ჟურნალი კაფეს სურათებით.	პატარა მაგიდები და გადასაფარებლები, სათამაშო ჭურჭელი. სხვადასხვა სამზარეულოს აქსესუარები. პაპიემაშეს წებო, ბუშტები, ძველი გაზეთები.	"მერი პოპინსი" (პირველი წიგნი)	ფორმატი, მარკერი, პატარა ბურთი, საღებავი, ერთჯერადი ხელთათმანები.	ფურცლები, ფანქრები, კომპასი	მუსიკალურ ცენტრი, დისკი მუსიკის ჩანაწერით.	
სამშაბათი ინდივიდუალიზება	ქართული სამზარეულო საუბარი ქართულ კერძებსა და ტრადიციებზე.	**პროექტი**: სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო 2. ქართული სამზარეულო **აქტივობა**: ძველი ფოტოსურათები **როლური თამაში:** ქართულ რესტორანში	"მერი პოპინსი" (პირველი წიგნი) სიცილის ჭია	ფერადი ხაზები	დაითვალე ხინკლის ნაკეცები მოიგონე სასაცილო ისტორია	ქართული საცეკვაო მუსიკა	ბავშვები მოყვებიან თავიანთ მოგონილ სასაცილო ისტორიებს

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	ქართული სამზარეულოს ალბომი	მასალები ხელოვნების რესურსცენტრიდან, ფერადი ქაღალდი, საძერწი მასა, ქსოვილები და ბუნებრივი მასალები. ძველი ფოტოსურათები, მუყაოს ქაღალდი, სახაზავი, მაკრატელი, საღებავი, მასალები ჩარჩოს გასაფორმებლად.	"მერი პოპინსი" (პირველი წიგნი)	ფერადი ცარცი ან ფერადი სკოჩი	ქსოვილისგან დამზადებული ხინკლები, ბარათები, ფანქრები. ფურცლები ფანქრები.	მუსიკალურ ცენტრი, დისკი მუსიკის ჩანაწერით.	
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	ქართული ტკბილეული	**პროექტი**: სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო 3. ქართული ტკბილეული ჩურჩხელა და გოზინაყი **აქტივობა**: ააშენე კოშკი **როლური თამაში:** ქართულ რესტორანში"	"მის ლარკი და მისი ედმონდი" 	მუყაოს ყუთების საძრომიალო.	გეომეტრიული ფორმების დახარისხება "როგორ წავიდე სოფელში?"	ქართული საცეკვაო მუსიკა	ბავშვები წარმოადგეგენენ რუკებს და მოყვებიან სხვადასხვა ადგილის შესახებ..

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	ლექსი ან მოთხრობა ჩურჩხელაზე	მასალები ხელოვნების რესურს ცენტრიდან, ფერადი ქაღალდი, საძერწი მასა, ქსოვილები და ბუნებრივი მასალები. კუბურები, ქართული ნაგებობების ნიმუშების ფოტოები.	"მერი პოპინსი" (პირველი წიგნი)	დიდი ზომის მუყაოს ყუთები	ფერადი ქაღალდის გეომეტრიული ფორმები ფერადი ქაღალდი, ფანქრები.	მუსიკალური ცენტრი, დისკი მუსიკის ჩანაწერით.	
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	ჩინური სამზარეულო	**პროექტი**: სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო 4. ჩინური სამზარეულო **როლური თამაში:** ჩინურ რესტორანში **აქტივობა:** მარაოს დამზადება	"მერი პოპინსი" (პირველი წიგნი) "მოცეკვავე ძროხა" 	"ასოების აბლაბუდა"	"ყველაზე სწრაფი ბურთი"	ტრადიციული ჩინური მუსიკა და ცეკვა https://www.youtube.com/watch?v=boFgU91B9kg https://www.youtube.com/watch?v=XlQsVY3z4TI	ბავშვები წარმოადგენენ აქტივობების შედეგებს, მოყვებიან პროცესზე.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	ჩინური ხალხური ზღაპრები, შესაბამისი ფოტოების ალბომი ან ენციკლოპედია.	მასალები ხელოვნების რესურს ცენტრიდან, ფარადი ქაღალდი, საძერწი მასა, ქსოვილები და ბუნებრივი მასალები. ქაღალდი, გუაში.	"მერი პოპინსი" (პირველი წიგნი)	საქსოვი ძაფი, მუყაოსგან გამოჭრილი ასოები.	სხვადასხვანაირი ბურთები. ფურცელი, ფანქარი.	მუსიკალურ ცენტრი, დისკი მუსიკის ჩანაწერით.	
პარასკევი ინდივიდუალიზება	ჩაის კულტურა	**პროექტი**: სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო 5. ჩინური ჩაი **აქტივობა**: ჩინეთის დიდი კედლისა და ჩინური ტრადიციული ნაგებობების აშენება **როლური თამაში:** ჩინურ რესტორანში	"მერი პოპინსი" (პირველი წიგნი) "ტყუპების ამბავი" 	სიგრძეში ხტომა	ფერების შერევა რომელია უფრო გრძელი	ტრადიციული ჩინური მუსიკა და ცეკვა https://www.youtube.com/watch?v=boFgU91B9kg https://www.youtube.com/watch?v=XlQsVY3z4TI	ბავშვები შეაჯამებენ კვირას, ისაუბრებენ, რომელი აქტივობა დაამახსოვრდათ და რატომ.

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები და რესურ-სები	პატარა ჩაიდანი წყლით, ჩაის ფერი.	მასალები ხე-ლოვნების რე-სურს ცენტრი-დან, ფერადი ქა-ღალდი, საძერწი მასა, ქსოვილები და ბუნებრივი მასალები. საღე-ბავი და წყალი კუბურები, ფო-ტოები ჩინური არქიტექტურის ნიმუშებით.	"მერი პოპინსი" (პირველი წიგნი)	ფერადი ცარცი ან სკოჩი	ძირითადი ფე-რების გუაში და წყალი სახაზავი ან სანტიმეტრი, ფურცელი, ფან-ქრები.	მუსიკალურ ცენტრი, დისკი მუსიკის ჩანაწე-რით	

საქმიანობების აღწერა

აქტივობები

1. როგორ მოვაწყოთ კაფე?- ბავშვებს ვთხოვოთ, გაიხსენონ და მოყვნენ, რა არის ხოლმე კაფეში და რესტორანში, რისთვის მიდიან იქ ადამი-ანები, ვინ ემსახურება მათ. ჩამოვწეროთ დაფაზე ან ფორმატზე, რა უნდა იყოს კაფეში, რა ნივთები დასჭირდებათ ან ვინ უნდა იმუშაოს; სად უნდა დაამზადონ საჭმელები.

2. პაპიემაშეს ჭურჭელი - დავეხმაროთ ბავშებს პაპიემაშეს ჭურჭელის დამზადებაში .

4. ძველი ფოტოსურათები - წინასწარ ვთხოვოთ ბავშვებს, მოიძიონ ძველებურ ტანსაცმელში გამოწყობილი წინაპრების (დიდი პაპების/ბაბუებისა და ბებიების) ფოტოსურათები. წავახალისოთ ბავშვები, დაამზადონ მათთვის ჩარჩოები სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გამოყენებით და გააფორმონ კაფეს კედლები ამ ფოტოსურათებით. ჩარჩოს დასამზადებლად დაგვჭირდება მუყაო ან ქაღალდი. მუყაოს დავადოთ ფოტო და შემოვხაზოთ, შემდეგ გადავზომოთ 2 სმ-დან სმ-მდე (სურვილის მიხედვით) და შემოვხაზოთ სახაზავის მეშვეობით. გამოვჭრათ მუყაო გარეთა კონტურზე, გავუკეთოთ სქელი ძაფის ან თოკის საკიდი. ბავშვებს შეუძლიათ მისცენ ჩარჩოს ნებისმიერი ფორმა და გააფორმონ სასურველი მასალით - ტოტებით, ფოთლებით, გირჩებით, საქსოვი ძაფით, წვრილი სათამაშოებით და ა.შ. ჩარჩოს დასრულების შემდეგ შუაში ჩააწებებენ ფოტოს.

5. ააშენე კოშკი - დავათვალიერებინოთ ბავშვებს ქართული ხალხური არქიტექტურის ნიმუშები: დარბაზის, ოდა სახლის რაჭულიდა სვანური კოშკების ფოტოები. ვთხოვოთ, ააშენონ კუბურებით მსგავსი კონსტრუქციები (იხ. გ.ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრება, ენციკლოპედია, თბილისი, 19??)).

6. ქართული ტკბილეული - წავუკითხოთ ბავშვებს ლექსი ან მოთხრობა ჩურჩხელაზე (მაგ., გივი ჭიჭინაძის ლექსი „ჩურჩხელა“). ვთხოვოთ ბავშვებს, მოგვიყვნენ, როგორია ჩურჩხელა, რისგან ამზადებენ მას. გაიხსენონ, კიდევ რა ტკბილეულს ამზადებენ საახალწლოდ ნიგვზისგან, როგორია გოზინაყი, როგორ კეთდება.

7. ჩინური სამზარეულო - ვკითხოთ ბავშვებს, იციან თუ არა, რას ჭამენ და რა უყვართ სხვა ქვეყნებში. გავესაუბროთ მათ ჩინურ სამზარეულოს შესახებ. მოვუყვეთ და ვაჩვენოთ ენციკლოპედიდან ან ალბომიდან, როგორ საჭმელებს აკეთებენ ჩინეთში. როგორ მოჰყავთ ბრინჯი, როგორ ჭამენ. ვაჩვენოთ ჩინელების ტრადიციული ტანსაცმელი, შენობები და ინტერიერი, ავეჯი და ჭურჭელი ილუსტრირებული ენციკლოპედიიდან.

დასურათებული ატლასი

8. მარაოს დამზადება - ვაჩვენოთ ბავშვებს ჩინური მარაოების ფოტოები; ავუხსნათ და ვუჩვენოთ მათი ქაღალდისგან დამზადების ტექნოლოგია: ბავშვებმა ჯერ უნდა დახატონ ფერადოვანი ნახატები ფურცლის ორივე მხარეს, მათი გაშრობის შემდეგ კი დაკეცონ მარაოს პრინციპით და შეუკრან სახელური სკოჩის ან წებოს საშუალებით. ეს მარაოები ბავშვებმა შეიძლება გამოიყენონ რესტორნის გაფორმების და/ან ცეკვის დროს.

9. ჩინეთის დიდი კედლისა და ჩინური ტრადიციული ნაგებობების აშენება - ვაჩვენოთ ბავშვებს ჩინეთის დიდი კედლის, ასევე ჩინური ტრადიციული არქიტექტურის ნიმუშების ფოტოები. ვთხოვოთ, ააგონ მსგავსი კონსტრუქციები.

წესებიანი / მოძრავი თამაშები

1. მიზანში სროლა - შევთავაზოთ ბავშვებს, დაჭმუჭნონ ძველი გაზეთები და გააკეთონ ბურთები. ავიღოთ დიდი სათლი ან ღრმა ჯამი, რომელსაც სამიზნედ გამოვიყენებთ; ცარცით გავხაზოთ ბავშვების დგომის ადგილი. წავახალისოთ ბავშვები, რიგრიგობით ისროლონ გაზეთის ბურთები მიზანში. შესაძლებელია ბავშვების ორ ჯგუფად დაყოფაც. ამ შემთხვევაში გამარჯვებული იქნება ის გუნდი, რომელიც მეტ ბურთს ჩააგდებს ჯამში.

2. ფერადი ხაზები - ეზოში თამაშისას დავხაზოთ ფერადი ცარცით სამი სხვადასხვა ფერის გრძელი ხაზი, რომლებიც ზოგ ადგილას ერთმანეთს გადაკვეთს. შევთავაზოთ სამ ბავშვს, გაიარონ ამ ხაზებზე ისე, რომ არ გადასცდნენ მათ და გვერდი აუქციონ ერთმანეთს

ხაზიდან გადასვლის გარეშე. დარბაზში თამაშისას შეგვიძლია ფერადი სკოჩის გამოყენება.



3. მუყაოს ყუთების საძრომიალო - ამ აქტივობისათვის დაგვჭირდება დიდი ზომის ბევრი მუყაოს ყუთი. გავაკეთოთ ლაბირინთის კონსტრუქცია, რომელშიც ბავშვები გაძვრებიან. პერიოდულად შევცვალოთ გასასვლელი გზა.

4. ასოების აბლაბუდა - დარბაზში ან ეზოში გავაბათ საქსოვი ძაფები ისე, რომ ერთმანეთი გადაკვეთონ. გამოვჭრათ მუყაოსაგან საშუალო ზომის ასოები, სარეცხის სარჭის მეშვეობით დავამაგროთ ისინი არეულად ძაფებზე. წავახალისოთ ბავშვები, რიგრიგობით შეძვრნენ და იპოვონ ასო, რომელსაც წინასწარ დაასახელებენ. თამაშს შეიძლება მივცეთ ორ გუნდს შორის გამართული შეჯიბრის სახეც.

5. სიგრძეში ხტომა - დავხაზოთ ცარცით თამაშის საწყისი ადგილი. ამის შემდეგ, ყოველ 20 სანტიმეტრში, მოვნიშნოთ ახალი ხაზი და დავნომროთ ადგილი ხაზებს შორის. წავახალისოთ ბავშვები, მოაწყონ შეჯიბრი სიგრძეში ხტომაში, შეადარონ ერთმანეთის მიერ მოგროვილი ქულები.



საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. ჩაიფიქრე ჭურჭელი - ერთი ბავშვი ჩაიფიქრებს რომელიმე ჭურჭელს, მეორე ბავშვმა უნდა გამოიცნოს, რა ჭურჭელია. ამისთვის მას შეუძლია პირველ ბავშვს დაუსვას მხოლოდ ხუთი დახურული ("კი" ან "არა" პასუხით) შეკითხვა. (მაგალითად: ფაფის საჭმელად გვჭირდება? რკინისაა? თეთრია? და ა.შ.). გამოცნობის შემდეგ ჩაიფიქრებს შემდეგი ბავშვი.

2. საიდან უბერავს ქარი? - მივცეთ ბავშვებს კომპასი და ავუხსნათ, როგორ მუშაობს. ბავშვებმა უნდა განსაზღვრონ მხარეები და გააკეთონ შესაბამისი აღნიშვნები ოთახში.

3. დაითვალე ხინკლის ნაკეცები - ბავშვები დაითვლიან ნაჭრისგან დამზადებული ხინკლების ნაკეცებს და პატარა მრგვალ ბარათებზე დააწერენ შესაბამის ციფრს ჩვენი დახმარებით. შემდეგ თითოეულ ხინკალს დაადებენ შესაბამისი ციფრით აღნიშნულ ბარათს. ხინკლებს დააწყობენ ნაკეცების რაოდენობის ზრდის მიხედვით.

4. მოიგონე სასაცილო ისტორია - დავაწყვილოთ ბავშვები. შევთავაზოთ მეწყვილეებს, მოიგონონ და დახატონ სასაცილო ისტორია, მუშაობის დასრულების შემდეგ კი უამბონ მეგობრებს თავიანთი ისტორია.

5. გეომეტრიული ფორმების დახარისხება - ვთხოვოთ ბავშვებს, დაახარისხონ მუყაოსგან წინასწარ გამოჭრილი ნაირგვარი გეომეტრიული ფორმები სხვადასხვა ნიშნის (ფორმის, ფერის, კუთხეების რაოდენობს და ა.შ.) მიხედვით და ახსნან, თუ რატომ დაახარისხეს ასე.

6. როგორ წავიდე სოფელში ქალაქში? - დავყოთ ბავშვები პატარა ჯგუფებად. ვთხოვოთ, გაიხსენონ გზა, რომელიც მიდის სოფლის ან ქალაქის რომელიმე ადგილას და ყველაფერი (შეძლებისდაგვარად), რაც შეხვდებათ ამ გზაზე - მთა, ხეები, წყარო, შენობები, სხვ. შევთავაზოთ, დახატონ ეს გზა რუკის მსგავსად ან გააკეთონ აპლიკაცია.

გარდა ამისა, შეგვიძლია შევთავაზოთ ბავშვებს ,,რუკები'' (იხ. ილუსტრაცია #43), რომელზედაც ისინი იპოვიან, რომელი სახლია მითითებული ცალკე მოცემულ ნიმუშზე (პატრენზე).აღნიშნული აქტივობა ბავშვებს განუვითარებს სივრცეში ორიენტირებისა და ყურადღების კონცენტრაციის უნარებს (”მსგავსი ,,რუკების” შექმნა ჩვენც შეგვიძლია!”). როდესაც ბავშვები გაიწაფებიან, თავადაც შეუძლიათ, რომ დაუხატონ ერთმანეთს ამ ტიპის ”რუკები”.



7. ყველაზე სწრაფი ბურთი - შევთავაზოთ ბავშვებს რამდენიმე სახის ბურთი (მაგ., . ჩოგბურთის, რეზინის, ნაჭრის და ხის პატარა ზომის ბურთები). ვთხოვოთ, ”შეაჯიბრონ” ბურთები ერთმანეთს და გამოავლინონ, რომელი გორავს ყველაზე სწრაფად. ბავშვებმა უნდა ჩაინიშნონ მონაცემები (მაგ., I ადგილზეა - ჩოგბურთის ბურთი, II ადგილზე - ხის ბურთი და ა.შ.).

8. ფერების შერევა - წავახალისოთ ბავშვები, შეურიონ ფერები და ჩაინიშნონ შედეგები.

9. რომელია უფრო გრძელი? - ვთხოვოთ ბავშვებს, გაზომონ და იპოვონ ჯგუფში ყველაზე გრძელი ნივთი, ჩაინიშნონ შედეგები და შეადარონ ერთმანეთს.

პროექტები

პროექტი: სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო

1. კაფეს მოწყობა

ბავშვებთან ერთად შევცვალოთ როლური თამაშების კუთხე და მოვაწყოთ კაფეს ან რესტორნის მსგავსად; დავეხმაროთ ბავშვებს კაფეს სახელწოდების მოფიქრებასა და აბრის დამზადებაში; რამდენიმე მაგიდას გადავაფაროთ ქსოვილის გადასაფარებლები. წავახალისოთ ბავშვები, გააფორმონ და გააწყონ მაგიდები, განსაზღვრონ სამზარეულოს ადგილი და შეიტანონ შესაბამისი რეკვიზიტები.

2. ქართული სამზარეულო

ქართული სამზარეულო - ვესაუბროთ ბავშვებს ქართულ სამზარეულოზე. ვთხოვოთ გაიხსენონ, რას ამზადებენ ოჯახებში დღესასწაულებზე ან რას მიირთმევენ სტუმრად ყოფნის დროს. ვკითხოთ, უნახავთ თუ არა ფილმები, რომლებშიც ქართული სუფრა და დღესასწაულებია ნაჩვენები; როგორი გარემოა ქართული ლხინის დროს, რა კიდია კედლებზე, როგორი ავეჯია, როგორი ტანსაცმელი აცვიათ ძველ ფოტოებზე. შეგვიძლია წინასწარ მოვიძიოთ და ვაჩვენოთ მსგავსი ფოტოები.

შევთავაზოთ ბავშვებს, დაამზადონ სხვადასხვა ქართული კერძი ხელოვნების რესურსცენტრში არსებული სხვადასხვა მასალის საშუალებით. მაგ., თეთრი ქსოვილისაგან გამოჭრილი პატარა წრეებით შეიძლება მოვახვიოთ "ხინკალი", მუყაოსა და ფერადი ქაღალდისაგან გამოვჭრათ "ხაჭაპურები", ასევე "კიტრის", "პომიდვრის", "ყველის" ნაჭრები, დაჭმუჭნილი ყავისფერი ქაღალდის ჯოხებზე წამოცმით გავაკეთოთ "მწვადი" და ა.შ.

3. ქართული ტკბილეული

ბავშვებთან ერთად ამოვავლოთ ჩურჩხელები ან გავაკეთოთ ჩურჩხელების იმიტაცია პლასტილინისგან, თიხისგან ან ცომისგან. წავახალისოთ ბავშვები, გააბრტყელონ მარილიანი საძერწი ცომი და მისცენ მას გოზინაყის ფორმა, დაჭრან რომბებად ერთჯერადი დანის საშუალებით და შეღებონ საღებავით.

4. ჩინური სამზარეულო

წავახალისოთ ბავშვები, დაამზადონ ჩინური კერძების ინგრედიენტების - ბრინჯი და მოშუშული ბოსტნეულის იმიტაციური ვარიანტები, რისთვისაც შეუძლიათ გამოიყენონ ფერადი ქაღალდი, ქსოვილები და სხვა მასალები; ამას გარდა, დაამზადებენ ახალ მენიუს ჩინური კერძებისათვის, განსაზღვრავენ ფასებს.

5. ჩაის კულტურა

ჩაის კულტურა - გავახსენოთ ბავშვებს, რას სვამენ დილაობით. ვკითხოთ: უყვართ თუ არა ჩაი? იციან თუ არა, რომ ჩაის სხვადასხვა სახეობა არსებობს? რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან? იციან თუ არა, როგორი მცენარეა ჩაი (ხეა, ბუჩქი თუ ბალახი)? უნახავთ თუ არა ჩაის ბუჩქი? იციან თუ არა, როგორ კრეფენ ჩაის? როგორ მზადდება ჩაის ნაყენი? მოვუყვეთ, სად არის საქართველოში ჩაის კულტურა. მოვუყვეთ ისიც, თუ როგორ ამზადებენ ჩაის ჩინეთში, სადაც ჩაის ძალიან დიდი პლანტაციებია. ვაჩვენოთ, როგორ ამზადებენ ნაყენს.

ვთხოვოთ ბავშვებს, წინასწარ შეგროვილი ფოთლებით დაამზადონ ვითომ - ჩაი და დაასხან ჭიქებში. სხვადასხვა ჩაის ნაყენის დასამზადებლად გამოიყენონ წყალში გარეული აკვარელი ან გუაში.

28-ე კვირა

თემა: რას მიირთმევენ ადამიანები? (II კვირა)

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	იტალიური სამზარეულო	**პროექტი:** სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო - 6. იტალიური სამზარეულო **როლური თამაში:** იტალიურ რესტორანში **წესებიანი თამაში:** იტალიის ფოტოების მემო	"მერი პოპინსი" (პირველი წიგნი), მისის კორი 	მიბაძე ლიდერს	მაკარონის ასოები პიცა	იტალიური ტრადიციული ცეკვა და სიმღერა https://www.youtube.com/watch?v=CHyMh7xdk34 https://www.youtube.com/watch?v=ZlYoKt9A29E	ბავშვები მოყვებიან მათთვის სანტერესო ამბავს, რომელიც დღეს გაიგეს.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები, რესურსები	იტალიური ზღაპარი იტალიური კერძების სურათები	მასალები ხელოვნების რესურს ცენტრიდან, ფერადი ქაღალდი, საძერწი მასა, ქსოვილები და ბუნებრივი მასალები. ფოტოების წყვილები	”მერი პოპინსი: (პირველი წიგნი)		საქსოვი ძაფი, ჯამი, ბარათები სიტყვებით, ფურცლები, ფანქრები. მრგვალი მუყაოს ფორმები, ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი პიცის ინგრედიენტები. ბარათები ინგრედიენტების ჩამონათვლითა და რაოდენობებით.	მუსიკალური ცენტრი, დისკი მუსიკის ჩანაწერით	
სამშაბათი ინდივიდუალიზება	იტალიური ნაყინი	**პროექტი:** სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო - 7. იტალიური ნაყინი **როლური თამაში**: იტალიურ რესტორანში **აქტივობა**: ააშენე კოლიზეუმი	”მერი პოპინსი” (პირველი წიგნი) მთვარის გავსება 	ციგები	ააშენე ხიდი ფაფუკი ღერო	იტალიური ტრადიციული ცეკვა და სიმღერა https://www.youtube.com/watch?v=CHyMh7xdk34 https://www.youtube.com/watch?v=ZlYoKt9A29E	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	ლექსი ნაყინ-ზე, ნაყინის ფოტოები.	მასალები ხელოვ-ნების რესურს ცენტრიდან, ფე-რადი ქაღალდი, საძერწი მასა, ქსოვილები და ბუნებრივი მასა-ლები. კოლიზეუმის ფოტო, კუბურები	”მერი პოპინ-სი” (პირვე-ლი წიგნი)	სარეცხი კალა-თა, თოკი ან სახტუნაო.	კუბურები, ხიდე-ბის ან თაღების ფოტოები. ფაფუკი ღეროები ან თასმები, ფე-რადი დიდი ზო-მის მძივები.	მუსიკალური ცენტ-რი, დისკი მუსიკის ჩანაწერით	ბავშვები წარმოად-გენენ აშენებულ ნაგებობებს, მოყ-ვებიან რა გაიჭირ-დათ.
ოთხშაბათი ინდივიდუ-ალიზება	მექსიკური სამ-ზარეულო	**პროექტი:** სხვა-დასხვა ქვეყნის სამზარეულო - 8. მექსიკური სამ-ზარეულო **როლური თამაში:** მექსიკურ რესტო-რანში **აქტივობა**: სომბ-რეროს დამზადე-ბა /ფრიალა კა-ბის დამზადება	”მერი პოპინ-სი” (პირვე-ლი წიგნი) დასავლეთის ქარი 	ჰულაჰუპი	სიმეტრიული ფორმები შედარება	მექსიკური ტრადი-ციული ცეკვა და სიმღერა https://www.youtube.com/watch?v=sTT3W_GziwQ	ბავშვები წარმოად-გენენ სიმეტრიულ ფორმებს. მოყვე-ბიან პროცესზე.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	მექსიკური ზღაპარი, ალბომი მექსიკური სამზარეულოს შესახებ	მასალები ხელოვნების რესურს ცენტრიდან, ფერადი ქაღალდი, საძერწი მასა, ქსოვილები და ბუნებრივი მასალები. მექსიკური სამზარეულოს ალბომი. ერთჯერადი ჭიქები და თეფშები, სტეპლერი, სკოჩი, საღებავები. წინასწარ შეკერილი ბზრიალა ქვედაბოლოები. ქსოვილებისგან გამოჭრილი ყვავილები.	”მერი პოპინსი” (პირველი წიგნი)	სატრიალო რგოლი.	ფერადი ქაღალდისაგან გამოჭრილი სხვადასახვა ფორმა.	მუსიკალური ცენტრი, დისკი მუსიკის ჩანაწერით	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	კაკაო მექსიკიდან	**პროექტი:** სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო - 9. შოკოლადი **როლური თამაში**: მექსიკურ რესტორანში **აქტივობა: მექსიკური** ქაღალდის ბურთები.	დარენ კინგის "თაგვისცხვირიანი ბუტერბროდები" 	მიწვდი ვარსკვლავებს	რა იხსნება წყალში და რა არა. ასო “”კ””	მექსიკური ტრადიციული ცეკვა და სიმღერა https://www.youtube.com/watch?v=sTT3W_GziwQ	ბავშვები წარმოადგენენ აქტივობების შედეგებს. მოყვებიან პროცესზე.
მასალები/ რესურსები	ენციკლოპედია, ინფორმაცია კაკაოს მოპოვებიდა და დამზადების შესახებ.	მასალები ხელოვნების რესურს ცენტრიდან, ფერადი ქაღალდი, საძერწი მასა, ქსოვილები და ბუნებრივი მასალები. თხელი ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, მავთული ან თოკი.	დარენ კინგი თაგვისცხვირიანი ბუტერბროდები	გამოჭრილი ქაღალდის ვარსკვლავები, ძაფები.	პლასტმასის პატარა ბოთლები, წყალი, ფქვილი, კაკაო, შაქარი, მარილი, სოდა, სიმინდის ფქვილი, საჭმელი საღებავის ფხვნილი, ფურცელი, ფანქრები.	მუსიკალური ცენტრი, დისკი მუსიკის ჩანაწერით	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივიდუალიზება	ფრანგული პურ-ფუნთუშეული	**პროექტი:** სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო - 9. ფრანგული ტკბილეული /საფუნთუშე **აქტივობა:** მზარეულის ჩაჩისა და წინსაფრის დამზადება. **როლური თამაში**: კაფეტერიაში	დარენ კინგი, თაგვისცხვირიანი ბუტერბროდები 	”მიიტანე კვერცხი”	”იყიდე ფუნთუშა”, ”გაანაწილე ყუთებში”	ფრანგული ტრადიციული მუსიკა და ცეკვა https://www.youtube.com/watch?v=_czMjd6aRgE https://www.youtube.com/watch?v=-4D0aV5eggo&list=PL285627DB02B59D79	ბავშვები შეაჯამებენ კვირას, მოყვებიან ს საინტერესო ამბებს, რომლებიც გადახდათ ამ კვირას.
მასალები და რესურსები	პურისა და ფუნთუშეულის სხვადასხვა სახეობის ფოტოები.	მასალები ხელოვნების რესურს ცენტრიდან, ფერადი ქაღალდი, საძერწი მასა, ქსოვილები და ბუნებრივი მასალები. თეთრი ფორმატის ქარალდი, თეთრი ქსოვილი ან თხელი კალკის ქარალდი, სკოჩი, სტეპლერი.	თაგვისცხვირიანი ბუტერბროდები დარენ კინგი	ორი სუფრის კოვზი და პლასტმასის კვერცხი.	ბარათები ფუნთუშების გამოსახულებითა და ფასებით, დამზადებული სათამაშო ფული. პატარა ზომის კოლოფები, ფურცლისგან გამოჭრილი ორცხობილას ფორმები.	მუსიკალური ცენტრი, დისკი მუსიკის ჩანაწერით	

საქმიანობათა ინსტრუქციები

აქტივობები

იტალიური სამზარეულო

1. წავუკითხოთ ბავშვებს რაიმე იტალიური ზღაპარი, ვუთხრათ, რომ მათი საყვარელი კერძები, პიცა და სპაგეტი, იტალიური კერძებია. ვუჩვენოთ მათი სურათები (იტალიური ზღაპრები შეგვიძლია წავუკითხოთ სერიიდან „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები“).

2. **ააშენე კოლიზეუმი -** ბავშვებს ვაჩვენოთ რომის კოლიზეუმის შენობის ფოტო ან ნახატი და შევთავაზოთ, ააშენონ მსგავსი კონსტრუქცია კუბურებით. ბავშვებს შეუძლიათ ”გააცოცხლონ” ნაგებობა პატარა სათამაშო ფიგურებით.

3. **იტალიური ნაყინი**

ვისაუბროთ ბავშვებისათვის საყვარელ ნაყინზე, შევადგინოთ დაფაზე ცხრილი რომელზეც აღვნიშნავთ, ვის რომელი ნაყინი უყვარს. გვითხრან, იციან თუ არა, რისგან და როგორ აკეთებენ ნაყინს, დავათვალიერებინოთ სურათები ენციკლოპედი-

იდან. მოვუყვეთ ბავშვებს იტალიური ნაყინის შესახებ და ვუჩვენოთ ფოტოები.

4. მექსიკური რესტორანი

წავუკითხოთ ბავშვებს მექსიკური ზღაპარი სერიიდან „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები“, ვაჩვენოთ და მოვუყვეთ მექსიკაზე - როგორი დროშა აქვთ, როგორი ტანსაცმელი აცვიათ, როგორია მათი საჭმელი. ვაჩვენოთ შესაბამისი სურათები ენციკლოპედიიდან.

5. **კაკაო მექსიკიდან -** ვკითხოთ ბავშვებს, უყვართ თუ არა შოკოლადი, იციან თუ არა, რისგან მზადდება იგი. მოვიძიოთ და წავუკითხოთ ბავშვებს პატარა ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება კაკაოს მარცვლები. როგორ ამზადებენ მისგან შოკოლადს. მოვუყვეთ, რომ თურმე კაკაო ხეზე იზრდება. იცით, სად? - საკმაოდ შორს, ამერიკაში. კაკაოს ნაყოფს შიგნით აქვს პატარა მარცვლები, რომლებსაც ადამიანები აგროვებენ, შემდეგ მზეზე აშრობენ, ბოლოს ყავასავით ფქვავენ და მისგან უგემრიელეს შოკოლადსა და კაკაოს ამზადებენ. ვაჩვენოთ ბავშვებს კაკაოს ნაყოფის ფოტო. ვკითხოთ, თუ გვაგონებს რომელიმე სხვა ნაყოფს? შეგვიძლია ვთხოვოთ ბავშვებს, მოიფიქრონ ამბავი -,,მე რომ კაკაოს ხე მქონდეს ეზოში... ‘’

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგვიძლია ვესტუმროთ ვებგვერდს:
http://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102005208

6. **სომბრეროს დამზადება -** სომბრეროს დასამზადებლად დაგვჭირდება ერთჯერადი ჭიქა და თეფში. წავახალისოთ ბავშვები, დაამაგრონ ჭიქა თეფშზე და მოხატონ ფერადი გეომეტრიული ორნამენტებით, დავეხმაროთ რეზინების დამაგრებაში. ასეთი ქუდის დამზადება შეიძლება ასევე პაპიემაშეს ტექნოლოგიით.

7. **ფრიალა კაბის დამზადება -** რამდენიმე ფრიალა კაბის დასამზადებლად დაგვჭირდება ქსოვილი, რომელსაც ირიბად ავჭრით და წინასწარ ჩავკერავთ გვერდებზე. შევთავაზოთ ბავშვებს, გააფორმონ ქსოვილი ქაღალდის ან ნაჭრის აპლიკაციებით. ქსოვილი შეუძლიათ მოიხვიონ მხრებზე, თავსამაგრებზე კი დავამაგროთ ქაღალდისგან დამზადებული ყვავილები.



8. **მექსიკური ქაღალდის ბურთები -** თხელი ფერადი ქაღალდის რამდენიმე ფენა გადავკეცოთ მარაოსავით და მოვუმრგვალოთ ბოლოები. შემდეგ ავიღოთ თოკი ან მავთული და შევკრათ შუაში, გავშალოთ ქაღალდის გვერდები და მივცეთ ბურთის ფორმა.

http://www.academichic.com/2009/05/26/how-to-make-tissue-paper-flowers/



9. **ფრანგული პურ-ფუნთუშეული**

წავუკითხოთ ბავშვებს რაიმე მოთხრობა ან ზღაპარი პურ-ფუნთუშეულის ცხობაზე. ვკითხოთ: იციან თუ არა, როგორ ცხვება ცომი? უნახავთ თუ არა პურის ცხობის პროცესი? მოვუყვეთ და ვაჩვენოთ ბავშვებს პურისა და გამომცხვარი ცომეულის სხვადასხვა სახობაზე. ვკითხოთ, პურის რომელი სახეობა უყვართ? ვაჩვენოთ ფრანგული პურის სახეობებისა და საცხობების ფოტოები ენციკლოპედიიდან.

10. **მზარეულის ჩაჩისა და წინსაფრის დამზადება -** გავიხსენოთ, როგორ მზადდება მზარეულის ქუდი. მზარეულის ჩაჩის დასამზადებლად ბავშვებს უნდა ვთხოვოთ, გამოჭრან გრძელი და ფართო ქაღალდის ზოლი. ცალკე, თხელი ქაღალდის ერთი მხარეს, გაუკეთონ პატარ-პატარა შეკეცვები და დაამაგრონ სტეპლერით. ამის შემდეგ დავეხმაროთ ბავშვებს, რომ თხელი ქაღალდი მიამაგრონ სქელი ქაღალდის ზოლს წებო ემულსიის ან სკოჩის დახმარებით, შუა ნაწილი კი შეკრან შიგნიდან წებოს ან ძაფის მეშვეობით.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის შეგვიძლია ვეწვიოთ შემდეგ მისამართს:

http://www.andersruff.com/custom-printable-parties/birthday-parties/paper-chef-hat/

წესებიანი/მოძრავი თამაშები

1. **იტალიის ფოტოების მემო -** შევთავაზოთ ბავშვებს, დახატონ ან გამოჭრან ჟურნალებიდან რამდენიმე იტალიური კერძის, ნაგებობის ან სხვა ფოტოების წყვილები, დაამზადონ მემოს ბარათები და ითამაშონ.

2. **მიბაძე ლიდერს -** ყველა ბავშვი მორიგეობით, ერთი წუთის განმავლობაში, იქნება ლიდერი. ლიდერი აკეთებს მოძრაობას, რომელსაც სხვები იმეორებენ. მარტივი მოძრაობების შემდეგ ბავშვებმა შეიძლება შეასრულონ რთული დავალებებიც. წავახალისოთ ბავშვები, წარმოიდგინონ, რომ მოძრაობენ ყინულზე, ძალიან ცხელ ზედაპირზე, ეკლებიან ბალახზე, ეფლობიან ჭაობში და ა.შ.

3. **ციგები -** შევთავაზოთ ბავშვებს დიდი ზომის პლასტმასის ან ხის სარეცხი კალათები, გამოვაბათ სახტუნაო ან სქელი თოკი. ერთი ბავშვი ჯდება კალათაში, მეორე ექაჩება სახტუნაოთი, მესამე კი აწვება კალათს. გამარჯვებულია ის, ვინც უფრო სწრაფად მიაცურებს "ციგას" ფინიშამდე.

4. **ჰულაჰუპი -** ამ თამაშისათვის დაგვჭირდება ფერადი სატრიალო წრეები. დავაწყოთ წრეები იატაკზე. წამყვანი ხმამაღლა ასახლებს ფერს, ბავშვებმა უნდა იპოვონ შესაბამისი ფერის წრეები და ჩადგნენ შიგნით. ვინც ვერ ჩაეტევა ან ვერ იპოვის შესაბამის წრეს, დროებით ტოვებს თამაშს.

5. **მიწვდი ვარსკვლავებს -** წინასწარ გამოვჭრათ ფერადი ქაღალდებისგან ვარსკვლავები, ჩამოვკიდოთ ძაფებით ხეზე ან ჭერზე საკმაოდ მაღლა. ბავშვები რიგრიგობით უნდა ახტნენ და მოწყვიტონ თითო ვარსკვლავი თითო ცდაზე. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც მეტ ვარსკვლავს დააგროვებს.

6. **მიიტანე კვერცხი -** დაგვჭირდება ორი სუფრის კოვზი და ორი პლასტმასის ან ხის კვერცხი. ბავშვები დაიყოფიან ორ გუნდად და ეჯიბრებიან ერთმანეთს, რომელი უფრო სწრაფად მიიტანს კოვზით კვერცხს დათქმულ ადგილამდე. ის მოთამაშე, რომელიც მოასწრებს მეორეს, მიიღებს ერთ ქულას. კვერცხის დავარდნის შემთხვევაში გუნდს აკლდება ერთი ქულა. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **მაკარონის ასოები -** შევთავაზოთ ბავშვებს ჯამში ჩაყრილი თეთრი საქსოვი ძაფები - "მაკარონები". ძაფებთან ერთად ჩავდოთ რამდენიმე მოკლე სიტყვა, დაკავშირებული საჭმლის თემასთან. ბავშვებმა უნდა ამოირჩიონ სიტყვა, რომელსაც ააწყობენ "მაკარონებით", ანუ მისცემენ ძაფებს ასოების ფორმას. აწყობილი სიტყვა ბავშვებს შეუძლიათ გადაიწერონ ფურცელზე.

2. **პიცა** - ბავშვებს შევთავაზოთ პატარა მუყაოს მრგვალი ფორმები და მზა ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი "ინგრედიენტები"; მივცეთ გამოსაყენებელი ინგრედიენტების წინასწარ გამზადებული ჩამონათვალი, მაგ., ოთხი პომიდორი, სამი ყველის ნაჭერი, ხუთი სოკო და ა.შ. (ყველა ჯგუფს განსხვავებული რაოდენობებით). ბავშვებმა "პიცის" დამზადებისას უნდა გამოიყენონ "ინგრედიენტების" მითითებული რაოდენობა.

3. **ააშენე ხიდი -** ვაჩვენოთ ბავშვებს ხიდების სურათები; შევთავაზოთ კუბურები ან პატარა ზომის მუყაოს ყუთები და ვთხოვოთ ხიდის აშენება.

4. **მძივების თანამიმდევრობა -** შევთავაზოთ ბავშვებს „ფაფუკი ღეროები", რომლებზედაც მათ უნდა ააცვან მძივები სხვადასხვა თანამიმდევრობით.

5. **სიმეტრიული ფორმები -** დავურიგოთ ბავშვებს ქაღალდებისგან წინასწარ გამოჭრილი სხვადასხვანაირი გეომეტრიული ფორმები. ვთხოვოთ, დაახარისხონ ისინი სიმეტრიულ და არასიმეტრიულ ფორმებად. ვაჩვენოთ ბავშვებს, როგორ უნდა გაკეცონ ფორმა, რათა გაარკვიონ, სიმეტრიულია თუ არა იგი.

6. **იყიდე ფუნთუშა -** დავურიგოთ ბავშვებს ბარათები, რომლებზეც ხატია სხვადასხვა სახის ფუნთუშები და აწერია ფასები; დავურიგოთ ყველას თანაბარი რაოდენობის სათამაშო ფული. ბავშვებმა ერთმანეთისგან რიგრიგობით უნდა იყიდონ სასურველი ფუნთუშები მითითებულ ფასად. ფუნთუშებიანი ბარათების დამზადება თავადაც შეუძლიათ.

7. **გაანაწილე ყუთებში -** დავურიგოთ ბავშვებს წინასწარ გამზადებული რამდენიმე მუყაოს ყუთი, პატარა ფიგურები ან რაიმე ფორმები. ბავშვებმა თანაბრად უნდა გაანაწილონ მიცემული რაოდენობა ყუთებში.

8. **რა იხსნება წყალში და რა არა -** შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა უსაფრთხო მასალა: კაკაო, შაქარი, მარილი, ფქვილი, სოდა, სიმინდის ფქვილი, საკვები საღებავის ფხვნილი. ვთხოვოთ, ჩაასხან პატარა პლასტმასის ბოთლებში ცოტა წყალი და ძაბრის მეშვეობით ჩაყარონ სხვადასხვა ფხვნილი, დაახურონ თავზე, შეანჯღრიონ და დააკვირდნენ, როგორ შეიცვალა ფხვნილი და წყალი, ჩაინიშნონ შედეგები.

პროექტები

პროექტი: სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო

6. იტალიური სამზარეულო

წავახალისოთ ბავშვები, დაამზადონ "პიცა" მარილიანი ცომისა და პლასტილინისგან, ასევე სხვადასხვა სახის "მაკარონი", "სალათის ფოთლები" და "სოუსი" - ქსოვილისგან ან ფერადი ქაღალდებისგან, "ზეთისხილი" - პლასტილინისგან.

დამატებითი იდეებისთვის შეგვიძლია ვეწვიოთ შემდეგ ვებგვერდებს:

http://www.filthwizardry.com/2009/02/cardboard-pizza-making.html

http://mrsbremersk.blogspot.ca/2012/05/spaghetti-meatball-spelling-more.html

http://blog.melissaanddoug.com/2013/03/29/encourage-healthy-eating-with-a-kids-restaurant/

7. იტალიური ნაყინი

დავეხმაროთ ბავშვებს, დაამზადონ ფერადი მარილიანი ცომი (შესაძლებელია გამოიყენონ პლასტილინიც) და "ნაყინის ვაფლები" სქელი ქაღალდისგან. "ნაყინის" გასაფორმებლად კი შეუძლიათ გაამზადონ

წვრილად დაჭრილი ფერადი ქაღალდი, საღებავის "სოუსი" და ა.შ

http://www.learning4kids.net/2014/04/09/neapolitan-ice-cream-play-dough-fun/

1. **მექსიკური სამზარეულო**

დავათვალიერებინოთ ბავშვებს ალბომი "მსოფლიო კულინარია: მექ-სიკური სამზარეულო". ვკითხოთ, რომელი კერძის ილუსტრაცია მო-ეწონათ ყველაზე მეტად. წავუკითხოთ, რისგან მზადდება იგი და შევ-თავაზოთ, რომ ხელოვნების რესურსცენტრის მასალების საშუალებით დაამზადონ რომელიმე "კერძი".

a

2. **შოკოლადი**

შევთავაზოთ ბავშვებს, დაამზადონ ყავისფერი პლასტილინისაგან "შოკოლადის" სხვადასხვა ნაწარმი - ფილები, კამფეტები, ნამცხვრები და ა.შ.

3. ფრანგული პურ-ფუნთუშეული

წავახალისოთ ბავშვები, დაამზადონ სხვადასხვა სახის "პურ-ფუნთუშეული" ცომის (ან პლასტილინის) საშუალებით. ბავშვებმა უნდა გააფორმონ ისინი, შეადგინონ მენიუ და მოაწყონ ნამცხვრების კაფეტერია.

მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება

იტალიური ტრადიციული ცეკვა და სიმღერა

მოვასმენინოთ ბავშვებს ტრადიციული იტალიური მუსიკა და წავახალისოთ, იცეკვონ თავისუფლად მუსიკაზე. შესაძლებლობის შემთხვევაში ვაჩვენოთ იტალიური ხალხური ცეკვა და შევთავაზოთ, რომ გაიმეორონ მოძრაობები.

29-ე კვირა

თემა : მე სკოლაში მივდივარ (I კვირა)

თემა ორი კვირის განმავლობაში გრძელდება. იგი მიზნად ისახავს სასკოლო გარემოს გაცნობას.

თემის მიმდინარეობისას ბავშვები ისაუბრებენ და გააანალიზებენ, თუ რის სწავლას ისურვებენ სკოლაში; გაეცნობიან სკოლაში მოქმედ წესებს; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მნიშვნელობას; მოგვიყვებიან, როგორ წარმოუდგენიათ პირველი დღე სკოლაში, რა კითხვები აქვთ სკოლის შესახებ. ბავშვებთან ერთად დავათვალიერებთ ახლომდებარე სკოლას, გავესაუბრებით სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებელს; ვისაუბრებთ, რა ნახეს, რა ისწავლეს, რა მოეწონათ.

თემაზე მუშაობისას ბავშვებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებს; დააკვირდნენ და იპოვონ მსგავსება-განსხვავება სკოლასა და ბაღს შორის; გაითამაშონ „სკოლობანა".

თემის განმავლობაში განხილული საკითხები და განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს ბავშვების ფიზიკურ განვითარებას, ასევე კრიტიკული, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი აზროვნების, თვითშეფასების, თვითმართვის, თვითგამოხატვისა და მეტყველების უნარების სრულყოფას.

I კვირა

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	**საუბარი სკოლაზე** **ვიზიტი სკოლაში**	**აქტივობა:** იპოვე მსგავსება და განსხვავება“ **აქტივობა:** დავითვალოთ და ავაგოთ გრაფიკი” **აქტივობა:** მოიძიე და დაითვალე **როლური თამაში:** „სკოლობანა“.	„დედიკოს ვფიცავარ“ (ნ. დუმბაძე)	თამაში: „მოახვედრე მიზანში“	**წესებიანი თამაში:** იპოვე შენი საკლასო ოთახი **თამაში:** დავითვალოთ და ვიანგარიშოთ	მოვუსმინოთ სიმღერას „თუ, თუ, თუ“ (ნატო მეტონიძე) https://www.youtube.com/watch?v=P9YfsLfNz2Q	რომელი აქტივობა იყო თქვენთვის ყველაზე სახალისო და რით იყო ის გამორჩეული?
მასალები/ რსურსები		საკლასო ოთახის ორი განსხვავებული სურათი, ლექსი „სპილო“	წიგნი	სამიზნე, ბურთი	სურათი „ლაბირინთი“,	სიმღერის ჩანაწერი	
სამშაბათი ინდივიდუალიზება	**ჯგუფის წესები. წესები, რომლებიც მნიშვნელოვანია ბაღში და წესები სასკოლო გარემოში**	**აქტივობა:** მომისმინე **წესებიანი თამაში:** ვალაგებთ მუსიკის დასრულებამდე **აქტივობა:** ჯაშუში	“ტოპო-ტიპი დაიკოს უვლის“; „მანანა და ლალი“ (ნ. დუმბაძე) „ჯიუტი თხები“	მოძრავი თამაში: მხიარული მატარებელი	**აქტივობა:** „დახატე“ **აქტივობა**: იდუმალი ყუთი.	მოუსმინეთ სიმღერის ჩანაწერს ჯგუფის არჩევანით	შევაჯამოთ, ვინ ვის დაეხმარა დღეს? რა არ გამოგივიდათ?

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცი-რე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
		აქტივობა: პატივს ვცემთ ერთმა-ნეთს **აქტივობა:** ვაშე-ნებთ კოშკს **აქტივობა:** ვეძებთ ჟურნალ გაზე-თებში					
მასალები/ რესურსები		კუბურები, ლეგო, ძველი ჟურნალ-გაზეთები	წიგნი	თოკი	დიდი ფორმატის ფურ-ცელი, ფლომასტერები/ ფანქრები	სიმღერის ჩანაწერი	
ოთხშაბათი **სპორტული დარბაზი** ინდივიდუ-ალიზება	**სკოლის ეზო და სპორტული დარბაზი.**	**აქტივობა:** და-უკავშირე ერთ-მანეთს **აქტივობა:** მო-იფიქრე სპორტის სახეობები **აქტივობა:** იპოვე მსგავსება და გან-სხვავება	„ოთხი სურ-ვილი“ (ი. გოგებაშ-ვილი, ქრეს-თომატია გვ. 249)	წავახალი-სოთ გა-იმეორონ დარბაზში და ნანახი ვარჯიშები	**აქტივობა:** კალათ-ბურთის ფარი **აქტივობა:** ფეხბურ-თის ბურთი **აქტივობა:** ლაბირინ-თი	მოუსმინეთ სიმღე-რას „გამარჯვება, ბიჭებო»	ჰკითხეთ, თუ გააკეთეს ისე-თი რამ, რისი გაკეთების სურ-ვილიც კიდევ აქვთ.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რსურსები		სპორტული მოედნების და სპორტის სახეობების ამსახველი სურათები შესაბამისი წარწერებით.	წიგნი		ფურცლები, ფანქრები/ფლომასტერები, ერთჯერადი ჭიქები	სიმღერის ჩანაწერი	
ხუთშაბათი **საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები** ინდივიდუალიზება	**საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები**	**აქტივობა:** ,,დახატე დიდი და პატარა ფიგურა'' **წესებიანი თამაში:** როგორია მართვე?	რედიარდ კიპლინგის „როგორ გაუჩნდა სპილოს ხორთუმი“ 	მოძრავი თამაში: ბურთის ტარება	4 ცალი ერთნაირი „ხელოვნება კენჭებით“	„მატყუარა ჩიტი“ (თამარ ვაშაკიძე)	რა ისწავლეთ ისეთი, რაც ყველაზე ძალიან მოგეწონათ?
მასალები/ რსურსები		ფურცელი, ფლომასტერები/ ფანქრები. რბილი ბურთი	წიგნი	ბურთი	ბარათები სხვადასხვა ზომის გეომეტრიული ფიგურებით; მუყაოს ფურცლები, ცარცი, კენჭები.	სიმღერის ჩანაწერი	

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცი-რე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივიდუ-ალიზება	**მიმართულების აღმნიშვნელი საპირისპირო სიტყვები.**	**აქტივობა:** მარჯ-ვენა, მარცხენა- 1 **აქტივობა:** მარჯ-ვენა და მარცხენა - 2 **აქტივობა:** გრაფი-კული კარნახი **აქტივობა:** იპოვე ფიგურები, შექმე-ნი ნახატი **პროექტი**: კოშკი და ციხე-სიმაგრე	რედიარდ კიპლინგის „როგორ გაუჩნდა სპილოს ხორთუმი“	მოძრავი თამაში: ვინ უფრო ზუს-ტად ან ჩვენ მიერ მოგონილი სიარული	გეომეტრიული კარ-ნახი. აქტივობა- ,,ააგე მაღალი კოშკი''	”მზე მე მგავს” https://www.youtube.com/watch?v=x30g44XWfss	*რეფლექსია:* რისი გაკეთება შეგიძლიათ ახლა, რასაც ადრე ვერ აკე-თებდით?
		უჯრედებიანი რვეული; გამოჭრილი გე-ომეტრიული ფი-გურები კუბები, ფერადი ფურცლები, წე-ბოვანი ლენტები.	წიგნი რედიარდ კიპლინგის „როგორ გაუჩნდა სპილოს ხორთუმი“		თაბახის ფურცლები გეომეტრიული ფი-გურების გამოსახუ-ლებით ერთჯერადი ჭიქები, კენჭები.	სიმღერის ჩანაწერი	

საქმიანობათა ინსტრუქციები

პირველი შეხვედრა წრეში

1. **საუბარი სკოლაზე -** ვთხოვოთ ბავშვებს, გვიამბონ, რა იციან სკოლის შესახებ. ჩამოთვალონ საკლასო ოთახთან დაკავშირებული საგნები. გავარკვიოთ, რა იციან უფროსი და-ძმების სასკოლო გამოცდილების შესახებ; ვკითხოთ, უნდათ თუ არა სკოლაში წასვლა და რატომ.

2. **ჯგუფის წესები: წესები, რომლებიც მნიშვნელოვანია ბაღში და წესები სასკოლო გარემოში -** ისაუბრეთ, რა მნიშვნელობა აქვს, ზოგადად, წესების დაცვას; რა მსგავსება და განსხვავებაა მათ ჯგუფში არსებულ წესებსა და იმ წესებს შორის, რომლებიც მნიშვნელოვანია სკოლაში სწავლისას.

3. **სკოლის ეზო და სპორტული დარბაზი -** ვთხოვოთ ბავშვებს, აღწერონ სკოლის ეზო. ვკითხოთ: რას ვხვდებით სკოლის ეზოში? ყოფილან/უნახავთ თუ არა სპორტული დარბაზი? დავათვალიერებინოთ სკოლის სპორტული დარბაზი; შემდეგ კი გვიამბონ/აღწერონ, რა ნახეს.

4. **საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები -** ვკითხოთ ბავშვებს, რას ნიშნავს, მათი აზრით, საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები? ვახსენებთ, რომ ეს შეიძლება იყოს მაღალი და .... დავუცადოთ ბავშვებს, სანამ თავად გვეტყვიან საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვას. ამის შემდეგ კი ვუთხრათ, რომ ჩვენ ბურთით ვითამაშებთ და უნდა გავიხსენოთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები. მაგ., შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი სიტყვები: დიდი - პატარა; მაღალი- დაბალი; მსუქანი - გამხდარი; ზემოთ - ქვემოთ; მსუბუქი - მძიმე და ა.შ.

5. **მიმართულების აღმნიშვნელი საპირისპირო სიტყვები -** ვუთხრათ ბავშვებს, რომ დღეს კვლავ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებით ვითამაშებთ, თანაც, იმ სიტყვებით, რომლებიც მიმართულებას აღნიშნავს, მაგ., მაღლა - დაბლა, მარჯვნივ-მარცხნივ, წინ -უკან და ა.შ.

აქტივობები

1. **იპოვე მსგავსება და განსხვავება** - შევთავაზოთ ბავშვებს სამი განსხვავებული საკლასო ოთახის სურათი და ვთხოვოთ, იპოვონ მათ შორის განსხვავება და მსგავსება. შევთავაზოთ აღწერონ, რა ხდება სურათებზე. ვთხოვოთ, დააკვირდნენ სურათებს და დაასახელონ საკლასო ოთახისათვის აუცილებელი საგნები.

2. **დავითვალოთ და ავაგოთ გრაფიკი -** წავახალისოთ ბავშვები, დათვალონ მათი შენობის სართულები, ოთახის ფანჯრები, კარადების, მაგიდების, სხვ. რაოდენობა ოთახში. გრაფიკის ასაგებად ბავშვების მცირე ჯგუფები თვითონ აირჩევენ, თუ რისი დახატვა სურთ დათვლილი საგნებიდან (უნდა დახატონ შენობა იმდენი სართულით,

3. იმდენი ფანჯარა, დაფა და კარადა, რამდენიც დაითვალეს). შემდეგ ბავშვები ამოჭრიან ამ ნახატებს და ააგებენ გრაფიკს. დიდი ზომის

გრაფიკი შესაძლებელია გაკეთდეს იატაკზე, დიდი ნაჭრის გამოყენებით; პატარა ზომის გრაფიკის მომზადება კი შეიძლება მაგიდაზე, ქაღალდის გამოყენებით.

4. **მოიძიე და დაითვალე სიტყვები -** დავურიგოთ ბავშვებს ამობეჭდილი ლექსი „სპილო“. ვთხოვოთ, შემოხაზონ ლექსის ტექსტში ჯერ სიტყვა ,,სპილო'', შემდეგ კი ყველა „ს“ ასო. იმავე აქტივობის შესრულება შეგვიძლია სხვა ასოებსა და სიტყვებზე.

სპილო

კითხვა ძალზე ადვილია,
პასუხი კი – ძნელი,
რატომ დადის დიდი სპილო
მუდამ ფეხშიშველი?
ასე ხსნიან პატარები
ამ უბრალო ამბავს:
მისი ზომის ფეხსაცმელი
ვერ იშოვა ალაბათ!

5. **მომისმინე -** ვთხოვოთ ორ ბავშვს, ერთდროულად უამბონ ერთმანეთს რაიმე მოკლე ისტორია. დასრულების შემდეგ თითოეულს ვკითხოთ, რა გაიგო მეგობრის მონათხრობიდან. აღმოჩნდება, რომ მათ აზრი ვერ გამოიტანეს ერთმანეთის ნაამბობიდან. შედეგად შევთანხმდებით, რომ ვისაუბრებთ რიგრიგობით და მოვუსმენთ ერთმანეთს. დავეხმაროთ ბავშვებს, გააცნობიერონ წესების მნიშვნელობა. **ჯგუფის პირველი წესი - მოვუსმინოთ ერთანეთს, ვსაუბრობთ რიგითობის დაცვით).**

6. **ჯაშუში** - დღის ბოლოს ვთხოვოთ ბავშვებს, რომ ყურადღებით დაათვალიერონ ოთახი; შეეცადონ, იპოვონ დაულაგებელი ნივთები და ადგილები. თამაშ ,,ჯაშუშის'' გამარჯვებულად დავასახელოთ და დავაჯილდოვოთ ის, ვინც აღმოაჩენს ასეთ ნივთებსა და ადგილებს. **ჯგუფის მეორე წესი - „ვუფრთხილდებით ნივთებს“** (ვალაგებთ, ვინახავთ, ვასუფთავებთ)

7. **პატივს ვცემთ ერთმანეთს** - ვთხოვოთ ბავშვებს, გაითამაშონ სცენა, თუ როგორ მიმართავენ თავის მეგობრებს, როდესაც სურთ მათი საყვარელი სათამაშოების, ნივთების თხოვება მათგან; როდესაც სურთ მათთან ერთად თამაში; როდესაც არასწორად იქცევიან. გაიხსენონ, რა სიტყვებით გამოვხატავთ პატივისცემას (გმადლობთ, თუ შეიძლება, ბოდიში, მაპატიეთ); ისაუბრონ იმაზე, თუ რა არის პატივისცემის საპირისპირო ქმედება (უხეშობა, დაცინვა, ჭორაობა, იგნორირება). **ჯგუფის მესამე წესი - „პატივს ვცემთ ერთმანეთს“**

8. **ვაშენებთ კოშკს -** ვთხოვოთ ბავშვებს, ააშენონ კოშკი კუბურების (ან ლეგოს) გამოყენებით. წავახალისოთ, რომ თითოეულმა მათგანმა რიგის დაცვით დააწყოს თითო კუბურა (ლეგო); ასევე ვთხოვოთ ბავშვებს, რომ დათვალონ, ვინ რამდენი კუბურა დადო.

9. **ვხატავთ წრეს -** დავურიგოთ ბავშვებს სხვადასხვა ფერის ფანქრები და მივცეთ საშუალება, რომ ფურცელზე შემოხაზონ და გააფერადონ სხვადასხვა ფერის წრე (რიგითობის დაცვით). შეგვიძლია დავათვლევინოთ წრეების რაოდენობა.

10. **ვეძებთ ჟურნალ-გაზეთებში** - წინასწარ მოვამზადოთ ძველი ჟურნალები, რომლებშიც იქნება სხვადასხვა ფერის ფიგურები ან სათამაშოები. ვთხოვოთ ბავშვებს, ამოჭრან ისინი და რიგის დაცვით დააწებონ წინასწარ მომზადებულ დიდი ზომის ფურცელზე. ავუხსნათ, რომ დავალების სწორად შესასრულებლად მნიშვნელოვანია რიგის დაცვა. **ჯგუფის მეოთხე წესი - ვიცავთ რიგს.**

11. **დაუკავშირე ერთმანეთს** - შევთავაზოთ ბავშვებს სპორტის სხვადასხვა სახეობის ამსახველი ფოტოები ან ნახატები, გავესაუბროთ ამ სახეობების შესახებ; მოვუმზადოთ ასევე წარწერები სპორტის სახეობების დასახელებით, წავიკითხოთ წარწერები და ვთხოვოთ, დააკავშირონ ნახატები შესაბამის წარწერებთან. საჭიროების შემთხვევაში დავეხმაროთ მიმართულების მიმცემი კითხვებით. ასევე შესაძლებელია დავითვალოთ და შევადაროთ ერთმანეთს ასოების რაოდენობა წარწერებზე (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჰოკეი). შევთავაზოთ, რომ გააფერადონ წარწერებში ასოთა მოხაზულობა.

12. **მოიფიქრე სპორტის სახეობები -** ვდგებით წრეზე. ვესვრით ბურთს რომელიმე ბავშვს. ბურთის მიმღებმა უნდა მოიფიქროს და გვითხრას სპორტული თამაშები, რომელთა დასახელებაშიც არის სიტყვა „ბურთი“ (მაგ.,ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი). მოგვიანებით ვთხოვოთ ბავშვებს, დახატონ წარმოსახვით თითოეული სპორტის სახეობის ამსახველი ნახატი. ნახატები გამოვფინოთ კედელზე.

13. **იპოვე განსხვავება** - წავახალისოთ ბავშვები, რომ აღწერონ და იპოვონ ცალკეული განსხვავებები მსგავს სურათებს შორის. სასურველია, რომ სურათების სიუჟეტი უკავშირდებოდეს სპორტულ აქტივობებს (იხ. ილუსტრაცია #44).

13. **ვინ გააფერადა უფრო მეტი?**



ამ თამაშისთვის ბავშვები წყვილდებიან და თამაშობენ ერთი ერთი-ერთზე. თითოეულ წყვილს დასჭირდება ერთი კამათელი, ორი განსხვავებული ფერის ფანქარი და კვადრატებად დაყოფილი ნახატებიანი ფურცლები (ასეთი ვარსკვლავის ამობეჭდვა შესაძლებელია ბმულიდან http://www.kidscount1234.com/shapefill.pdf კვადრატებად დაყოფილი გულის ამობეჭდვა კი შესაძლებელია ბმულიდან http://www.kidscount1234.com/shapefillheart.pdf. მსგავსი ნახატები შეგვიძლია მოვამზადოთ ჩვენი შეხედულებისამებრ. იხ. ილუსტრაციები # 45, 46). თამაშის პრინციპი ასეთია: წყვილიდან ერთ-ერთი ბავშვი აგორებს კამათელს და აფერადებს იმდენ კვადრატს, რამდენი ციფრიც "დაუჯდა" კამათელზე. შემდეგ კამათელს აგორებს მეორე ბავშვი, რომელიც განსხვავებული ფერის ფანქრით აფერადებს კამათელზე ამოსული ციფრის შესაბამისი რაოდენობის კვადრატებს ნახატზე. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ ყველა კვადრატი არ გაფერადდება. დასასრულს ვეხმარებით ბავშვებს კვადრატების დათვლაში. გამარჯვებული იქნება ის ბავშვი, რომელსაც უფრო მეტი კვადრატი აქვს ნახატზე გაფერადებული.

14. დახატე დიდი და პატარა ფიგურა - ბავშვებს ვთავაზობთ ნახატებს სხვადასხვა საგნისა თუ გეომეტრიული ფიგურის გამოსახულებით. თუ ბავშვი ჩათვლის, რომ მის ფურცელზე დახატულია პატარა საგანი/ფიგურა, გვერდით უნდა მიუხატოს დიდი და პირიქით.

15. მარჯვენა, მარცხენა. 1 - ვუთხრათ ბავშვებს, რომ ჩვენ ვიმუშავებთ დღეს სიტყვებზე (ცნებებზე) "მარჯვენა-მარცხენა". ვდგებით ყველანი ხაზზე და ბავშვებს ვთხოვთ, აიწიონ მარჯვენა ხელი. თუ არ იციან მხარეების გარჩევა, ჩვენ ვუჩვენებთ. მივმართავთ სახელით რომელიმე ბავშვს და ვთხოვთ, რომ დაასახელოს, რას ხედავს ოთახში მისგან მარჯვნივ, ან ვთხოვთ დაასახელოს ერთი ბავშვი, რომელიც მის მარჯვნივ დგას. ასე გრძელდება მანამდე, სანამ ყველა ბავშვი არ მიიღებს აქტივობაში მონაწილეობას.

16. მარჯვენა - მარცხენა. 2 - ბავშვს მივმართავთ სახელით და ვეუბნებით რომელიმე ჯგუფელის სახელს. მან კი უნდა გვითხრას, სად იმყოფება დასახლებული ჯგუფელი მასთან მიმართებით - მისგან მარჯვნივ/მარცხნივ არის, წინ თუ უკან. დავურიგოთ ბავშვებს თაბახის ფურცლები და ვთხოვოთ, დახატონ ფურცლის შუაში მზე, მზის მარჯვენა მხარეს (კიდევ ერთხელ ვთხოვოთ გვიჩვენონ მარჯვენა ხელი) - პატარა ყვავილი, მზესა და პატარა ყვავილს შორის - დიდი წრე და ა.შ.

17. გრაფიკული კარნახი - დავურიგოთ ბავშვებს უჯრედებიანი რვეულის ფურცლები, რომლებზეც წინასწარ გვექნება დასმული წერტილი. ვთხოვოთ ბავშვებს, რომ ფანქრები მოიმარჯვონ აღნიშნულ წერტილზე. ვუთხრათ, რომ ჩვენ ახლა მივცემთ გარკვეულ მითითებებს და თუ სწორად შეასრულებენ, რაღაც ფიგურა დაეხატებათ. ვიწყებთ! 3 უჯრა მარჯვნივ, ერთი უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 5 უჯრა ქვემოთ, 6 უჯრა მარჯვნივ, 2 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარჯვნივ, 6 უჯრა ქვემოთ, 8 უჯრა მარცხნივ, 7 უჯრა ზემოთ, 4 უჯრა მარცხნივ. ვკითხოთ, რა გამოგვივიდა? (ბატი) ვთხოვოთ მისი გაფერადება.

18. ააგე მაღალი კოშკი - ამ აქტივობისთვის საჭიროა დიდი რაოდენობით მყარი ერთჯერადი ჭიქები და მართკუთხედის ფორმად დაჭრილი სქელი მუყაოს ქაღალდი. ბავშვები დავყოთ ორ გუნდად; წავახალისოთ, რომ ააშენონ კოშკები ჭიქებისა და მუყაოს ქაღალდების გამოყენებით. თავდაპირველად ვთხოვოთ მოიფიქრონ, თუ როგორ შეიძლება ამ ორი მასალის გამოყენებით კოშკის აგება. თუ ბავშვებს გაუჭირდათ მოფიქრება, შეგვიძლია ვუჩვენოთ ნიმუში. გამარჯვებული იქნება ის გუნდი, რომელიც უფრო მაღალი კოშკის აშენებას მოახერხებს.

18. **იპოვე ფიგურები და შექმენი ნახატი -** ამ აქტივობის ჩასატარებლად ფერადი ქაღალდებისგან წინასწარ უნდა ამოვჭრათ სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურა (წრე, ოთხკუთხედი, მართკუთხედი, სამკუთხედი და ა.შ). შემდეგ ეს ფიგურები ნაწილდება მცირე ჯგუფების რაოდენობის მიხედვით, თითოეული მცირე ჯგუფისთვის კი გამოიყოფა იმ რაოდენობის ფიგურები, რომლებიც საკმარისი იქნება კონკრეტული, წინასწარ მოფიქრებული სურათის შესაქმნელად. ჯგუფებს ურიგდებათ ფურცლები, რომლებზეც წინასწარ არის დახატული შესაქმნელი ნახატის ფიგურების ჩარჩო. ბავშვები ნაწილდებიან ოთახის სხვადასხვა კუთხეში და ეძებენ წინასწარ დამალულ ფერად ფიგურებს ოთახის იმ ნაწილში, რომელიც მათი ჯგუფისთვისაა გამოყოფილი (ყველა ჯგუფს უნდა გამოვუყოთ თავისი ტერიტორია - ოთახის გარკვეული ნაწილი). ჩარჩო უჩვენებს ბავშვებს, თუ რა სახის ფიგურები უნდა იპოვონ ნახატის დასასრულებლად. ნაპოვნ ფიგურებს ისინი აწებებენ წინასწარ დარიგებულ ჩარჩოზე. ნახატის დასრულების შემდეგ ბავშვებს ვეკითხებით, თუ რა ფიგურები გამოიყენეს ნახატის შესაქმნელად.

ამ თამაშისთვის საჭირო გეომეტრიული ფიგურებით აწყობილი ნახატების ამობეჭდვა შესაძლებელია ბმულიდან: http://chieuurban.com/20%20Party%20Banners.pdf

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **ვალაგებთ მუსიკის დასრულებამდე -** ვთხოვოთ ბავშვებს, მოემზადონ და მუსიკის ჩართვის შემდეგ დაიწყონ ოთახში მიმოფანტული სათამაშოების ალაგება. ჩავრთოთ მუსიკა. გავაფრთხილოთ, რომ ალაგება უნდა შეწყვიტონ მუსიკის დასრულებამდე. წავახალისოთ, რომ დათვალონ, რამდენი სათამაშოს ალაგება ვერ მოახერხეს დროის ამ მონაკვეთში.

2. **მოახვედრე მიზანში -** მოედანზე ან შენობის ერთ-ერთ კედელზე დავხაზოთ სამიზნე (ნიშნით 1,2,3). სამიზნეში ბურთის დარტყმა შეიძლება ნებისმიერი ან წინასწარ დათქმული ხერხით (სამიზნე შესაძლოა დამზადებული იყოს ბავშვების მიერაც). დიდ რკალში ბურ-

თის მოხვედრა გუნდს 1 ქულას აძლევს, საშუალო რკალში - 2 ქულას, ხოლო პატარაში - 3-ს. გამარჯვებულია გუნდი, რომელიც მეტ ქულას მოაგროვებს.

3. **მხიარული მატარებელი** - მოედანზე (იატაკზე) გაივლება სასტარტო ხაზი, რომლის ბოლოებში დაიდგმება თითო ალამი. სასტარტო ხაზთან, 3-4 მ-ის დაშორებით, რიგებად მოეწყობიან ორი გუნდის მოთამაშეები - "მატარებლის ვაგონები" (5-6 ბავშვის რაოდენობით). ორივე გუნდის მოთამაშეები მარჯვენა ხელს კიდებენ თოკს. 3-4 მ-ის დაშორებით, დავდგამთ ორ რკალს (თითო რკალი თითო გუნდისთვის) რკალს, ხოლო შემდეგ, მისგან 5-6 მ-ის ინტერვალით, მოვათავსებთ თითო-თითო ალამს.

ჩვენ ნიშანზე (სასტვენი, ტაში) გუნდების მოთამაშეები ჩაცუცქდებიან და „ბატის" ნაბიჯით მიემართებიან რკალებისკენ, გაძვრებიან მათში, გაიმართებიან და გაიქცევიან ალმებისკენ, შემდეგ შემოუვლიან მათ შიგნითა მხრიდან და გაიქცევიან სასტარტო ხაზისკენ. ამ ხაზის გადაკვეთისას გუნდის ბოლო მოთამაშე მარცხენა ხელით აიღებს და თავს ზემოთ ასწევს ალამს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც შეინარჩუნებს „მატარებლის" მთლიანობას და უფრო ადრე ასწევს ალამს.

ალამთან მობრუნების დროს "ვაგონები" ახლოს უნდა იყვნენ ერთმანეთთან, რათა „მატარებელი"არ გაწყდეს. თამაშის გართულებული ვარიანტი: თოკზე მოკიდების ნაცვლად, ბავშვები ხელებს ადებენ წინ მდგომს.

4. **ვინ უფრო ზუსტად -** ბავშვებს გავაცნობთ თამაშის წესებს (მიზანი - მსხვილი მოტორიკის განვითარება, სისწრაფისა სიმარდისა და თვალზომის ეგანვითარება, მოძრაობათა სიზუსტისა და კოორდინაციის განმტკიცება). მოთამაშეები ჩვენს ნიშანზე იწყებენ ბურთის ფეხით ტარებას კარის მიმართულებით და ურტყამენ კარში. კარში ბურთის მოხვედრისას გუნდს ერთი ქულა ეწერება. შემდეგ მოთამაშეები იღებენ ბურთებს და სირბილით ბრუნდებიან უკან. მოგებულია გუნდი, რომელიც მეტ ქულას მოაგროვებს.

5. **როგორია მართვე? -** ვესაუბროთ ბავშვებს ცხოველებსა და მათ ნაშიერებზე. ამის შემდეგ დავდგეთ წრეზე. რომელიმე ბავშვს ვუგდებთ ბურთს და ვეუბნებით: "მართვე არის პატარა -..._" . ბავშვმა უნდა დაასრულოს ჩვენი ფრაზა და თქვას: "არწივი".

ამის შემდეგ შევეცადოთ, რომ შევაშლევინოთ. მაგ., ვუთხრათ, რომ ბურთი მხოლოდ მაშინ დაიჭირონ, თუ ჩვენ მიერ ნათქვამი ფრაზა სწორია. მაგ., სპილო არის დიდი, სპლიყვი არის პატარა. ამ შემთხვევაში ბავშვი იჭერს ბურთს, თუ ვეუბნებით, რომ ძაღლი არის პატარა, ლეკვი არის დიდი, ამ შემთხვევაში ბურთს არ იჭერენ.

6. **ჩვენ მიერ მოგონილი სიარული -** დავყოთ ბავშვები სამეულებად. ბავშვები მოძრაობენ ერთმანეთისგან ნახევარი მეტრის მოშორებით. ვუთხრათ, რომ ჩვენ ახლა განსხვავებული სიარული უნდა მოვიგონოთ. ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი მარჯვნივ, სამი ნაბიჯი წინ, სამი უკან. შევთავაზოთ, რომ ჯგუფებმა ,,მოიგონონ'' და წარმოგვიდინონ სიარულის განსაკუთრებული მანერა.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **იპოვე შენი სახლი -** შევთავაზოთ ბავშვებს სურათი ლაბირინთის გამოსახულებით. ლაბირინთზე აღნიშნული იქნება სახლები. ვთხოვოთ, "გადაადგილდნენ" ლაბირინთში ისე, რომ აღმოჩნდნენ მითითებულ სახლში. გამარჯვებულია ის ბავშვი, რომელიც პირველი მივა სახლამდე (იხ. ილუსტრაცია # 47).

2. **დავითვალოთ და ვიანგარიშოთ** - დავსვათ ორ საპირისპირო რიგში ხუთი-ხუთი ბავშვი და ვთხოვოთ ბავშვებს დაითვალონ, რამდენი ბავშვია მათ რიგში. ამის შემდეგ ვთხოვოთ ერთი ჯგუფის წევრების ნაწილს მეორე რიგში გადანაცვლება. წავახალისოთ, რომ დაითვალონ და შეადარონ ბავშვთა რაოდენობა თითოეულ რიგში გადაადგილების შემდეგ. შევცვალოთ ბავშვების რაოდენობა ჯგუფებში რამდენჯერმე.

3. **დახატე** - ვთხოვოთ ბავშვებს, დახატონ სურათი, რომელზეც ასახული იქნება შემდეგი სიტუაცია - რა მოხდება, თუკი არავინ არ აალაგებს თავის ნივთებს. წავახალისოთ ბავშვები, აღწერონ თავიანთი ნახატები, იპოვონ მათ შორის მსგავსებები და განსხვავებები.

4. **ლაბირინთი -** შევთავაზოთ ბავშვებს სურათი "ლაბირინთი". წავახალისოთ ბავშვები, რომ კარში შეაგდონ ბურთი, გადაიტანონ იგი მოედნის ერთი ნაწილიდან მეორეში (იხ. ილუსტრაციები # 48, 49).

5. **კალათბურთის ფარი** - დავეხმაროთ ბავშვებს, რომ დაამზადონ ერთჯერადი ჭიქებისგან რამდენიმე კალათბურთის ფარი. შემდეგ დავყოთ ბავშვები პატარა გუნდებად. ისინი შეეცდებიან პატარა ბურთის ჩაგდებას ჭიქაში. ყოველი ჯგუფიდან ერთ-ერთი ბავშვი შეასრულებს მსაჯის როლს. მსაჯის ფუნქცია იქნება იმის მონიშვნა, თუ რამდენი ბურთი ჩააგდო თითოეულმა ბავშვმა ჭიქაში.

გიორგი	**X**	**X**						
თეონა	**X**	**X**	**X**	**X**	**X**			
მარიკა	**X**							
ლევანი	**X**	**X**						
ლაშა	**X**	**X**	**X**					

6. **ოთხი ცალი ერთნაირი -** ეს წესებიანი თამაში შეიძლება მიმდინარეობდეს 4 ბავშვისგან შემდგარ ჯგუფში. დავურიგოთ ბავშვებს 32 ცალი ბარათი 4 სახეობის გეომეტრიული ფიგურების გამოსახულებით. ზოგი ფიგურა დიდი ზომის უნდა იყოს, ზოგიც პატარა. ფიგურების დამზადება თავად ბავშვებსაც შეუძლიათ. ამდენად, ამ შემთხვევაში თამაშს წინ უნდა უსწრებდეს აღნიშნული აქტივობა (ბარათების დამზადება). ბარათები აწყვია გამოსახულებით დაბლა - ბავშვები ვერ ხედავენ, რა ხატია ბარათებზე. ამის შემდეგ ვთხოვთ, რომ შემთხვევითი შერჩევით აიღონ ოთხი ბარათი. მოთამაშეებს ევალებათ, შეაგროვონ ოთხი სახის დიდი ან პატარა ფიგურების შემცველი ბარათები. ბავშვები იღებენ ბარათს და თავად გადაწყვეტენ, როგორი ფიგურების შეგროვება სურთ. თუ ბარათი მისაღებია, იტოვებენ, თუ არა - აბრუნებენ. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ არ გაიმარჯვებს მეორე, მესამე და ა.შ ბავშვი.

7. **ხელოვნება კენჭებით -** ამ აქტივობისთვის საჭიროა დიდი რაოდენობით კენჭები, შავი მუყაოს ფურცლები და ცარცი. დავუხატოთ ბავშვებს მუყაოს ფურცლებზე ცარცით სხვადასხვა სახის ფიგურები: ზიგზაგი, სპირალი, ადამიანის სახე, წრე და ა.შ. დავურიგოთ მათ კენჭებით სავსე ჯამები. ბავშვები კენჭების გამოყენებით აწყობენ მუყაოზე დახატულ ფიგურებს. შესაძლებელია მსგავსი აქტივობის გაკეთება ლობიოს მარცვლების, მძივების და სხვა მსგავსი მასალის გამოყენებით.

8. **გეომეტრიული კარნახი.** ბავშვებს დავურიგოთ ჩვენ მიერ დახატული გეომეტრიული ფიგურები (გაუფერადებელი), შევახსენოთ ფორმების დასახელებები (შეგიძლიათ გამოიყენოთ ილუსტრაციები # 13 და 14).





დავყოთ ბავშვები ოთხ - ან ხუთკაციან ჯგუფებად, ავირჩიოთ ჯგუფის წამყვანი. წამყვანს მივცეთ დავალების გაფერადებული ვერსია. ვთხოვოთ მას, რომ უკარნახოს თავისი ჯგუფის წევრებს ფიგურების ფერები, რათა მათაც მსგავსი ნახატები გამოუვიდეთ (მაგ., დიდი სამკუთხედი გავაფერადოთ მწვანედ, პატარა - ნარინჯისფრად და ა.შ). თამაშის ბოლოს მოვაწყოთ განხილვა: იყო თუ არა იოლი დავალების შესრულება? ვინ დაგვეხმარა დავალების შესრულების პროცესში? და ა.შ. თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ბავშვის ნახატი განსხვავებულია, ვთხოვოთ მას, რომ გახდეს წამყვანი. ყურადღება მივაქციოთ, რომ მან სწორად გამოიყენოს ფიგურათა სახელწოდებები.

9. **ერთჯერადი ჭიქები -** ჩავაწყოთ ჭიქებში ერთნაირი რაოდენობის პატარა საგნები. დავთვალოთ, შევადაროთ, თუ სად არის მეტი რაოდენობის საგნები, სად - ნაკლები, სად - ტოლი რაოდენობით და ა.შ.

როლური თამაში

სკოლობანა - წავუკითხოთ ბავშვებს სკოლასთან დაკავშირებული მოთხრობა ან თავად გავუზიაროთ ჩვენი პოზიტიური მოგონებები სკოლაზე. მოგვიანებით შევთავაზოთ მათ, რომ გაინაწილონ სკოლის თანამშრომელთა როლები (დირექტორი, მასწავლებელი, სკოლის ექიმი, დარაჯი, ბიბლიოთეკარი...) და მოაწყონ ოთახის კუთხე საკლასო ოთახის მსგავსად.

პროექტი

1. ბავშვებს ვთავაზობთ, თავიანთი ფანტაზიით მოაწყონ ბაღის ოთახი საკლასო ოთახის მსგავსად (ისე, როგორც წარმოუდგენიათ საკლასო ოთახი) და შექმნან საჭირო რეკვიზიტები, მაგალითად, კალამი, წიგნი, ჩანთა. ბავშვებს შეუძლიათ აპლიკაციების ან ნახატების გამოყენებით დაამზადონ სხვადასხვა პლაკატი, რომლებიც, მათი აზრით, სკოლაში დასჭირდებათ.

წიგნის დრო

დედიკოს ვფიცავარ

წერა-კითხვა ვისწავლე,
აი, უკვე დიდი ვარ.
არ წამიყვანთ სკოლაში?
ბაღში აღარ მივდივარ!..
თვლა ხომ ვიცი ასამდე,
თანაც ექვსი წლისა ვარ,
პატარა რომ ვიყავი,
განა ისევ ისა ვარ!
სულ ათებზე ვისწავლი.
ჩემს დედიკოს ვფიცავარ!

ნ.დუმბაძე

***

მანანა და ლალი

მ ა ნ ა ნ ა - ლალი, ლალი, ჩემო ლალი!
ლალი - რაო, ჩემო მანანა?
მ ა ნ ა ნ ა - ეს თოჯინა დედაშენმა
ჩემთან გამოგატანა?
ლ ა ლ ი - რასა ბრძანებ, ქალბატონო!
არ გათხოვებ არასდროს,
გინდა ისევ გააცივო,
ისევ სურდო დამართო?
მ ა ნ ა ნ ა - რადგან ასე მეუბნები,
რადგან ასე მაჯავრებ,
დამიბრუნე ჩემი ვაშლი,
მე რომ გუშინ გაჭამე.
ლ ა ლ ი - არაფერიც, არაფერიც,
არაფერსაც არ მოგცემ,
იმ ვაშლისთვის, აღარ გახსოვს,
ლოყაზე რომ გაკოცე?
მ ა ნ ა ნ ა - მე რომ წიგნი მოგიტანე
კარგი წასაკითხავი?..
ლ ა ლ ი - მერე მე რომ მოგარჩინე,
ექიმი რომ ვიყავი?
მ ა ნ ა ნ ა - ჰო-ჰო-ჰო-ჰო, დიდი საქმე,
სულ არ იცი თამაში,
გახსოვს, მე რომ მოგეხმარე
კანფეტების ჭამაში?
ლ ა ლ ი - მერე მე რომ შენს თოჯინას
გავუკეთე ნემსები?!
მ ა ნ ა ნ ა - მერე მე რომ წაგიკითხე
დიდი, გრძელი ლექსები?!
ლ ა ლ ი - როგორც ვხედავ, ქალბატონო,
უმადური ბრძანდები,
დაგავიწყდა, გუშინწინ რომ
გამომართვი ბაბთები?
მ ა ნ ა ნ ა - არც თოჯინა მინდა შენი,
აღარც შენი ვაშლები,
ბუტე, ბუტე, გაგებუტე,
აღარ გეთამაშები!

30-ე კვირა

	პირველი შეხვედრაწრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	მცირე ჯგუფები	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი	რას ვისწავლი სკოლაში: რა არის დედამიწა?	**აქტივობა:** კოლაჟი "კოსმოსი" **აქტივობა:** კოსმოსური ხომალდი **როლური თამაში:** მოგზაურობა კოსმოსური ხომალდით	საყვარელი წიგნი	"არ დაგივარდეს ასტეროიდი!"	დაითვალე ვარსკვლავები	https://www.youtube.com/watch?v=adBYMbCj59I **მოცარტის "ღამის პატარა სერენადა"** *Eine kleine Nachtmusik* (Serenade No. 13 for strings in G major), "ვმოძრაობთ, როგორც.. "	ვისაუბროთ, რომელი აქტივობა მოგვეწონა ყველაზე ძალიან? ვიმოგზაურებდით თუ არა კოსმოსში და რისი ნახვის სურვილი გვექნებოდა?
მასალები, რესურსები	პატარა გლობუსი, საბავშვო ენციკლოპედია საბავშო მსოფლიო ატლასი, ფოტოები და ნახატები	ფერადი და ბრჭყვიალა ქაღალდი, ქსოვილები, ძაფები და სხვა მეორადი მასალა, კუბურები. დიდი ზომის ქსოვილები, ფოლგის ან სასაჩუქრე ვერცხლისფერი ქაღალდი, დიდი ზომის ყუთები და სხვა	წიგნი			მოცარტის ღამის პატარა სერენადა; მუსიკა ბუნების ხმებით	

	პირველი შეხვედრაწრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	მცირე ჯგუფები	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი	რას ვისწავლი სკოლაში: როგორი ადგილებია დედამიწაზე? - მთები და ოკეანები.	**აქტივობა:** მსოფლიო რუკის გადახატვა და გაფერადება. **წესებიანი თამაში:** მსოფლიო რუკის ფაზლის აწყობა. **როლური თამაში:** მოგზაურობა წყალქვეშა სამყაროში	კიპლინგის "აი ასეთი ამბები" - რატომ აქვს ვეშაპს ასეთი ხახა.	ეზოში ექსპერიმენტები წყალთან - რით განსხვავდება მთისა და ბარის მდინარე ან მდინარე და ტბა?	თამაში კამათლებით: „მთა“	ინოლა გურგულიას სიმღერა "საქანელა" http://www.geolyrics.com/6456	შევაჯამოთ, რა გავიგეთ ახალი, რომელი ინფორმაცია მოგვეწონა ყველაზე მეტად?
მასალები/ რესურსები	პატარა გლობუსი, საბავშვო ენციკლოპედია საბავშო მსოფლიო ატლასი, ფოტოები და ნახატები	რუკა, მსოფლიო ატლასი. დიდი ზომის ლურჯი ქსოვილი	რადიარდ კიპლინგი: რატომ აქვს ვეშაპს ასეთი ხახა.			ინოლა გურგულია http://www.geolyrics.com/6456	
ოთხშაბათი	რას ვისწავლი სკოლაში: როგორი ადგილებია დედამიწაზე: ძალიან ცხელი და ძალიან ცივი ადგილები.	**აქტივობა:** ექსპერიმენტი ქვიშაზე **წესებიანი თამაში:** მეხსიერების თამაში პატარა ცხოველებით **როლური თამაში:** მოგზაურობა უდაბნოში ან ჩრდილოეთ პოლუსზე	კიპლინგის " აი ასეთი ამბები" - როგორ შეიძინა აქლემმა კუზი.	თამაში: "ცივა -ცხელა"	სამუშაო ფურცელი - რისი ჩრდილია? (აქლემი, პალმა, ა.შ)	ვივალდის "წელიწადის ოთხი დრო: ზაფხული და ზამთარი https://www.youtube.com/watch?v=nGdFHJXciAQ	ვაჯამებებთ, რას წავიღებთ თუ სამოგზაუროდ წავალთ უდაბნოშიან ჩრდილოეთ პოლუსზე?

	პირველი შეხვედრაწრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	მცირე ჯგუფები	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	პატარა გლობუსი, საბავშვო ენციკლოპედია საბავშო მსოფლიო ატლასი, ფოტოები და ნახატები	ქვიშა, ძაბრი, სხვადასხვა ზომის ჭურჭელი, სასწორი, ლუპა. დიდი ზომის შესაბამისი ფერის ქსოვილები და აქსესუარები	**რადიარდ კიპლინგის** "როგორ შეიძინა აქლემმა კუზი".		სამუშაო ფურცლები, უდაბნოს დამახასიათებელი გამოსახულებებით	https://www.youtube.com/watch?v=nGdFHJXciAQ	
ხუთშაბათი	რას ვისწავლი სკოლაში: როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად: მეფეები და დედოფლები, მეომარი რაინდები.	**აქტივობა:** გვირგვინების, ხმლებისა და ფარების დამზადება მუყაოსგან **წესებიანი თამაში:** ლოტო სხვადასხვა სამეფო ოჯახების გამოსახულებით **როლური თამაში:** სასახლე და მეომრები	ქართული ხალხური ზღაპარი: მეჩონგურე	სასახლის ტურნირი	შაში	მოცარტის "ჯადოსნური ფლეიტა"	შევაჯამოთ, რა გავიგეთ მეფეების, დედოფლების, რაინდების და ა.შ. შესახებ? რომელი უფრო საინტერესოდ ცხოვრობს და რატომ?
მასალები/ რესურსები	პატარა გლობუსი, საბავშვო ენციკლოპედია საბავშვო მსოფლიო ატლასი, ფოტოები და ნახატები	მუყაოს გვირგვინები, ქსოვილები, ფოლგა, მძივები, საღებავი, ფერადი ქაღალდი. ორი დასტა სამაგიდო ბანქო.	ქართული ხალხური ზღაპარი: მეჩონგურე		შაში	მოცარტის "ჯადოსნური ფლეიტა"	

	პირველი შეხვედრაწრეში	კვლევა და აღმოჩენა	კითხვის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	მცირე ჯგუფები	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი	როგორ ცხოვრობენ ადამიანები ძველად: მეკობრეები	**აქტივობა:** მეკობრეების გემის დამზადება **აქტივობა (კვლევა):** ”როგორ მოძრაობს იალქნიანი გემი?” **წესებიანი თამაში:** მემო ოქროს მონეტებით **როლური თამაში:** მეკობრეობანა	ხმოვანი წიგნი მეკობრეებზე. 	„განძის“ მოძებნა რუკის მიხედვით	ძვირფასი ქვები	”ბასტი ბუბუს” მეკობრეების სიმღერა	შევაჯამოთ, რა მოვუყევით ერთმანეთს მეკობრეების შესახებ? რა იყო ყველაზე მეტად საინტერესო?
მასალები-დარესურსები	საბავშვო ენციკლოპედია საბავშვო მსოფლიო ატლასი, ფოტოები და ნახატები	ცარიელი მუყაოს ყუთები, პოლიეთილინის ბოთლები, კვერცხის ჩასადები მუყაო, ჯოხები, ბუმბული, ნიჟარები, პლასტელინი, წებო, სკოჩი, ბაწარი. 20 ცალი პლასტმასის ან შუშის ბოთლის ერთნაირი თავსახური	ხმოვანი წიგნი		სხვადახვა ზომის ფორმისა და ფერის ქვები	”ბასტი ბუბუს” მეკობრეების სიმღერა	

საქმიანობათა ინსტრუქციები

პირველი შეხვედრა წრეში

რას ვისწავლი სკოლაში:
რა არის დედამიწა?

ვუთხრათ ბავშვებს, რომ ამ კვირის ამნძილზე ვისაუბრებთ სხვადასხვა საინტერესო ამბავზე, რომლებსაც სკოლაში გაიგებენ და ისწავლიან. ვაჩვენოთ ბავშვებს პატარა გლობუსი, დავათვალიერებინოთ და მოვუსმინოთ მათ მოსაზრებებს დედამიწის შესახებ, დავუსვათ კითხვები კოსმოსზე, სხვა პლანეტებსა და ვარსკვლავებზე. წავუკითხოთ ბავშვებს საბავშვო ენციკლოპედიიდან თავი დედამიწისა და კოსმოსის შესახებ, დავათვალიერებინოთ საბავშვო მსოფლიო ატლასი, ფოტოები და ნახატები.



როგორი ადგილებია დედამიწაზე? მთები და ოკეანები.

ვთხოვოთ ბავშვებს დააკვირდნენ, რა ფერებია გლობუსზე. რას აღნიშნავს ეს ფერები? ვაჩვენოთ ბავშვებს ზღვებისა და ოკეანეების, ასევე მთებისა და ტყეების ფოტოები. ვთხოვოთ, აღწერონ და მოყვნენ, უნახავთ თუ არა ასეთი ადგილები.

როგორი ადგილებია დედამიწაზე? ძალიან ცხელი და ძალიან ცივი ადგილები.

ვაჩვენოთ ბავშვებს ძალიან ცხელი და ძალიან ცივი ადგილების ფოტოები. ვთხოვოთ აღწერონ, როგორი იქნება აქ ცხოვრება, ვინ ცხოვრობს ამ ადგილებში და როგორ ეგუება ასეთ ამინდს.

როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად? - მეფეები, დედოფლები და მეომარი რაინდები.

მოვუყვეთ ბავშვებს, რომ სკოლაში ისინი გაიგებენ, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. ვთხოვოთ მოგვიყვნენ, რა იციან მეფეებზე, დედოფლებსა და მეომარ რაინდებზე. ვაჩვენოთ ცნობილი მეფეებისა და დედოფლების პორტრეტები; მოვუყვეთ, როგორ სასახლეებში ცხოვრობდნენ ისინი, როგორ აშენებდნენ ციხე-სიმაგრეებს, როგორ იბრძოდნენ მეომრები.

ლეგენდა ვახტანგ გორგასალზე, მხატვარი ანუკი ბარათაშვილი. ვახტანგ გორგასალი. შუა საუკუნეების რაინდები

თამარ მეფე, ნიკო ფიროსმანი

მეფე უილიამი. ინგლისი

ავსტრიის დედოფალი მარიანა. ველასკესი

ერეკლე მეფის სასახლე (”ბატონის სასახლე”). თელავი

სურამის ციხე

გირევის ციხე სიმაგრე, თუშეთი

დადიანების სასახლე, ზუგდიდი

მეფე ლუდვიგის სასახლე, ნოიშვაინშტაინი, გერმანია

სამეფო სასახლე, კამბოჯა

როგორ ცხოვრობენ ადამიანები ძველად: მეკობრეები

ვთხოვოთ ბავშვებს, მოგვიყვნენ მეკობრეების შესახებ (რა სმენიათ მათზე? ვინ იყვნენ და რას აკეთებდნენ?). შევახსენოთ ბავშვებს წაკითხული ზღაპარი პიტერ პენზე, გაიხსენონ, როგორები არიან იქ მეკობრეები.

კვლევა და აღმოჩენა

აქტივობები

კოლაჟი ”კოსმოსი” - შევთავაზოთ ბავშვებს მუქი ფერის ფორმატი და სხვადასხვა მასალა: ფერადი და ბრჭყვიალა ქაღალდი, ქსოვილები, ძაფები, სხვა მეორადი მასალა. ბავშვებმა უნდა დაამზადონ კოლაჟი კოსმოსის, დედამიწისა და სხვა ციური სხეულების გამოსახულებით.

კოსმოსური ხომალდი - ვთხოვოთ ბავშვებს, ააგონ კოსმოსური ხომალდი კუბურებისა და სხვა მეორადი მასალის დახმარებით.

მსოფლიო რუკის გადახატვა და გაფერადება - ბავშვები რუკიდან ან მსოფლიო ატლასიდან გადაიხატავენ რუკას და გააფერადებენ; გააფორმებენ თავისი ნახატებით ან აპლიკაციით.

ექსპერიმენტი ქვიშაზე - მეცნიერების კუთხეში ბავშვები გაცრიან ქვიშას, ჩაყრიან მას ძაბრის მეშვეობით სხვადასხვა ზომის ჭურჭელში და აწონიან; ლუპის მეშვეობით დააკვირდებიან და აღმოაჩენენ ქვიშის ნამცეცების ფორმებს, შეეცდებიან ჩაიხატონ.

გვირგვინების, ხმლებისა და ფარების დამზადება მუყაოსგან - შევთავაზოთ ბავშვებს, მუყაოზე დახატონ და გამოჭრან გვირგვინები, ხმლები და ფარები, შემდეგ კი გააფორმონ სხვადასხვა მასალით: ქსოვილებით, ფოლგით, მძივებით, საღებავით და ფერადი ქაღალდით.

მეკობრეების გემის დამზადება - შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა მეორადი მასალა: ცარიელი მუყაოს ყუთები, პოლიეთილინის ბოთლები, კვერცხის ჩასადები მუყაო და ბუნებრივი მასალა: ჯოხები, ბუმბული, ნიჟარები, ასევე პლასტილინი, წებო, სკოჩი, ბაწარი. ვთხოვოთ, თავიანთი ფანტაზიით დაამზადონ და გააფორმონ მეკობრეების საზღვაო ხომალდი.

წესებიანი თამაშები

მსოფლიო რუკის ფაზლის აწყობა - წინასწარ დავჭრათ მუყაოზე დაკრული ნებისმიერი სახის მსოფლიო რუკა (დაახლოებით 15-20 -ნაწილად). წავახალისოთ ბავშვები, ააწყონ ნახატი.

მეხსიერების თამაში პატარა ცხოველებით - შევთავაზოთ ბავშვებს ცხოველების პატარა ზომის ფიგურები. ბავშვები დააწყობენ ამ ფიგურებს მაგიდაზე და იმახსოვრებენ მათ განლაგებას. ბავშვები იხუჭებიან, ერთი მათგანი კი ჩუმად მალავს ერთ ცხოველს. ბავშვებმა უნდა

გამოიცნონ, რომელი ცხოველის ფიგურა აკლია. ის, ვინც პირველი გამოიცნობს, ხდება წამყვანი და უფლება აქვს, დამალოს ორი ცხოველი და ა.შ.

ლოტო სხვადასხვა სამეფო ოჯახის გამოსახულებით - ამ ლოტოს დასამზადებლად დაგვჭირდება ორი დასტა სამაგიდო ბანქო. ამოვიღოთ ერთი დასტიდან ყველა ტუზი, მეფე, დედოფალი და უფლისწული. თითო ნიშნის ოთხივე ფიგურა დავაწებოთ მუყაოზე, ცალკე დავაჯგუფოთ გულის ოჯახი, ცალკე - ყვავის, ცალკე - აგურის და ა.შ. მეორე დასტიდან ამოღებული იგივე ფიგურები კი ერთმანეთში ავურიოთ. ბავშვები დაირიგებენ თითო დაფას და ითამაშებენ ლოტოს პრინციპით.

მემო ოქროს მონეტებით - ამ თამაშის დასამზადებლად დაგჭირდებათ 20 ცალი პლასტმასის ან შუშის ბოთლის ერთნაირი თავსახური. შესთავაზეთ ბავშვებს, დახატონ ორ-ორი ერთნაირი პატარა ნახატი მეკობრეების ნივთების გამოსახულებით და ჩააწებონ ნახატები თავსახურებში. წავახალისოთ ბავშვები, ითამაშონ მეხსიერების თამაში ანუ ორობანა.

როლური თამაში

მოგზაურობა კოსმოსური ხომალდით - დავეხმაროთ ბავშვებს, რომ დრამატული თამაშების კუთხე კოსმოსური ხომალდის მსგავსად მოაწყონ. შევთავაზოთ ბავშვებს დიდი ზომის ქსოვილები, ფოლგის ან სასაჩუქრე ვერცხლისფერი ქაღალდი, დიდი ზომის ყუთები და სხვა ხელმისაწვდომი მასალა სივრცის შესაცვლელად.

მოგზაურობა წყალქვეშა სამყაროში - შევთავაზოთ ბავშვებს დიდი ზომის ლურჯი ქსოვილი, სათამაშო საყვინთი მოწყობილობა. წავახალისოთ, რომ "იმოგზაურონ" წარმოსახვით წყალქვეშა სამყაროში.

მოგზაურობა უდაბნოში ან ჩრდილოეთ პოლუსზე - ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, ვეხმარებით, რომ დრამატული თამაშების კუთხე "უდაბნოდ" ან "ჩრდილოეთ პოლუსად" გადააქციონ. უნდა გამოვიყენოთ დიდი ზომის შესაბამისი ფერის ქსოვილები და აქსესუარები.

სასახლის კარი - შევთავაზოთ ბავშვებს "სასახლის" მოწყობა. თამაშის დროს მათ შეუძლიათ გამოიყენონ დამზადებული რეკვიზიტები, მოაწყონ წვეულება.

მეკობრეობანა - დავეხმაროთ ბავშვებს, რომ დრამატული თამაშების ცენტრი "მეკობრეების ხომალდად" გადააქციონ. შევთავაზოთ შესაბამისი რეკვიზიტების დამზადება და გამოყენება.

კითხვის დრო

საყვარელი წიგნი - ვუთხრათ ბავშვებს, რომ კოსმოსში მივფრინავთ და თან მიგვაქვს ჩვენი საყვარელი წიგნი, რომელსაც ფრენის დროს წავიკითხავთ. შევთავაზოთ, აირჩიონ წიგნი და წავიკითხოთ (თუ ტექსტი დიდი მოცულობისაა, წავიკითხავთ ნაწყვეტს).

რადიარდ კიპლინგი, აი ასეთი ამბები: რატომ აქვს ვეშაპს ასეთი ხახა - ზღაპარში მოთხრობილია, როგორ გადაყლაპა ვეშაპმა ადამიანი ტივით.

რადიარდ კიპლინგი, აი ასეთი ამბები: როგორ შეიძინა აქლემმა კუზი - ისტორია აქლემზე, რომელსაც ყველაფერი ეზარებოდა.

ქართული ხალხური ზღაპარი: მეჩონგურე - ჯადოსნური ზღაპარი იმაზე, თუ როგორ აუჩუყა მეჩონგურემ გული ბოროტ გველეშაპს მუსიკით და როგორ შეირთო ცოლად მეფის ასული.

ხმოვანი წიგნი მეკობრეებზე - საინტერესო ამბები შავწვერასა და სხვა მეკობრეებზე.

ეზო / მოძრავი თამაშები

არ დაგივარდეს ასტეროიდი

თამაშის დროს კოსმოსის პატარა მკვლევარებმა/ამფეთქებლებმა უნდა შეინარჩუნონ ასტეროიდი (ბუშტები) ჰაერში, სანამ მუსიკა უკრავს. როცა მუსიკა შეწყდება, ყველამ უნდა სტაცოს ხელი "ასტეროიდს", ჩვენ კი უნდა დავასახელოთ ფერი. ვისაც ამ ფერის "ასტეროიდი" აღმოაჩნდება, უნდა გახეთქოს ის და პრიზის მოსაგებად შეასრულოს ბუშტში ჩადებული დავალება. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ ყველა მკვლევარი/ამფეთქებლები არ მიიღებს პრიზს.

თამაშისთვის დაგვჭირდება სხვადასხვა ფერის ბურთები და ქაღალდზე დაწერილი დავალებები, რომლებიც წინასწარ უნდა მოვათავსოთ ბუშტებში.

დავალებები უნდა იყოს მარტივი, მაგალითად:

- გაიარე იატაკზე ისე, თითქოს მთვარეზე დადიხარ;
- იმღერე შენი საყვარელი სიმღერა სასაცილო ხმით;
- და სხვა.

ექსპერიმენტები წყალთან - რით განსხვავდება ერთმანეთისგან მთისა და ბარის მდინარეები ?(ან მდინარე და ტბა).

ცივა -ცხელა - ბავშვები იყოფიან ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი მალავს ეზოში რაიმე საშუალო ზომის ნივთს, რომელიც მეორე ჯგუფმა მინიშნებებით უნდა იპოვოს. როდესაც მეორე ჯგუფის წევრები დაშორდებიან დამალულ ნივთს, პირველი ჯგუფის წევრები იძახიან: "ცივა!", როცა მძებნელები ახლოს მივლენ დამალულ ნივთთან, პირველი ჯგუფის წევრები იძახიან: "ცხელა!".

სასახლის ტურნირი - იმართება "სასახლის" ტურნირი, რომელშიც ერთმანეთს ეჯიბრებიან "მეფეები", "დედოფლები", "რაინდები" და "მეფის ასულები". შეჯიბრებები ეწყობა ცხენით ჯირითში, ბადროს ტყორცნაში და სხვა.

„განძის" მოძებნა რუკის მიხედვით - წინასწარ დავმალოთ ეზოში "განძი" და შევადგინოთ რუკა ოთხ ეგზემპლარად; დავყოთ ბავშვები ოთხ გუნდად და დავურიგოთ მათ რუკები. გამარჯვებულია ის, ვინც პირველი იპოვის განძს. შესაძლებელია დავმალოთ ოთხი "განძი", რათა ყველა გუნდს ჰქონდეს გამარჯვების შესაძლებლობა.

მცირე ჯგუფები

დაითვალე ვარსკვლავები - დავურიგოთ ბავშვებს შავი ან მუქი ლურჯი ფორმატის დიდი ფურცლები, ასევე ოქროსფერი ქაღალდისგან ამოჭრილი ვარსკვლავები. ჯგუფები "ცაზე" დააწყობენ სხვადასხვა რაოდენობის „ვარსკვლავებს", შემდეგ დაითვლიან, საბოლოოდ რამდენი "ვარსკვლავი" ანთია "ცაზე". რამდენჯერმე შევცვალოთ რაოდენობები.

თამაში კამათლებით: „მთა": თამაშის მიზანია ავძვრეთ მთაზე და დავეშვათ უკან მითითებული რიცხვების მიხედვით. თითოეულ მოთამაშეს ვაძლევთ ქვემოთ მოცემულ მატრიცას (იხ. ილუსტრაცია #50), ფანქარს და კამათელს. კამათელის გაგორების შემდეგ ბავშვი მონიშნავს კამათელზე „ამოსულ" ციფრს, შემდეგ გაგორებაზე გადათვლის შესაბამისი რაოდენობის რიცხვს და მონიშნავს შესატყვის ციფრს. თამაში სრულდება, როდესაც მთიდან უკან დაეშვება მოთამაშე. მოთამაშეები რიგრიგობით აგორებენ კამათელს.



სამუშაო ფურცელი: რისი ჩრდილია? - დავურიგოთ ბავშვებს სამუშაო ფურცლები უდაბნოსთვის დამახასიათებელი გამოსახულებებით, ბავშვებმა უნდა დააკავშირონ საგანი თავის ჩრდილთან (იხ. ილუსტრაცია # 51).

შაში - შევთავაზოთ ბავშვებს შაშის თამაში წყვილებში.

ძვირფასი ქვები - შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვანაირი ქვები. ვთხოვოთ, დაახარისხონ ისინი ზომის, ფორმის, ფერისა და წონის მიხედვით; ააწყონ განსხვავებული კანონზომიერებები.

მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება

ღამის პატარა სერენადა - მოვასმენინოთ ბავშვებს ნაწყვეტი მოცარტის ნაწარმოებიდან "ღამის პატარა სერენადა".

"ვმოძრაობთ, როგორც.." - ჩავრთოთ მუსიკა ბუნების ხმებით და ვუთხრათ ბავშვებს, რომ ახლა ჩვენ უნდა განვასახიეროთ ბუნების სხვადასხვა ნაწილი. წინასწარ ვუჩვენოთ ბავშვებს სხვადასხვა სხეულის პოზა; შევთანხმდეთ, რომელ პოზას ავირჩევთ თამაშისას და რას დავარქმევთ მათ. შევარჩიოთ წამყვანი, რომელიც უხელმძღვანელებს ბავშვებს. როდესაც ის ხმამაღლა დაასახელებს რომელიმე პოზის სახელწოდებას, ყველა ბავშვი შესაბამის მდგომარეობას მიიღებს. მაგალითად, როდესაც წამყვანი იტყვის: "ბაყაყი!", ყველა ბავშვი ბაყაყივით ჩასხდება; როდესაც იტყვის: "ძაღლი!", ბავშვები ძაღლის განსახიერებას შეეცდებიან. ბავშვი, რომლიც ყველაზე დიდხანს შეძლებს მდგომარეობის შენარჩუნებას, ხდება წამყვანი.

ხე	ვარსკვლავი
ბაყაყი	**ჩიტი**
კლდე	**ლომი**
ყვავილი	**ცისარტყელა**

სიმღერა "საქანელა" - რამდენიმეჯერ მოვასმენინოთ ბავშვებს ინოლა გურგულიას ეს სიმღერა. თუკი სურვილი ექნებათ, ვასწავლოთ მისი სიტყვები.

"წელიწადის ოთხი დრო": ზაფხული და ზამთარი - ვთხოვოთ ბავშვებს, მოუსმინონ ვივალდის მუსიკას და მოყვნენ, რა წარმოუდგებათ თვალწინ, დაიყონ მცირე ჯგუფებად და აყვნენ მუსიკას რაიმე მოძრაობებით.

"ჯადოსნური ფლეიტა" (ნაწყვეტი) - შევთავაზოთ ბავშვებს, ნაწყვეტს მოცარტის ამ ოპერიდან; წარმოიდგინონ, რომ არიან მეფის სასახლეში და იცეკვონ წყვილებში.

"მეკობრეების სიმღერა" - მოვასმენინოთ ბავშვებს სიმღერა მეკობრეებზე და წავახალისოთ, რომ აყვნენ მუსიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადრეული ასაკის ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტები, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2011.
2. 5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების თავისებურებანი, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, თბილისი, 2011.
3. ქართული ენა და ლიტერატურა, გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2011.
4. საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2011.
5. ვსწავლობთ თამაშით, 111 თამაში მრავალენოვანი განათლებისთვის, CIMERA. 2006.
6. სკოლამდელი განათლების პროგრამა, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი. 2011.
7. ჩემი პირველი კითხვებისა და პასუხების წიგნი, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2013.
8. ჩემი პირველი კითხვებისა და პასუხების წიგნი, ცხოველები, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2013.
9. მოძრავი თამაშები სკოლაში, საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია.
10. 365 ძილისპირული ამბავი, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2013.
11. სასწავლო - სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის, აქტივობათა წიგნი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.
12. სასწავლო - სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის: დანართი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.
13. ვოლში, ქ. (2006), შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფები (3-6 წელი), ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაცია, ღია საზოგადოების ინსტიტუტი, თბილისი.
14. სტოლბერგი, ჯ. , დანიელსი, ე.(2006). შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული სასწავლო მასალები მათემატიკასა და საბუნებისმერტყველო დისციპლინებისათვის (3-6 წელი), ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაცია, ღია საზოგადოების ინსტიტუტი, თბილისი, 2006.
15. ბასკო, სასკოლო მზაობის პროგრამა, 5-6 წლის ბავშვებისთვის, თბილისი, 2014.
16. სუმბაძე, ნ., თბილისური კოლექცია, ფანჯრები 2, შპს. საქართველოს მაცნე.
17. Психологическая карта дошкольника (готовность к школе): Графический материал / М. В. Ермолаева, И. Г. Ерофеева. — 3-е изд., стер. — М.: Издательство Московского психолого-социального института; Воронеж: Издательство НПО «МОДЭК», 2008. — 96 с. — (Серия «Библиотека школьного психолога»).

ვებგვერდები

1. http://pocketofpreschool.blogspot.com/2015/03/farm-in-dramatic-play-center.html;
2. http://www.pre-kpages.com/dramatic-play-garden/
3. http://www.clohe-movingtoys.eu/www/Home_EN/Automata_Gallery_Mechanisms.htm
4. http://www.instructables.com/id/Slingshot-Cars/?ALLSTEPS
5. http://edition.tefl.net/ideas/games/change-chairs-if/
6. https://www.youtube.com/watch?v=a9OEBH4HmzY
7. http://store.metmuseum.org/sculpture/small-egyptian-cat-sculpture/invt/06008437#.VU4YXvntmko
8. http://www.bestourism.com/medias/dfp/7398
9. http://metmuseum.org/collection/the-collection-online/search/549033?rpp=30&pg=1&ft=sculpture+egypt&pos=2
10. http://en.wikipedia.org/wiki/Art_of_ancient_Egypt#/media/File:Tuthankhamun_Egyptian_Museum.jpg
11. .http://www.greek-thesaurus.gr/images/a1/parthenon_frieze3.jpghttp://en.wikipedia.org/wiki/File:Fregio_della_gigantomachia_02.JPG
12. http://en.wikipedia.org/wiki/File:Nike_of_Samothrake_Louvre_Ma2369_n4.jpg
13. https://soundcloud.com
14. http://www.csogeorgia.org/uploads/news_pdf/hera.pdf
15. http://www.perkinselearning.org/activity-bank/passing-ball
16. http://oliveus.tv/ep-23-le-petit-chaperon-rouge/
17. https://www.youtube.com/watch?v=LglsHP9_buA
18. https://www.youtube.com/watch?v=2kYCPREVIUs
19. https://www.youtube.com/watch?v=dar3xhQWVvg
20. https://www.youtube.com/watch?v=HABs5JR4Js0
21. https://www.youtube.com/watch?v=uNIsjZBnRR8
22. https://www.youtube.com/watch?v=ZpWcMegSWRg
23. http://maiakuphunia.blogspot.com/2010_06_01_archive.html
24. https://www.youtube.com/watch?v=Nz20l6eZImM
25. https://sites.google.com/site/despisableme/games
26. https://www.youtube.com/watch?v=lfAzr0GWknU
27. https://www.youtube.com/watch?v=5xnQSLxJmMg
28. https://www.youtube.com/watch?v=_F6HLQWFdNM
29. http://chamberlainstudios.net/files/The_Zoetrope_Project.pdf
30. https://instagram.com/p/1qFsAFNICT/?taken-by=rachelryle
31. https://www.youtube.com/watch?v=btdnRrS8hPY
32. https://www.youtube.com/watch?v=MwofjZrCHFY.
33. https://www.youtube.com/watch?v=mfcEFEaxaLs
34. https://www.youtube.com/watch?v=mfcEFEaxaLs
35. http://www.kkm.lv/modules.php?name=Content&pa=showpage&pid=1076;
36. https://www.youtube.com/watch?v=BY9_DDF9GPY
37. .http://www.maam.ru/detskijsad/barashek-master-klas-po-izgotovleniyu.html
38. http://giorgimarjanishvili.blogspot.com/2012/10/blog-post.html
39. https://www.youtube.com/watch?v=D1HKBKt2-l0.
40. http://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102005208
41. http://www.andersruff.com/custom-printable-parties/birthday-parties/paper-chef-hat/
42. http://www.filthwizardry.com/2009/02/cardboard-pizza-making.html
43. http://mrsbremersk.blogspot.ca/2012/05/spaghetti-meatball-spelling-more.html
44. http://blog.melissaanddoug.com/2013/03/29/encourage-healthy-eating-with-a-kids-restaurant/
45. http://www.learning4kids.net/2014/04/09/neapolitan-ice-cream-play-dough-fun/
46. http://www.pre-kpages.com/dramatic-play-mexican-restaurant/
47. http://www.kidscount1234.com/shapefill.pdf
48. http://www.kidscount1234.com/shapefillheart.pdf

ილუსტრაციები



ილუსტრაცია №1

დეკემბერი	იანვარი	თებერვალი
მარტი	აპრილი	მაისი
ივნისი	ივლისი	აგვისტო
სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი

ილუსტრაცია №2





ილუსტრაცია №3

ილუსტრაცია №4



ილუსტრაცია №5



ილუსტრაცია №6



ილუსტრაცია №7

ბრაილის შრიფტი

რელიეფურ-წერტილოვანი
ტაქტილური შრიფტი უსინათლოთათვის,
გამოიყენება 1821 წლიდან

ა – ⠁	მ – ⠍	ლ – ⠇
ბ – ⠃	ნ – ⠝	ყ – ⠽
გ – ⠛	ო – ⠕	შ – ⠩
დ – ⠙	პ – ⠏	ჩ – ⠉
ე – ⠑	ჟ – ⠚	ც – ⠮
ვ – ⠧	რ – ⠗	ძ – ⠵
ზ – ⠵	ს – ⠎	წ – ⠺
თ – ⠞	ტ – ⠞	ჭ – ⠯
ი – ⠊	უ – ⠥	ხ – ⠭
კ – ⠅	ფ – ⠋	ჯ – ⠚
ლ – ⠇	ქ – ⠟	ჰ – ⠓



ილუსტრაცია №8

ლ ა მ ა	ს ა მ ი 3
ღ ო რ ი	ო რ ი 2
ჯ ა მ ი	კ ა მ ა

ილუსტრაცია №9



ილუსტრაცია №10

ილუსტრაცია №11



ილუსტრაცია №12









ილუსტრაცია №13



ილუსტრაცია №14



ილუსტრაცია №15



ილუსტრაცია №16



ილუსტრაცია №17

ილუსტრაცია №18

ილუსტრაცია №19

ლომი



ლომი

სპილო



სპილო

ილუსტრაცია №20

ილუსტრაცია №21



ილუსტრაცია №22

ილუსტრაცია №23

ილუსტრაცია №24

ილუსტრაცია №25

ილუსტრაცია №26



ილუსტრაცია №27



ილუსტრაცია №28



ილუსტრაცია №29



ილუსტრაცია №30

ილუსტრაცია № 31

ილუსტრაცია №32



ილუსტრაცია №33



ილუსტრაცია №34

ილუსტრაცია №35

ილუსტრაცია №36

ილუსტრაცია №37

ილუსტრაცია №39



ილუსტრაცია №40



ილუსტრაცია №41





ილუსტრაცია №42



ილუსტრაცია №43



ილუსტრაცია №44

ილუსტრაცია № 45



ილუსტრაცია №46



ილუსტრაცია №47

ილუსტრაცია № 48



ილუსტრაცია №49

ილუსტრაცია № 50



ილუსტრაცია №51